644
1962/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

2

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8823

2

1962

შინაარსი

ნ. დუმბაძე — მე ვხედავ მზეს (რომანი. გაგრძელება) 5
ალ. პუშკინი — ზამთრის საღამო (ლექსი. თარგმნა მ. ლებანიძემ) 43
ე. ყიფიანი — მწვანე ფარდა (მოთხრობა) . 44
ნ. ჰიქმეთი — ავტობიოგრაფია (ლექსი. თარგმნა ხ. პერულავამ) 66
ე. კვიტაიშვილი — ლექსები 68
ი. ჩაღუნელი — ცხოვრების ზღურბლზე (რომანი. გაგრძელება) 70
ჰ. აბიჩეჯიანი — მსჯავრი (მოთხრობა. გაგრძელება) 82
პ. ქ. ბერანდე — ჩემი აკლდამა (ლექსი) . 116
ა. დე მიუსე — პელიკანი (ლექსი. ფრანგულიდან თარგმნა გ. ქავთარაძემ) 118
ა. ტიმონენი — „ტბა ხმაურობს და ხმაურობს“ (მოთხრობა. თარგმნა გ. ბუხნიკაშვილმა) . 120

ჩვენი ავტორები

პ. შამათავა — ფაბრიკაცური სტრიქონები მოგვითხრობენ 127
ტ. ტალაბაძე — თაობის ფიქრი . . . 132

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ო. კაჭკორია — ალექსანდრე პუშკინი . . 126

ხ. ჭილაია — სიმონ ჩიქოვანი 142

შ. ძიძიგური — აკაკი გაწერელიას ნოველების წიგნი 155

ყოველი მხრიდან

ქრონიკა 158

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

რწ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. ქალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ხ. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვეთა № 177. უე 03614. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ დუმბაძე

მე ვხედავ შენს

რომანი

რას გვეკითხება ამოცანა

კოლმეურნეობის კრება, როგორც წესი, საღამოობით იმართებოდა, ზარის რეკვა კი შუადღიდან იწყებოდა. მთელი დღის მუშაობით დაღლილ ხალხს ეზარებოდა კრებაზე მოსვლა და იყო გაუთავებელი ხვეწნა, მუქარა.

— ე, კაცო, არქიფო, ამოდი კრებაზე!

— ედემიკა, ახლა გაგიჩნდა რევმატიზმი?!

— არ გამოხვალ ხომ, დიომიდა? მიგცემ აღმასკომის პირში, თუ ვყოფილვარ ზოსიმე!

— ზოსიმე ჩიყვიანო, ნუ ბღავი და მომასვენე, თორემ გამოვიტან თოფს და ჩამოგაგდებ ჩიტივით მაგ ჯიირკიდან, — ემუქრებოდა მუხის გადანაჭერზე შემდგარ და კისერზე ძარღვებდაბერილ ზოსიმეს დიომიდე.

— მარგალიტა, გამოდი გარეთ, ვიცი, სახლში ხარ!

— ქსენია, წამოდი და წამოიძღვანე შენი დაფეხვილი ყაძახი.

ჩვენ, ბავშვებს, კრებაზე არავინ გვეპატიჟებოდა, თუმცა პატიჟი არც გვჭირდებოდა. ეს იყო ჩვენთვის ერთადერთი გასართობი ადგილი. კრება სკოლაში იმართებოდა ყოველთვის. არადერი არ იყო იმაზე კარგი სანახავი, როგორ მოუხერხებლად ისხდნენ ჭაღარა, სახედამწვარი და დაღარული ხალხი ჩვენს ვიწრო და პატარა მერხებზე ერთ კლასში რამდენჯერმე ჩარჩენილი მოსწავლეებივით. ჩვენ კი იატაკზე ვისხედით და სულგანაბული ვისმენდით ამ საოცრად საინტერესო გაკვეთილს, სადაც სიას არავინ კითხულობდა, მოსწავლეები ხელს არ იწევდნენ და ადგილიდან პასუხობდნენ, წევდნენ პაპიროსს, ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს, მასწავლებელს შენობით ელაპარაკებოდნენ და ამისათვის მათ გარეთ არავინ აგდებდა. ვიჯექი და ვნატრობდი, როდის გავხდებოდი მეც ამხელა, როდის მეღირსებოდა დაძახება — სოსოია ამოდი კრებაზეო, როდის გავუბედავდი ზოსიმეს ჩიყვიანის დაძახებას და როდის იტყოდნენ კენჭისყრის დროს — სოსოიე თავს იკავებსო.

აი ახლაც, მე და ხატია ვსხედვართ იატაკზე მამიდაჩემის ფეხებთან, ჩვენს უკან ბეჟანა ზის, ისიც იატაკზე, და ველოდებით კრების დაწყებას. კლასი გუგუნებს, ფანჯრები ღიაა. მაგრამ მაინც საშინლად ცხელა. თამბაქოს, ოფლის და მიწის სუნი, ერთად არეული, თვალებს მწვავს. არის მოხუცების ჩაბჟირებუ-

---

[1] გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ხველება და ქალების გაუთავებელი ქაქანი. ხალხი მოდის და მოდის.

— ჰე, გაიესო კლსი, დავიწყოთ ახლა! — თქვა ზოსიმემ და ენაგამომძვრალ ზარში ფანქარი გაახაკუნ-გამოახაკუნა.

— ვინ აკირჩიოთ კრების თავმჯდომარედ? — იკითხა მან სერიოზულად.

— შენ თვითონ იყავი, მაგ საქმისათვის ხარ დაბადებული, სხვად მაინც არაფრად ვარგიხარ, — თქვა დიომიდემ.

— გამოდი და ნახე როგორია კრების თავმჯდომარეობა! — მიიპატიჟა ზოსიმემ დიომიდე.

— მაგისთვის მოგინდურებ ოქროსავით მეზობელს? — დაუთმო დიომიდემ ადგილი.

— დეიქცა ის დღე, შენ რომ ჩემს მეზობლად ჩამოთესლდი.

— წაიკითხე დღის წესრიგი, შე უპატრონო, ვერ ხედავ, რომ თენდება? — შეაწყვეტინა დისკუსია ზოსიმეს და დიომიდეს ვერასიმე ბიძაამ.

ზოსიმემ ჩაახველა, სათვალე გაიკეთა, დიდი საქაღალდე გახსნა, იქიდან დიდი ქაღალდი ამოიღო, ცხვირთან მიიტანა და უცებ გაახსენდა.

— კაი მაგრამ, კრებას მდივანი არ უნდა?

— მდივანიც შენ იყავი! — უთხრა ისევ დიომიდემ.

— ვერ გაუძღვება ამდენ საქმეს! — თქვა სერიოზულად ბეჟანამ.

ზოსიმემ სათვალეების ზევიდან გახედა ბეჟანას და სერიოზული რომ დაინახა, ღარაფერი უთხრა.

— კენჭი არ ვიყარო?

— კენჭი კი არა, თუ გინდა ქვა ისროლე და თავი შეუშვირე, ოღონდ დეიწყე! — უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ხატიას მამამ.

ზოსიმემ ერთხელ კიდევ ჩაახველა და დაიწყო.

— დღის წესრიგშია ერთი საკითხი, ზოგიერთი ცუღლუტის და, ასე ვთქვათ, საერთო საქმისა და სამშობლოს მოღალატის სამუშაოზე გამოუცხადებლობის შესახებ. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხანაგ ქიშვარდი სპირიდონის ძე ვაშაყმაძეს, — ქიშვარდის ხსენებაზე ერთი-ორი ტაში გავარდა ლაჩაად დატენილი ფილთა თოფივით. ქიშვარდი ადგა, ნახევარი გრაფინი წყალი დალია, ქამარი მოიჭირა და ბოხი ხმით დაიწყო:

— ამხანაგებო, წრეევანდელი წელიწადი დიდი დაზაფრული წელიწადია. დგას ორი კაცი, ორი ქვეყანა, წითელი და თეთრი, წითელი და შავი, ვარსკვლავი და არწივი, დგას და უშენს ერთმანეთს ტყვიას. ჩვენ ვინ ვართ? ჩვენ ვართ ჩაქუჩი და ნამგალი, ესე იგი ვარსკვლავი, ისინი? ისინი ჯოჯოხეთი, სკვარამი, უკუნეთი, ბნელეთი, შავი ქვა და არგადარჩენა. რას შვება ჰიტლერი? ჰიტლერი მოდის წინ. ჰიტლერი მოსულია მეავე წყალზე, — კისლოვოდსკ! — თარგმნა მან რუსულად, — უჭირს ხალხს, უჭირს მთავრობას, უჭირს ჯარს, ჩვენ რა გვიჭირს? ჩვენც გვიჭირს, გვშია, გვწყურია, ტანზე არ გვაცვია და ფეხზე. ქისტაფორე ბასილია. თუ გიფიქრია, შენს ბიჭს რომ თოფი უჭირავს ხელში და ჰიტლერს ურტყამს, შია, წყურია და ტანშიშველიაო?

— მაგის ჯავარი არ მკლავს, ქიშვარდი?

— გერასიმე ჩემო, შენი ბიჭი რომ ჰოსპიტალში წევს, თუ ფიქრობ იმის მომვლელს, ათასი რომ ყავს მოსავლელი და სამაკრონო, ჭამა რომ უნდა?

— რაიდენა! შენი ბიჭი რომ ტანკში ზის, იმ ტანკს კორკიმელი და გულაბი მსხალი ისხამს თუ იცი?

— თქვი ქიშვარდია, სათქმელი, — შეუძახეს ქიშვარდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პური უნდა ქვეყანას, ჭადი უნდა, ლობიო უნდა, ძროხა უნდა და ხბო უნდა, რისთვის დაგეტოვა მთავრობამ შინ, თოფის სროლა არ ვიცით? გამოდით, რომელსაც გინდათ და ვისროლოთ ბეჭედში. ბანალს აგართმევთ შუბლზე მაუზერით, მაგრამ აქ ვარ საჭირო!.. ომს დიდი კუჭი აქვს, მშვიდობაზე ათჯერ დიდი კუჭი, გეყურებათ თქვენ?

— ქიშვარდი, ა, დანა და გამოგვეჭერი ყელი, არ ვმუშაობთ, თუ როგორაა შენი საქმე? — გახსნა ჯაყვა გერასიმე ბიძიამ.

— ყველაზე არ ვამბობ მე. კაცებს არ ვენდური, არც ქალებს ვენდური, მაგრამ ზოგი მარცხვენს.

— დაასახელე, ქიშვარდი, დაასახელე! — აბღავლდა ხალხი, ქიშვარდიმ გულის ჯიბიდან ორად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო და გაშალა. კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ქიშვარდიმ დიდხანს უყურა სიას და ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა.

— სადაა ამბაკო, სადაა კირილე, სადაა კიკიტია, ფედოსი ბარამიძე და მისი რძალი მაყვალა სად არიან? — იკითხა ქიშვარდიმ.

— ადექი, შაქროია, და თქვი, სად არიან დედაშენი და გოგიას ცოლი! — კრა ვიღაცამ ხელი შაქრო ბარამიძეს, შაქრო წამოდგა, ხელისგული გადაუსვა მერხს, მერე ცხვირ-პირზე ჩამოისვა ნიჩაბივით და უგემურად თქვა:

— ბათუმში არიან წასული, შაქარზე და ქაფშიაზე.

— არქიფო, რამდენი ხანია შაქარი არ გინახავს? — ჰკითხა ქესკინემ არქიფოს.

— ნახვით როგორ არ მინახავს, არ მიჭამია თორემ!.. — უპასუხა არქიფომ.

შაქროს ხველება აუტყდა და სახეზე ორთავე ხელი აიფარა.

— ბეგლარას ძაღლივით რომ ახველებ, თქვი რა უნდათ ბათუმში! — შეუძახა შაქროს ზოსიმემ.

— რა და, ნენე და პატარა გოგიას ცოლი სპეკულანტობენ, ჩამოაქვთ ბათუმიდან ქაფშიე და ყიდიან მერე, — ამოღერღა შაქროიამ.

— სადაა მდუღარე, თორემ ამისთანა შვილს დღეში სამჯერ რავა არ უნდა გადაარო თავზე! — ჩამოიხოცა ლოყა შავმა მაშიკომ.

— აბა რა გეგონა შენ, მაგათი გულისათვის მე წავალ ციხეში? — შეუღრინა შაქრომ და დაჯდა.

— არავის არ ვიჭერ მე, — თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ, — ვისაც არ უნდა მუშაობა, გავიდეს ტყეში დათიკოსავით და ათიოლ ღამე კვერნებთან. არავისი სახვეწარი ჩვენ არ გვჭირს არაფერი, ომი არ გათავებულა, ომს ახლა ვიწყებთ ჩვენ, და ჩვენ თუ არ ვუპატრონეთ ჩვენს თავს, სხვა არ მოგვხედავს, ლუკაია ფოცხიშვილო, თქვი რამე! — თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ და დაჯდა.

ლუკაია იმ ღამის შემდეგ ხმაამოღებული არავის უნახავს, იგი მზეზე ადრე ამოდიოდა კონცხოულას მთაზე, მუშაობდა ხარივით, მზეზე გვიან ჩადიოდა თავის ეზოში, წვებოდა პარმაღზე, თვალებს ხუჭავდა და ქვეყანა რომ დაქცეულიყო, თვალს არ გაახელდა. ლუკაია შეცცა, გაკვირვებული ადგა, მერე ისევ დაჯდა, ადგა, მაგიდასთან გავიდა, წყალი დალია და უცცებ დაიხრიალა:

— თუთუნი! — წინა მერხებზე მსხდომმა ათმა კაცმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და მაგიდა თუთუნით გაივსო. ათმა კაცმა მოხია გაზეთი და მაგიდა ქაღალდით აივსო, ათმა კაცმა ჩამოჰკრა კვეს-აბელი და ოთახი დამწვარი აბედის სასიამოვნო, ტკბილი და დამათრობელი სუნით აივსო. ხელის კანკალით გაახვია ლუკაიამ ცერის სისხო ციგარა, მოქაჩა და ღრმად ჩაისუნთქა. კლასი სდუმდა სამარესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით. ლუკაიას შუბლზე ცივი ოფლი ესხა ცვარივით.

— მე რა, მე, — დაიწყო ლუკაიამ, — ჩემთვის ომი დიდი ხანია გათავებულია. მე ახლა გულზე უნდა მეკრიფოს მკლავები და სულს უნდა ვღაფავდე, მაგრამ სადაა მიქელ გაბრიელი, არც ღმერთი სწამს და არც რჯული. არ მოდის, — ლუკაიამ ციგარა შუაზე დაიყვანა და განაგრძო. — არ მოდის და ნუ მოვა. სანამ მოსულა, ვერ დავიკრეფ გულზე ხელს, რაც სისხლი მაქვს, ოფლად ვაქცევ, რაც ცრემლი შემრჩენია, იმას სისხლად ვაქცევ, იპოვის ჩემი ბიჭის ძვალს, დედამიწის გულს რომ გაიარს, აბა რას იზამს. ან სისხლს დავლევ ჰიტლერისას, ან ასე ზეზეურად წავიქცევი მიწაზე... აგია ჩემი სიტყვა. მე ხვადგი არ ვარ და ბალახს არ ვჭამ. ჩემ დღეში არ ხარ შენ, ევგენია?

— კარგი ახლა, ლუკაია, ნუ ამაბღავლებ ამ მილეთის ხალხში, — თხოვა ევგენიამ.

კრებას ერუანტელმა დაუარა. ხალხი აზუზუნდა, მაგრამ ჯერ არავინ არაფერს ამბობდა. ლუკაია მივიდა თავის ადგილზე, დაჯდა და თვალებზე ხელი აიფარა.

— დაწერე, ზოსიმე ჩიყვიანო! — თქვა ქსენია ბრიგადირმა და ფეხზე ადგა.

გაკვირვებულმა ზოსიმემ თავმჯდომარეს გადახედა.

— დაწერე, მე შენ გელაპარაკები, — გაუმეორა ქსენიამ. თავმჯდომარემ ზოსიმეს თავი დაუქნია.

— დაწერე, — განაგრძო ქსენიამ, — დაწერე, რომ მზემ არ ჩაიხედოს ომის ეზოში, ვინც სამუშაოს გამოალდეს უმიზეზოდ, ისე შეახმეს მარჯვენა, საკუთარი ვენახის სამამულე რქა ვერ მოეღუნოს. სხვისი მოსახვედრი ტყვია მოხვდეს გულში...

— როგორ ტაბაკონის როკაპივით იწყევლება ეს შეჩვენებული! — თქვა ალფესი სოსელიამ.

— შენს საყურადღებოდ ვჩივი მე ამას, — შეუღრინა ქსენიამ.

— ჩემგან რა გინდა, შე აჯილღა, ხარივით ვმუშაობ და ბღავილს ვერ დავიწყებ.

— უნდა იბღავლო!

— ესეც ჩავწერო? — იკითხა ზოსიმემ.

— მაგ ქარჩხავივით წყევლას გირჩევნია ის ჩაწერო, ერთი კვირა რომ თხებს გვიღეჭავს ვიღაცა! — წამოხტა ფეხზე ედემიკა გორდელაძე, — მე და ხატიას სუნთქვა შეგვეკარა.

— სამუშაოზე გამოსასვლელად ქსენიას წყევლა არ მჭირდება მე, რძე უფრო მჭირდება, ვინც არ დადის სამუშაოზე, ის არც კრებაზეა და რასაა რომ მოგვდგომია და გვწყევლის ეს შეჩვენებული.

— ჩვენც სწორედ ის გვაინტერესებს, სადაა ეს ხალხი! — თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ და ფეხზე წამოდგა.

— აბა, მე ის უფრო მაინტერესებს, ვინ ღეჭავს ჩემ თხას! — იბღავლა ედემიკამ.

— მართალია! — მიაკივლეს მაკამ, მინამ, მაშიკომ, ვასასიმ და სხვებმა.

ხალხი აირია, აჩოჩქოლდა, ზოსიმემ ისევ გაახაკუნა ფანქარი ენაგამომძვრალ ზარში, მაგრამ ყური არავინ მიუგდო.

— გაჩერდით, ხალხო! — იყვირა ქიშვარდი თავმჯდომარემ და მაგიდას ხელი დაარტყა. ხალხი თანდათან დაწყნარდა.

— თქვი, ედემიკა გორდელაძე, რომელ თხაზეა ლაპარაკი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მე ჩემსაზე ვიტყვი.

— ჩემსაზედაც თქვი! — შეეხვეწა მინა.

— ყველამ თავის თხას მოუაროს! — იყვირა ვიღაცამ.

— მართალია, სიტყვა ეძლევა ედემიკას თხას, გამოდი, ედემიკა.

— აქიდან ვიტყვი!

— აბა ჰე, დაიწყე პეტელი!

— საიდან დავიწყო, არც კი ვიცი!

— კუდიდან დაიწყე, ედემიკა, კუდიდან! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

ედემიკამ ჯერ კეფა მოიფხანა, ფრჩხილებზე დაიხედა, მერე ჩემსკენ გამოიხედა, მიყურა, მიყურა და თვალი რომ ვერ გავუსწორე, თავი დაიქნია — მ�ცალე მე შენო, და დაიწყო.

— მეზობლებო, თხა ძროხა არ არის!

— რა იცი? — ჰკითხა ეპვიანმა ბეყანამ. დარბაზმა გადაიხარხარა.

— ქიშვარდი თავმჯდომარე, უთხარი ამ გადარეულს დახუროს საყლაპავი, თორემ დავჯდები ახლა, — მიუბრუნდა პრეზიდიუმს ედემიკა.

— ბეყანა, გაგსვამ გარეთ, განაგრძე, ედემიკა! — გააფრთხილა თავმჯდომარემ. ბეყანამ პირზე ხელი აიფარა — მუნჯი ვარო და სმენად იქცა. ედემიკამ განაგრძო:

— ჩემი თხა, კი იცით თქვენ, ცალი რქა რომ აქვს და უკანა ფეხზე რომ კოჭლობს, ორ ბოთლ რძეს იწველება დღეში.

— ღმერთი არ გწამს მერე, ინვალიდ თხას რომ წველი? — ჰკითხა ვიღაცამ.

— მე არ მომიტეხია მისთვის ფეხი, რძე კი ერთნაირი აქვს ყველა თხას... ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ერთ ბოთლს დილას ვწველიდი, მეორეს საღამოთი. ახლა რა გამოვიდა? მოვწველი დილას, საღამოს მოწველილი მოდის. ერთი ბოთლი რძე, ახლა, როგორც ჩვენი ექიმი ამბობს, ერთ ბოთლ სისხლს უდრის...

— ჩვენი ექიმი იმასაც ამბობს, ედემიკა, ერთი კარალიოკი ორ კვერცხს უდრისო და ორი კარალიოკი ერთ ქათამსო... — უთხრა ბესარიონამ.

— არა, თუ? — გაუჯავრდა ედემიკა.

— კი, როგორ არა, მაგი რომ მითხრა, დავრგე სახლის წინ ერთი ძირი კარალიოკი და ახლა აღარც ქათამი მჭირდება, აღარც საქათმე, ვარ მოსვენებული ჩემთვის.

— მაგი არ ვიცი მე, გეუბნები ერთი ბოთლი თხის რძე ნახევარ ბოთლ სისხლს მაინც უდრის, — დაუკლო ედემიკამ.

— კიდე დაუკელი ცოტა! — შეუძახა ედემიკას ვიღაცამ.

— ვერა, ბატონო, ჩემი დადგენილი კი არაა ეს? — გაჯიუტდა ედემიკა.

— თქვი აწი, ვინ ღეჭავს იმ ერთ ლიტრა სისხლს შენ თხას, — დაეჩქარა ზოსიმემ.

— თხას კი არა, მე მღეჭავს სისხლს! — იბღავლა ედემიკამ და ისე მაგრად დაირტყა მჯიღი გულზე, თვალები მაგიდაზე კინაღამ გადმოუცვინდა. მერე დოქს მივარდა, პირზე მიიყუდა, გამოცალა, მაგიდაზე ხმაურით დადგა, ისევ აწია მჯიღი და ის იყო ისევ უნდა დაერტყა მკერდზე, რომ ზოსიმემ ჩაწოაშვებია და კრებას კითხვით მიმართა.

— კიდევ ვინ ხართ დაზარალებული?

— მე! მე! მე! — წამოხტნენ რიგრიგობით მინა, მაკა, მაშიკო, ვასასი.

— თხის პატრონებმა პეე დაიძახეთ! — თქვა ბეყანამ და გაიკრიჭა, დარბაზში ისევ ხარხარი ატყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაგვცინის ეს ტვინგაწყალებული? — მიუბრუნდა ედემიკა ქიშვარდი თავმჯდომარეს.

— ბეჟანა, გაგსვამ გარეთ! — ისევ დაემუქრა თავმჯდომარე ბეჟანას.

ბეჟანამ ახლა მთლად მოიმკვდარუნა თავი, თავმჯდომარემ ხელით ანიშნა ზოსიმეს, განაგრძეო.

— შენი თხა რამდენ ლიტრა სისხლს იწველის, მინა?

— ჩემი — ოთხს!

— შენი, მაშიკო?

— სამს!

— შენი, მაკა?

— ჩემი მაკეთაა და ერთს!

— შენი, ვასასი?

— ჩემი ორს!

— ოთხს მივუმატოთ სამი, მივუმატოთ ერთი და მივუმატოთ ორი და კიდევ ედემიკას ორი, რამდენია?

— თორმეტი! — დაიძახა კოლმეურნეობის ბუღალტერმა.

— გაყავი ახლა მაგი შუაზე!

— ექვსი!

— შუაზე რატომ ყოფ? — გაბრაზდა ედემიკა.

— იმიტომ, რომ ნახევარს თქვენ წველით დილას და ნახევარს სხვა ღეჭავს საღამოს, — უპასუხა ზოსიმემ.

— მართალია! — გაამხნევეს იგი.

— რას გვეკითხება, ესე იგი, ამოცანა? — იკითხა ზოსიმემ.

—ამოცანა გვეკითხება, სისხლს იწველება მაგენის თხები თუ რძეს, — ამოხსნა ბეჟანამ.

— გაჩერდი, შე აბდალა, ამოცანა გვეკითხება, ვინ ღეჭავს თხებს! — დარბაზში ტაშმა იგრიალა.

— რაღაც ამ გაყვითლებულ ხალხში ვერ ვხედავ ისეთ კაცს, დღეში რომ ექვს ბოთლ რძენასვამს გავდეს, — თქვა გერასიმე ბიძიამ და ხალხს თვალი მოავლო.

— მაგი მე მკითხე, ვინ ღეჭავს! — თქვა ედემიკამ.

— თქვი, ედემიკა! — შეუძახეს აქეთ-იქიდან.

— ერთი პატიოსანი ადამიანის რომ არ მერიდებოდეს, ვიტყოდი, — თქვა ედემიკამ და მამიდას ირიბად გახედა.

— თქვი, ედემიკა! — უთხრა გაფითრებულმა მამიდამ.

— ქეთო, შენ კი იცი, მე რომ ქვეყანას მირჩევნიხარ, — დაიწყო ედემიკამ ენის ბორძიკით, — მაგრამ თუ არ ვთქვი, უარესია შენი ბიჭისთვის.

ხალხი გაინაბა, ყველამ მე შემომხედა და უცებ კლასი აგუგუნდა.

— ტყუილს ამბობ, შე მათხოვარო!

— ვინ დაგიჯერებს მაგას!

— თვითონ ღეჭავს და სხვას უჩივის.

— ედემიკა, დაჯექი, თორემ გაგხლიჩავთ ნაკერაავზე!

— ვერ დაამტკიცებ მაგას!..

— აცალეთ, ხალხო, თქვი, ედემიკა, რაც იცი! — უთხრა მამიდამ წყნარად.

— მე არაფერი არ ვიცი, მე ის ვიცი, რომ დილას ჩემთან იყო სოსოიე, აგი უსინთლო ციცეც ახლდა, — თქვა ედემიკამ და ხატიასკენ დაიქნია თავი, ხატია არ განძრეულა, იგი მშვიდად იჯდა და იღიმებოდა. ედემიკა კი განაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძობდა: — ავადმყოფი სტუმრისათვის მინდაო, უარი ვუთხარი და საღამოს გამოღეჭილი თხა მომადგა ჭიშკარზე, მინასთანაც იყო იმ დღეს, მაშიოსთანაც, მაკასთანაც. ყველას თხა გამოღეჭილი დაბრუნდა საღამოს შინ. ასე გასტანა ერთ კვირას, მართალს ვჩივი, ქალებო? — ქალები სდუმდნენ სამარცხვინოდ, დადუმდა ედემიკაც, სდუმდა მთელი კლასი, აღმათ, მოულოდნელობისაგან და მამიდას ხათრით.

— ტყუილია მაგი! —თქვა ბეჟანამ და ადგილიდან წამოდგა ღიმილით,— ტყუილია მაგი! — გაიმეორა ბეჟანამ, — ედემიკა მყრალია, ვინ თქვა სოსოიას და ხატიას ქურდობა? მე გამოვღეჭე მაგი თხები.

— ამ შტერის ნალაპარაკებიც ჩავწერო? — ჰკითხა თავმჯდომარეს სასოწარკვეთილმა ზოსიმემ.

თავმჯდომარემ თავი დაუქნია.

— სულ ყველას, მივადექი და გამოვღეჭე. აბა რა? კოლექტივში მე არ ვმუშაობ, შრომადღე მე არ მაქვს, ტყუილია მაგი, ვინც არ მუშაობს, არ ჭამსო, არც მაგათი თხები მუშაობენ კოლექტივში, მაგრამ ძალიანს მიირთმევენ. ავიღე და გამოვღეჭე, ასე, ა, — ბეჟანამ პირში ორივე ცერი ჩაიდო, გვაჩვენა როგორ გამოღეჭა და განაგრძო: — რომ გამოვიდა ჩვენი თავმჯდომარე და თქვა, ომს დიდი კუჭი აქვსო, მართალია, მეც დიდი კუჭი მაქვს, ამიტომ გამოვღეჭე, არაა უმარილო რძე მაინც და მაინც გემრიელი სასმელი, მაგრამ რას იზამ? იმ ზარს რომ კიდებ კისერში, ედემიკა, თხას, გირჩევნია პატარა ჭადი და მარილი ჩამოკიდო და ისე გამოუშვა საბალახოზე, დავაყოლებ ქე მაინც ზედ. არ დამიწყოთ ახლა, რატომ გამოღეჭეო, როდის გამოღეჭეო, ვინ მოგცა უფლებაო, ამას გიზამთო, იმას გიზამთო, სულ ერთია კიდევ გამოვღეჭავ, მე გიჟი ვარ და ვერაფერს ვერ მიზამთ, მაგი კი არა არჩევნებში არ ვიღებ მონაწილეობას, გეყურებათ? ნამეტარს ნუ გააჭირვებთ საქმეს, გავდელდები ახლა და მიყარეთ მერე კაკალი. ასეა მაგი და აგე ახლა, ედემიკა, პასუხი ცილისწამებისათვის! — მიუბრუნდა იგი გამშრალ ედემიკას.

— ბეჟანა, დაამთავრე? — დაარღვია სიჩუმე მამიდამ, ხალხმა სული მოითქვა.

— კი, დავამთავრე, ქეთოს შემოვევლე! — გაუცინა ბეჟანამ.

— დაჯექი აბა, ბეჟანა, — სთხოვა მამიდამ. ბეჟანა წამოვიდა თავის კანტორით, მე და ხატიას შორის ჩაეკვეხა და თვალი ჩამიკრა. მამიდა წამოდგა ადგილიდან და ყრუდ დაიწყო.

— მაპატიეთ, მეზობლებო, ჩემი ბრალია, მე ვუშვებდი რძეზე ბავშვებს, ყოველ დღე, მოდიოდნენ, მოქონდათ რძე და მეუბნებოდნენ, მეზობლებმა გამოგვატანესო, ავადმყოფისთვის გვინდოდა, ჯარისკაცი იპოვა ამ უბედურმა ბეჟანამ დაჭრილი, მშიერი, მომაკვდავი. ჩემთან მოიყვანა, თქვენი რძის წყალობით და აკვირინეს მოვლით გაახლა თვალი. მაპატიეთ, მეზობლებო, გადაგიხდით სიკეთით.

— სოსოია, მომეჭერი ხომ თავი, გამათახსირე ხომ ამდენ ხალხში? დამაგდე ხომ ქადაგად? რას მემართლებოდი, ბიჭო, გეთქვა და სულ გაჩუქებდი იმ თხას. შე მამაძაღლო, ბეჟანა დამთხვეულის სასაცილოდ გამხადე? — შემომტირა ედემიკამ.

მე ავდექი. კრება ისევ გაყუჩდა.

— გამოდი, სოსოია მამალაძე, და უთხარი კრებას, როგორ იყო საქმე, შენ რომ ცუდს არ იზამდი, მაგი ყველამ ვიცით, — მითხრა ქიშვარდი თავმჯდომარემ და გამიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გავედი მაგიდასთან.

— ქიშვარდი ბიძია, ედემიკა ბიძია... მე და ხატიას, ედემიკა ბიძია... დედას გეფიცება... არც ერთი ყლუპი არ დაგვილევია... — ვთქვი მე.

მერე ყელში რაღაც მომაწვა, ხალხი გაორდა, გასამდა, დარბაზი აციმციმდა, გალღვა და გაქრა. მერე ჩემთან ვიღაც მოვიდა. აღგილზე მიმიყვანა, დამსვა, ხელი მომხვია. მე იმ ვიღაცის მხარზე მედო თავი და ჩუმად ვტიროდი.

უცებ კლასის კარს რაღაც მძიმედ მოხვდა გარედან და ორთავე კარი ლაწანით გაიღო. ოთახში მხარზე ვეებერთელა ჩანთაგადაკიდებული კოწია ფოსტალიონი შემოვარდა, იგი ძლივს იდგა ფეხზე. ერთხანს კედლიდან კედელს ეხეთქებოდა, მერე ძლივს მიაგნო მაგიდას, ხელებით დაეყრდნო, ფეხები გაბოჯიყა და, რაკი იპოვა დასაყრდენი წერტილი, დარბაზს ჩაუტერდა.

— ვერ მისწორებთ ხომ თვალს? — თქვა უცებ კოწიამ ენის ბორძიკით და კრებას გადახედა.

— გამარჯობა შენი, კოწია! — მიესალმა გერასიმე ბიძია.

— გაგიმარჯოს. თავმჯდომარე სადაა? — ჰკითხა მან მის გვერდით მდგომ ქიშვარდის.

— მე ვარ თავმჯდომარე, კოწია, ვერ მიცანი? — უთხრა ქიშვარდიმ და მხარზე ხელი დაარტყა.

— ქიშვარდი ხარ შენ? გიცანი, გიცანი, შენ არ დამნიშნე ფოსტალიონად?

— კი, მე დაგნიშნე! — გაუცინა ქიშვარდიმ.

— თუ დამნიშნე, გახსენი აბა კრება.

— გახსნილია, კოწია!

— მომეცი აბა სიტყვა!

— სიტყვა კი არა, გადაარე თავზე ის ერთი დოქი წყალი თვალებს რომ ნაბავს, ეს უპატრონო, სად გასკდი? — გაუჯავრდა ქსენია.

— გელაპარაკებით, მომეცი სიტყვა! — მიუბრუნდა კოწია თავმჯდომარეს.

— რა დროს სიტყვაა, კოწია, გათავდა კრება.

— ერთი სადღეგრძელო მთქმიეთ, თქვე უჯიშოებო! — შეეხვეწა კოწია ხალხს.

— დაუსხი, ქიშვარდი!

— მე თუ მალაპარაკეთ, მაგიც ალაპარაკეთ, ჩემი ჭკუისაა ახლა მაგი, — თქვა ბეჟანამ.

— თქვი, კოწია, — უთხრა ქიშვარდიმ და ხელით ანიშნა დარბაზს, გაჩერდითო. კოწიამ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია თავმჯდომარეს და ისევ დაუშტერდა დარბაზს.

— ვინ დაიწყო ომი? — იკითხა მან უცებ. ხალხი გაშტერდა. — მე თქვენ გელაპარაკებით, ვინ დაიწყო ომი? — ისევ იკითხა კოწიამ.

— ომი ჰიტლერმა დაიწყო, კოწია, რაო, ჩვენ ხომ არ გვაბრალებ? — გაუბედა ვიღაცამ.

— ტყუილია მაგი, ჰიტლერს არ დაუწყია ომი!

— გებელსმა!

— არა!

— გერინგმა!

— არა!

— აბა ბეჟანამ დაიწყო?

— მე დავიწყე ომი, მე, თქვე ულმერთოებო, — თქვა ჩურჩულით კოწიამ და თავი სინანულით დაიქნია.

— აბა შენ ყოფილხარ ჰიტლერი?!

—დავიღუპეთ, ხალხო, რას იტყვის მთავრობა, რომ გაიგებს, ჰიტლერი შუახევში მუშაობს ფოსტალიონად და ქიშვარდი შრომადღეს უწერსო! — იყვირა ბეჟანამ.

დარბაზში ხარხარი ატყდა. კოწიამ აცალა ხალხს დაწყნარება და განაგრძო:

—მე დავიწყე ომი, მეზობლებო...

— სხვა რამე დაიბრალე, შე უბედურო, მაგაზე დახვრეტაა, — უთხრა ედემიკამ კოწიას.

— კესარია სოსელია, ადექი თუ ხარ კრებაზე... — თქვა კოწიამ და კრებას თვალი მოავლო.

— აგერ ვარ, კოწია, არ მითხრა რამე უბედურება, არ დამღუპო! — თქვა კესარიამ ვედრებით და წამოდგა. მას მიწის ფერი ედო.

— ვინ შეგხვდა პირველად სოფელში და ვინ იყო ის კაცი, რომელმაც გითხრა, ომი დაიწყო, კესარიაო, თქვი, ვინ იყო ის კაცი?..

— რა შენი ბრალია, დალოცვილო, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა?

— დაჯექი, კესარია... ლუკაია ფოცხიშვილო, ვინ პირზე მიწადაყრილმა გითხრა პირველად, დაიღუპა შენი ბიჭიო და ვინ დაგიფსო ოჯახი?.. თქვი, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო!.. ეეგენია, ვინ შემოიტანა შენს ოჯახში სიკვდილის ქაღალდი?.. — კოწიას ხმა აუკანკალდა. დარბაზს სუნთქვა შეეკრა. ჰაერი გახურდა. გულს რაღაც საოცრად მძიმე დაეკიდა და რომ არ ჩამწყვეტოდა, ხელი მივაშველე. ყელს რაღაც კივილის თუ ღმეილის მაგვარი მოაწვა და ახლა პირზე ავიფარე ხელი. და ვიგრძენი, ყველა ასე იყო, ვიღაც უნდა გამსკდარიყო პირველი, მაგრამ რაღაც იდუმალი, გამოუცნობი უბედურების გაუთავებელი მოლოდინი აკავებდა ამ დარბაზს დამხობისა და დაქცევისაგან.

კოწიას ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მაინც განაგრძო:

— რად მინდა მე თქვენი ცრემლის ყურება?.. რად მინდა მე სიპიტოს მყრალი არაყი?..რად მინდა ცხოვრება, მეზობელს თუ ჩემი დანახვის ეშინია?.. არ მინდა ფოსტალიონობა, არ მინდა... გეყურებათ თქვენ?! ღმერთი არ გწამს, ქიშვარდია?.. ჩემი ალმასხანაც ომშია, არ გეცოდებით, ხალხო?.. ღმერთო, შენ მაინც არ გეცოდები?.. ჩამოდი ფეხად და შენ თვითონ დაურიგე ამ ხალხს აგი ცნობები, შენ ღმერთი ხარ და ყველაფერს გაუძლებ... მე კაცი ვარ, კაცი, მეტი აღარ შემიძლია, შენი გაჩენილი თუა ეს ქვეყანა, შენ თვითონ მოუარე, მე რომ მათრევიებ ამხელა ცოდვას... —კოწიამ ჩანთა მოიხსნა და ჭერისკენ აღაპყრო, — გეყურება შენ, ღმერთო?!.. რას დამუნჯებულხარ, ამოიღე ხმა...— კოწიამ ჩანთა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგიდაზე დაანარცხა. ჩანთა გასკდა და მაგიდაზე სამკუთხა წერილები, გაზეთები, ჟურნალები და რამდენიმე დაბეჭდილმისამართიანი კონვერტი ამოცვივდა. კოწია დაჟინებით დააცქერდა ამ კონვერტებს, რომლებისაც სოფელს შავი ჭირივით ეშინოდა, მერე დაემხო მაგიდაზე და ბავშვივით ამოუჯდა გული. მე მეგონა, რომ ეს უამრავი ხალხი მოწყდებოდა ადგილიდან, მისცვივდებოდა წერილებს, ყველა თავის უბედურებასა და ბედნიერებას გაიგებდა ახლავე, ამ წუთში, მერე დაინგრეოდა დარბაზი და გასკდებოდა გული, მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი: ეს უზარმაზარი შიშივით გატრუნული დარბაზი ჩუმად ადგა, როგორც გასვენებაზე, ისე თითოთითომ მორიდებით ჩაუარა მაგიდაზე დამხობილ კოწიასა და წერილებს. თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგიდაზე შავი ჭირით გათავებული, სახეზე სუდარა-გადაფარებული მიცვალებული ესვენა, ხოლო კოწია მისი ჭირისუფალი იყო.

•

მზე ოდნავ ამოწვერილი იყო, ანატოლი აივანზე იჯდა და კედელზე მიყუდებულ გატეხილ სარკეში წვერს იქაფავდა, მე სვეტზე ჩამოკიდებულ ძველ ღვედზე პირს ვუწყობდი სამართებელს, მამიდა კი დღის განმავლობაში დახეულ ჩემს შარვალს აკერებდა თეთრი ძაფით.

— დილა მშვიდობისა, ქეთო! — ეზოში მინა ჩამოვიდა.

— იცოცხლე, მინა! — მიესალმა მამიდა.

— აგია თქვენი სტუმარი? კაი გამარჯობა თქვენი, ბატონო, ხომ კარგად და მშვიდობით ბრძანდებით? — მიმართა ანატოლის მინამ. ანატოლიმ თავი დაუქნია, უხერხულად გაუღიმა და მე შემომხედა, მიშველე რამეო.

— კარგი ვაქაცი კი ყოფილა, — მიუბრუნდა ახლა მინა მამიდას, მერე კალათში ჩაყო ხელი, ერთი ბოთლი რძე ამოიღო და კიბეზე დადგა, — არ გეწყინოს, ჩემო ქეთო, მეტი ვერ გადავარჩინე, — თქვა მინამ და ისე წავიდა, მადლობის თქმაც ვერ მოასწრო მამიდამ. მინა ეზოდან არ იყო გადასული, რომ ეზოში გიჟივით შემოვარდა ზურგზე ჩანთაგადაკიდებული ედემიკას შვილიშვილი რომანი.

— ქეთო დეიდა, გამარჯობა შენი, აგი ბაბუამ გამოგიგზავნა, იმ ჯარისკაცს დაალევიოსო! — დადგა კიბეზე ერთი ბოთლი რძე და მოჩვენებასავით გაქრა. განცვიფრებული, სახეგაქაფული და პირდაღებული ანატოლი მთელი საათი იჯდა სამართებლით ხელში და უყურებდა, როგორ მოდიოდნენ მეზობლები, ღიმოდნენ, რაღაც თბილსა და მისთვის გაუგებარს ეკითხებოდნენ, მერე დგამდნენ ბოთლ რძეს კიბეზე და ასევე ღიმილით მიდიოდნენ. სულ ბოლოს ეზოში შეეკანა ჩამოვიდა, მას სრულებით არ გაკვირვებია ამდენი ბოთლი რძე რომ ნახა კიბეზე, ოღონდ ის კი უთხრა მამიდას:

— ქეთო, ამის კვეთი თუ იშოვე, ო, რამხელა ყველი გამოვა?!

ანატოლი

ჩემს რუსს მშვენიერი სახელი ერქვა — ანატოლი და გვარიც მეფისა ჰქონდა — რომანოვი. მაგრამ მთელი სოფელი მაინც სოსოიეს რუსს ეძახდა. მარტო მე, ხატია და მამიდა ვეძახდით სახელს.

ერთ დილას, როგორც კი შეატყო თავს ანატოლიმ, ეზოდან გადასვლას შეეძლებო, თავისი ტანსაცმელი მოითხოვა, მამიდამ გამოუტანა დაუთოვებული ტანსაცმელი და ოთახიდან გავიდა. ანატოლიმ ჩაიცვა. მე ერთხანს ვერ მივხვდი, რას აპირებდა, პირის დასაბანი წყალიც მოვურბენინე, კიდევაც დავუსხი, პირსახოციც დავუკავე, სავარცხელიც მივაწოდე. მაგრამ ლოყაზე ხელი რომ მომითათუნა და შუბლზე მაკოცა, ყველაფერს მივხვდი. ეზოში გავვარდი და მამიდას დავუძახე.

— მამიდა, მოდი, მამიდა! — შეშინებული მამიდა ახორიდან გამოვიდა და აივანს მოადგა.

— რა მოხდა, ბიჭო?

— მიდის, მამიდა!

— ვინ?

— ანატოლი მიდის, მამიდა!

— სად მიდის? — მკითხა მამიდამ და კარებისკენ გაიხედა. კარებში გაკრიალებული, გაპარსული, და დავარცხნილი ანატოლი იღიმებოდა უხერხულად. მამიდა აივანზე ამოვიდა და ანატოლის წინ დადგა.

— დიასახლისო, უკვე კარგად ვარ — დაიწყო მან, — უკვე შემიძლია ჩემი ძვლების თრევა, მადლობა ყველაფრისთვის, ყველასი მადლობელი ვარ, განსაკუთრებით თქვენი არ დამავიწყდება არასდროს. დიდ ბოდიშს ვიხდი, შეგაწუხეთ. ნახვამდის! — ანატოლიმ მამიდას ხელი გაუწოდა, მამიდამ ხელი ჩამოართვა. მე ხან ანატოლის ვუცქერდი, ხან მამიდას, ისინი დიდხანს იდგნენ ასე, ბოლოს ანატოლი ჩემსკენ შემობრუნდა.

— შენ კი გამაცილე, სოსო!

იგი ჭიშკრისკენ წავიდა ნელი, მოზომილი ნაბიჯით. მე და მამიდა არ გაკვნძრეულვართ — ალაგესთან რომ მივიდა, სარებს წაავლო ხელი აქეთ-იქეთ, ფეხი შედგა ჯირკზე და ასე დარჩა ერთხანს. გაუჭირდა გადასვლა, წელი ვერ აიტანა. მერე ჩვენკენ მოტრიალდა, დამნაშავესავით გაიღიმა და ალაგეზე ჩამოჯდა. მე და მამიდა მისკენ წავედით.

— დენი არ მეყო! — თქვა ანატოლიმ და თავი ჩაღუნა.

— ჯერ სუსტად ხარ, სად უნდა წახვიდე, ვისთან უნდა მიხვიდე, იქნებ დარჩენილიყავი, ჩვენი ნუ გერიდება, რაც გვექნება, გავიყოთ, საძღომად ახლა არავის არ აქვს. დარჩი ერთი, ორი თვე... — უთხრა მამიდამ ანატოლის.

იგი იჯდა ალაგეზე თავჩაღუნული და არაფერს ამბობდა. მამიდამ ხელი მომკიდა და სახლისკენ წამიყვანა. ჩვენ აივანზე ავედით, მამიდა ოთახში შევიდა, მე ჭიშკრისკენ მივტრიალდი. ანატოლი ისევ იჯდა ალაგეზე, მერე ადგა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა სახლისაკენ.

ერთ დღეს მე და მამიდა, სკოლიდან რომ დავბრუნდით, შეშა დაპობილი, წაქცეული ღობე გამართული და ვენახი სარგამოცვლილი დაგვხვდა. იმ დღიდან ანატოლიმ მიაგნო თავის საქმეს და ადგილს ჩვენს ოჯახში. ცოტა, რომ მომაგრდა, კოლმეურნეობაშიც დაიწყო სიარული, ყველაფერი საქმე გამოუდიოდა ხელიდან, მაგრამ სიმინდის თოხნა ვერ იქნა და ვერ ისწავლა. სამაგიეროდ ვენახის მოვლა ისწავლა ისე, რომ ახლა სოფელში ჩვენისთანა ვენახი არავის ჰქონდა. სოფელში სიარული უყვარდა ანატოლის. დადიოდა ჩუმად, ყველაფერს აკვირდებოდა, ყველაფერი აინტერესებდა, უკვირდა, მეკითხებოდა, რომელი ოჯახი იყო დარჩენილი უკაცოდ, მერე ჩადიოდა ეზოში და პატრონის დაუკითხავად აკეთებდა საქმეს.

— სოსოია, რა ვუყო ახლა ამ კაცს, ფული უნდა მივცე? — მეკითხებოდა გაკვირვებული პატრონი.

— მაგი არ კადრო, თორემ რაც გააკეთა, დაამტვრევს ყველაფერს, კანტუზია აქვს, — ვაშინებდი მე.

— სოსოია, არ დატოვო მარტო ,შენს გახარებას, არ გადელდეს უცებ, თორემ მაგას რა შეკრავს, — მეხვეწებოდა შეშინებული მასპინძელი. მე ვუთარგმნიდი ანატოლის ჩვენს ნალაპარაკევს და იგი იცინოდა ბავშვივით დიდხანს და გმრიელად. ანატოლი არასდროს მიცილებდა გვერდიდან, ფეხს არ ადგამდა უჩემოდ, რადგან ბეკრთან უჭირდა ლაპარაკი და მე თარჯიმნად ვუავდი, თუმცა დიდი სათარგმნი არაფერი მქონდა — უენო კაცი გამოდგა ანატოლი, ვინმე თუ რამეს ჰკითხავდა, თორემ თვითონ არაფერს იტყოდა, არა და იგი ომიდან დაბრუნებული პირველი ცოცხალი კაცი იყო ჩვენს სოფელში. დედაკაცები და მოხუცები საშველს არ აძლევდნენ ანატოლის. ეკითხებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტის, ჯარის, ჰიტლერის და მსოფლიოს შესახებ. ანატოლი უყვებოდა მათ ყოველთვის ერთი და იგივეს, რაც ახსოვდა, იმასაც კი, რაც გლეხებმა მასზე უკეთესად იცოდნენ და მაინც სოფლელები ისე გულმოდგინედ ისმენდნენ ამ ამბებს, როგორც ახალს, გუშინ მომხდარს და ჯერ არ გაგონილს.

პირველად რომ გავატარე ანატოლი სოფელში, ბავშვების ჯოგი აგეკიდა კუდში.

— სოსოია, გმირია?

— აბა, რა არი!

— რამდენი გერმანელი ყავს მოკლული?

— მილიონი!

— აუ!

— მართლა რუსულად ელაპარაკები, სოსოია, თუ გვატყუებ?

— გატყუებთ!

— სროლა ეცოდინება მაგას გადასარევი!

— გაფრენილ ჩიტს კლავს.

— ჭინჭრაქს გაარტყამს?

— თვალში, ოცი ნაბიჯიდან.

— ბეჰედში გააძვრენს ტყვიას?

— აბა რას იზამს!

— ტყვიას ტყვიაში ჩასვამს?

— აბა რას იზამს!

— აუ, შენი ჭირიმე!..

ანატოლიმ ლუკაია ფოცხიშვილის სახლის აივანზე გაკრული ბრინჯაოს წარწერიანი შავი არშია რომ დაინახა პირველად, ჭიშკართან გაჩერდა, დიდხანს უყურა და ვერაფერი რომ ვერ გაიგო, მე მომიბრუნდა.

— რას ნიშნავს ეს, სოსო?

— შვილი დაეღუპა ომში.

— მერე?

— დავსტირით უდროოდ დაღუპულ კუკურასო — სწერია. — ანატოლიმ არაფერი მითხრა, გზა განაგრძო, შემდეგ სულ ახალ-ახალ ოდებთან ჩერდებოდა, რომლებზეც სამგლოვიარო აბრა იყო გაკრული. უყურებდა ამ საოცარი მონდომებითა და სიყვარულით გამოყვანილ ულამაზო ასოებს, აღარაფერს მეკითხებოდა და ისევ განაგრძობდა გზას.

გვიან საღამოთი დავბრუნდით მე და ანატოლი სახლში.

— სად იყავით მთელი დღე? — მკითხა მამიდამ, როდესაც ვახშამს მოვუსხედით.

— სოფელს ვათვალიერებდით!

— რაო, მოგეწონა, ანატოლი? — ჰკითხა მამიდამ ანატოლის.

— არა, — თქვა ანატოლიმ და თავი გაიქნია.

— სად გყავდა, ბიჭო? — მკითხა გაკვირვებულმა მამიდამ.

— არსად, დადიოდა და სამგლოვიარო განცხადებებს კითხულობდა, — ვუპასუხე მე.

— ძნელია, — თქვა მამიდამ.

— ბევრია, — თქვა ანატოლიმ.

— თქვენს სოფელში?

— ჩვენთან სხვაა. აქ ბევრია, ცამეტი ძალიან ბევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლათი

ფერისცვალების შემდეგ, სუფსაში რომ სიცივე ჩავარდება, წვერამ, ტობმა და ქაშაყმა დაბოლოთება იცის. მოუნახავენ დიდ ქვას ღრუს, შეძვრებიან შიგ, მიეკვრებიან ერთმანეთს და მარტის ლანქრობამდე წვანან გაუნძრევლად. ეს სოფლის ყველა ბიჭმა და გოგომ იცის. მეც ვიცი ეს და საბოლათე ადგილიც მეგულება. აქ წყალი მეჩხერია, ჩქარია, ქვებს მხოლოდ წელამდე ურტყამს. ამ ადგილს ნაფიცარა ჰქვია. ნაფიცარას თავში ვეებერთელა, ხავსმოკიდებული ლოდი აგდია. ამ ლოდს ჭინკას ქვას ეძახიან. ზაფხულობით ბიჭები დილიდანსაღამომდე ამ ლოდზე ვყრივართ, ამ ლოდზე ვიხრუკებით და ამ ლოდიდან ვეშვებით თავით უზარმაზარ შავ მორევში, რომელსაც ჭინკას ქვაზე შემსკდარი და უკუღმა დატრიალებული სუფსა ქმნის, მაგრამ ახლა ბანაობის დრო არ არის, ახლა ბოლათობაა.

მე ვუწევარ ლოდს გვერდით, კბილებს ვაკაწკაწებ, ცალი ხელით გასასველელს ვუგმანავ, მეორე კი ღრუში მაქვს იღლიამდე. ნაპირზე ხატია, ანატოლი და ბეჟანა მელოდებიან. ხატია ლოდზე ზის, ანატოლი ცეცხლს აჩაღებს, ბეჟანა კი მოდგომია ნაპირს და ჭკუას მარიგებს.

— სოსოია, არის რამე? — მე თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

— მიდი, აბა, არ გაუშვა. წვერაა თუ ტობი?

— წვერა! — ვეძახი მე.

— სტაცე, აბა, წვერში ხელი, მუცელზე მოფხანე, გოჭივით წამოგიგორდება. არ გაცივდე, ბიჭო, ამოდი ზევით, მთლად გალურჯებული ხარ, შე უპატრონო, ჩაგეცვა რამე.

— მაცალე, ბეჟანა!

— ბევრია, სოსოია?

— ბევრია, ბევრი!

— რას იტყვი შენ, გვეყოფა? ოთხად უნდა გავყოთ, ხომ იცი? — მე თავს ვუქნევ. — ამას წინათ რომ თითის სიგრძე ფრიტები გამატანე, ისე არ ქნა ახლაც. ტოლად უნდა გაყო, — მაფრთხილებს ბეჟანა.

ბოლათი ტოკავს, წვერაა, მაჯის სისხო წვერა. მუცელზე ვუსობ ხელს, გოჭივით წვება გვერდზე. თითებით ლაყუჩებს ვეძებ, არის, ამომყავს და თავით პირში ვიჩრი.

ბეჟანა ბავშვივით ხტის ნაპირზე. წვერა თრთის, დგაფუნობს და კუდს მიტყლაშუნებს სახეში. მტკივა, მაგრამ ვითმენ, ამომყავს მეორე, ვისვრი ნაპირზე, ვითავისუფლებ პირს და ისევ ვწვები, ისევ ამომყავს ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, რამდენია დალოცვილი. ერთი თუ ორი გამირბის, თხრის სილას ცხვირით, ქვესკნელში მიძვრება და გადის, გადის მეორე მხარეს, უნამუსო ქურდივით ვაფათურებ ხელს ცარიელ თაროში და ნაპირზე ამოვდივარ.

ხატიას ყველაზე დიდი წვერა ორთავე ხელში აუყვანია, ყურთან მიუტანია და რაღაცას უსმენს დაჟინებით. წვერა ბოლოს იქნევს, პირს აბჩენს და სულს ღაფავს.

— რაო, ხატია, რას გეუბნება? — ჰკითხა ბეჟანამ და კაკვის გატყავება დაიწყო კბილით.

— გამიშვიო, ბეჟანა! — უთხრა ხატიამ.

— რომ ხედავდე ახლა შენ, როგორ აბჩენს პირს, მაგის ცოდვაში არ ჩადგებოდი, — თქვა ბეჟანამ. ხატიამ არაფერი უპასუხა, მოტრიალდა მდინარისაკენ და სანამ ხელში ვეცემოდი, წვერა წყალში გადაისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგიყდი, გოგო? — მივვარდი ხატიას, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ხატია ყურადღებას არ მაქცევდა, იდგა და იღიმებოდა.

— რას იღიმები? მიდი და სინჯე, როგორია ერთი საათი გაყინულ წყალში წოლა!

— მოდი ცეცხლთან, — მითხრა ანატოლიმ.

ცეცხლთან მოვირბინე და ჩავცუცქდი. ხატია მოვიდა ცეცხლთან და გვერდით მომიჯდა. მერე მომნახა და ზურგზე თბილი ხელი ჩამომისვა.

— გცივა? — მკითხა ხატიამ.

— მცივა, აბა არ მცივა? — ვუთხარი მკვახედ და ცეცხლისაკენ მივიწიე.

მერე მივხედე ხატიას. ტუჩები წყენით აბურცოდა და თვალებში ცრემლი ჩადგომოდა. ხმას არ იღებდა, მხოლოდ იმ ხელს, რომელიც წელან ზურგზე ჩამომისვა, ახლა კალთაზე ისვამდა და იმშრალებდა. რაღაც ამეწვა გულთან.

— კიდევ დამისვი, ხატია, შენი ჯირიმე, თბილი იყო, — ვთხოვე ხატიას. ხატიამ გაიღიმა და ჩემკენ შემობრუნდა. ზურგი მივუშვირე. მან თითები გაფშიკა, ორთავე ხელი ბეჭებზე დამაწყო ღადარივით და მერე ნელა, სულ ნელა დამისვა ზურგზე ზევიდან ქვევით. მე ვიჯექი გატრუნული და ვგრძნობდი, როგორ მეღვრებოდა სხეულში თანდათან ხატიას სითბო.

— გეყოფა ახლა, ჩაიცვი, — მითხრა ხატიამ და სველი ხელები იღლიებში ამოიჩარა. მე მივტრიალდი ხატიასკენ და ისე მომინდა მისი კოცნა, ისე მომინდა, როგორც არასდროს. უცებ გადავიხარე მისკენ, ხელები ყურმალებში მოვკიდე, ჩემკენ მოვწიე და ტუჩის კუთხეში ვაკოცე. ხატიამ ნაკოცნი ადგილი მაჯით მოიწმინდა და გაწითლდა.

— შერიდდით? აგაშენათ ღმერთმა, გავყოთ ახლა აგი! — თქვა ბეჟანამ და დაჭერილი თევზები წინ დამიყარა. მე სასწრაფოდ ჩავიცვი და თევზის გაყოფა დავიწყე.

— აგი შენ, ბეჟანა! — ვთქვი და კაკვგახაზირებულ ბეჟანას მაჯის სიმსხო წვერა დავუდევი წინ.

— მასე არა, ჯერ ისე გავყოთ ოთხად და მერე კენჭი ვყაროთ, რომელიც მომიწევს, იმას წავიღებ.

— არ გვნდა კენჭის ყრა, ნუ გეშინია არ დაგჩაგრაე! — დავამშვიდე მე.

— კარგი აბა, მაგრამ არ დამჩაგრო, ჩემო სოსოია, მაშინდელივით. ორი შენსნელა კუჭი მაქვს, შე მამაძაღლო, ჭამა არ მინდა? ხომ იცი, გადარეულს მეტი ჭამა უნდაო, მაგი ცნობილი ამბავია, — გამაფრთხილა ბეჟანამ.

— კარგი ჭკვიანი ხარ, ნუ გეშინია! — უთხრა ხატიამ.

— შენზე ჭკვიანი რომ ვარ, მაგი არ ნიშნავს იმას, აბდალა რომ არ ვარ, და შენ მაქ დაეტიე, სულ არაფერი არ გეკუთვნის, მე თუ მკითხავ. რა თევზი გადაავდო, ბიჭო?! — მომიბრუნდა ახლა მე ბეჟანა და თავი სინანულით გადაიქნია.

— აგი ხატიას, აგი მე, აგი ანატოლის! — ვთქვი და თევზები ჩამოვარიგე.

— მაინც მიეცი, ხომ? — მკითხა ბეჟანამ და ხატიას თევზს თვალი გააყოლა.

— გაჩერდი, ბეჟანა, თორემ რაც მოგეცი, იმასაც წაგართმევ, — გავაფრთხილე ბეჟანა. ბეჟანამ ორი თითით ყელი გამოიწველა, დამეჯღანა, არ დამღუპოვო და დამუნჯდა.

— აგი ბეჟანას, აგი ხატიას, აგი მე, აგი ანატოლის, — ჩამოვარიგე მეორედ თევზი. — აგი ბეჟანას, აგი ხატიას, აგი მე, აგი ანატოლის!..

— ვის ატყუილებ, ბიჭო, შენ? — ვეღარ მოითმინა ბეჟანამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა, ბეჟანა? — ეკითხე გაკვირვებულმა.

— სოსოიეს რუსს რატომ ურიგებ თევზს?

— რას ქვია, რატომ ვურიგებ?

— რას ქვია და, მე, ჩემო სოსოია, გადარეული კი ვარ, მაგრამ სულელი კი არ ვარ! კარგი, აგი გოგო ცალკე ოჯახია, მე ცალკე ოჯახი ვარ, შენც ცალკე ოჯახი ხარ, მაგრამ აგი შენი რუსი ცალკე ოჯახი ხომ არაა?

— არაა!

— ხომ ცხოვრობს შენთან?

— კი, მერე?

— მერე თქვენ ერთი წილი გერგებათ ორივეს!

— რატომ, ბეჟანა?

— კაცო, ხომ ცხოვრობს შენთან?

— ჩემთან რომ ცხოვრობს, ჭამა არ უნდა? — ეკითხე ბეჟანას.

ბეჟანა ცოტახნით დაფიქრდა, კეფა მოიფხანა და უცებ გაიცინა.

— მაგი კი არ გამხსენებია! — ანატოლის არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ბეჟანა, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ ბეჟანას არ მოსწონდა მისი წილში გაყვანა და იცინოდა.

— მიეცი, სოსო, მიეცი, — თქვა ანატოლიმ და თავისი თევზი ბეჟანას გადაუწყო.

— არ გცხვენია, ბეჟანა? — ჰკითხა ხატიამ.

— კი მცხვენია, კი! — დაიმორცხვა ბეჟანამ, მერე ანატოლის თევზი დაუბრუნა და ბეჭზე ხელი მოუტყაპუნა.

— როგორ გეკადრება, სოსოიეს რუსო, ხუმრობა არ იციან თქვენში? შენია მაგი თევზი და შენ გჭონდეს. ისე იცოდე, ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდაო! — ნათქვამია, გაიგე? — დაარიგა ბეჟანამ. ანატოლიმ თავი დაუქნია, გავიგეო და გაიცინა.

— აგი ბეჟანას, აგი ხატიას, აგი სოსოიას, აგი ანატოლის, — განვაგრძე მე.

— გამარჯობა თქვენი! — თქვა უცებ ვიღაცამ და ჩვენს შუაში უზარმაზარი ჩრდილი დაეცა. სამივემ თავები ავწიეთ და მოულოდნელობისაგან ფეხზე წამოვდექით. ჩვენს გვერდით დიდ ლოდზე, წვერგაუპარსავი, სახეგარუჯული, თასმიან ქალამნებსა და პიჯაკში გამოწყობილი, მხრებზე ჯვარედინად ფალასგადაკიდებული და მკლავზე თოფგადაგდებული დათიკო ბრიგადირი იდგა.

— გამარჯობა თქვენი! — გაიმეორა მან, ლოდიდან ჩამოხტა და მოგვიახლოვდა.

— დათიკო ბრიგადირს გაუმარჯოს! — გაუცინა ბეჟანამ, თევზიანი ხელი შარვალზე გაიწმინდა და დათიკოს გაუწოდა ჩამოსართმევად. დათიკომ ყურადღება არ მიაქცია.

— შენ, ბიჭო, გამარჯობის თქმა არ გეკადრება? — მომიბრუნდა მე.

— გაგიმარჯოს! — ვუთხარი მე და თევზის აცმა დავიწყე კაკვზე.

— შენ, გოგო? — ჰკითხა ახლა ხატიას.

— მე ვერ გცნობ, რა ვიცი, ვინ ხარ, — უთხრა ხატიამ და წარბები შეიკრა.

— იმ ღამით კარგად მიცანი? — ჰკითხა დათიკომ. ხატიამ ხმა არ გასცა.

— ეს რუსი ვინაა? — მკითხა მე დათიკომ.

— მაგი ვერ იცანი? სოსოიეს რუსია, — გააცნო ბეჟანამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესაა ის რუსი?

— ესაა! — უთხრა ბეჭანამ. ანატოლი თვალს არ აცილებდა დათიკოს.

— რაო, სოსო, თვეზაობა არ შეიძლებაო? — მკითხა ანატოლიმ, ალბათ დათიკო ნაკრძალის მცველი ეგონა.

— არა, შენზე მეკითხება, ვინ არისო?

— თვითონ ვინ არის?

— თვითონ?.. არავინ, ვინ უნდა იყოს.

— რაო, ბიჭო, რას გეკითხება? — მკითხა დათიკომ.

— ვინ არისო, შენზე მეკითხება.

— მერე, შენ რას ეუბნები?

— მე რა უნდა ვუთხრა? მითხარი და ვეტყვი, ვინ ხარ, — დათიკო დაფიქრდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— ასე უთხარი, რომ მაგი არაა მაგის საქმე.

— უთხარი, დათიკო, მთავრობის დავალებას რომ ასრულებ, თორემ ამათ დეზერტირი გონიხარ! — გაუცინა ბეჭანამ.

— ბეჭანა უბედურო, ენას კბილი დააჭირე, თორემ ცხელ ტყვიას დაგალევიებ ახლა, — უთხრა დათიკომ.

ბეჭანა გაჩუმდა.

— თუთუნი მომაწევიეთ! — თქვა მან. მე სავსე მჭონდა ჯიბე თუთუნით, მაგრამ არ გავამხილე, და არ მაქვს-მეთქი ვუთხარი.

—რა უნდა? — მკითხა ანატოლიმ.

— თუთუნი უნდა.

— მიეცი, ხომ გაქვს?

— მაგისთვის არ მაქვს.

— მიეცი, მიეცი, — ხელი წამკრა ანატოლიმ.

— მომაწევიე, ბიჭო, თუთუნი, სანამ ძალით წამირთმევია! — თქვა დათიკომ ჩახლეჩილი ხმით და ფეხზე წამოდგა.

— მიეცი, სოსოია! — მითხრა ხატიამ. მე ამოვიღე თუთუნი და მივეცი. დათიკომ გაახვია, ცეცხლიდან ფიჩხი ამოიღო, მოუკიდა, ღრმად დაარტყა რამდენიმე ნაფაზი ერთიმეორეზე და სიამოვნებით გააბოლა. მერე თავისთვის დაიწყო ლაპარაკი.

— აბა, ესაა ის რუსი? დარჩა? დატოვა ქეთომ? ბიძიას უძახი, ბიჭო?

— რა გინდა შენ, ვერ წახვალ შენი გზით? — ვუთხარი მე დათიკოს და წასასვლელად მოვემზადე.

— რა ვიცი, ასე კი ამბობენ სოფელში, მისი ზურგით მოიყვანა სოსოიამ ბიძა სახლშიო.

— ტყუილია მაგი, და წადი ახლა შენ! — ვუთხარი მე და ანატოლის გავხედე. ანატოლი ცნობისმოყვარეობით გვადევნებდა თვალყურს.

— ბუდა მოუყვანაო მამიდამისს სოსოიამო!.. — განაგრძო დათიკომ.

მე დათიკოს მივვარდი, დათიკომ ხელი მკრა მკერდზე და სილაზე გავიშლაართე გულიდამ. ანატოლი მომვარდა და ფეხზე წამომაყენა.

— ვინ არის, სოსო, ეს კაცი?

— ქურდია, დეზერტირია, მათხოვარაა, ვერ ხედავ? — ცრემლები მახრჩობდა.

— წადი აქედან! — უთხრა ანატოლიმ დათიკოს. დათიკომ ყურადღება არ მიაქცია.

— გეგონათ ვერ გავძლებდი უთქვენოდ? არავის გინდებვართ? არც მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდებზართ. წადი ახლა და დამასმინე, ფეხები არ მომჭამოს თქვენმა უშიშროებამ, ვალოდია ჯაშს და ბადრია გაგუას უთხარი, მაგათ ნასახლარზე კვახს და კარტოფილს ვახარებ, ჩემს დევნას თუ არ მოეშვნენ. ცეცხლს მივცემ თქვენს ოდებსაც, კაცივით მომეპყარით, თორემ...

— მოვა ზამთარი და გამოხვალ შენც ნადირივით ტყიდან, სული ამოგხდება შიმშილით, — ვუთხარი მე.

— ნუ გეშინია შენ, ახლა წაეთრიე და ქეთოს უთხარი ან ეს რუსი გაადგოს სახლიდან, ან ღორივით დავუკლავ საკალნდოდ.

— რას ამბობს, სოსო? — მკითხა ანატოლიმ.

— მამიდაჩემზე ამბობს და შენზე, — ვუთხარი მე.

— რაო, ჩემგან რა უნდა, რა საქმე მაქვს მაგასთან.

— თქვი, რას გეუბნება? — მკითხა ახლა დათიკომ.

— რაო და, მაგ ნაბიჭვარს, უთხარი, ფეხები არ მომჭამოს ძირშიო და თვითონ წაეთრიოს აქედანო, — ვუთხარი მე. დათიკო გაფითრდა, მერე სისხლი ჩაექცა თვალებში, ფეხზე წამოდგა და ანატოლის შეხედა.

— ყური დამიგდე, შენი ზიარი ქეთო კი არა, ჰაერი არ მინდა. წადი ახლა აქედან, ჩამომეცალე გზიდან, თავი დაანებე იმ ქალს, ის ქალი ჩემია, გეყურება? ჩემია და თუ არ წასულხარ, სუფსას შევდებავ შენი სისხლით! — ანატოლიმ მე შემომხედა.

— ამბობს, ქეთო მიყვარს, თავი დაანებე, წადიო, ნუ მეცილები ქეთოშიო, თორემ მოგკლავო, — ანატოლის გაეცინა.

— ჯერ ერთი მე მაგ ინდაურის არ მეშინია, მეორე, ქეთევანს არავის არ ვართმევ და მესამე, არსადაც არ ვაპირებ წასვლას, ძალიან მომწონს აქაურობა, — დათიკო შვილივით იყო დაჭიმული და ელოდა როდის ვუთარგმნიდი ანატოლის ნათქვამს.

— მე და ქეთევანს გვიყვარს ერთმანეთიო, გესმის შენ? არსადაც არ წავალო, ქეთევანი რა შენი ტოლია, შე მათხოვარო, შენ თვითონ წაეთრიე აქედანო... — დათიკო ყურს აღარ მიგდებდა, მან თოფი ფეხზე შეაყენა და ანატოლისაკენ დაიძრა. მე და ბეჟანა გავშტერდით, ანატოლი არ განძრეულა, იგი მშვიდად ელოდა დათიკოს მიახლოებას.

— დათიკო, გაჩერდი, მოგატყუე! — ვიყვირე მე, მაგრამ დათიკოს აღარ ეყურებოდა.

— გაგიყდი, დათიკო? — ჰკითხა ბეჟანამ. დათიკო ახლოს მივიდა ანატოლისთან. იგი მძიმედ სუნთქავდა. ნესტორეს ბერავდა, თვალები სისხლით ჰქონდა სავსე.

— ჩამოუშვი თოფი! — უთხრა წყნარად ანატოლიმ.

— გაიმეორე, რა თქვი, — უთხრა დათიკომ.

— ჩამოუშვი თოფი, — გაიმეორა ანატოლიმ.

— მოგკლავ, — თქვა დათიკომ ჩურჩულით და მე მიეხვდი, რომ იგი მართლა მოჰკლავდა ანატოლის.

— ანატოლი, მოშორდი, თორემ მართლა მოგკლავს! — ვთხოვე ანატოლის.

— სოსოიეს რუსო, გამოდი აქეთ! — თხოვა ახლა ბეჟანამ. ანატოლი ადგილიდან არ იძვროდა.

— დათიკო, კაცო, რას შვრები, აგი სიმწრით გადარჩენილი და ნაპარავი თხის რძით მობარუნებული კაცი მართლა არ მომიკლა, თორემ გადავირევი ახლა, — თქვა ბეჟანამ და ანატოლის წინ დაუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბეჟანა დამთხვეულო, თავი არ შემომაკლა, თორემ მერე კაცის მოკვლას დამაბრალებენ, — უთხრა დათიკომ ბეჟანას და თოფის ლულით გაწია გვერდზე. ბეჟანა შეშინდა და განზე გადგა. დათიკო ისევ ანატოლის პირისპირ აღმოჩნდა.

— ჩამოუშვი თოფი! — თქვა ისევ ანატოლომ, მერე უცებ თოფს ლულაზე წაავლო ხელი და მარცხნივ გადაიქნია. სწრაფი მოძრაობით. თოფი ხმაურით დავარდა რიყეზე. დათიკო სახტად დარჩა, ანატოლი თოფისკენ წაიწია, მაგრამ დათიკომ მკლავებში სტაცა ხელი და მაგრად ჩაბღუჯა, თავისკენ მოზიდა, მოწურა.

ანატოლომ გაიბრძოლა, მაგრამ დათიკო ანატოლიზე ღონიერი იყო, მან ერთი დაქნევით დაანარცხა მიწაზე ანატოლი. მკერდზე გადაეჯდა და სილა გააწნა. ანატოლომ სახეში შეაფურთხა დათიკოს. დათიკომ იბღავლა და ისევ გააწნა სილა ანატოლის. ანატოლის ცხვირიდან სისხლი წასკდა, ახლა სისხლი შეაფურთხა სახეში დათიკოს, სისხლის დანახვაზე დათიკო ნდირივით გაცოფდა, იტაცა ხელი ქამარზე და დანა ამოიღო.

— რას შვები, შე უღმერთო! — დაიღრიალა უცებ ბეჟანამ და თავისი უზარმაზარი ტორები ისე დაჭრა ბეჭებზე დათიკოს, რომ იგი გულღმა გადავარდა. ბეჟანა ზევიდან დაწვა და ყელში სწვდა ორთავე ხელით. დათიკოს სახე გაულურჯდა და შუბლზე ოფლმა გამოაყარა. უცებ ბეჟანამ ყრუდ დაიკვნესა. მე და ანატოლი გავშტერდით. ბეჟანას გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა და თვალები გაუფართოდა. მან ხელი გაუშვა დათიკოს, ნელა წამოდგა, მერე ორთავ ხელი მოიკიდა მუცელზე და ერთხანს ასე ეჭირა. დათიკო წამოხტა, თოფს სტაცა ხელი და სისხლიან დანას დახედა. იგი აღარ გვემუქრებოდა, გაფითრებული და დაბნეული გვიყურებოდა ხან ჩვენ, ხან ბეჟანას. ბეჟანამ მუცლიდან მოიცალა ხელები და სახესთან მიიტანა. ხელები სისხლში იყო მოსვრილი.

— მომკალი, ყაძახო? — ჰკითხა მან დათიკოს და უცნაურად გაუღიმა. დათიკო შეკრთა, უკან-უკან დაიხია, ასე იარა ერთხანს, მერე შეტრიალდა, გაიქცა და ბღავილით შევარდა ტყეში.

ბეჟანას უცებ სახე დაემანჭა. მან ისევ აიფარა ხელები მუცელზე და წელში მოიხარა. მე და ანატოლი მივცვივდით აქეთ-იქიდან და მკლავებში ვტაცეთ ხელი.

— აუ, დამწვა შიგანი, სოსოია! — მითხრა ბეჟანამ.

— გვიშველე, ხატია! — ვიყვირე მე. ხატია მთელი ამ ხნის განმავლობაში გაოცებული იდგა, იგი მიხვდა რაღაც დიდი უბედურება რომ მოხდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა და არ იცოდა რა ექნა. ხატია მოგვიახლოვდა და ჩვენს წინ დადგა.

— რა მოხდა, სოსოია? — მკითხა ხმის კანკალით.

— დაჯექი, ხატია! — ვუთხარი მე. ხატია სწრაფად დაჯდა. მე და ანატოლომ ნელა წავიყვანეთ ბეჟანა, სილაზე წამოვაწვინეთ და თავი ხატიას კალთაში ჩავუდეთ.

ხატიამ ათრთოლებული ხელებით მონახა ბეჟანას სახე და სველ შუბლზე ხელი გადაუსვა. ბეჟანა ხელს არ იცილებდა მუცლიდან, მის თითებში სისხლი მოჭონავდა.

— რა მოხდა, სოსოია? — მკითხა ხატიამ ისევ. მე ხმას ვერ ვიღებდი, ცრემლები მახრჩობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომკლა იმ შეჩვენებულმა, — დაიკვნესა ბეჟანამ. მე მკერდზე დავემხე ბეჟანას და ტირილი დავიწყე.

— გაჩერდი, შე აბდალა, გამიელის ახლა, ცოტა გამიყუჩდა. — თქვა ბეჟანამ.

— მომეხმარე ზურგზე ავიკიდე, წავიყვანოთ სოფელში, — მითხრა ბეჟანას წინ დაჩოქილმა ანატოლიმ.

— რაო, სოსოია, რას ჩიკა შენი რუსი? — მკითხა ბეჟანამ.

— სახლში უნდა წაგიყვანოს! — ვუპასუხე მე ტირილით.

— სამაგიეროს მიხდის? ასე უთხარი, ბეჟანასთვის სულ ერთია, აქ მოკვდება თუ სოფელში. მაცალეთ ცოტა, მომთქმეევიეთ სული, გამიაროს ტკივილმა. ჰაი გიდი, არ მომკლა ამ უპატრონომ?.. — თქვა ბეჟანამ.

— ჩემი ბრალია, — თქვა ანატოლიმ და პერანგი შემოიხია ტანზე.

— რაო, სოსოია?

— ჩემი ბრალიაო.

— შენი რა ბრალია, სოსოიეს რუსო, თოფი და დანა იმიტომ აქვს ყაჩაღს, უნდა იხმაროს, ეშინია და იმიტომ უნდა იხმაროს, აბა უდანოდ მაგი მთხოვარი რას წამაქცევდა მე? — შენ არ იჯავრო მაგი, თუ გადავრჩი, მაგის სისხლს დაგალეევებ, არა და ირბინოს ტყეში ტურასავით. ჩემი სიკვდილით სოფელს ერთი დიდი მჭამელი მოაკლდება... — ბეჟანა გაჩუმდა და თვალები დახუჭა.

— ბეჟანა! — ვიყვირე მე, — არ მოკვდე, ბეჟანა!

— მაცალე, სოსოია, სიკვდილი.

— მე მოგკალი, ბეჟანა, მე რომ არ გამეხელებია, არაფერს არ იზამდა.

— შენ რისი მომკვლელი ხარ, ბიჭო, შენხელა პირპილს ვაჭმევ ლობიოზე. შენ გგონია იმას უნდოდა ჩემი მოკვლა? შიშმა აქნევია... ე, გამიარა ტკივილმა, ახლა თავი მიბრუის და ფეხები დამიბუჟდა... — ბეჟანამ ხელები მოიცილა მუცლიდან, ანატოლიმ პერანგი აუწია და თავისი პერანგით გადაუხვია ჭრილობა, მაგრად.

— რას შვები, გოგო, შენ? — ჰკითხა უცებ ბეჟანამ და ხატიას ახედა.

ხატიას ცრემლი გადმოსდიოდა თვალებიდან და ბეჟანას შუბლზე ეღვრებოდა.

— სოსოია ბიჭო, გააჩერე აგი ციცე და შენც ნუ აღვარღვალებ მაგ კურცხალს, ეგერ გახედეთ იმ მზეს, გადაგორდება ახლა კონცხოულს გადაღმა და დადამდება, ამოგორდება მერე სურეხიდან და გათენდება... ყველასთვის გათენდება, იმ შობელძაღლსაც გაუთენდება! ჩემთვის აღარ გათენდება! ხედავ შენ იმ მზეს, ხატია?

— კი ვხედავ, კი, ბეჟანა! — აქვითინდა ხატია და თავი თავზე დაადო ბეჟანას.

— სუ, ბიძია, სუ, გეყოფა აწი, კარგია მზეს რომ ხედავ, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, მივდივარ ახლა მე და თქვენ გიტოვებთ ჩემ წილ მზესაც და ჩემ წილ ჰაერსაც, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. ჩემ წილ მიწას წვეიღებ მარტო თან, აგი ჩემი წილი თვეზიე თქვენია, ტყუილა გეჩხუბებოდით, მაინც თქვენთან არ უნდა მეჭამა! ამ რუსს რაღა ატირებს, სოსოია? — ანატოლის ბეჟანას მაჯა ეკავა, — მცივა, სოსოია, მცივა და მწყურია.

— არ შეიძლება წყალი, ბეჟანა, ცოტა მოითმინე, ბეჟანა, ახლა წაგიყვანთ სახლში და აკვირინე მოგარჩენს, ჩემო ბეჟანა!

— ნუ ჩამაყოლებ ჯავრად წყურვილს, სოსოიას ვენაცვალე, დამალევიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგი სუფსის წყალი, სულ ერთია აწი ჩემთვის... — ბეჟანამ სუნთქვას მოუხშირა, მე შეშინებულმა შევხედე ანატოლის.

— წყალი უნდა და რა უქნათ? — ვუთხარი მე. ანატოლი ადგა, მდინარის პირას მივიდა, დაიჩოქა და პეშვებით ამოიღო წყალი.

— რას შვრები? — ვკითხე გაკვირვებულმა ანატოლის, როდესაც მოვიდა და წყალი პირთან მიუტანა ბეჟანას. ანატოლიმ არაფერი მიპასუხა და ბეჟანას წყალი დაალევინა.

— აგაშენა ღმერთმა, — თქვა ბეჟანამ, — აგი რუსი შენზე ჭკვიანია, იცის აღარაფერი რომ არ მეშველება... — უცებ ბეჟანა წამოიწია და დამაშტერდა.

— სოსოია ბიჭო, სად წადი?

— აგერ ვარ, ბეჟანა, ვერ მხედავ?

— ვეღარ გხედავ, სოსოია, ვერა, ვკვდები, ბიჭო, მგონი... — ბეჟანა ისევ მიესვენა ხატიას კალთაზე.

— არ მოკვდე, ბეჟანა, არ მოკვდე, შენი ჭირიმე, რა ვთქვა სახლში, ბეჟანა, ჩემო ბეჟანა, რა ვუთხრა ხალხს, გეყურება ჩემი, ბეჟანა, არ გცხვენია ბიჭო, რა ქქნა ახლა მე, ბეჟანა, მიყურე აგერ, მიყურე, — ვქვითინებდი მე.

— სუ, სოსოია, სუ, ნუ გეშინია, მზე ჩავიდა? — მკითხა ბეჟანამ.

— არა, ბეჟანა, არ ჩასულა.

— ხატია, შენ ხედავ მზეს? — ხატია ტიროდა, იგი ვერაფერს ვერ ხედავდა.

— აბა, მე ვერ ვხედავ მზეს, — თქვა ბეჟანამ.

— კი ხედავ, კი, ბეჟანა, აგერაა მზე, შეხედე, ბეჟანა, შეხედე, თქვი, რომ ხედავ მზეს, ბეჟანა, თქვი... — ვეხვეწებოდი ბეჟანას და უკვე გაცივებულ ხელებს ვუსრესდი.

— სოსოია, გეყურება?

— რა, ბეჟანა, რა?..

— გეყურება, ბიჭო? — ბეჟანამ რაღაცას მიუგდო ყური და მერე სუსტი ხმით აყვა ვიღაცას: „სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელი, ჩემისთანა კი არ იყო, ჭკუა იყო ცარიელი...“ — ღიმეებოდა და ღიღინებდა ბეჟანა, მერე თანდათან გაუქრა ხმა, მაგრამ მაინც ღიღინებდა... მე მკერდზე დავემხე ბეჟანას და ავტირდი. მას ჩემი აღარაფერი ესმოდა, ვერც მხედავდა და ვერც მგრძნობდა.

დიდხანს ვიყავი ასე, მერე ანატოლიმ მხარზე დამაღო ხელი, მე დასავლეთისაკენ გავიხედე, მზე ჩასულიყო და მთას მეწამული ღრუბელი სწვავდა. ბეჟანა აღარ მღეროდა.

თოვლი

დეკემბრის ბოლო რიცხვებში საშინლად აცივდა. ერთ საღამოს დაპერა ქვენაქარმა და ფანტელი ამოყარა. მშრალად მოთოვა, გაუთავებლად თოვდა, ტერფისტოლოა ფანტელები ზანტად მოფარფატებდნენ და ერთმანეთზე წვებოდნენ დინჯად. ღილით საქათმიდან გადმოფრენილი ქათმები თოვლმა ისე ჩაულაბა, დაკრიახება ვერ მოასწრეს. დღისითაც ითოვა, მერე დაიწყო დაუსრულებელი და უსაშველო ზამთრის ღამეები, ძაღლების გაბმული ყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფა, აივნებზე ფეხების ბრახუნი, ბუხრის ცეცხლზე მიბრაწული წვივებიც, შაშხი და ადესა ღვინო... გაიკვალა ეზოები პარმაღიდან სამზარეულომდე, სამზარეულოდან წყარომდე, წყაროდან მარნამდე, მარნიდან მეზობლამდე და სოფლიდან სოფლამდე. კისრამდე თოვლი დადო. გამეჩხერდა კლასში ([illegible]ურხე-ბი, ბავშვები ბუხრებთან ისხდნენ და ელოდნენ როდის დაჯდებოდა თოვლი. სკოლის ზარი რეკდა ყოველ დილით ყრუდ და მშახედ. გვეძახდა, გვეძახდა, გვეძახდა...

გასწორდა მთა და ბარი. დაწვა ღობე, აქა-იქ თუ ამოეჩარა გაზაფხულზე ყოჩაღად დასობილ სარს თავი, მაგრამ ისიც მიჰქონდა შემთხვევით მგზავრს. ზოგს საბიჯგად, ზოგს შეშად და ზოგს ძაღლის ან სოფელში გადმოვარდნილ მშიერი ნადირის მოსაგერიებლად.

აბუზული ანატოლი ზის ცეცხლთან და საყვედურებით აცსებს ბუხარს.

— რამდენ შეშას სჭამს ეს შეჩვენებული, კაცს და ოთახს კი არ ათბობს, მარტო წინიდან ვთბები, ზურგი მეყინება.

— ეხლა ცოტახანს ზურგით დაჯექი, — ასწავლის მამიდა და წინდას ქსოვს.

— ე, ჩვენებური ღუმელი მომნათლავდა ახლა.

— თქვენში უფრო არ ცივა? — ეეკითხები მე.

— ჩვენში მშრალი ყინვა იცის, თქვენი ყინვა ძვალში და რბილში ატანს.

— ხვალ ოდა უნდა გადმოვთოვლოთ, თორემ ჩამოწვება, — ამბობს მამიდა.

გარეთ კი თოვს, თოვს გაუთავებლად.

— წადი, სოსო, შეშა ამოიტანე! — მეუბნება მამიდა. მე ვისხამ ქურქს და გარეთ გავდივარ.

შემომაქეს შეშა. ბუხარში ვყრი და თხის ტყავზე ვჯდები. დანათოვარი წიფელი შაშნიებს, მერე უცებ ალი ეკიდება და ოთახს ანათებს. მე ვამჩნევ, რომ ანატოლი უყურებს მამიდას, უყურებს დაჟინებით, მამიდა ზის თავდახრილი და წინდას ქსოვს, მე თვალს ვარიდებ ანატოლის. მერე ვამჩნევ, რომ მამიდაც უცქერს ანატოლის ქურდულად, ჩემგან დაფარვით. ანატოლი ქერაა, გამხდარი და ლამაზი. მამიდაზე ერთი ან ორი წლით უმცროსი გეგონება. იგი ახლა დანაკვერჩხლებულ ცეცხლს უცქერს და რაღაცას ფიქრობს, მერე ოხრავს და ისევ მამიდასკენ იხედება. მე დიდი ხანია ვხედავ ამას და მიკვირს, რატომ არ მწყინს, ალბათ მამიდასაც უკვირს. ანატოლი მატყობს, რომ ყველაფერს ვხედავ, უხერხულად იღიმება და მხარზე ხელს მადებს. მე არ ვიცილებ მის ხელს და მიკვირს რატომ მსიამოვნებს მისი ხელი მხარზე. მამიდასაც უკვირს ალბათ, მაგრამ ვატყობ, რომ უხარია. მე მიხარია მამიდას სხარული და ვუღიმი ანატოლის. მერე დიდხანს ვუყურებ ლიბრგადაკრულ ნაკვერჩხალს და ვაცლი ანატოლის და მამიდას ერთმანეთის ცქერას. — სოსოიამ თავისი ზურგით მიიყვანა ბიძა სახლშიო, მაგონდება და ცეცხლში შეშას ვუმატებ. — შენია მაგი რუსიო, მეუბნება ბეჟანა... და ვხედავ ნაფიცარზე თვალდაბნელებულ და აღიღინებულ ბეჟანას. ჯირკს ალი ლოკავს და ალში ხატია დგას, იგი მიღიმის და მე სულ არ მიკვირს, რომ ხატია არ იწვის. მერე ჩემამდე ყრუდ მოდის ანატოლის ხმა:

— დაწვეს, მიწასთან გაასწორეს, გერმანიაში გარეკეს, ჩვენ უკან გამოვრბოდით, სხვა გზა არ იყო, ქეთევან, მე წავალ, უეშველად წავალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მე აღარ ვუგდებ ყურს, თუ რას ამბობს ანატოლი, იგი ყოველდღე აპირებს წასვლას და ვერ მიდის. ანატოლის მთელი ღამეები ახველებს და ოფლი მოსდის, მე არასოდეს არ ვეუბნები ანატოლის, არ წახვიდე-მეთქი, რადგანაც ვიცი, უეჭველად წავა. და მეშინია მისი წასვლის. ძალიან მიყვარს მამიდა და ამიტომ მეშინია ანატოლის წასვლის... ეშინია მამიდასაც, ვატყობ, რომ ეშინია... ალში ისევ ხატია დგას, — მე ვხედავ მზეს, სოსოია! — მიდიმის ხატია და მე აღარაფრის მეშინია ამ ქვეყანაზე.

კუკურა

— გამარჯობა, ჩემო ბეჟანა, მე ვარ, შენი სოსოია, არ გეკითხები, როგორ ხარ ბეჟანა-მეთქი, იმიტომ რომ ვიცი როგორც ხარ, რომც გკითხო, ვიცი რეტყვი, არაფერი მიშავს, არაფერი მინდაო. მაგრამ მე ხომ ვიცი შენ რაც გინდა? მე ყოველ ღამით განახულობ შენ და ყოველ დღე მოვდივარ შენთან. შენ "ომ იცი, ბეჟანა, მაგრამ ეს ერთი კვირა ვერ გნახე და მაპატიე, ბეჟანა, წელამდე თოვლი დადო, ჭკითხე ანატოლის, ახლაც გაგვიჭირდა, თხილამურებით ამი ვედით, ჯერ აქ შენს წილ მიწას დადავწმინდავთ, სასთუმალს გაგისწორებთ და მერე ზევით ავალთ, შენი ოდა უნდა გადმოვთოვლოთ, თორემ წაიქცევა. შეხნუ გეშინია, ბეჟანა, სანამ მე დავიარები ამ ქვეყანაზე, შენს სახლს არ წავაქცევ. აქ ნაძვის ძირში არც ისე ბევრი თოვლია, ნაძვს დაუფარავხარ, ეხლ ავე გადავწმინდავთ, ჩემო ბეჟანა. წუხელ კალანდა იყო, ერთმა-ორმა კაცმა თოფიც კი გაისროლა, სიდონია ჩხაიძის ოჯახში იმღერეს კიდევაც, ქორწილი იყო, ბეჟანა, ვაჟაია ჯიბუტზე გთხოვდა სიდონია. კი იცი შენ, ვაჟაია ჯიბუტი ცალხელა დაბრუნდა ომიდან. ჰოდა, ისაა გაუკვ. მე და მამიდაც კი ვიყავით მიპატიჟებული, მაგრამ არ წავედით, მოსაკითხავი არ გვქონდა, არც მაინც და მაინც გვინდოდა წასვლა, მართალი რომ გითხრა, ჩემო ბეჟანა. ორმოცდა სამი წელი გათენდა დღეს, ბეჟანა, აგერ ასკილი და მაისის ვარდი დაუწვეია თოვლს, მაგრამ მაგი არაფერი, გამარტებაზე ხატია მოვა და სარს დაუსობს. ამ ბალახსაც გაწმინდავს. ეს ჯვარიც წახრილა ცოტა, მაგას ახლავე გავასწორებ, მე არც მინდოდა ჯვრის დასობა, ჩემო ბეჟანა, მაგრამ აკვირინე ბეჟანამ არ ქნა, ქრისტიანს ყველას უნდა ჯვარიო. უბრალო არ გეგონოს, წითელი ხისაა. ჩვენი ეზოს ჭიშკარი დავშალე და იქიდან გამოვათლეთ. კი იცი შენ ის ჭიშკარი, წითელი ხის რომ იყო. ახლა წავალთ ჩვენ, ბეჟანა, და შენს ოდას გადმოვთოვლავთ, ხვალ კიდევ მოვალ.

მე და ანატოლიმ ჯვარი გავასწორეთ, დათოვლილი საფლავი გადავკეტეთ და პირდაპირ თოვლზე დავჯექით.

— ცივა, — თქვა ანატოლიმ, მე ჯიბიდან არყით სავსე ნახევარლიტრიანი ამოვიღე და ანატოლის მივაწოდე. ანატოლიმ ბოთლი პირზე მიიყო და, რამდენიმე ყლუპი მოსვა და ბოთლი დამიბრუნა. მეც მოვსვი რამდენიმე ყლუპი და წამოვდექით. მერე თხილამურები მოვიარგეთ ფეხზე, ნიჩბები მხარზე გავიწყეთ და ბეჟანას ოდისკენ დავიძარით.

ბინდდებოდა. უკან ებრუნდებოდით გთოშილები. ლუკაია ფოცხიშვილის სახლთან რომ გამოვიარეთ, ანატოლი ჭიშკართან გაჩერდა, მეც გავჩერდი. ოდის სვეტები მუხლამდე იდგა თოვლში, ოდას ზემოდანაც იმხელა თოვლი ედო, უზარმაზარ სოკოს ჰგავდა. კიბის თავზე გაკრული იყო შავი არშია. ლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაიას ძაღლი გადაკეტილი პარმაღის წინ წკმუტუნებდა და წრიალებდა, ეტყობოდა, ოთახში შესვლა უნდოდა, მაგრამ არ უშვებდნენ. რომ დაგვინახა, ყეფით გამოვარდა ჩვენკენ, მაგრამ თოვლში შემოსვლა შეეზარა და უკან გაბრუნდა, ახლა იქიდან დაიწყო ყეფა.

— ჩავიდეთ! — მითხრა ანატოლიმ.

— რა გვინდა? — ვკითხე მე. ანატოლიმ არაფერი მიპასუხა, ჭიშკარი გაიღო და ეზოში ჩავიდა. მეც ჩავყევი. ძაღლი გაავდა, მაგრამ თოვლში მაინც ვერ შემობედა. პარმაღში ლუკაია გამოვიდა.

— რომელი ხარ? — დაიძახა და ხელი მოიჩრდილა. იგი გათეთრებული და წელში მოხრილი იყო, ვუყურებდი ლუკაია ბიძიას და მიკვირდა, როგორ მოტყდა ასე უცებ და ასე უღმერთოდ ეს კაცი.

— ჩვენ ვართ, ლუკაია ბიძია, გამარჯობა შენი! — გავძახე მე.

— მობრძანდით ოდაში, სოსოიას და სოსოიეს რუსს გაუმარჯოს! — გვიცნო ლუკაია ბიძიამ.

ანატოლი ოდაზე აყუდებულ მაღალ საბუხრე კიბეს მიადგა და ასვლა დაიწყო.

— სად მიდის ეს რუსი, სოსოია, აგერ მობრძანდეს! — თქვა შეწუხებულმა ლუკაიამ.

— ჯერ გადმოვთოვლავთ, ლუკაია ბიძია და მერე, — ეუთხარი და ანატოლის მივყევი.

— რატომ წუხდებით, შვილებო, ღმერთმა თქვენი მარჯვენა გაახაროს, აღარც მოვკვდი და ვეღარც ავათრიე წელი ამ დასაწვავზე, თქვენ აგაშენათ ღმერთმა. არა და ამეღამაც თუ ითოვა, სარგველსაკვირ დამეშხობა თავზე. შენ გაიხარე, სოსოია, აგი დედაკაციც რომ კაცის შვილად აღარ ვარგა, გამოდი, ქალო, გარეთ! — გასძახა ლუკაიამ ცოლს და თვითონ შევარდა ოთახში, ძაღლმა დრო

ovja და ისიც შეიძურწა.

ოდის გადმოთოვლას ვამთავრებდით, მე ხელები გამეთოშა, საკვამურთან მივედი და თეთრ ქულებად ამოსულ კვამლს ხელები მივუშვირე, ხელები ოდნავ შემითბა და უცებ სახე გამეზადრა.

— ანატოლი, მოდი! — დავუძახე მუშაობაში გართულ ანატოლის.

— არ მცივა! — დამიძახა მან და მუშაობა განაგრძო.

— მოდი აქ, რომ გეუბნები! — დავუქნიე ხელი.

— რა მოხდა? — მითხრა ანატოლიმ და საკვამურთან უხალისოდ მოვიდა.

—ნახე! — ვუთხარი მე, თავი დავახრევინე და ცხვირი საკვამურთან მივატანინე. ანატოლიმ ღრმად ჩაისუნთქა, მერე გამიღიმა და თვალი ჩამიკრა. საკვამურიდან კვამლში შეზავებული შაშხისა და ჭადის გადამრევი სუნი ამოდიოდა.

ბუხრის წინ გაშლილ დაბალ სუფრას ვუსხედით მე, ანატოლი, ლუკა ბიძია და ოხშივარ ავარდნილ ჭადს ვაწებდით შაშხზე. ლუკას ცოლი, ვარვარა ბიცოლა, კედელთან იჯდა ტახტზე და თვალს არ გვაცილებდა. ლუკა ბიძიამ არაყი დაასხა და ანატოლის მიაწოდა.

— დალიე, სოსოიეს რუსო, მადას გაგიხსნის.

— გმადლობთ, არ მინდა! — თქვა ანატოლიმ და ჭიქა გადმომიდგა.

— რუსი რომ არაყს არ სვამდეს, პირველად ვხედავ, ადექი, ქალო, ღვინო მოიტანე! — თქვა ლუკაიამ და მანიშნა, დალიეო. ვარვარა ბიცოლა გავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დოქით ადესა ღვინო შემოიტანა და ისევ თავის ადგილას დაჯდა დაღლია-ვებული. ლუკაიამ დაასხა.

— მე, ჩემო ბიძიებო, — დაიწყო ლუკაიამ, — რა თამადობა უნდა გაგიწოით, არ დამფსებოდა. თვალები, არ ჩამქრობოდა კერია და არ დამქცეოდა ოჯახი, შენ კი იცი, სოსოია, ჩემი კუკურა თამადაც იყო, სვეტიც, ჭერიც და ყავარიც ამ ოჯახის, მაგრამ მადლობის თქმას კი მოვახერხებ. იცოცხლეთ, ნუგეშივით შემოდით ჩემს ოჯახში და ნუგეში ნუ მოგიშლოთ ღმერთმა, — თქვა ლუკაიამ, კუკურას სურათს შეხედა და გადაჰკრა.

კედლის შუაში ეკიდა უზარმაზარი სურათი, საიდანაც გულგაღეღილი კუ-კურა იცინოდა, და ისე იცინოდა, ათასი ცნობა რომ მოსულიყო, მისი დაღუ-პვის ამბავს მაინც ვერ დავიჯერებდი.

— ეგ არის, ხომ? — მკითხა ანატოლიმ და სურათზე მანიშნა, თავი დავუ-ქნიე.

ანატოლიმ უსიტყვოდ დალია ღვინო და თვითონვე შეივსო. ისევ დალია და დადგა ჭიქა.

— დალიე ბიძია, ღმერთმა შეგარგოს, — უთხრა ანატოლის ლუკაიამ და ახლა მან შეუვსო ჭიქა.

— ლუკა ბიძია, კარგად იყავით, ვარვარა ბიცოლა, თქვენ ნამდვილი რუ-სული სახელი გაქვს, კარგად იყავით, — გაიღიმა ანატოლიმ და დალია.

— კარგად იყავით! — ვთქვი მეც და დავლიე. ანატოლიმ ისევ აიცხო ჭიქა. მას ლოყები შეუფაკლდა, შეეტაკვე, თვრებოდა.

— მაცალე, შვილო, — გააჩერა უცებ ლუკაიამ ანატოლი. ჭიქა გაავსო და რამდენიმე წვეთი შავი ღვინო ჭადზე დაღვარა. — ჩემს ოჯახში ყველა პირველ-ელი სადღეგრძელო ამას ეკუთვნის, — ლუკა ბიძიამ ისევ სურათს შეხედა.

— შვილო, შვილო! — თქვა ვარვარა ბიცოლამ და მეორე ოთახში გავიდა.

— ვინც ჩემი ოჯახი დაანგრია, — განაგრძო ლუკა ბიძიამ, — იმის თვალ-მა არ ნახოს დღის სინათლე, იმის ცოლმა არ გაიხადოს შავი, — მეორე ოთა-ხიდან ისმოდა ვარვარა ბიცოლას ყრუ მოთქმა, ლუკაია ბიძიამ ნერწყვი და ცრემლი ერთად გადაყლაპა, — იმის ოჯახში არ გათავდეს ზარი და მოთქმა. ჩემი კუკურას ხსოვნა იყოს... — ლუკა ბიძიამ დალია და ანატოლის შეხედა.

ანატოლიმ თვალი აარიდა. მე დავლიე.

— დალიე! — ვუთხარი მე ანატოლის.

— კარგად ვიყოთ! — თქვა ანატოლიმ და უცებ გადაჰკრა.

— კუკურას ხსოვნის სადღეგრძელო იყო, — ვუთხარი ანატოლის და ხელმეორედ დავუსხი.

— მაგას არ დავლევ მე! — თქვა ანატოლიმ და ჭიქა ხელით გასწია. გა-ოცებულმა ლუკაიამ პირი დააღო. მე საქციელი წამიხდა და გავიღიმე.

— ალბათ, აღარ შეუძლია!

— შემიძლია, როგორ არ შემიძლია, აი თუ არ შემიძლია! — თქვა ანა-ტოლიმ და ჭიქა პირში გადაიმხო. მერე გაავსო და კიდევ დალია.

— დათვრა, — გავუღიმე მე ისევ ლუკაია ბიძიას. მეორე ოთახიდან ისევ ისმოდა ვარვარა ბიცოლას ყრუ მოთქმა.

— ვინ ვარ მე? — იკითხა ანატოლიმ, წამოდგა და დაბარბაცდა.

— დაჯექი, ანატოლი, — ვთხოვე მე.

— ვინ ვარ მე, სოსო? — მკითხა ანატოლიმ.

— ანატოლი ხარ, — გავუცინე მე.

— რომ მიპოვე, მაშინ ვინ ვიყავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინაც ანატოლი იყავი! — ისევ გავუცინე და შაშხის ნაჭერი ავიღე.

— მკვდარი ვიყავი მე მაშინ. მე ახლაც მკვდარი ვარ და ჩემს შესახებ ბაარს სვამენ, მაგრამ მე არ მინდა, რომ მკვდარი ვიყო... იმიტომ, რომ მე ცოცხალი ვარ... არც ერთ ცოცხალს არ უნდა, მკვდარი რომ იყოს... ლუკა ბიძია, შენ მოხუცებული ხარ და ჩემი დაბადება გემახსოვრება... მომიყევი, თუ ღმერთი გწამს, როგორ გავჩნდი ამ ქვეყანაზე... — მე და ლუკაია ბიძიამ არ ვიცოდით, რა გვეთქვა. — თქვი, ლუკა ბიძია, გიხსენე... — არ ეშვებოდა ანატოლი.

— მე რა გითხრა, შვილო, შენზე უფროსი კი ვარ, მაგრამ შენ რუსეთში დაიბადე და...

— ხომ დავიბადე რუსეთში? ჩემი სახლი დაწვეს... ყველანი გერმანიაში გარეკეს, ჩვენ გამოვრბოდით, სხვა გზა არ იყო... ლუკა ბიძია, თუ ვარ მე ცოცხალი?.. — ანატოლიმ მკერდზე დაირტყა მჯიღი.

— კი ხარ, შვილო, და ღმერთმა გაცოცხლოს!

— დედაჩემისთვის და მამაჩემისთვის ხომ ვარ მკვდარი?.. ისინიც მკვდრები არიან ჩემთვის, ლუკა ბიძია... დედაჩემი ხომ მტირის ახლა მე...

— რა გააცინებს აბა?

— მერე მე ხომ ვარ ცოცხალი? რა მშრის სატირალი? ცნობა ქაღალდია, კაცი წერს იმ ცნობას და კაცი ხევს, ქაღალდი არ კლავს კაცს, კაცს ტყვია კლავს. მაჩვენე ტყვია, შენი შვილი რომ მოკლა, ის ტყვია მაჩვენე, ლუკა ბიძია... ხომ შეიძლება ისიც ჩემსავით იყოს სადმე? ხომ შეიძლება, თქვა... ეეე, არ გეყვარებია შვილი! — თქვა ანატოლიმ და ხელი ჩაიქნია.

— დაჯექი, ანატოლ! — ვთხოვე ისევ. ანატოლიმ თავზე ხელი გადამისვა.

— დაასხი ღვინო! — მე დავასხი.

— არ გეყვარებია შვილი, ლუკა ბიძია, დალიე და თქვი, რომ არ გეყვარებია, დალიე, დალიე, — აღარ მოეშვა ანატოლი. ეჭნებ მომეშვასო და ლუკა ბიძიამ დალია ღვინო. მერე ანატოლიმაც დალია და დაჯდა.

— ადექი და ჩამოხსენი ის ფაი განცხადება რომ გაგიკრავს, — თქვა მან უცებ.

— გაგიყდა? — მკითხა ლუკაია ბიძიამ.

— ჩამოხსენი, — გაიმეორა ანატოლიმ. — ჩამოხსენი, ქაღალდი მიიღე და დამარხე ბიბლიაში? როგორ გაიმეტე ასე უცებ ერთი შვილი სასიკვდილოდ, არ გეყვარებია შვილი. ცნობა მიიღე, მოკვდაო? მე მოგცემ ას ცნობას, რომ ცოცხალია...

— გამაგიყებს ეს კაცი! — თქვა ლუკაია ბიძიამ და ცრემლი გადაყლაპა.

— მე მოგცემ ას ცნობას, რომ ცოცხალია, არ გცხვენია მოხუც კაცს?.. ქაღალდს უჯერებ და მე არა? ჩამოხსენი... — ანატოლი დადუმდა და დაჯდა.

ლუკაია ბიძიამ ისევ დაასხა ღვინო, მას ხელი უკანკალებდა და ნახევარს მაგიდაზე აქცევდა.

— სოსოია, რა ვქნა, ბიჭო? — მკითხა მან და მუდარით შემომხედა.

— ჩამოხსენი, ლუკა ბიძია, მართალს ამბობს, — ვუთხარი მე.

— ხომ მომეშვა თავი? — დაიკვნესა ლუკაია ბიძიამ.

— თავი მაშინ მოგეშვება, ცოცხალი თუ მობრუნდა! — ვთქვი და მიეხვდი, რომ უზომოდ მთვრალი ვიყავი. მთვრალი იყო ლუკაია ბიძიაც. კედლიდან მიიანდა კუკური და ისე მიცინოდა, ათასი ცნობა რომ მოეტანათ სოფელში და ათასჯერ რომ შეეცხადებიათ, ვერც მე და ვერც ანატოლის ვერ დაგვაჯერებდნენ, რომ კუკურა მკვდარი იყო. ავდექი და სურათისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავედი, ჯერ მაგიდას დავეჯახე, მერე ტახტს. თავი ვეღარ შევიკავე და დავჯექი. ვეღარ ავდექი. ოთახი დატრიალდა, სურათი გაორდა, გასამდა, გაოთხდა, გაასდა და ახლა ერთმანეთზე მიყოლებით ასი გულგაღეღილი კუკურა მიცინოდა.

— გამარჯობა, კუკურა, შენი! — ვთქვი უცებ. ლუკაია ბიძია შეკრთა, მერე ხელები თავზე შემოიწყო, იდაყვებით მუხლებზე დაემხო და ასე გაუნძრევლად იჯდა მთელი საათი. გაუნძრევლად ვიჯექით მეც და ანატოლიც. ოთახი ისევ ირწეოდა, მაგიდა დაფერდებული იდგა, ბუხარი ისე აყირავებულიყო, შემეშინდა, ნაკვერჩხალი არ გადმოცვივდეს-მეთქი, მაგრამ იგი ტკბილად ღუღუნებდა და მკრთალი შუქით ანათებდა კედლებს.

მერე თანდათან ყველაფერი დამშვიდდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და გასწორდა. მე თვალები დავხუჭე. ან როდესაც გავახილე, შევატყე, რომ დიდმა სიმთვრალემ გაიარა.

მერე მახსოვს, როგორ ადგა ლუკაია ბიძია, როგორ წავიდა ნელი ნაბიჯით კარისაკენ, როგორ გამოვიდა მეორე ოთახიდან ვარვარა ბიცოლა, როგორ დაჯდა ჩემს გვერდით და როგორ ჩამიდო კალთაში ორი ჯანჯუხა. მე გავუღიმე და დანკქნარ ლოყაზე ეაკოცე. ცოტახნის შემდეგ ოთახში ლუკაია ბიძია შემოვიდა. მას ხელში დახვეული შავი განცხადება ეკავა, ბუხართან მივიდა, ორთავე მუხლზე დაიჩოქა, ერთხანს ყოყმანობდა, მერე აიღო და შავი ტილო ბუხარში შეაგდო. ოთახი უცებ დაბნელდა, გაიარა ერთმა წამმა, ორმა, სამმა, ათმა, მერე თანდათან ტილო აალდა, განათდა და მე დავინახე, როგორ იღიმებოდა ანატოლი, როგორ ესკვნებოდა ნიკაპზე ცრემლები ვარვარა ბიცოლას და როგორ უცახცახებდა ხელები ლუკაია ბიძიას.

სახლში გვიან ღამით მივედით, მამიდა ბუხართან იჯდა და წიგნს კითხულობდა. ანატოლი და მე თოვლში გორვისაგან თავიდან ფეხებამდე გალუმპულები ვიყავით, მაგრამ სიმთვრალის გამო სიცივეს ვერ ვგრძნობდით. მამიდამ დაგვინახა თუ არა, წიგნი გადადო, ბუხარს შეშა შეუმატა. ორი სამფეხი ცეცხლთან ახლოს მიაჩოჩა და თვითონ გვერდით დაჯდა.

— მოდით ცეცხლთან! — თქვა მან და ისევ აიღო წიგნი. მე მივბარბაცდი მამიდასთან, პირდაპირ იატაკზე დავჯექეი და თავი კალთაში ჩავუდე.

— სად დალიეთ, ბიჭო? — მკითხა მამიდამ.

— მთვრალი ვარ, მამიდა!

— სად იყავით?

— ანატოლიც მთვრალია, მამიდა! — ანატოლი კედელ-კედელ გამოყვა ოთახს, ბუხართან ასე მოვიდა და ძლივს დაჯდა სამფეხაზე. მერე მამიდას ხელი აიღო ხელში და მოეფერა. მამიდამ ხელი გამოართვა და შემხედა.

— მთვრალია! — ვუთხარი და გავუღიმე. ანატოლიმ ისევ აიღო მამიდას ხელი და მოეფერა. სითბომ ისევ დამახვია თავბრუ და სიმღერა მომინდა.

ელესია, მელესია,
გოგოები დემესია,
ეა — ჰეი,
ელესოვო — ოჰო-ჰო-ჰო...

— დაიძინე, ბიჭო, ხვალ კლასში ხარ წასასვლელი, — მითხრა მამიდამ.

დახეული ბატინკები,
დახეული პლაშჩი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილი თუ არ იცი,
რას მიდიხარ კლასში... —

წავიღლინე მე და თვალები დავხუჭე.

— მარია, ჩემო მარია! — თქვა ანატოლიმ უცებ. მე თვალები გავახილე გაკვირვებულმა.

ანატოლი მამიდას თავზე უსვამდა ხელს:

— ჩემო კეთილო მარია, შენ მაპატიებ, მარია, მაგრამ ხომ გიპოვე, მარია... ბავშვი ვისთან დატოვე, დედასთან?.. მადლობა ღმერთს, გათავდა ყველაფერი... გათავდა ეს ხეტიალი... ჩვენ დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, მარია... ჩვენს სოფელზე რომ გამოვიარეთ, უკვე დამწვარი დამხვდა, ცარიელი... ძაღლიც არ ყეფდა. სად იყავი, ბევრი იწვალე, მარია?... დედა და ბავშვი ხომ კარგად მოაწყვე, ჰოდა გათავდა ამდენი ხეტიალი, ჩემო მარია...

მამიდამ ჩამოიღო თავიდან ანატოლის ხელი.

— ქეთევანი მქვია მე, — თქვა მან ყრუდ და გვერდზე გაიწია.

— მარია ხარ შენ და ნუ მატყუებ... თქვი, რომ მარია ხარ. აბა რატომ ხარ ასეთი კარგი, ლამაზი და კეთილი... — თქვა ისევ ანატოლიმ.

— ქეთევანი ვარ მე, — გაიმეორა მამიდამ. ანატოლი მამიდას დაჟინებით დააკვირდა, დიდხანს უყურა. მერე ისევ დაიწყო:

— მე უეჭველად წავალ... მე უკვე შემიძლია სიარული, ბრძოლაც შემიძლია... ქვეყნის დასასრულამდე ვივლი და გიპოვით, მარია... — ანატოლიმ სახეზე ხელი აიფარა და აქვითინდა. მე და მამიდამ ანატოლი საწოლთან მივიყვანეთ და დავაწვინეთ, ცოტა ხანში იგი დამშვიდდა და დაიძინა.

ვწევარ ჩემს ლოგინში გულაღმა და თვალღია, სიმთვრალემ გამიარა, სულ გამიარა და არ მეძინება.

— მამიდა! — ვეძახი. მამიდა ხმას არ მცემს.

— მამიდა, არ მეძინება.

— დაიძინე აწი, სოსოია ბიჭო! — მითხრა მამიდამ.

— მამიდა, ვინ არის მარია?

— არ ვიცი, მამიდა, — თქვა მან და დადუმდა, — ცოლია ალბათ, — თქვა მან დუმილის შემდეგ.

— დაკარგული ყავს?

— ალბათ.

— მონახავს, მამიდა?

— აბა რა ვიცი, სოსოია.

— რომ თქვა, გიპოვიო?

— იპოვის, ალბათ, სოსოია.

— წავა, მამიდა, ანატოლი? — მამიდა ისევ დადუმდა.

— წავა, სოსოია, ნამდვილად წავა... — თქვა მამიდამ და მივხვდი, რომ მეტი არაფერი აღარ უნდა მეკითხა მამიდასთვის. გვერდზე გადმოვბრუნდი და ბუხარს გავხედე. ცას გავდა ბუხარი, მოღრუბლულს და ვარსკვლავიანს, დანაცრული ნაკვერჩხალი ვარსკვლავებივით ციმციმებდა აქა-იქ, მერე ნაცრის ღრუბელი ეფარებოდა და ქრებოდა. ბუხარი თანდათან დაბურულ ცას ემსგავსებოდა, მე თვალები მელულებოდა და სინანულით ვუცქერდი ბუხარში უკანასკნელი ვარსკვლავის ქრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარას წისქვილი

თუ ჩემი სოფლის წისქვილში ღამე არ გითევია, ბეგლარასთან არ გიჭორავია დილამდე, ღადარში ჩაკრული, მისი გამომცხვარი გაუცრელი და მარილიანი კვერი არ გილოღნია, მერე ჩათვლემილს სიზმარი არ გინახავს, რომ წუურვილით კვდები, არ წამომხტარხარ, წისქვილის ღარზე არ გადამხობილხარ და ცხენივით დიდხანს არ გისვამს სუფსის წყალი, არ თქვა სოფელი მინახავსო.

ბეგლარაზე და მის წისქვილზე იმდენი ანდაზა და იმდენი შაირია ჩვენს სოფელში, რამდენიც მინდი აუღია ბეგლარას. არც ერთ გლეხს არ შეუძლია მთელ სოფელში თხუთმეტი წუთი ილაპარაკოს და ბეგლარას წისქვილი ერთხელ მაინც არ მოიხსენიოს. შეხვდები კაცს გზაში, გამარჯობას ეტყვი, თუთუნს მოგაწვდის, ცოტა ბევრის აღება მოგიხდება და, იმ წუთში:

— რა ამბავია, შე კაცო, ბეგლარას მინდი ხომ არაა?..

ვერ მოუყვები მეზობელს დალაგებით ამბავს, და...

— რავა ბეგლარას წისქვილივით ღერღავ, შე უპატრონო, თქვი აწი რა გინდა?..

შეაწუხებ კაცს ბევრი ლაპარაკით და...

— რავა ბეგლარას წისქვილის სარკეელასავით გარეკა ამ დალოცვილმა!..

დახვალება რომ დახვალებაა, ისიც ბეგლარასთანაა დაკავშირებული:

— რავა ბეგლარას ძაღლივით იღრვები, შე უბედურო?.. — ვეტყვიან იმ წუთში.

დახვალება, ბეგლარას ძაღლი, დაღრჩობა და წისქვილი ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, იმიტომ რომ ბეგლარა თავის ძაღლს წისქვილში დაგროვებულ ქატოს აპმევს. სწორედ ეს ქატო აღრჩობს ძაღლს. და არის საცოდავი მთელი დღე ხვალებაში. ბეგლარა თავისთავად სიტყვას არ მოაბრუნებს, თუ წისქვილი არ ახსენა, მთელი მისი ცხოვრება ამ წისქვილთანაა დაკავშირებული, იგია მისი მარჩენალიც, სახლიც, კარიც, ცოლიც, შვილიც და ნათესავიც. კოლექტივისაა წისქვილი და ბეგლარაც კოლექტივის საერთო კრებითაა არჩეული მეწისქვილედ, მაგრამ ბიჭია რომელიმე თავმჯდომარე და მოხსნას ბეგლარა, ვიღა ივლის მერე წისქვილში? არავინ. რა იქნება მერე ბეგლარას წისქვილი? არაფერი. ვინ გაბედავს ბეგლარას ნაცვლად მეწისქვილეობას? ვერავინ. იცის ეს ბეგლარამ, იცის ეს მთელმა სოფელმა და ყველა თავმჯდომარემ. ჰოდა, ერქვას ამ წისქვილს კოლექტივის სახელი, რა ენაღვლება ბეგლარას, ვიდრე მოკვდება, მისია მაინც წისქვილი. წისქვილში ცხოვრობს ბეგლარა, საწოლად სამინდე სკივრი აქვს, სასთუმლად სიმინდის ფუჩეჩით გატენილი მუთაქა უდეგს. თავთან ცალპირა ფილთა თოფი უკიდია, რომელსაც რატომღაც ზაუერს ეძახის. კედელზე რომელიღაც ჟურნალიდან ამოხეული და ოთხად განაკეცი მიჩურინის სურათი აქვს გაკრული. რომ კითხავ, — ბეგლარა, ეს ვინ არისო, გაკვირვებული ვეტყვის:

— მაგი არ იცი, შე აბდალა? — ესაა ის მიჩურინი, ციმბირში რომ ყურძენი და მანდარინი მოიყვანა.

ომის პირობებში ბეგლარას სამხატვრო გალერეამ სხვა თემატური ელფერი მიიღო. მეცნიერმუშაკთა გვერდით ახლა სამხედრო პირები ჩამწკრივდნენ დამსახურების მიხედვით. პირველი ჩაპაევი იყო, მეორე ბუდიონნი, მესამე ტიმოშენკო, მეოთხე პეტრე ბაგრატიონი, მეხუთე სუვოროვი და მეექვსე კიკვიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებსაც კითხულობს ბეგლარა. ზოგს — ჩემს მოტანილს და ზოგს — სხვისას. საკუთარი ბიბლიოთეკაც აქვს ბეგლარას. კედელზე მიკიდებულ სპეციალურ თაროზე მუდამ აწყვია: „ეეფხისტყაოსანი“, სახარება, ლობიოს ქოთანი, არყის თუნგი და ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი“.

უხარია ბეგლარას ჩემი მისვლა წისქვილში. დამიჯდება და სულ რომ არ იყოს საფქვავი, დილამდე მაინც არ გამიშვებს, რიგით პირველი რომ ვიყო, იმდენს იზამს, ბოლოში მიმაქცევს. მეც მიხარია ბეგლარასთან ყოფნა. მაინც და მაინც არ ვუძალიანდები და ვჭორაობთ მე და ბეგლარა დილამდე, ვანგრევთ ქვეყნებს, ვაშენებთ სასახლეებს, ვიჭერთ და ვხვრეტთ გენერლებს, ვნიშნავთ მთავრობებს, ვიგებთ ომებს, ვიღებთ ქალაქებს, ვიხევთ უკან, მერე ისევ წინ მივდივართ, ვწყვეტთ ხელოვნების გადაუჭრელ საკითხებს, ვაცხობთ კვერს ნაცარში, ვფქვავთ სიმინდს, ვიღებთ მინდს, ვაბოლებთ თუთუნს, ვაქებთ ერთმანეთს და ეს ორი ბუმბერაზი ადამიანი ენაბავთ შუაკეცხლისგან ამომწვარ, წამწამებდაფიფქულ თვალებს სუფსის ნაპირზე ნაფოტივით გამორიყულ წისქვილში, მაშინ როდესაც დედამიწა ინგრევა და ასე სჭირდება ქვეყანას ჩვენისთანა ხალხი.

— სოსოია უდღეურო, შენ რომ ამბობ, ომი კიდე გასტანს რამდენიმე წელსო, მაგალითად რისგან გამომდინარე ამბობ მაგას? — მეკითხება ბეგლარა და კოდში ახალ საფქვაეს ყრის.

— იქიდან ვამბობ, ჩემო ბეგლარა, რომ ამხელა ტერიტორია რომ წაიღო ჰიტლერმა, უკან ხომ უნდა წაართვა? — ვეუბნები მე და ცეცხლს ფიჩხს ვუმატებ.

— კი! — მეუბნება ბეგლარა და ახლოს ჯდება ჩემთან.

— ჰოდა, ერთ-ორ წელიწადს მაგათ გარეკვას მოვუნდებით.

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ ომი მოგებული გვაქვს?

— ნამდვილად!

— გადაწყვეტილი გაქვს მაგი ამბავი?

— მაგას არ უნდა ლაპარაკი.

— კარგი, ჩემო ბატონო, ახლა ის მითხარი შენ. გადავედით მე და შენ შეტევაზე და არ დაიხია ჰიტლერმა უკან, რას შობი მერე?

— დაიხევს!

— არ დაიხია!

— დედას ვუტირებ, დავახევიებ!

— კარგი, ბატონო, დაიხია უკან, მოითქვა სული ზაფხულში და შემოგიტია ისევ, რას შობი მერე?

— ვერ შემომიტევს.

— თუ შემოგიტია?

— ვერ შემომიტევს.

— დავუშვათ, და შემოგიტია.

— კაცო, შენ ჩემს მხარეს ხარ თუ ჰიტლერის? — ვეკითხები ბეგლარას.

— შენ მხარეზე ვარ, შე მამაძაღლო, მაგრამ ჰიტლერი ჩემისთანა მათხოვარია? — მიჯავრდება ბეგლარა.

— უარესი, — ვეუბნები მე.

— სოსოია, ჭკუით ილაპარაკე, თუ არა ჩაგამხობ ამ კოდში თავით! — მემუქრება ბეგლარა.

— ა, ბატონო... — ვხაზავ მე ნაცარზე საზღვარს ჯოხით, — შენ ხარ ვერმანია, მე ვარ საბჭოთა კავშირი. შენ დგახარ აგერ, მე ვდგავარ აგერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარია ახლა, ზამთარი ჩემია, მე მიჩვეული ვარ ამ ზამთარს, არ მცივა, შენზე თბილად მაცივა, შენზე გამაძღარი ვარ და ჩემს სახლში ვარ.

— კარგი, ბატონო...

— შენ გცივა, შიშველი ხარ, სხვის სახლში ხარ, მასპინძელი ერთი ცხვირში გირტყამს, მეორე ზურგში.

— ზურგში რომელი?

— პარტიზანი!

— აგაშენა ღმერთმა.

— ჰოდა, რას შვები?

— წავიდე უნდა, სხვა რა გზა მაქვს? — ამბობს ბეგლარა და ხელებს შლის.

გარეთ ბეგლარას ძაღლმა დაახვალა.

— დაღრჩობა შენი! — თქვა ბეგლარამ, ადგა და წისქვილის კარი გააღო. წისქვილში აკვირინე ბებია, მატრონა და ფედოსი შემოვიდნენ. ისინი მოგვესალმნენ, საფქვავები კოდზე შემოაწყვეს და ცეცხლთან დასხდნენ. ბეგლარამ მეორე თვალი წისქვილი აამუშავა, ზედ აკვირინეს საფქვავი დაყარა და ისევ გვერდით მომიჯდა. აკვირინე ბებიამ, ფედოსიმ და მატრონამ გზაში დაწყებული ამბავი გააგრძელეს.

— მიხედეთ, ქალებო, თქვენ საფქვავს, მე არ მცალია! — უთხრა ბეგლარამ ქალებს და ჩემსკენ მოიჩოჩა. ქალებმა თვი დაუქნიეს თანხმობის ნიშნად. ბეგლარამ ჯოხი გამომართვა და ახლა თვითონ გაავლო ხაზი ახალი საზღვრიდან ძველი საზღვრისაკენ.

— კარგი, ჩემო სოსოია, დავიხიე უკან და მივედი ძველ საზღვართან, რას შვები მერე? — მკითხა უცებ ბეგლარამ.

— მერე.. — ვთქვი მე და გავჩერდი, მე აღარ ვიცოდი რას ვიზამდი მერე, მაგრამ ბეგლარა არ მომეშვა.

— მე რომ ჰიტლერი ვარ, მოვედი ძველ საზღვართან და რას მიშვები მერე?

— გაგიხმეთ ენა, თქვე ბლახებო! — თქვა აკვირინე ბებიამ.

— გვაცალე, ქალო! — გაუჯავრდა აკვირინეს ბეგლარა.

— რას გიზამ, ჩემო ბეგლარა, და მოგაწვები იქით, — გადავწყვიტე, როგორც იქნა.

— კაი და, გითხარი მე, ჰიტლერმა, ა, ძმაო, შენი მიწა შენ და ჩემი მე, გვეყო ახლა სისხლის ღვრა, შენ-შენთვის, მე-ჩემთვის.

— მაინც მიგაწვები, ბეგლარა! — გავჯიუტდი მე.

— სანამდის, შე უპატრონო? — შეეშინდა ჰიტლერს.

— ბოლომდის, ჩემო ბეგლარა, ბერლინამდის!

— მერე?

— მერე დაგიშერ შენც, შენს გენერლებსაც, შენს მთავრობასაც და რაც სიმწარე მანახე, სულ ძმარად ამოგადენ ცხვირში.

— დაგანებებს მერე ჩემს თავს ინგლისი და ამერიკა?

— არ დამანებებს და იმათაც ვადენ ძმარს ცხვირში, — გავიქაჩე მე.

— ნამეტანს ნუ იქაჩები, ბიჭო! — გამაფრთხილა ბეგლარამ.

— მაგ მე ვიცი, — ვთქვი მე და წამოვდექი.

— როდის ამთავრებ, ნენა, ომს? — მკითხა მატრონამ და გამიცინა.

— ორ წელიწადში! — ვუთხარი მე.

— ცოტას ვერ დაჩქარებ, შვილო? — შემეხვეწა ფედოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გამოდის, ქალებო, ძალიან ვეცადეთ, ეგერ, აა, გადავთხარეთ მთელი ნაცარი, მაგრამ უფრო ადრე არ ხერხდება, — ამოიოხრა ბეგლარამ.

— ვაი თქვენს პატრონს უბედურს! — თქვა აკვირინე ბებიამ, — კარგი, აგი ნერგია და მწვანეა ჯერ, მაგრამ შენ რამ გამოგათაყვანა ამ ხელა კაცი, ჰიტლერი ვარო რომ დაგიფრენია პირი.

— ღლაპი უძახე, ჩემო აკვირინე, და ისე მომიხაზა მთელი ფრონტი, ჰიტლერს რომ ჭკუა ჰქონდეს, ახლა უნდა უყრიდეს ბაწარში თავს, — თქვა ბეგლარამ და ფქვილის ამოხვეტა დაიწყო ყუთიდან. დადგა ჩემი საფქვავის ჯერიც, ტომარას თავი მოვუხსენი და კოდთან ახლოს მივაჩოჩე, მერე დავუცადე, სანამ უკანასკნელი პეშვი სიმინდი ჩახრიალდებოდა დოლაბში, საფქვავს ხელი ვკარი და კოდში გადავამხე. სიმინდი ბევრი იყო და კოდი შუამდის აივსო, დოლაბი წყლის სიმკირის გამო ძლივს ღანჭალდება, ალბათ დილამდე არ ჩამოთავდება, გავიფიქრე, ცეცხლის პირას გადებულ ფიცარზე წამოვწექი, სასთუმლად ვიღაცის საფქვავი დავიდე და დასაძინებლად მოვემზადე.

— ბეგლარა, მე დავიძინებ ახლა. უყურე, აკვირინე ბებია, მინდი ბევრი არ აიღოს, თორემ მაგას კაცი ვერ ენდობა...

— ასე მყრალი ენა რომ გაქვს, ორ წილს ამოვიღებ ახლა, — მითხრა ბეგლარამ და ოყას მოკიდა ხელი.

— გეხუმრე, ბეგლარა, კი ვიცი მე, სულ რომ არ აიღებ მინდს, — გავუცინე ბეგლარას.

— ვინ გითხრა, არ ავიღებო? — მკითხა ბეგლარამ.

— ომი მოვიგეთ, შე კაცო, ერთად და ახლა მინდს მიღებ საფქვავზე? — ვუსაყვედურე მე.

— პოლიტიკა პოლიტიკაა, ჩემო სოსო, სიმინდი სიმინდია, აგი სახელმწიფოს არჩივია, სახელმწიფოს ლუკმაა და ბორორტებას ნუ ჩამადენიე, შენ საფქვავზე რომ არ ავიღო, ამათაც უნდა ვაპატიო მაშინ, — თქვა ბეგლარამ და ქალებს გახედა, — მართალი ვარ, ქალებო? — ქალებმა თავი დაუქნიეს ბეგლარას.

მე ბეგლარას აღარაფერი ვუპასუხე. ბეგლარა სარეკელას ზომაზე აყენებდა, მერე მეორე დოლაბთან მივიდა, ქალები ისევ რაღაცაზე საუბრობდნენ, ოხრავდნენ, იღიმებოდნენ, თავსაფრებს პირზე იფარებდნენ, ჩურჩულებდნენ და სველ წინდებს იშრობდნენ გაუხდელად. მათ წელსქვედებს ოხშივარი ასდიოდა. წისქვილი ცახცახებდა, დოლაბები გუგუნებდნენ, ქვევით წყალი შხუილით ესხმოდა ფრთებს, ორი სარეკელა სხვადასხვა ხმაზე რაკუნობდა და სიმინდი წყვეტილად, ხან კენტად, ხან წყვილ-წყვილად ცვივოდა დოლაბის გაუმაძღარ ხახაში. კვამლის, ფქვილისა და გახურებული ლოდის გემრიელი, დამთრობელი სუნი ტრიალებდა.

გუგუნებდა, მღეროდა წისქვილი, უთვალავი სხვადასხვა და მაინც ერთნაირი ხმით. კოდის თავზე, რიგის მიხედვით, ჩამწკრივებული საფქვავები წისქვილის გაუთავებელი სიმღერის ხმაზე ყვებოდნენ უამრავ ამბებს, ჩემი სოფლის ამბებს, მეზობლების ამბებს, მოსავლის ამბებს, ომის ამბებს — ყველაფერს, ყველაფერს. აი ის დიდი ტომარა სავსეა სიმინდით, მაგას ქალი ვერ მოიტანდა, ვერც ბავშვი. ეს ვიღაცა ღონიერი კაცის მოტანილია, ნეტა ვისი უნდა იყოს? — ალბათ მაკარიასია, იმის მეტი ამ ტომარას ვინ ზიდავდა. სიმინდიც აქვს მაკარიას ბევრი, არც წაღება ეჩქარება, იმიტომაა, რომ ღამეს არ უთევს, რა აჩქარებს, ხვალ მოვა და წაიღებს. აი ის პატარა პარკი, ლურჯი პარკი, თეთრწინწყლებიანი, სამი ოყა სიმინდი იქნება შიგ, მეტი არა... ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის მოტანილია, მაგას ვაქაცი ხელში არ დაიჭერს, დგას პარკი უზარმაზარი ტომრების გვერდით, თოჯინასავით თეთრწინწკლებიან ლურჯ პერანგში გამოწყობილი, ვისი უნდა იყოს ნეტავი, იქნება ეს საფქვავი ლადიკოს პატარა ბიუმა დათუნამ მოიტანა, ასეთი პერანგი მინახავს მის ტანზე მაისში. იქნებ ეს პარკი ის პერანგიც იყოს, არც იმ პარკს არ უთევენ ღამეს, ორი, სამი გამოცხობა იქნება. რა მნიშვნელობა აქვს, დღეს შეჭამ თუ დილას, მაინც ხვალ ჭამა ჯობს, იმიტომ რომ ხვალინდელი დღე უფრო ახლოა ზეგინდელთან. დღეს კი ხვალინდელი დღის არ გეშინია, რადგან წისქვილში კოდის თავზე თეთრწინწკლებიან ლურჯ პარკში ორი თუ სამი ოყა სიმინდი გეგულება. აი ის ტომარა, მერე ისევ პარკები დიდი თუ პატარა, მთელი და დაკერებული, სავსე და ნაკლული — ყველა, ყველა ყვება ამბავს და მე გეტყვით, თუ გინდათ, რომელი რომლისაა, ვინ მოვა და ვინ წაიღებს ხვალ დილით ამ საფქვავებს და კიდევ როდის შეეძლება ამ პარკების მოტანა ბეგლარას წისქვილში.

თვალები მელულება, უკვე ბუნაწში ვარ. საოცარია წისქვილი! ხმაურობს, გუგუნებს, გრიალებს უამრავი სხვადასხვა, მაგრამ მაინც ერთნაირი ხმით, იგი რაღაცას მღერის თავისას და განუმეორებელს. მარტო წისქვილებს შეუძლიათ ასე სიმღერა, მატარებლებიც მღერიან, მაგრამ ასე ვერა. ისინი მაინც ხმაურობენ, წისქვილი კი გუგუნებს და მაინც ისეთი სამარისებური სიჩუმეა წისქვილში, რომ ბუზის გაფრენას გაიგებ, ერთი გაფაჩუნება, ერთი განძრევა, ერთი ამოსუნთქვა, რომელიც წისქვილს არ ეკუთვნის და იმ წუთში გეღვიძება, ადამიანის ფეხის ხმა, ძაღლის ყეფა, ტუჩების კვილი, ყველაფერი გაწუხებს და გესმის გარედან, მაგრამ ბეგლარამ ქვეყანა რომ დანგრიოს წისქვილში არ გესმის, არ გაწუხებს. იმიტომ რომ ბეგლარა წისქვილის ნაწილია, წისქვილთან ერთად მღერის, და წისქვილი ვერ იმღერებს უბეგლაროდ. მე ვუცქერ ბეგლარას მილეული თვალებით, ბეგლარა იღებს სამინდე ჭურჭელს, ყოფს ჩემს კოდში, ავსებს და იქვე დგამს, ჯერ ქალებისაკენ იცქირება ქურდულად, ქალები ყურადღებას არ აქცევენ, ახლა ჩემკენ იყურება ბეგლარა, დაჟინებით მიყურებს, რწმუნდება რომ მძინავს და უკან ყრის კოდში სიმინდს.

მაგრამ მე არ მძინავს, თუნდაც მეძინოს, მე ვიცი, რომ ბეგლარა მაინც არ აიღებს მინდს ჩემი სიმინდიდან, არც ამ ქალების სიმინდიდან აიღებს ბეგლარა მინდს და არც იმ პატარა თეთრწინწკლებიანი ლურჯი პარკიდან, რომელიც თოჯინასავით უდგას გვერდით მაკარიას ვეებერთელა ტომარას. ამიტომაა ბეგლარას სამინდე სკივრი ყოველთვის ცარიელი და ამიტომ უყვარს მთელ სოფელს ბეგლარა.

მეც მიყვარს ჩემი ბეგლარა და ვიძინებ ტკბილი ძილით.

ძილში ჩამესმის ბეგლარას ძაღლის გაბმული ყეფა და ღრენა. თვალს ვახელ, კარს ვიღაც ანჯღრევს მთელი ძალით. ბეგლარა ადგა, ბუზღუნით მივიდა კართან და ურდული გადაწია. კარები ფართოდ გაიღო და წისქვილში უზარმაზარი, დათოვლილი კაცი შემოგორდა. ბეგლარამ უკან-უკან დაიხია და ცეცხლში კინაღამ ჩავარდა, ქალები ფეხზე წამოცვივდნენ. მე ყელში რაღაც გამეჩხირა და შუბლი გამიცივდა. წისქვილში დათიკო ბრ.ვადირი იდგა და იღიმებოდა.

— გამარჯობა თქვენი, რას წამოცვივნდით ფეხზე, — თქვა მან და საფქვავი ცეცხლთან დაადგო. ჩვენ ხმა არ ამოგვიღია. იმ დღიდან დათიკო არ მინახავს და არც თვითონ გამოჩენილა არსად, და ახლა, როდესაც დავინახე, დავმუნჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, პირი გამიშრა, ენა სასას მიეწება, მუხლები ამიკანკალდა და რომ არ წავქცეულიყავი, ისევ დავჯექი.

დათიკო ცეცხლთან მივიდა, თოფი კუთხეში მიაყუდა, თოვლი ჩამოიფერთხა და ჩემს გვერდით დაჯდა, მე გავიწიე.

— ნუ გეშინია, ჭირიანო, არაფერი მჭირს,—მითხრა დათიკომ, არ ვუპასუხე. ქალები და ბეგლარა ისევ ფეხზე იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ დათიკოს.

— რას მიყურებთ, კაცი არ გინახავთ? — იკითხა დათიკომ და უზარმაზარი ტორები ცეცხლს მიუშვირა.

— კაცი რავა არ გვინახავს, — თქვა ჩუმად ბეგლარამ და სკივრზე დაჯდა. ქალები ერთ კუთხეში მიიკუჭენ და ჩაცუცქდნენ.

— დიდი თოვლი მოვიდა წელს, გაისად კარგი მოსავალი იქნება... — დაარღვია დათიკომ უხერხული დუმილი და თუთუნის გახვევა დაიწყო.

— შენი სიმინდი მაინც შვიდ-შვიდ ტაროს გამოიბამს, — უთხრა აკვირინე ბებიამ.

— დამცინი, აკვირინე? — ჰკითხა დათიკომ.

— ჩემი დასაცინი რა გჭირს, ორი ფუთი სიმინდი მოიტანე წისქვილში და მე ეს ერთი ჭაჭე სიმინდი გაისად წიფობისთვემდე უნდა ვიმყოფინო, — თქვა აკვირინე ბებიამ.

— შენი ზიარი ყანა არ მქონია მე, ყაჩაღივით არ დაგხვედრივარ გზაში და სიმინდი არ წამირთმევია შენთვის, აკვირინე, — უთხრა დათიკომ.

— კაცი ქე მოკალი, სისხლი გადაირე სინდისზე, აწი ალბათ დახვდები ხალხს და მაგასაც იკადრებ, — უთხრა აკვირინე ბებიამ.

— კაცი რომ იყო, აკვირინე, მაგ სიტყვებს ენასთან ერთად გადაგაყლაპებდი, — უთხრა დათიკომ და ისეთი ნაფაზი დაარტყა, ციგარა ბოლომდე ჩაიყვანა.

— კაცი რომ ვიყო, ფეხქვეშ დაგიდებდი და იმდენს გირტყამდი, გობით სარაქაე სისხლს შეგიყენებდი, შე უგვანო და ხვადაგო შენ, — უთხრა აკვირინე ბებიამ და ცეცხლში ჩააფურთხა.

დათიკო გაფითრდა, მაგრამ არაფერი უპასუხა აკვირინე ბებიას და ბეგლარას მიუბრუნდა:

— ბეგლარა, ძალიან მეჩქარება და ეს რომ ჩამოთავდება, ჩემი სიმინდი დააყარე, — მიუთითა მან იმ დოლაბზე, რომელზეც ჩემი სიმინდი ეყარა.

— მაგის მერე მაკარიას საფქვავია რიგში, — თქვა ბეგლარამ.

— მაკარია მოიცდის.

— მოვაკითხავო, თქვა.

— მოიცდის მაკარია, მე მეჩქარება, — უთხრა დათიკომ. ბეგლარა გაჩუმდა. დათიკო ადგა და კოდზე თავისი საფქვავი შემოდო.

— შენი გამომცხვარი კვერი მენატრება, ბეგლარა! — გაუღიმა დათიკომ.

— ფეხის დაბილვა არ გინდა? — ჰკითხა ბეგლარამ. დათიკო გაშრა.

— ბეგლარა, ნუ მიჩიჩხინებთ ნიგუზალს, თორემ ცოდვა ჩადენილი მაქვს უკვე! — თქვა მან და თოფისკენ გაიხედა. ბეგლარამაც გახედა თავის ფილთას და ახლოს მიუჩოჩდა. დათიკო ადგა, მივიდა კედელთან, ბეგლარას ფილთა ჩამოიღო, ხელში შეათამაშა, მერე ლულაში წაავლო ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კონდახით მიწაზე დაარტყა. მერე კარი გაიღო, ლულა თოვლში ისროლა, კონდახი კი ცეცხლში შეაგდო. ბეგლარა ადგილიდან არ დაძრულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ნერწყვი გადაყლაპა. დათიკომ თავისი თოფი აიღო და ადგილზე დაჯდა.

— ხედავ? — ჰკითხა მან ბეგლარას და ფილთას კონდახზე მიუთითა.

— შენ დაგინახა სიკვდილმა და შენ დაგეყარა მიწა გულზე, შენ არ გაიხარე ამ ქვეყანაზე, როგორც ჩემმა ბიჭმა არ გაიხარა და წევს ახლა გულზე ხელდაკრეფილი. შენ გიტირა და ჩაიცვა შენზე შავი შენმა პატრონმა, როგორც მე მაცვია, — თქვა მატრონამ და ტუჩები აუკანკალდა.

— მაგას ვინ იტირებს და ვინ ჩაიცმევს მაგაზე შავს, ქალო? — თქვა ფედოსიმ.

— ფედოსი, მომერიდე პატარა, თორემ ნადირი ვარ ახლა მე. — წამოდგა დათიკო ფეხზე.

— შენ არ გეღირსა, დათიკო, სიკვდილი, შენ არ მიგიღო არც ერთმა მიწამ, შენი დამტირებელი თვალი დაიფსოს, დაიწვას ის ტანი, რომელიც შენზე შავს ატარებს. ამის უარესს რას მიზამ, რაც მჭირს? — თქვა ფედოსიმ.

— შენი ბიჭი მე არ მომიკლავს, არც შენი, ჭკუა რომ ჰქონოდათ, იქნებოდნენ ახლა ჩემსავით... — დათიკოს ენა დაება.

— მკვდარი რომაა, საფლავი რომ არ მაქვს მისი და მის ნაქონ პერანგს რომ ვტირი, ის პერანგი მირჩევნია შენისთანა ცოცხალს, შე მათხოვარო, როგორ გაბედე ჩვენი ბიჭების ხსენება, შე ბინძურო... — მატრონას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვეღარ შეძლო, ხელები სახეზე აიფარა და ატირდა... ჩემი სიმინდი ჩამოვიდა. დათიკო კოდთან მივიდა და ხელების კანკალით საფქვავს თავის მოხსნა დაუწყო.

— მაკარიეს რიგია ახლა, — უთხრა ბეგლარამ ჩუმად.

დათიკომ არაფერი არ უპასუხა.

— მაკარიეს რიგია ახლა! — გაუმეორა ბეგლარამ და საფქვავთან მივიდა.

— მოიცდის მაკარიე, — თქვა დათიკომ.

— არ მოიცდის.

— მოიცდის.

— არ მოიცდის.

— მოიცდის!.. — თქვა დათიკომ ხრიალით, ხელი კრა ბეგლარას და საფქვავი კოდში გადაუშვა. ბეგლარა სკივრს დაეჯახა, გასწორდა წელში, უყურა, უყურა დათიკოს, მერე მოვიდა და ცეცხლთან დაჯდა. მე ავდექი და ჩამოფქვილის ჩაყრა დავიწყე ტომარაში. ცალი თვალით ბეგლარას ვუცქერდი; ბეგლარა ცეცხლს ჩაშტერებოდა, ერთხანს ასე იყო, მერე ადგა და გარეთ გავიდა. დათიკო უკან გაყვა თოფით, ერთი წუთის შემდეგ შემობრუნდა, ცეცხლთან დაჯდა და თოფი მუხლებზე დაიდო.

— კარებთანაა აყუდებული, დამენდურა, — თქვა დათიკომ და გაიღიმა. ცოტა ხანს იჯდა, უცებ წამოხტა და ისევ გარეთ გავარდა. მერე ისევ შემობრუნდა.

— უთხარი, ბიჭო, შემოვიდეს, არაფერს არ ვუზამ, ნუა იმ თოვლში აყუდებული, — მითხრა დათიკომ. მე ხმა არ გავეცი.

— რას დამუნჯებულხარ, შე ტილიანო, ისოდ მაკლია ცხვირმოუხოცელმა ღლაპმა ხმა არ გამცეს, — მითხრა მან. მე მაინც არ გავეცი ხმა და ჩემ საქმეს განვაგრძობდი. ასე დუმილში გაიარა წუთმა, ორმა, სამმა, ათმა და უცებ წისქვილის ქვეშ წყლის შხეილი შეწყდა, დოლაბებმა საცოდავად დაიღნავლეს, სარეკელები დამუნჯდნენ და წისქვილში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. და-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თიკო ჯერ გაშტერდა, მერე ჩვენ დაგვიწყო ყურება. ჩვენც გაშტერებულები ვუცქერდით დათიკოს, იგი იდგა დოლაბთან და არ იცოდა, რა ექნა.

ცოტა ხნის შემდეგ კარებში კისრამდე სველი, გალურჯებული და აკანკალებული ბეგლარა შემოვიდა. ხელში რკინის ბერკეტი ეჭირა და კბილებს კბილებზე აცემინებდა.

— რა ქენი, შე უბედურო? — ჰკითხა დათიკომ.

— წადი შენი გზით, დათიკო, სანამ მე ვარ აქ და პირში სული მიდგას, არ გეღირსება ჩემ წისქვილში დაფქვილი ჭადის ჭამა, აგერ ვარ ახლა და მომკალი, თუ გინდა, — არხის სათავანი დავშალე! — თქვა ბეგლარამ ყბების ცახცახით.

დათიკომ დიდხანს უყურა ბეგლარას, მერე ცარიელი ტომარა აიღო, ხელში დაატრიალა, იატაკზე დააგდო, მიატოვა კოდში ჩაყრილი სიმინდი, შეტრიალდა და კარებისაკენ წავიდა. კარებთან რომ მივიდა, შედგა, თავი ჩაქინდრა და უკანმოუხედავად წავიდა.

მე ვხედავდი ღიად დარჩენილ კარში, როგორ შევიდა უკვალავ თოვლში, როგორ გადაჭრა მოკლეზე, როგორ გადავიდა კონცხოულას გორზე და როგორ გაქრა მისი შავი ლაქა თოვლის თეთრ ქათქათა ზეწარზე.

— მაპატიეთ, ქალებო, თქვენი სიმინდი ქე დამრჩა დაუფქვავი! — თქვა ბეგლარამ და უხერხულად გაიღიმა.

— შენი გამომცხვარი კვერი მომენატრა, ბეგლარა, — ვუთხარი ბეგლარას და გაყინულ ცხვირ-პირში ვაკოცე.

— მაცალე, შე მამაძაღლო, ძვლების გათბობა! — მითხრა მან, ნაკოცნი დაყვით მოიხოცა და ცეცხლთან დაჯდა.

ᲪᲣᲪᲐ

გამარჯობა შენი, ჩემო ბეჟანა, დამავიწყდი გგონია? არა, ბეჟანა, ვეღარ ვიცლი წინანდებურად, ქვეყნის სამუშაო მაქვს, ქვეყნის, სკოლიდანაც დავყოვართ სამუშაოდ, კოლექტივსაც ვეხმარები და სახლშიც ბევრი სამუშაოა. მერე წიგნი უნდა წავიკითხო, გაკვეთილები მოვამზადო, ხუთზე თუ არა, სამზე მაინც კლასიდან კლასში ხომ უნდა გადაეთრიოს კაცი? ხომ უნდა დავამთავრო, როცა იქნება? აბა, სულ ასე ფეხშიშველი და შარვალგამობრდღვნილი ხომ არ ვივლი? კი იცი შენ, ჩემს მეტი ოჯახში კაცი არ არის, წავიდა ჩემი და შენი რუსი, ბეჟანა, წავიდა ფრონტზე. ადგა ერთ შშვენიერ დილას და წავიდა. ლუკაიას რომ კუკურაზე გლოვის განცხადება ჩამოახსნევია, არ მომიყოლია შენთვის? ჩამოახვევია, ბეჟანა, მერე მოყვა და ლუკაიას შემყურემ, ყველამ ჩამოხსნა განცხადებები, ვერ ნახავ ახლა ჩვენს სოფელში სამგლოვიარო განცხადებას, გზისკენ უჭირავს ყველას თვალი და ელოდებიან დაკარგულებს. აბა!.. ახლა თვითონ დაიკარგა, ბეჟანა, ჩვენი რუსი, არც წერილია და არც არაფერი. რომ გავაცილეთ მამიდას არაფერი უთქვია, იცინოდა. მერე ღამე გამეღვიძა, ბეჟანა, და ტიროდა მამიდაჩემი.

შენ როგორ ფიქრობ, ჩემო ბეჟანა, უყვარდა ხომ? მე მგონია, უყვარდა... გაზაფხულია ახლა, ბეჟანა, გამარტება, აგერ სადაცაა გასკდება შენი ასკილის კვირტი, სკამს ვაკეთებ ახლა, აგერ შენს ფეხებთან, ფიცარი მაქვს ამოტანილი. დავჯდები მერე და ქვეყნის ამბებს მოგიყვები.

ომის საქმე ასეა, ჩემო ბეჟანა. გავაჩერეთ გერმანელები და იქითაც კი მივდენთ, მაგრამ ძნელია მაინც ჯერ, ჯარიდან დაბრუნებული ხალხი ამბობს, რომ დიდი იერიშისათვის ვემზადებითო. ახლა მეტი ხალხი იღუპება, ბეჟანა, იმიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იერიშზე გადასვლის დროს სამჯერ მეტი უნდა იყო მტერზე, მაგრა გასა-გებიცაა. ზის სანგარში და გიმიზნებს, შენ უნდა ამოძვრე სანგარიდან და გაიქცე მისკენ, გაიქცევი და გესვრის. თუ დასძარი ერთხელ ადგილიდან, მერე უკვე ადვილია. იგი გარბის და შენ ესვრი, ჰოდა, მე მგონი მალე დავძრავთ ადგილი-დან...

— გამარჯობა შენი, სოსო! — მომესალმა ვიღაც. მე ავიხედე, ჩემს წინ მეზობლის ქალიშვილი ცუცა იდგა. იგი სხვა სოფელში იყო გათხოვილი, მე გუ-შინდელ დღესავით მახსოვს მისი გათხოვება, ცა დახიეს მთვრალმა მაყრებმა დამბაჩების სროლით. ექვსი ღობე დააწვინეს და გადათელეს ცხენებით, ჩუმად ტროდა ცუცას დედა, თვალებს იმშრალებდა თავშლის ყურით, — ვაიმე, შვი-ლო, ვისთვის გზრდიდი თურმეო. მერე სიძეს ეხვეწებოდა: — თვალის ჩინივით მოუარე, არ დამიჩაგრო გოგოო. მერე ისევ თეთრ ცხენზე თამარ დედოფა-ლივით ამხედრებულ ქალიშვილს ეხვეწებოდა, მალე მომაკითხე, შვილო, თორემ გადავირევი ჯავრითო.

სამუდამოდ დაუბრუნდა ახლა ცუცა დედამისს... ერთი თვის თავზე ომი დაიწყო, კიდევ ერთი თვის თავზე ქმრის დაღუპვის ცნობა მოუვიდა და სამუ-დამოდ დაბრუნდა ცუცა დედისოულში.

ახლა იგი ჩემს წინ იდგა, მკერდსავსე, ლამაზი, ღონიერი, ფართო თეძოზე მკლავგაყრილი კალათი ესვენა და მიღიმოდა თავისი თეთრი, ქათქათა კბილე-ბით.

— გაგიმარჯოს, ცუცა! — ვუპასუხე მე, უკანასკნელი ლურსმანი ჩავაჭედე ფიცარში, წალდი მიწაზე დავაგდე და სკამზე ჩამოვჯექი.

— ერთი საათია აგერ გიყურებ შორიდან და ვიღაცას ელაპარაკებოდი, — თქვა მან და ჩემს გვერდით დაჯდა.

— არავის, ჩემს თავს ველაპარაკებოდი, — ვთქვი და გავიჩოჩე. ცუცამ ისევ გამიღიმა.

— რას ელაპარაკებოდი, ბიჭო, შენ თავს?

— რაღაცა კითხე, ცუცა.

— მერე რაო, რა გითხრა? — გაიცინა ცუცამ.

— არ ვიცი, ასე მითხრა.

— მე მკითხე, სოსოია, მე ყველაფერი ვიცი, — მითხრა ცუცამ და თავზე ხელი გადამისვა.

მე არაფერი ვუპასუხე. ცუცამ ხელი თავიდან ლოყაზე ჩამოაცურა, მერე ხელის ზურგით აღმა აყვა ლოყას.

— დავაქაცებულხარ, სოსოია, წვერი ამოგსვლია.

— წვერი კი არა, ღინღლია, — ვუთხარი მე და ლოყაზე ცეცხლი წამეკიდა.

— ულაშიც ამოგსვლია, სოსოია, ბიჭო" — მითხრა ცუცამ ჩუმად და ახლა საჩვენებელი თითი წამისვა ზედა ტუჩზე.

— ღინღლია მაგიც, — ვთქვი მე, წამოვდექი და უცებ განზე გავდექი. შე-მეშინდა, ცუცას ჩემი გულისცემა არ გაეგო. ცუცა მიყურებდა საცერივით დიდ-რონი წყლიანი თვალებით, მიღიმოდა და მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ესმო-და ჩემი გულისცემა. მერე მე დავინახე, როგორ უფეთქავდა მარცხენა ძუძუს ზევით ყელთან ოდნავ ამობურცული ძარღვი.

— სად მიდიხარ, სოსოია? — მითხრა მან და ისიც წამოდგა.

— წავალ აწი სახლში, ცუცა, საცაა მზე ჩავა, — ვთქვი და წალდის ასაღებად დავიღუნე, თავი რომ ავწიე, ცუცა ისევ იდგა და თვალს არ მაცილებდა.

— შენ სად მიდიხარ, ცუცა? — ვკითხე ახლა მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შქერის ფოთოლზე მივდივარ, სოსოია, ხომ არ წამომყვები? წაღდი გაქვს შენ... — ცუცა გაჩუმდა. მე არაფერი მითქვამს, ვფიქრობდი, წავყოლოდი თუ არა, — ბინდმა რომ მომისწროს, შევშინდები... — განაგრძო უცებ.

— კარგი, წამოვალ, ოღონდ მალე, სანამ მზე ჩასულ! —ვთქვი და ცუცას კალთი გამოვართვი.

ბილიკით ჩავირბინეთ სასაფლაოს ფერდი და შქერის გაუვალი ბუჩქნარით მოფენილ გაღმა გორს შევუდექით.

შქერის ერთ დიდ ბუჩქს მივადექი, პირწმინდად გავსხეპე და ცუცას ფეხებთან დავუყარე. ცუცა დაჯდა. კალთი გვერდით მოიდგა. მეც გვერდით მივუჯექი. მზე იდო გაღმა სოფლის გორზე უზარმაზარი, ლამაზი, წითელი. იგი საოცრად გავდა კეცზე კარგად გამომცხვარ ოხშივარავარდნილ ჭადს და გული დამწყდა, რომ ეს ვეებერთელა ჭადი გაღმა გორზე იდო, რომ უეჭველად უნდა ჩასულიყო და სადღაც სხვაგან ამოსულიყო. ახლა ამ გაზაფხულზე ყველაფერი მრგვალ ჭადს გავდა რატომღაც, წისქვილის დოლაბიც, სალესი ქვაც, მზეც და მთვარეც, ოღონდ მთვარე უფრო კვერს გავდა. ნაკრიანს, ხან მთელსა და ხან გატეხილს, ხანაც მხოლოდ ყუა რჩებოდა მისი დანაკვერჩხლებულ ცაზე და ალბათ ამიტომ უღრენდნენ და შეყმუოდნენ დილამდე ჩვენი სოფლის მშიერი ძაღლები. მზე გადადიოდა გაღმა გორზე და ახლა იგიც გატეხილს გავდა, გარშემო მთებზე გაწოლილი დავარვარებული ღრუბლები კი უზარმაზარ დაფერფლილ ჯირკებს გავდნენ, დედამიწის შუაგულში დევების ხელით დანთებულს.

ცუცა წყნარად აცლიდა შქერს ფოთლებს და ლაძაზად აწყობდა კალათაში. იგი სულ არ ჩქარობდა, ამიტომ ერთი ტოტი მეც ავიღე და დავუწყე ფოთლების გაცლა.

— შენ გგონია, მე არ ვიცი, სოსოია, წელან ბეჟანას რომ ელაპარაკებოდი? — თქვა ცუცამ.

— კი, ცუცა, ბეჟანას ელაპარაკებოდი. — გამოვტყდი მე.

— ხშირად ელაპარაკები?

— ყოველთვის.

— ძალიან უყვარდი შენ ბეჟანას.

— მეც ძალიან მიყვარდა.

— შენ ყველას უყვარხარ.

— რა ვიცი, — დავიმორცხვე მე.

— კი, ყველას უყვარხარ.

— შენც გიყვარვარ? — ვკითხე უცებ ცუცას. ცუცა გაწითლდა.

— ჩვენთან რატომ არ დადიხარ, სოსოია?.. ყველასთან დადიხარ, ყველას ეხმარები...

— მოვალ თქვენთანაც...

— როდის მოხვალ, სოსოია?

— როდის მოვიდე?

— როცა გინდა...

— კარგი აბა...

— ის გოგო რას დაგდევს კუდში, სოსოია?

— ხატია?

— ჰო, ხატია...

— კი არ დამდევს, დამყავს, მერე უხარია ჩემთან ყოფნა...

— შენ?

— მეც მიხარია...

— უყვარხარ ხატიას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხატიას კი ვუყვარვარ, მგონი...

— როგორ უყვარხარ, სოსოია?

— რა ვიცი. როგორც ყველას, ისე ალბათ.

— შენც გიყვარს, სოსოია?

— ძალიან!..

— არ გეშინია მერე?

— რისი, ცუცა?.. — ცუცამ არაფერი არ მიპასუხა, მე დაკრეფილი ფოთლები ჩავაწყე კალთაში, ჩემი ხელი ცუცას ხელს მოხვდა და მე არ გამოვწიე ხელი. არც ცუცამ გასწია თავისი.

— შენ რა, არავის უყვარხარ, ცუცა? — ვკითხე მე.

— რა ვიცი, ბიჭო, არავინ მეუბნება მიყვარხარო და... — გაიცინა ცუცამ.

— ვინმეს კი ეყვარები.

— მე არავის ვუყვარვარ, ბიჭო, არავის, გეყურება? — მითხრა ცუცამ და დაჟინებით მომაცქერდა. უხერხულად შევიშეშენე.

— შენ გიყვარვარ, სოსოია? — მკითხა უცებ ცუცამ და ჩემი ხელი კალთაზე დაიდო.

— მე?.. მე რა ვიცი...

— არაფერი არ იცი შენ, სოსოია... შენ იცი, რა არის ქალი?.. ერთი თვის გათხოვილი და ქმარდაკარგული ქალი იცი რა არის, სოსოია?.. შენ იცი, რა არის მარტოდ დარჩენილი ჩემი ხნის ქალი, სოსოია?.. — ცუცა მძიმედ სუნთქავდა, მე პირი გამიშრა და წამოდგომა დავაპირე, ცუცამ ხელი მომკიდა.

— სოსო, ჩემო სოსო, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, შენ გამიგებ, შენ ხომ არ დამცინებ, სოსოია, შენ გეუბნები, ბიჭო? მე ცოდვა არ ვარ? მარტო ვარ, არავის ვუყვარვარ! — ცუცამ ხელი მომხვია და გულში ჩამიკრა. მე ახლაც არ ვიცი, რატომ მოეხვია ხელი ცუცას და რატომ ვაკოცე აღელვებულ მკერდზე, მერე ყელზე, მერე ტუჩებში. ცუცას თვალები დაეხუჭა და ოდნავ გაღებულ გუგებიდან ცრემლი მოჟონავდა.

— სოსოია... ჩემო სოსოია, შენ კარგი ბიჭი ხარ... შენ ყველაფერს მიხვდები, არ დამცინებ... არა და დამარტყი მაგი წალდი და დამკალი, სოსოია... — ჩურჩულებდა ჩემს ყურთან და ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა ტუჩები, სხეული.

ცუცა დაესვენა ბალახზე.

— სოსოია, ჩემო სოსოია, თქვი, რომ გიყვარვარ და მომკალი მერე, რაც გინდა, ის მიქენი, მომკალი, დამღრჩე, ოღონდ თქვი, რომ გიყვარვარ... — ჩურჩულებდა იგი.

მე დავიხარე ცუცასკენ, ხელი მოვხვიე წელზე, ტუჩებზე შევეხე ტუჩებით და უცებ შემეშინდა, ისე როგორც შემეშინდა ომის დაწყების პირველ დღეს დამუნჯებული ხალხის დანახვა, სოფელში პირველი სიკვდილის ცნობის მოსვლა, ბეჟანას სიკვდილის, და როგორც საკუთარი სიკვდილის ისე შემეშინდა. უკან, უკან დავიწიე, ცუცა ისევ იწვა და ტიროდა... მე ისევ უკან დავიწიე, ბუჩქს წამოვედე, გულალმა გადავარდი, წამოვხტი და უკან მიუხედავად გამოვარდი სოფლისკენ. მოვრბოდი უგზოდ, ღელეებზე, ბარდებზე, ღობეებზე, ჩირგვებზე, ვენახებზე, საყანეებზე, შეშლილივით შევვარდი ბესარიონა ზალიკაშვილის ეზოში, ავარდი აივანზე და ჩამავალი მზის შემყურე ხატიას ჩავუვარდი კალთაში.

— რა იყო, სოსოია ბიჭო? — მკითხა გაკვირვებულმა ხატიამ და გაოფლილ სახეზე ხელი მომისვა. მე სული ვერ მოვითქვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოგვიდა, სოსოია, რამე უბედურება ხომ არ მოხდა? — მკითხა შეშინებულმა ხატიამ, ხმა რომ ვერ გავეცი.

— ხატია, მიყვარხარ!.. — ძლივს ვთქვი მე და ავტირდი ხატიას კალთაში.

— მაგისთვის მორბოდი, ბიჭო? მეც კი მიყვარხარ. შე სულელო, შენ ყველას უყვარხარ, გითხრა ვინმემ არ მიყვარხარო, თუ რა გატირებს? — თქვა ხატიამ და ისევ მომისვა ხელი სახეზე.

— სულელი ხარ შენ, აბდალი, შტერი, არაფერი არ გესმის.

— აღარ იტყვი, სოსოია, რა მოგვიდა? — მკითხა ხატიამ.

— არაფერი, ხატია, სასაფლაოზე ვიყავი ბეჟანასთან და შემეშინდა, — ვუპასუხე მე.

— არ გრცხვენია მერე? — თქვა ხატიამ და გაიცინა.

— მრცხვენია... — ვუთხარი მე.

— არ უნდა წასულიყავი უჩემოდ, სოსოია, — მითხრა ხატიამ.

— არ უნდა წავსულიყავი უშენოდ, ხატია! — ვთქვი მე და ავდექი.

*

ვწევარ საწოლში გულაღმა, თვალღია და ჩაბნელებულ ჭერს ვუცქერ. ახლა გაზაფხულია, ბუხარში ცეცხლს აღარ ვანთებთ და საყურებელი არაფერია, მხოლოდ ჭერია, ლამფა, ფიცრებით გაწყობილი ჭერი. სიბნელეს თვალს ვაჩვევ, რაღაც დაბობღავს ჭერზე. ხან შეძვრება ბზარში და გაქრება, ხან ისევ გამოძვრება, ბუზია თუ ხოჭო, არ ძინავს მასაც, ვინ იცის, რატომ არ ძინავს.

დაღოდავს, ალბათ ვინმეს ეძებს, ისეთს, ვისაც არ ძინავს, აი ისევ შეძვრა ბზარში. ველოდები, ველოდები და აღარ გამოდის, ალბათ იპოვა ისეთი, ვისაც არ ძინავს და უყვება თავზე გადამხდარ ამბებს, ან ვერ იპოვა ვერავინ და უბრალოდ დაიძინა, ან არ დაიძინა, ისე დაწვა და ფიქრობს ჩემსავით თვალღია. ოთახის მეორე კუთხეში ისმის მამიდას ზომიერი სუნთქვა.

— მამიდა, გძინავს? — ვეკითხები მე. მამიდა ხმას არ მცემს. ძინავს ალბათ. მე მაინც ველაპარაკები მამიდას.

— მამიდა, მესამე წელია ომია, ჩვენს სოფელში ახლა ამდენი ქალია, რამდენის ქმარია ჯარში წასული, ზოგი ახალგათხოვილი იყო, ქმარი რომ ომში წაუვიდა. რა ქნან იმ ქალებმა, მამიდა...

. . . . .

ელოდონ უნდა ხომ? მაგი კი ვიცი მე, მაგრამ ვისაც დაეღუპა ომში ქმარი, იმან რა უნდა ქნას, მამიდა?

. . . . .

არ იცი, მამიდა?.. მე ვიცი აბა, ცოდვაა, მამიდა ქალები. ზოგი გათხოვდეს უნდა, ვისაც ნამდვილად დაეღუპა ქმარი, ვისაც არა, უნდა ელოდოს. ცუცას ხომ იცნობ შენ? ახალგაზრდაა სულ, ლამაზი, ღონიერი, ქმარი დაეღუპა, არავის უყვარს, რა ქნას ახლა იმან? თუმცა ვინ უნდა შეიყვაროს, ვის წაყვეს, ცოდვაა ცუცა, ძალიან ცოდვაა, ისე ცოდვაა, მეტირება...

. . . . .

შენ ამბობ, რომ ყველა ცოდვაო? მართალია, ყველა ცოდვაა, შენც ცოდვა ხარ, მე დიდი ვარ ახლა, შენ ბგონია არ ვიცი, რატომ არ თხოვდები? ჩემი გულისთვის არ თხოვდები, ეგშინია სხვის სიყვარულში ჩემმა სიყვარულმა არ გადაგიაროს, ქვეყანა ამას ამბობს, გადაყვა ძმისშვილის აღზრდასო, აღარ მინდა მე აწი იმდენი მოვლა, ჩემი გულისთვის რატომ არ უნდა გათხოვდე, ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეშინია, მე ყოველთვის მეყვარები. გათხოვდი, თორემ ცოდვა ხარ, მამიდა, შვილი არ უნდა გყავდეს?.. გათხოვდი, ჩემო მამიდა... ცუცაც უნდა გათხოვდეს, შენც უნდა გათხოვდე, ყველა უნდა გათხოვდეს, ვისაც შვილი არ ყავს და ქმარი არ ყავს. ცოდვაა ცუცა, ნათელა არაა ცოდვა? გოგონა არაა ცოდვა? შენც ცოდვა ხარ, ჩემო მამიდა...

— დაიძინე ბიჭო, რომ დავარდნილხარ ქადაგად, ვინ დაგალევია, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, — მეუბნება მამიდა.

— არ გძინავს, მამიდა? — ვეკითხები შერცხვენილი და თავზე საბანს ვიფარებ.

— დაიძინე, ბიჭო! — მიმეორებს მამიდა. მე მინდა დავიძინო, მაგრამ რა დამაძინებს!..

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრ პუშკინი

ზამთრის საღამო

თოვლის ბუქი ცამდის დგება,
ქარი ქრის და ჯანღია,
ხან ძაღლივით აღრინდება,
ხან მტირალი ბალღია,
თივა-ნამჯის არევით
ყავრებს მოინახულებს,
ხან გვიანი მგზავრივით
კარებს მოგვიკაკუნებს.

ჩვენი ქოხი — ძელუგანა —
ძველია და ბნელია.
რაო, ჩემო ბებრუხანავ,
რისთვის მოგიწყენია?
ერქნებ ქარის ნაღარამ,
ქარაშოტის გრიალმა,
ერქნებ ჯარამ დაგღალა, —
წაგთვლიმა და გეამა?
თანამგზავრო, ჩემო ტკბილო,
სიყრმის დღეთა აისო,
მომე თასი, ეგებ ღვინომ
გული გამიხალისოს!
თქვი სიმღერა: მოკვდა როგორ
ზღვისპირ სევდით მზეწვია,
თქვი სიმღერა: ქოხტა გოგო
წყაროს როგორ ეწვია.

თოვლის ბუქი ცამდის დგება,
ქარი ქრის და ჯანღია,
ხან ძაღლივით აღრინდება,
ხან მტირალი ბალღია...
თანამგზავრო, ჩემო ტკბილო,
სიყრმის დღეთა აისო,
მომე თასი, ეგებ ღვინომ
გული გამიხალისოს.

1825 წ.

თარგმნა **მურმან ლებანიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ორკესტრი ფიქრობდა

უშანგი ჩხეიძის ხსოვნას

I

სტუდიის იატაკი მოფარული იყო მაგნიტოფონის დანაკუწებული ფირებით. ლევანი და გიზო შუა ოთახში ჩაცუცქულიყვნენ და თვალგაცეცებულნი ისე დაჟინებით ქექავდნენ მტვერს, თითქოს მისი ატომების დანახვა სურდათ. როცა რომელიმე მათგანი მონაგვიანებულ პარკეტზე თვალს მოჰკრავდა მაგნიტოფონის მოკლედ წაჭრილ ფირს, გახარებული მისკენ წაბაჯბაჯდებოდა, ხელს წაატანდა და წამოიძახებდა:

— აი, კიდევ!

ისინი ეძებდნენ ფირის ნაგლეჯს, რომელიც ლევანმა შემთხვევით წააჭრა მეტად ძვირფას ჩანაწერს.

„როგორ დამემართა ეს, — ფიქრობდა კაცი — მაინცდამაინც ახლა“... „თუ არ ვიპოვნეთ, გაუჯავრდებიან მამას“, — ფიქრობდა ყმაწვილი.

როცა ძებნა-ძებნით ოთახის ყველა კუნჭული მოყნოსეს, ლევანი კარადებივით აყუდებულ დიდ მაგნიტოფონებთან მიიჭრა, შეგროვებული, დაწყვეტილი ფირები დაჰყარა და პატარა, ლამაზ შუშას საცობი მოაძრო. ოთახში აცეტონის მკვეთრი სუნი გაიბნა.

ლევანს გამალებით უძგერდა გული, დრო აღარ ითმენდა, სასწრაფოდ უნდა ეპოვნა ის დაკარგული სიტყვა, რომელიც შეცდომით წააჭრა მეტად ძვირფას ჩანაწერს. კიდევ არაფერი, თუ მანამდე რადიოკომიტეტის თავმჯდომარე დაურეკავდა და იმ ჩანაწერის მოსმენას მოისურვებდა, ამას როგორმე მოევლებოდა. თვითონ წარმოთქვამდა ან ვინმეს ათქმევინებდა იმ დაკარგულ სიტყვას, ჩასწერდა და მიაწებებდა, თავმჯდომარე ვერაფერს მიხვდებოდა. მაგრამ ვაი, თუ დღესვე, ამ საღამოსვე დაენიშნათ გადაცემა, მაშინ? მაშინ თავმჯდომარე დაურეკავდა ან უცნაურ კაცს, ლეგენდადქცეულ უჩა არგვეთელს, ჯერ ავადყოფობის ამბავს გამოკითხავდა, გაამხნევებდა, და ბოლოს ეტყოდა: ძალიან მოგვეწონა თქვენი ჩანაწერი, დიდ მადლობას გიხდით, ამ საღამოს გადავცემთ ამა და ამ საათზე და მოისმენეთო... მაშინ? მაშინ მოხდებოდა წარმოუდგენელი, საშინელი ამბავი — დიდი მსახიობი, აუცილებლად იცნობდა სხვის ხმას და...

ეს მარცხი რომ მოსვლოდა ლევანს სხვა მსახიობის ჩანაწერზე, ასე როგორ იდარდებდა, თუნდაც ის სხვა მსახიობი გამოჩენილი ხელოვანი ყოფილიყო. ალბათ, ისიც იცნობდა უცხო ხმას რადიოში, გაანჩხლდებოდა, იჩივლებდა, რადიოკომიტეტის თავმჯდომარეს დამდურებოდა, ლევანს საყვედურს

ეტყოდნენ, ანდა, იქნებ მოეხსნათ კიდევაც სამსახურიდან. უჩა არგვეთელი კი არც გაანჩხლდებოდა, არც იჩივლებდა, არც თავმჯდომარეს დაემდურებოდა — იგი მსხვერპლად შეეწირებოდა ამ ამბავს.

რამდენი მომაკვდავი ავადმყოფი უნახავს ლევანს, რამდენი ახლობელი ადამიანი მიუცილებია საფლავის კარამდე, მაგრამ ისე მძაფრად და ხელშესახებად არ განუცდია სიკვდილის სიახლოვე, როგორც იქ, უჩა არგვეთელის ბინაში. დიდი მსახიობი ჰგავდა თიხისგან გამოძერწილ საკუთარ ქანდაკებას, ამ თიხისთვის სული ჩაებერათ, მაგრამ ისე ძუნწად, ისეთი სატანური გამოანგარიშებით, რომ ეცოცხლა და ვერც ეცოცხლა, ესუნთქა და ვერც ესუნთქა. ეს სატანა ტკინში ჩაფრენოდა, სულ ოდნავ, ოდნავ გადაეჯგუფებინა უჯრედები და ამით დაეთრგუნა მსახიობი, დაერწმუნებინა, რომ აღარ შეეძლო ჩანელებულ დარბაზთან ბრძოლა, სცენის ფერადფერად სინათლეებთან გამოჩენა და კულისებიდან მონაბერი გრილი ჰაერის ატანა.

— მამა, გადავახვევ ბარეს! — თქვა გიზომ.

— ჰო, გადაახვიე! — ფიქრებიდან ამოტიტვივდა ლევანი და ხარბად ამოისუნთქა, ახოლოდ ახლა იგრძნო, რომ ფიქრისას სუნთქვა შეკვროდა .

იატაკზე აკრეფილი და გადაწებებული ფირებისაგან უკვე გრძელი ყავისფერი ხვეული გაჩენილიყო. მაგნიტოფონის ვერცლიხფერ დისკოში გიზომ ხვეულს ერთი წვერი ჩაამაგრა და ხელით დაიწყო დახვევა, თან თვალს არ აშორებდა გადაბმულ ნაკუწებს, რომლებიც თანმიმდევრულად ქრებოდნენ გორაგლში. ერთერთი მათგანი თავის ზედაპირზე ინახავდა დაკარგულ სიტყვას და გიზოს თითქოს მისი გამოცნობა უნდოდა.

— გათავდა! — თქვა ლევანმა და თითებზე შესქელებული, შემხმარი წებო ცხვირსახოცით გადაიქლესა. მერე იატაკი მოათვალიერა უნებურად, კიდევ სადმე ხომ არ გდია ფირის ნაგლეჯიო.

გიზოსაც გადასდებოდა მამის მღელვარება. გადამწყვეტი წუთი დგებოდა, თუ ამ შეკოწწებულ ხვეულაში ის დაკარგული სიტყვა არ აღმოჩნდებოდა, მაშინ...

ლევანს არც უნდოდა ამაზე ფიქრი, აღარც ჰქონდა სურვილი ამ აზრის გაგრძელებისა.

— მზად არის?

— კი, მამა!

— აბა, ვნახოთ! — ლევანმა შეამოწმა შვილის ჩაყენებული დისკოები, ყველაფერი რიგზე იყო, — ახლა ჩავრთავ, — თქვა მან, — კარგად უგდე ყური, მე შეიძლება გამომეპაროს.

— კი, მამა!

— ხომ გახსოვს, რა სიტყვაა?

— „ყოფნა“...

— ჰო... კარგად უგდე ყური!

ლევანმა სწრაფად ჩაჭკრა თითი პლასტმასის ნაცრისფერ ღილს და სწრაფადვე მოაცილა. დატრიალდა მაგნიტოფონის დისკო, ააშარიშურა, დასჭიმა ფირი და მეორე დისკოც გაიყოლია.

მამა-შვილს სუნთქვა შეეკრათ.

პირველად როიალის ხმა გაისმა. ლევანს მაშინვე გაახსენდა — ამ დილით ჩაიწერა ახალგაზრდა პიანისტი. ცხვირკეხიანი, გამხდარი ყმაწვილი, ეტყობა, სათუთად უვლიდა თავის სახელს; ბევრი აწვალა ლევანი, ეს ადგილი კი ერთი ათჯერ მაინც ჩააწერინა. მერე საუკეთესო ამოარჩიეს, დანარჩენები ლევანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსჭრა და იატაკზე გადაყარა, სხვა უვარგისი ფირების გვერდით. როიალის აკორდებს მოჰყვა ნაწყვეტი რომელიღაც უცხო სიმღერიდან, მერე მაგნიტოფონი ცოტახნით დადუმდა; ეტყობა ცარიელი ფირებიც აეკრიფოთ იატაკიდან ლევანსა და გიზოს.

დაბოლოს, ერთმანეთს მიჰყვა სხვადასხვა ნაწყვეტები იმ ჩანაწერებიდან, რომლებზედაც დღეს მუშაობდნენ სტუდიაში:

„...ტკბილად ძგერ-ერს გული...“

„მოსკოვში ყოფნისას ნორბეტ ვინერმა განაცხადა...“

ფეხბურთის მარშის ნაწყვეტი,

ლევანის ხმა ფირზე შემთხვევით ჩაწერილი:

„... ნაგომარის კოლმეურნეებმა წელს ორჯერ მეტი...“

მერე ცალკეული სიტყვები, თუ ნახევარსიტყვები, ნაწყვეტები საესტრადო და სიმფონიური მუსიკიდან, ისევ სიტყვები, შუაზე გაწყვეტილი ფრაზები... ფირი გაილია, გადნა, მთლიანად გადაეხვია მეორე დისკოს და დაჭრილი ჩიტივით აფართხალდა, ის დაკარგული სიტყვა კი აღარსად ჩანდა.

მაგნიტოფონი დადუმდა.

მამა-შვილმა ერთმანეთს შეხედეს. ლევანმა მხრები აიჩეჩა და გაოცებულმა, ხელისგულები შეატრიალ-შემოატრიალა, თითქოს ცეცხლზე ითბობსო, მერე სკამზე შემობრუნდა და უმწეო მზერით კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იატაკს.

— სად უნდა დაკარგულიყო? — იკითხა გიზომ.

ლევანმა ფანჯარაში გაიხედა: დილით წვიმდა, ახლა ნისლს გადაეყარა მამადავითის მთაზე, მხოლოდ ბამბის ფთილებივით აქა-იქ წამოსდებოდა ბუჩქებს ნისლის მკრთალი ნაფლეთები. მთაწმინდაზე აღმართული ტელევიზორის კოშკის წვერი საათის ისარივით ეხებოდა მზეს.

— ახლაც სველია ქუჩები, — თქვა ლევანმა, — რამდენი კაცი შემოვიდოდა დღეს ამ ოთახში. ვაი, თუ ვინმეს აეკრო სველ ლანჩზე და თან გაჰყვა, — ლევანი ფანჯარას მოსცილდა.

— მამა, — თქვა გიზომ, — იქნებ თვითონ არც უთქვამს ის სიტყვა? ანდა, იქნებ მიკროფონი ჩართე გვიან და...

— ყველაფერი რიგზე იყო, — ხელი ჩაიქნია ლევანმა, — ჩემი ბრალია...

— მამა... მეორე სიტყვა რომ გადაეწეროთ ცალკე?

— რა მეორე სიტყვა?

— „არყოფნა“!

— მერე?

ლევანს ჩაეცინა, უკვე მიხვდა, რასაც იტყოდა შვილი...

— წინ მოვაცილოთ ორი ასო, გამოვა — „ყოფნა“!

... მაგრამ არ დასცინა შვილს, უბრალოდ აუხსნა:

— „არყოფნა“ სულ სხვა სიმღერაზე აქვს ნათქვამი, ჩურჩულად ქცეულია, ეგრე რომ მოვიქცეთ, დიაკვანივით ერთ ხმაზე გაიბმება... მაგას უჩა აოგვეთელი კი არა, უბრალო მსმენელიც მიხვდება.

— მამა, — კვლავ წამოიწყო გიზომ, უნდოდა რაღაც მოესაზრებინა, მიუგნებელისთვის მიეგნო და, რაც მთავარია, მისგან გამოსულიყო ეს თაოსნობა.

— მამა, შენ ხომ კარგად გახსოვს მისი ხმა... იქნებ...

— გგონია, არ ვცადე? — კვლავ მიუხვდა ლევანი, — სანამ შენ მოხვიდოდი, ვიდექი მიკროფონთან და კაი არტისტივით ათასნაირად ვიცვლიდი ხმას... ჩავიწერე, გავსინჯე; არაფერი მისი მსგავსი... როგორ არ მახსოვს, კარგად მახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოვს არგვეთელის ხმა... ახლაც ჩამესმის ყურებში, მაგრამ გამეორება არ შემიძლია, ჩემი ყელი სხვაგვარადაა მოწყობილი... სხვა ხმა ამოდის...

უეცრად კარი გაიღო და საშუალო ტანის თავმოტვლეპილმა კაცმა შემოიხედა. მისმა ყავისფერჩარჩოიანი სათვალის შუშებმა ფანჯრიდან შემოსული დღის სინათლე აირეკლეს და თვალები გააუჩინარეს. ლევანს ფერი ეცვალა. ეს რადიოკომიტეტის თავმჯდომარე იყო.

— რა ჰქენი... მიგიღო? — თქვა თავმჯდომარემ და კარებში გაიხედა, ეტყობა, ლევანის პასუხზე იყო დამოკიდებული მისი წასვლა თუ დარჩენა.

— მიმიღო, ბატონო კოტე!

— რას ამბობ?! — კარი მიხურა და ოთახში შემოვიდა კოტე, ახლა მისმა თეთრმა, ფართე კბილებმაც აირეკლა დღის სინათლე, — ჩაგაწერინა?

— დიახ...

— მერე რატომ არ შემატყობინე?!

— აი... ამ წუთში მოვედი და... — იცრუა ლევანმა და გიზოს მხარზე ხელი დაადო.

— ო, გიზო, გამარჯობა შენი... — წამოიძახა კოტემ, — რაშია საქმე, ძალიან მოუხშირე აქ სიარულს, — თავმჯდომარე ისევ ლევანს მიუბრუნდა, — შეცვლას ხომ არ გიპირებს?

— რა ვიცი, იქნებ აქვს გულში. — უღიმღამოდ გაეცინა ლევანს.

— გიზოს აწყობილი რადიო ვნახე ბავშვთა გამოფენაზე... შენ ხომ არ დაეხმარე, გამოტყდი!

— არა, თვითონ ააწყო.

— ჰოდა, ფრთხილად! — გაიღიმა კოტემ და გიზოს თავზე ხელი გადაუსვა. სათვალის შუშების ანარეკლი მაგნიტოფონის მეტალზე ათამაშდა.

— რა ჩაგაწერინა?

— „ყოფნა, არყოფნა..“!

— ოჰ, დიდებული, დიდებული! — თავმჯდომარის ხელები ერთმანეთს შეეფერნენ, — ღელავდა?

— ძალიან, ბატონო კოტე!

— მაინც?

— ჯერ დიდხანს იწვა სავარძელში, ხმას არ იღებდა, ვიფიქრე, ალბათ დავავწყდი-მეთქი, მერე წამოდგა... „დავიწყოთო“, თქვა, ოთახში გაიარა და მიკროფონთან შედგა. მაგრამ როგორც კი მაგნიტოფონი ჩავრთე და ფირი დატრიალდა... ხმა ვეღარ ამოიღო, აკანკალდა...

— უყურე, კაცო, შენ?!... მერე?

— მერე გადაწყვიტეთ ზეწარი აგვეფარებინა, ეს თვითონ მოისაზრა... არ მეგონა, ასე თუ შემიწყობდა ხელს, ასე თუ უნდოდა ჩაწერა... გაკიდული ზეწრის იქით დადგა, მიკროფონსა და მაგნიტოფონს ვეღარ ხედავდა... მაინც არაფერი გამოვიდა, უფრო აღელვა უჩინარმა მიკროფონმა.

— უყურე, კაცო, შენ?! უყურე... მერე, მერე?

— მეზობელ ოთახში გავიდა, ცოტახნის შემდეგ დამიძახა... იქნებ აქ მოხერხდესო... ბოდიში მომიხადა... გადავიტანე მაგნიტოფონი, გავაწყე. ვხედავთ, ფანჯარასთან დამდგარა, ფარდის წინ, ცალი ხელი ფარდისთვის ჩაუჭიდნია, ასე დაიწყო მონოლოგი.

— ჰო, ვიცი იმ ფარდის ამბავი, — სინანულით თქვა კოტემ, — მაგ ფანჯარასთან გახდა პირველად ცუდად... — ლევანის ცნობისმოყვარე თვალებს წაეწყდა და განაგრძო, — თეატრიდან დაბრუნდა გვიან, ოცი წელია მას შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ... ფანჯრის გაღება უნდოდა... შუაში რაღაც თუ ვიღაც მოლანდებია, თავ-ბრუ დახვევია... დაცემული, მერე თეატრს აღარ უნახავს უჩა არგვეთელი... ფანჯარას ფარდა ააკრეს.

— სულ აღარ გამოსულა სცენაზე? — ჰკითხა ლევანმა.

— ერთხელ სცადა, მთელი სეზონი ემზადებოდა, მახსოვს რა ამბავი იყო თბილისში, სცენას უბრუნდებაო... პირველი მოქმედება ძლივს დაამთავრა, საავადმყოფოში წაიყვანეს.

— დღესაც, — თქვა ლევანმა, — დაამთავრა თუ არა მონოლოგი, სავარ-ძელში ჩაიკეცა. საბანი გადაიხურა და გაინაბა, ვიფიქრე... ყველა ასე იფიქრებ-და... ხომ არ კვდება-მეთქი.

— მაგის ავადმყოფობაც ეგ არის!

— რა, ბატონო კოტე?

— ეჩვენება, რომ აღარაფერი შეუძლია... როგორც კი რამეს გააკეთებს, ჭგონია, მთელი სასიცოცხლო ძალა დახარჯა და წვება, შეშდება... მარტო თა-ვის მიმართ რომ იყოს ეშვიანი, რაღაც ეშველებოდა, მაგრამ სულ თვალებში რომ შემოგაცქერის? ხომ არ მატყუებენო, ხომ არ დამცინიანო... — თავმჯდო-მარემ ქვედა ტუჩი მოიღეჭა და ოდნავ შეშფოთებულმა თქვა, ბოროტება ხომ არ ჩავიდინეთ?

— რას ამბობთ, ბატონო კოტე, თქვენ დიდი საქმე გააკეთეთ, ასეთი ჩანა-წერი დარჩება ხალხს, — ლევანი გაწითლდა, — როგორ გეკადრებათ, პირიქით, მადლობა შემოგითვალთ ყურადღებისათვის!

— მართლა?

— ამას გარდა, ვინ იცის, რა მოხდება, ყოველდღე მოსალოდნელია... — აღარ დაამთავრა ლევანმა და განაგრძო, — ვუთხარი, თუ შეუძლოდ ბრძანდე-ბით, სხვა დროს ჩავწეროთ-მეთქი, ისე შეეშინდა, სახელოში ჩამაფრინდა, არაო, დღესო, დღეს ჩავწეროთო...

— თამაშობდა?

— რა ბრძანეთ?

— თუ თამაშობდა-მეთქი, მონოლოგის კითხვის დროს, თუ მოძრაობდა...

— არა. იდგა და ხანდახან ძლივს შესაჩნევად ერხეოდა ტანი...

— იქნებ სწორედ იმ დროს თამაშობდა საწყალი, — სინანულით წარმოთქ-ვა კოტემ, — გულისხმობდა რომ თამაშობდა და ხედავდა კიდეც საკუთარ თა-მაშს, შენ კი, რა თქმა უნდა, ვერაფერს ხედავდი... ჩანაწერი თუ მოისმინა?

— შევთავაზე და ისე შეშფოთდა... არა, არაო, ხელები გაასავსავა, მეო-რედ აღარც შემიხსენებია.

— გაურბის, ეშინია, — თქვა კოტემ — გრძნობს, რომ ძველებური ხმა აღარა აქვს და არ უნდა საბოლოოდ დარწმუნდეს.

— თქვენ ხომ არ მოისმენდით, ბატონო კოტე? — უეცრად წამოსცდა ლე-ვანს და კინაღამ თავში ხელები იტაცა. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, უნდა შეეთა-ვაზებინა თავმჯდომარისათვის ფირის მოსმენა, მაგრამ სულ აღარ გაახსენდა, რომ...

— ახლა მეჩქარება, — თქვა კოტემ, და კარი გამოაღო — ლევანს და გი-ზოს გულზე მოეშვათ, — ხვალ დილით მოვისმენ... თორმეტზე გადავცეთ, კი-დევ კარგი გამახსენდა; დავურეკავ უჩა არგვეთელის დას, გავაფრთხილებ!

თავმჯდომარე გავიდა, მერე ისევ შემოაღო კარი.

— დღევანდელი „პრავდა“ ხომ არ გაქვს? — ჰკითხა ლევანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა!

— საჰარაში აუფეთქებია საფრანგეთს ატომური აუმბარა.

— რას ამბობთ, მართლა?!

— აბა! — თავი გააქნია კოტემ და კარი გაიხურა.

ლევანი ისევ აწრიალდა, ისევ უმწეოდ მოათვალიერა იატაკი, ახლა უფრო გაუწწავდა დარდი, რადგან ზუსტად დაუსახელეს ვადა—ხვალ დილამდე უნდა გამოესწორებინა შეცდომა, მაგრამ შეიძლებოდა ამ შეცდომის გამოსწორება? ლევანს არაფერი ეგულებოდა.

— მამა, — ისევ დაიწყო გიზომ, — რა იქნება რომ მიხვიდე და აუხსნა, ასე დამემართა-თქო, ბოდიში მოუხადო... ერთი სიტყვის ჩაწერას რა უნდა?

— შენ ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო! — გველნაკბენივით შემოუბრუნდა ლევანი, — სად უნდა მივიდე?!

— უჩა არგვეთელთან... ბოდიშს მოუხდი და ეტყვი, რომ...

— შენ უსმენდი ძია კოტეს ლაპარაკს?

— ვუსმენდი.

— მერე? ეტყობა, ცუდად უსმენდი... იმას კი არ დაიჯერებს უჩა არგვეთელი, შემოხვევით სიტყვა წაჭრესო, იფიქრებს, საშინლად წარმოვთქვი მონოლოგიო, მოეჩვენება, რომ ჩვენ არ მოგვეწონა, არავის მოეწონა და ახლა მიზეზს ვეძებთ, გვინდა როგორმე კარგად ვათქმევინოთ... რას ამბობ, ეს ელდასავით დაუფლეთს გულს!

ლევანმა ქუდი დაიხურა.

„რაღაც მოიფიქრა მამამ“, გაუელვა გიზოს, თვითონაც წამოდგა და პალტო ჩაიცვა. ისინი ოთახიდან გამოვიდნენ და რადიოკომიტეტის კიბეებს დაჰყვნენ.

რუსთაველის პროსპექტის ჩრდილო მხარე მზეს სულ გაეშრო, გამვლელებიც იმ ტროტუარს ეტანებოდნენ. სამხრეთი ნახევარი საღებავივით ერთმანეთზე დადებულ სახლების ჩრდილსა და სისველეს ჩაემუქებინა. ორი შემოდგომა იდგა ქუჩაში, ერთი ზამთრის, მეორე ზაფხულის საზღვართან.

ლევანმა და გიზომ ქუჩა გადასჭრეს.

— მე თეატრში შევივლი. — თქვა ლევანმა, — იქნებ ვნახო ვინმე... შენ რას იზამ, წახვალ შინ?

II

მსახიობი იწვა გრძელ, გაცრეცილ სავარძელში, მკერდამდე გადაეფარებინა ბამბაზიის თხელი საბანი, რომელიც სხეულის მინავლებულ სითბოს ერთგულად დარაჯობდა, თითქოს აგროვებდა, ამხურვალებდა და უკანვე უბრუნებდა პატრონს. საბნის ცალი კალთა იატაკზე ეფინა, მხოლოდ თექის ჩუსტის წვერი ჩანდა მის გარეთ. მუხლებს ჩაფრენილი, ფერმკრთალი თითები მოკრუნჩხულიყო, ხელისმტევნები ამოებურცა და მკლავების მთელ სიმძიმეს იკავებდა. ეტყობა, უეცარმა ფიქრმა მოუსწრო და ამ მდგომარეობაში გააშეშა.

სქელ, გადაბმულ წარბებქვეშ ენთო დიდი, ცისფერი გუგები, თითქოს მათი უხილავი შუქი ანათებდა ოთახის თეთრ კედლებს. სავარძელი ოდნავ, სულ ოდნავ ქანაობდა, ანდა, იქნებ ეჩვენებოდა ეს, იქნებ ის მწვანე ფარდა ქანაობდა, რომელიც სულ ერთიანად ფარავდა დიდ ფანჯარასა და დიდ ქალაქს. რამდენი წელია ეს ფარდა არ გაღებულა... ორ ტოტად ჩამოშვებული, შუაში ძაფით გაუკერავთ, მხოლოდ იატაკთანაა ოდნავ გახსნილი, როგორც სცენის ფარდას ხატავენ ხოლმე მოსაწვევ ბარათებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობი რაღაცის მოგონებას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოეგონებინა... წუთის წინ... თუ ამ დილით... ანდა, იქნებ გუშინ იყო ეს, რაღაც ეწყინა, რაღაცამ საშინლად დაფრთხო... სისხლის მაგვარად თითქოს მწარე ნაღველი მიედინებოდა ძარღვებში, გული თითქოს ჩამოწყვეტილიყო და მკერდში გორაობდა... რაღაცამ თავზარი დასცა წუთის წინ... თუ ამ დილით იყო ეს... იქნებ გუშინაც, მაგრამ ვერ გიგსხენებინა, ვერაფრით მოეგონებინა. მხოლოდ ეს ახსოვს, რომ ადამიანმა აწყენინა, ადამიანმა შეუშფოთა ისედაც შეშფოთებული სული, მაგრამ უკვირდა, დღეს არაგინ უნახავს დის გარდა, რომელიც ახლა უკანა ოთახში ზის და, მგონი, თბილ საბანს ლამბავს მისთვის... უკვე აცივდა. მოთოვს მალე... არავინ მოსულა და ვის უნდა შეეშფოთებინა?... ჰო, რადიოდან იყვნენ... როგორ აწვალეს, თვითონაც ბევრი აწვალა.... რადიოდან იყვნენ, მაგრამ მათ არაფერი უთქვამთ საშინელი, არც საწყენი.... მგონი, არაფერი უთქვამთ...

და დიდ, ცისფერ გუგებში თანდათან წითლდებოდა უფაქიზესი ძაფები, დაქსაქსულნი და ფიქრებივით შუა გზაზე მიტოვებულნი.

ფარდას შესცქეროდა უჩა არგვეთელი, ფარდა მალავდა ფანჯარას, მალავდა ქალაქს, რომელიც მას დიდიხანია აღარ დაუნახავს ამ ფანჯრიდან. უჩას ელანდებოდა თავისი ახალგაზრდობა, ახსენდებოდა ის თბილი, სანუკვარი ღამეები, როცა თეატრიდან გვიან დაბრუნებული ამ ფანჯარას გამოაღებდა და საყვარელ ქალაქს გაჰხედავდა, თითქოსდა, უამისოდ სპექტაკლი დაუმთავრებელი და როლი შეუსრულებელი რჩებოდა. ხშირად ამხანაგებიც შემოჰყვებოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ გამთენიამდე გიტარას უნდა ეკვნესა და ღვინით სავსე ჭიქებს ეწკრიალნა, ანდა, აივანზე გამოსულო, ქალაქისა და მთვარის შერეულ შუქზე, იდუმალი ჩურჩულით ელაპარაკნათ დიდი რეჟისორის შესახებ, რომელიც თურმე პიესას ეძებდა თეატრისათვის. მაშინ ქვეყანას სჭირდებოდა ახალი ხელოვნება და ეს ტვირთი თურმე უნდა ეკისრათ (მაშინ რას იფიქრებდნენ) იმ თბილ ღამით აივანზე მობაასე ახალგაზრდა მსახიობებს. დრო ნიშნისმომგები სისწრაფით მიჰქროდა, წუთსაც არ იმეტებდა მათი დავაქაცებებისა და დაოსტატებებისათვის, უნდა შეწირულიყო ლამაზი მსხვერპლი, თორემ სიცარიელე ვინ იცის რას არ შეისრუტავდა.

რაღაც ჯადოქრული ძალებით, დიდ რეჟისორს ზამთარში უნდა აეყვავებინა გაზაფხულზე ასაყვავებელი ნერგი, და მან ყველაზე გულსავსე, ყველაზე ფესვმაგარი ნერგი აირჩია — ეს იყო ჭაბუკი უჩა არგვეთელი. ამ ნერგზე წლების განმავლობაში გულთმისანი მებაღესავით ამყნობდა დიდი რეჟისორი ხან ლეღვს და ხან ჭინჭარს, ხან დიდ სიყვარულს, ხან დიდ სიძულვილს: ნერგი უძლებდა ქარიშხლებს, სანამ უჩვეულოდ მსხმოიარე ტოტები არ დადაელწა და გულს ჭია არ გაუჩნდა. ახალმა თეატრმა ნაბიჯი გამართა, წამოიზარდნენ, დაოსტატდნენ ხელოვანები და მაშველი რაზმივით მიაშურეს თეატრის მწვერვალს, რომელსაც აქამდე მარტოდმარტო იცავდა უჩა არგვეთელი...

...რა იყო ის? ან ვინ იყო? რა აწყენინეს? ვინ შეაშფოთა? ალარ ახსოვს... არადა, უნდა ახსოვდეს, რადგან აი, ახლახან მოხდა... ამ ერთი წუთის წინ, თუ ამ დილით... იქნებ გუშინაც...

განვლილი წლები ახლა კიბეებად ეჩვენება უჩას, ნამდვილ კიბეებად, სადაც ერთმანეთს ცვლის ტანჯვისა და სიხარულის საფეხურები. აი, 1921 წელი, ეს პირველი საფეხურია, ზემოთ და ოღნავ ირიბად მას დაყრდნობია 1922 წელი. შემდეგ 1923, 1924. მიიწევს მაღლა უჩა, მიიწევს ნელნელა, ხან უადვილდება საფეხურის დაძლევა, ხან ტყვიასავით უმძიმდება სული და სხეული. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ადის, მაღლდება მომდევნო საფეხურზე. ეს 1925 წელია. შემდეგ 1926, 27, 28... ბოლო საფეხურს 1934 წელი აწერია. აი, აქედან გადმოვარდა უჩა. უკანვე ჩამოუქროსა საფეხურებს, ჩასცდა კიბეებს, სარდაფს და სადღაც ბნელეთისაკენ გაფრინდა. მაღლა დარჩა ის კიბეები, ქვეყანა, თვითონ კი მილივლივებს ქვემოთ, გული უფრიალებს, როგორც სიზმარში, ეშინია სადღაც არ დაასკდეს მყარს და სული არ ამოსძვრეს. მაგრამ ვარდნა ხანგრძლივია, უსასრულოა, რადგან იგი საუკუნეები ყოფილა, ეკუდმა განლაგებული და პირქვე გადმხობილი... მეცხრამეტე... მეთვრამეტე... მეჩვიდმეტე... მეთექვსმეტე...

„...— ვინ მოჰკლა კომანდორი?

— ფუენტე ოვეხუნამ!“

— „ვინ მოჰკლა კომანდორი?

— ფუენტე ოვეხუნამ!!“

. . . . . .

...ჰაერში გაქროლილ უჩას თვალი მოჰკრა აბჯარასხმულმა მუზარადიანმა რაინდმა, ქუსლი ჰკრა გაძვალტყავებულ ცხენს, შუბი მოიღერა და დაედევნა...

...იცნო უჩამ, როგორ არ იცნო... ოდესღაც სურდა ამ იდალგოს სახე განესახიერებინა სცენაზე, ეს მისი ოცნება იყო, ეს დიდ რეჟისორსაც უნდოდა, მაგრამ...

...ეღიმება უჩას, რამ შეაშფოთა ის რაინდი? უჩა ხომ მხოლოდ მოჩვენებაა.

...რაინდი მტვერმა დაჰფარა, ხრიოკ შარაზე ავარდნილმა თეთრმა მტვერმა...

...და მიჰქრის უჩა საუკუნეებში... ვიღაც შავებში მოსილი ქალი გამოჰყურებს სარკმლიდან... შემკრთალი, სასოწარკვეთად ქცეული... უჩა ხელს უქნევს ქალს და უეცრად ესმის მისი კივილი:

„იგი შეეფიცა სინაგოგაში!...“

და სარკმელი ქრება, ქრება ძვირფასი ივდითი... და მიჰქრის უჩა საუკუნეებში...

...ჰმ, საოცარია... და სასაცილოც... ამ ციხე-დარბაზს, ამ დახავსებულ კედლებს უჩა ახლა აჩრდილად მოევლინა... ჰამლეტს კი სხვა თამაშობს... ისეთივე ახალწვერულვაშაყრილი მსახიობი, როგორიც თვითონ იყო ოდესღაც... და იგი მისდევს უჩას: მამის აჩრდილი თუ ჰგონია... და უჩა ამოსძახის სარდაფიდან: „შეჰფიცეთ!“ და იცის, რას იტყვის ახლა ჰამლეტი; ჰამლეტი იტყვის: „ჩუმად, ჩუმად იყავ! ტანჯულო სულო!“ და მაყურებელთა დარბაზი შეძრწუნდება, ვიღაცას გააყრაოლებს, ვიღაც აცრემლდება...

...და ასე მეორდება ყოველდღე. ყოველდღე ვარდება მეოცდათოთხმეტე საფეხურიდან და მიჰქრის უჩა საუკუნეთა უძირო ჭაში, მოგონებათა უსასრულო, დახლართულ ძაფს მიჰყვება და იმავე ძაფით უბრუნდება თავის სავარძელს, სნეულებას და მწვანე ფარდას... თვალს მოავლუს ოთახს და ახლა უკვე დინჯად, უშფოთველად, დალაგებით შლის წარსულის ფურცლებს; ახსენდება თავისი ყვარყვარე და სქელ ტუჩებს ადვილად იყოლიებს ღიმილის ნერვი, ახსენდება „მზის დაბნელება“ და იცინის. გულში იცინის. ხარხარებს, ამ დროს მხოლოდ თვალებში გამოორთქლავს შინაგანი დუღილი და იბინდება თვალები ნეტარებისაგან... თვალწინ უდგას სტუდენტური სიმშილის დღეები... სტუდენტური დასი... მოწვეული რეჟისორი და უეცრად აღმოჩენილი უამრავი „მსახიობი“, რადგან რეჟისორის კაპრიზის წყალობით იმ სპექტაკლში სცენაზე ნამდვილი საჭმელები შემოჰქონდათ. და იცინის, სული ეგუბება მწარე სიცილისაგან... დაბოლოს, მოგონებები მუდამ უბრუნდება ერთდაიმავეს, ოცნება ყოველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის შემოსავს დანიის პრინცის მოსასხამით, მისცემს ხელში მახვილს, რათა ოდნავ წინ გადიიხაროს და ეკვიანი თვალები შეანათოს ლაერტს... (ო, ეს დაშრ[illegible] მოწამლულია...) და ამ დროს ამოტივტივდება დიდი რეჟისორის სახე, იგი დაძაბული, თვალები უკვესავს, ყველას გადასდებია მისი იდუმალი მღელვარება და მსახიობები უსმენენ მას: „სადარაჯოზე მოხდა უცნაური შემთხვევა: ნაშუადამევს, როდესაც საათმა დაჰკრა თორმეტი, საგუშაგოზე მდგომთ გამოეცხადა გარდაცვლილი მეფის აჩრდილი, აი, ახლაც დრო უახლოვდება ნაშუადამევს და ეს ურუანტელსა ჰგვრის გუშაგად მდგომ ფრანცისკოს...

...პიესა იწყებოდა მუსიკით, სცენის სიღრმიდან პირველ კულისებამდე ეშვებოდა ელსინორის კოშკის კიბეები.

...ჰამლეტი გამოჩნდებოდა ზევით, კიბის დასაწყისში, მომხდარი ამბების ზეგავლენით განაწამები, ძილგატეხილი და გრძნობაგაფორიაქებული მდიოდა სასახლიდან. ისე აღგზნებული იყო (ჰამლეტი თუ უჩა?), რომ სრულიად შეუგნებლად მიათრევდა ცალი ხელით მოსასხამს...

ახსოვს, პირველ გენერალურ რეპეტიციაზე დიდი რეჟისორი ყვირილით ამოვარდა სცენაზე, გადაუღეღა მკერდი, გაუხსნა სახელოები და აუშალა მთელი ტანისამოსი... მართლაცდა, ისეთ განწყობილებასა და მდგომარეობაში არ შეიძლებოდა ჰამლეტი კოხტად და წესრიგზე მორთული ყოფილიყო...

...კიბეზე ეშვებოდა ნელნელა, შეჩერებით. როდესაც საფეხურებს ჩაათავებდა, ღრმა მწუხარებით მოცული, მიეყრდნობოდა კედელს. აქ დადუმებოდა მუსიკა, და დიდი პაუზის შემდეგ იწყებდა პირველ მონოლოგს... მონოლოგი თანდათან ძლიერდებოდა, აღწევდა მწვერვალს, და უჩას ნერვული სიცილი აუტყდებოდა...

„განცდა, მეტი განცდა!“ ახლაც ჩაესმის უჩას დიდი რეჟისორის ხმა დარბაზიდან.

„განცდა, მეტი განცდა!...“

ამ მოთხოვნამ უჩა იქამდე მიიყვანა, რომ ჰამლეტის მწუხარება და სიხარული საკუთარ გრძნობებად აქცია, მისი გონებით დაიწყო აზროვნება, მისი თვალით ხედვა და ყურით მოსმენა. შეისისხლხორცა, აითვისა და ჰამლეტის განყენებული, ბუნდოვანი სახე თანდათან გაითქვიფა. შთაინთქა, ჩაიმალა მის სხეულში. და ნაცვლად ამისა, წამოიზარდა საკუთარი, ხორცშესხმული ადამიანი... და ემართებოდა უცნაური რამ: როგორც კი მარტო დარჩებოდა, თუნდაც ქუჩაში, იგი ცდილობდა გაეხსენებინა რომელიმე ადგილი პიესიდან და სათანადო განწყობილება გამოეწვია, და გამვლელები გაოცებულნი გააყოლებდნენ ხოლმე მზერას.

... იგი მოდიოდა ნელა, განაწამები, დიდი ტანჯვისა და ფიქრების შემდეგ (ეს მეორე მოქმედება იყო), რათა ლოცვაში მაინც ეპოვნა შვება, მისული იყო თითქმის არანორმალურ მდგომარეობამდე, ფიქრებში წასული იმდენად, რომ ვერც ამჩნევდა (ჰამლეტი თუ უჩა?) ცალ ფეხზე ჩაკარდნილ წინდას. გულგადახსნილი, არეული სახით, მაგრამ გარეგნულად თითქოს შებოჭილი, შინაგანად აღელვარებული, იგი შემოდიოდა სამლოცველოში, დაუშვებოდა მუხლებზე, აპირებდა ლოცვას, მაგრამ ვერ ახერხებდა, და დიდი დუმილის შემდეგ იწყებდა სადღაც, ფიქრების სივრცეში წასულ „ყოფნა, არყოფნას...“

...და მერე უჩა გამოექცა სცენას, რადგან სცენა მას გადაემტერა, გამოექცა დარბაზს, რადგან დარბაზმა ვეღარ იცნო, ავადმყოფობის პირველივე დღეებმა იგი ამ ოთახში გამოამწყვდია. და უჩას ბანგივით მოუნდა ნაცნობი სურნელება, ფერადი სინათლის სვეტთა თამაში, ფარდის შარიშური და ოწინარის უსია-

მოვნო ჭრაჭუნი კულისებში. მოენატრა თავისი კოლეგები და ის ნაცნობი რეპლიკები, რომლის შემდეგ იწყებდა ხოლმე თავის მონოლოგებს...

და ერთხელ ამ სურვილმა მისი პატარა ოთახი გადააქცია მაყურებელთა დარბაზად, თვითონ ათას მაყურებლად გარდაისახა, ათას თვალად და ყურად, და მზერა და სმენა მიაპყრო ფანჯრის ფარდას...

ჭერიდან იატაკამდე ჩამოშვებული მწვანე ფარდა ყოველ საღამოს იხსნებოდა, იხსნებოდა მისი გონების დაფაზე და ფანჯრის ჩარჩოებს შორის თამაშდებოდა ის პიესა, რომელიც რამდენიმე კვარტალის მოშორებით თეატრის სცენაზე მიდიოდა. პირველ წლებში ეს სანტკარო ილუზია არაფრით განსხვავდებოდა სინამდვილისაგან; უჩას ზეპირად ახსოვდა ყოველი სცენა და ყოველი პაუზა, და ხდებოდა ხანდახან საოცარი რამ — როდესაც ოთახში გამომწყვდეული უჩა თვალებს გაახელდა და მისი ფანტაზია კვლავ დახურავდა ფანჯრის ფარდას, რაც მოლანდებული სპექტაკლის დამთავრებას ნიშნავდა, რამდენიმე წუთის შემდეგ, მისი სახლის აივნის ქვეშ თეატრიდან გამოსული მაყურებლები ჩაივლიდნენ.

მერე და მერე მოჩვენების გამოწვევის უნარი დაუჩლუნგდა უჩა არგვეთელს, ავიწყდებოდა თანმიმდევრობა სცენებისა, ვეღარ იხსენებდა რეპლიკებს. დრამაც ახალი მოიტანა, ძველი სპექტაკლებიდან თითქმის აღარცერთი შემორჩა თეატრს. მოვიდნენ ახალი დრამატურგები, შეიქმნა ახალი პიესები, უჩასათვის უცნობი და უცხო ნაწარმოებნი. და მისი გარდასახვის ნებისყოფა უკვე ვეღარ ერეოდა, ვეღარ აქცევდა ფანჯრის ფარდას თეატრის ფარდად, ვეღარ ათამაშებდა ცეროდენა მსახიობებს ფანჯრის რაფაზე. უჩა არგვეთელს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა ხდებოდა მის საყვარელ თეატრში. ეს აუტანელი იყო. ეს იგივე იყო, რომ არ სცოდნოდა რა ხდებოდა მის თავს — ეძინა თუ ეღვიძა, ხარობდა თუ ნაღვლობდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

და ზამთრის ერთ საღამოს პალტო ჩაიცვა, თბილი საყელო ყურებამდე აიწია, ნიკაპიც თბილ ყელსახვევში ჩამალა და სახლიდან გაიპარა. ყველასთვის შეუცნობი, იჯდა იგი თეატრის ქანდარაზე და ახალ სპექტაკლს უყურებდა, ეს იყო თერთმეტი წლის წინათ, ომის დროს...

...ნაზმა და ნაცნობმა თითებმა შუბლი გაუგრილა უჩას. ფიქრები დაფრთხნენ და დაიფანტნენ. თვალები მაღლა აღაპყრო უჩამ, და ადგა. წამლით სავსე შუშა ეჭირა ხელში.

— დალიე, უჩა!

— ასე მალე?

— რაღა მალე, ოთხი საათი გავიდა!

უჩამ მორჩილი ბავშვივით გაღო პირი და ჩაის კოვზიდან უფერული და უგემო სითხე შესვა.

— ნინო... რა თქვი შენ ახლა... რა გავიდა?

— ოთხი საათი გავიდა-მეთქი!

უჰ...

გაახსენდა!!

საათი...

ამ დილით საათმა შეაშფოთა...

გაახსენდა, როგორც იქნა...

ამ დილით კი არა, წუხელ იყო ეს!

საათმა შეაძრწუნა...

ყველაფერი გაახსენდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— უჩა, გაიზომე!

ნინომ სვიტრის საყელო გაუწელა ძმას და თერმომეტრი ჩამალა.

უჩა კედლის საათს აჰყურებდა... მაშინაც მუშაობდა ეს საათი, მაშინაც ასე ᲣᲩᲛᲝᲛᲔ ირხეოდა ქანქარა... როცა?... დაიბადა... ისწავლა ქართული ასოები... ნახა ქალი, რომელიც მისი ცოლი უნდა გამხდარიყო... სცენაზე გამოვიდა და მუᲮᲔ-ები აუკანკალდა... და როცა გადმოვარდა ოცდამეთოთხმეტე საფეხურიდან.

...როცა უკრავდა გიტარას და სიმი ჩაუწყდა.

როცა თეატრიდან შინმიმავალმა პირველად შეამჩნია, რომ თაყვანისმცემელი ახალგაზრდები მოსდევდნენ შორიახლო.

...და როცა მატარებელში უსმენდა რადიოს და ერთმა პატარა ბიჭუნამ ხელზე აკოცა.

...როცა მარტოდმარტო იწვა ბალახებში და ქვეყნად არავინ იცოდა, თუ სად იყო იმ წუთში უჩა არგვეთელი...

...და როცა ფანჯრის მინაში დაინახა საოცრად ნაცნობი და საოცრად უცნობი კაცი...

ეს საათის ქანქარა, ვინ იცის, კიდევ რამდენ წელიწადს გადაიტანს მარჯვნიდან მარცხნივ, მარჯვნიდან მარცხნივ, გადაიტანს და გადააგდებს...

ჰო, საათმა შეაშფოთა, მაგრამ ის საათი სხვაა. იმ საათის ამბავი ჟურნალში ამოკითხა. ჟურნალი წუხელ მოუტანა თეატრის ბიბლიოთეკიდან მეგობარმა, შიგ წერილია თანამედროვე ესპანურ თეატრზე და იმიტომ მოუტანა. წერილი ᲫᲐᲚᲣᲚᲐᲓ წაიკითხა უჩამ — ნინო უკრძალავდა კითხვას. დაიღალა, დაძინებას აპირებდა და უეცრად შუა ჟურნალში თვალი მოჰკრა სათაურს:

„თორმეტს აკლია ერთი წუთი“

დაინტერესდა, გადაიკითხა პირველი სტრიქონები და მერე ვეღარ მოცილდა, ცნობისმოყვარეობამ კი არა, უფრო შიშმა წაკითხვინა ბოლომდე. ფრანგი ჟურნალისტი წერდა ატომური ომის საშიშროებაზე და ბოლოს ასე ამთავრებდა:

„შეერთებულ შტატებში გამოდის „ატომზე მომუშავე მეცნიერთა ბიულეტენი“, რომლის პირველ გვერდზე გამოხატულია საათი. ისრები უჩვენებდნენ, რომ 12-ს აკლდა 8 წუთი. პირველი წყალბადის ყუმბარის აფეთქების შემდეგ გამოსახულება შეიცვალა — ახლა საათზე 12-ს 3 წუთიღა აკლია.

იქნებ ამკამად ჩვენს განკარგულებაში რაღაც 60-ოდე წამია დარჩენილი?“

თვეში ერთხელ მაინც მოიკითხავს გაზეთს უჩა, როცა ოდნავ აოშვებს ხელს ავადმყოფობა. ყოველთვის ნინო უკითხავს ხოლმე თავისი დამამშვიდებელი, წყნარი ხმით. ჰოდა, ასე ეგონა უჩას, ყველაფერი ვიცი, რაც ქვეყნად ხდებაო. მაგრამ საყვარელ დას, რომელმაც თავისი ცხოვრება უჩას მოვლას შესწირა, ბევრი რამ დაუმალავს სნეული ძმისათვის. ჟურნალში ამოკითხულმა წერილმა შეაძრწუნა უჩა, არასოდეს იფიქრებდა აქამდე თუ იყო მისული საქმე, თუ დედამიწა ყოველ წუთს ელოდა ომს...

„ატომური ომის რამდენიმე საათის შემდეგ დედამიწაზე გაქრება ადამიანთა მოდგმა“ — წერდა ფრანგი ჟურნალისტი.

მთელი ღამე ამაზე ფიქრობდა უჩა და უეცრად თავზარი დასცა ერთმა აღმოჩენამ; მოეჩვენა, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო... არგვეთელი რომ ავად არ გამხდარიყო, არგვეთელი რომ ეს ოცი წელი ლოგინში შორის არ გამოკეტილიყო, ძველებურად რომ თეატრში ეტრიალნა, ებობოქრნა, აღგზნებულიყო, ნერვები დასწყვეტოდა, ეღაღადნა, ეტირა, ეცინა და უხილავი, ᲯᲐᲓᲝᲥᲠᲣᲚᲘ ტალღებით აემღელვარებინა ყოველ სალამოს თეატრის გაᲬᲔᲓᲘᲚი დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზი?! მაშინ დასდგამდა ისეთ პიესას, ითამაშებდა ისეთ როლს, წარმოთქვამდა ისეთ უკედავ მონოლოგს, ჩაკმსოვდა ყოველ სიტყვაში თითო უჩა არგვეთელს, ისეთი მონდომებით, გატაცებით, გულწრფელობით, ისეთი ზიზღითა და სიყვარულით, რომ შეძრწუნდებოდნენ, აცახცახდებოდნენ ყველა ბოროტის მდომნი და უკეღმართნი. აი, ასე იქნებოდა, არგვეთელი რომ საწოლს არ მიჯაჭვოდა.

... უეცრად შერცხვა, წარმოიდგინა, რომ მის ფიქრებს გადასცემდნენ მომავალ თაობებს და მათ !ასაცილოდ არ ეყოფოდათ უჩას შიში, შეეცოდებოდათ ასეთი ფრთხალი წინაპარი.

მთელი ღამე შფოთავდა.

დილით ნინოს დაარეკვინა რადიოკომიტეტში. უკვე ერთი წელია მოუტანეს და ოთახში დაუდგეს მაგნიტოფონი, ასწავლეს ხმარება და სთხოვეს: „როცა თავს უკეთ იგრძნობთ, ბატონო უჩა, და როცა მოგესურვებათ, იქნებ ჩასწეროთ რაიმე...“

მაგრამ მას შემდეგ საწოლს ვერ აართვა თავი, მიეჯაჭვა. მაგნიტოფონის ხმარებაც დავიწყდა. მხოლოდ ამ დილით...

ამ დილით დაარეკვინა ნინოს რადიოკომიტეტში.

III

— ჰო, მამა, შინ წავალ! — თქვა გიზომ.

— მე შეიძლება დამგვიანდეს!

— კარგი, — თავი დაქნია გიზომ, მესმის, რატომაც დაგაგვიანდებაო, შებრუნდა და ატრობუს გაედევნა „გაჩერებისაკენ.“

— ფული ხომ გაქვს? — დაწია ლევანმა.

გიზო უკვე შორს იყო, იგი შეჩერდა, ჯიბიდან მანეთიანი ამოიღო, ხელი მაღლა ასწია და აიფრიალა.

რუსთაველის თეატრთან ლევანმა ნაბიჯს უკლო. მზეზე გამოფენილი, ჯგუფჯგუფად მდგარი ხალხი შეათვალიერა, ახალგაზრდა მსახიობებს მოჰკრა თვალი და მათკენ გაემართა.

— ბონდო!... ერთი წუთით, თუ შეიძლება! — დაიძახა ლევანმა და შუა ტროტუარზე გაჩერდა.

მსახიობების ჯგუფს ყავისფერ რატინის პალტოში გამოწყობილი, უქუდო, შავქოჩრიანი ახალგაზრდა გამოეყო და ლევანს ხელი ჩამოართვა.

— სახლისკენ მიბრძანდებით?

— არა... ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, ბონდო, — დაიწყო ლევანმა.

— კი, ბატონო... ათი იყოს! — გაიღიმა ახალგაზრდა მსახიობმა.

— იცი, ბონდო... უჩა არგვეთელი ჩაწერე ფირზე!

— რას ამბობთ, ბატონო ლევან! — თვალები გაუბრწყინდა ბონდოს, — აი, მესმის! სამუდამოდ დარჩება მისი ხმა, მაინც როგორ მოახერხეთ?

— თვითონ მოინდომა!

— თვითონ?! საკვირველია... — თქვა ბონდომ და ჩაფიქრდა, — მახსოვს თეატრალურ ინსტიტუტიდან წავედით ერთხელ, დირექტორმა წაგვიყვანა. ყველას გვინდოდა ცოცხალი უჩა არგვეთელის ნახვა... უხმოდ ჩამოვჯექით. დირექტორმა გააცნო ჩვენი თავი, იგი ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდა და დირექტორს თავს უქნევდა. არაფერი იყო მის საქციელში უჩვეულო, ჩვენ კი მოველოდით, გაფაციცებით ვადევნებდით თვალს მის ყოველ მოძრაობას, სახის გამომეტყველებას... ახლა რომ ვიხსენებ, მგონია, უჩა არგვეთელი მიგვიხვდა ამას, იწყინა: „თქვენ იცით რა არის თეატრი? — მოგვმართა მან და თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თვალში გაგვიყარა, — თქვენ ათრთოლებულხართ ოდესმე სცენაზე? აგბურძაგვლიათ შიშისგან კანი? აღგრეეიათ ოდესმე გონება? იცით რა არის ცრემლი? თქვენ მოგსვლიათ ოდესმე ცრემლი? — მერე ჩაიცინა და დაუმატა, — ჰო, ალბათ, როცა დედამ კინოს ფული არ მოგცათ... თუმცა რა, ესეც ხელოვნებისათვის დაღვრილი ცრემლია, — დამცინავად ჩაიქირქილა ბოლოს.

ისინი იდგნენ შუა ქუჩაში და ტრანსპორტის ჩავლას უცდიდნენ. იდგნენ სწორედ მზისა და ჩრდილის საზღვართან და ბონდოს ძალიან ეზარებოდა ჩრდილში შესვლა.

— რაღაც სათხოვარი გქონდათ, ბატონო ლევან!

— ჰო... ცოტახანს სტუდიაში უნდა წამომყვე!

— სიამოვნებით... რაშია საქმე? — ბონდოს ხშირად იწვევდნენ რადიოპიესებში და ეგონა ახლაც...

— ერთ ჩანაწერში სიტყვა დავკარგე და შენ უნდა აღმიდგინო! — თქვა ლევანმა.

— დაკარგეთ?... როგორ დაკარგეთ?

— ფირს ვამონტაჟებდი, მომიჭრია და გადამიგდია... ვეღარ ვიპოვნე.

— სიამოვნებით, — გაიმეორა ბონდომ, — რა სიტყვაა ასეთი?

— „ყოფნა“!

— ჰმ... — ჩაიცინა ბონდომ, — მერე ეს ყოფნაა, ბატონო ლევან? ხუთი წუთია ვდგავართ აქერ, შუა ქუჩაში და ვერ გადავსულვართ.

— ამ ბოლო წლებში ძალიან მომრავლდნენ მანქანები თბილისში, — შენიშნა ლევანმა.

— მარტო თბილისში კი არა... და მარტო ავტომანქანები კი არა! — თქვა ბონდომ და ცას აჰხედა, მერე ლევანს მიუბრუნდა — წაიკითხეთ დღევანდელი გაზეთი?

— ვერ მოვასწარი... საპარაშიაც აუფეთქებიათო, არა?

— ჰო... საპარაშიაც აუფეთქებიათ, მალე მოწმენდილი ცა სანთლით საძებარი გახდება.

გადასასვლელზე მწვანე სინათლე აინთო და გამვლელთ გზა მისცა. წითელმა შუქმა კი გველივით წელში გაწყვიტა ავტომობილთა ქარავანი. ლევანი და ბონდო რადიოკომიტეტის შენობაში შევიდნენ.

— ვისი ჩანაწერია, ბატონო ლევან? — ჰკითხა ბონდომ ლიფტში.

ლევანმა დამნაშავესათვით დახარა თავი:

— უჩა არგვეთელის!

— რაო?!... არა, ბატონო ლევან, არა... არ გეწყინოთ და... მაგდენ თავხედობას ვერ ჩავიდენ, — ხელები გაასავსავა ახალგაზრდა მსახიობმა.

— ძალიან გთხოვ, — ხმა ჩაუწყდა ლევანს, — იქნებ როგორმე მიამგვანო... სხვა გზა არა მაქვს!

— არა, ბატონო ლევან, არა... გაიგებენ და სასაცილოდ ამიგდებენ, არა, ეგ შეუძლებელია!

ასე ამბობდა ბონდო, მაგრამ ლიფტიდან გამოსვლისას ფეხდაფეხ გაედევნა ლევანს, ახალგაზრდა მსახიობს ოცნებაში ეხატებოდა ის ქება-დიდება, რომლითაც შეამკობდა ყველა, თუკი მართლა მიამსგავსებდა დიდი აქტიორის ხმას და მასთან ერთად სამუდამოდ ჩაიბეჭდებოდა ფირზე. ეს სადღაც უკვდავებასთან იყო ახლოს.

ისინი რადიოს ჩამწერ სტუდიაში შევიდნენ. ლევანმა კარი ჩაკეტა.

— გაიხადე პალტო! — უთხრა ბონდოს და მაგნიტოფონში ფირი ჩადგა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაახვია, მერე ისევ ბონდოსკენ მოიხედა — ახალგაზრდა მსახიობი აღელვებისაგან გაფითრებულიყო, — მზად ხარ? ჯერ არგვეთელის ჩანაწერს მოუსმინე... კარგად მოუსმინე!

უეცრად ტელეფონმა დარეკა. ლევანმა ყურმილი აიღო.

— მე ვარ, მამა, გიზო... ხომ არ იპოვნე?

— არა!

— აბა, რა უნდა ქნა?

— არ ვიცი ჯერ...

— დედა და ბაბუა გეკითხებიან. მალე თუ მოხვალო?

— არა-თქო! — რატომღაც გაბრაზდა ლევანი და ყურმილი ჩამოკიდა.

— მამა, მამა! — აყვირდა გიზო, მაგრამ ტელეფონი კოღოსავით წუოდა.

— დავიგვიანებო! — უთხრა გიზომ დედას და მაგიდაზე მიტოვებულ საფიცრს მიუბრუნდა.

„ჯერ არაფერი მოუფიქრია მამას, რა უნდა ქნას?.. წავიდეს იმ მსახიობთან... წავიდეს, რა მოხდა მერე, და თხოვოს, — ფიქრობდა გიზო და წვნით სავსე კოვში ჰაერში გაშეშებოდა, — ანდა, თავისი ხმა ჩასწეროს...“

მოულოდნელად გიზომ კოვზი გაადგო და მეზობელ ოთახში გავარდა. მალე უკანვე შემობრუნდა.

— დედა, სადაა მამას მაგნიტოფონი?

— გელამ ინათხოვრა!

— გელამ?! — განცვიფრებად გადაექცა მთელი სახე გიზოს, — ის ხომ... მას ხომ... არაფერი ესმის... რად უნდოდა?

დედამ საყვედურით შემოხედა გიზოს.

— მამამისს უნდა... გელა ლაპარაკს იწერს, მოსკოვში უნდა გავუგზავნო პროფესორსო!

გიზო დერეფანში გავიდა და სირბილით აჰყვა კიბეებს.

გელა...

გელა მეზობელ ბიჭს ჰქვია. სამი წლით უმცროსია გიზოზე, მაგრამ მაინც მეგობრობენ... გელა თურმე ომის დროს დაბადებული, შავი ზღვის პირას... როცა დეიდა ანეტა სამშობიაროში მიუყვანიათ, ქალაქს ფაშისტების თვითმფრინავები ბომბავდნენ... ჰოდა, დაბადებულა თუ არა გელა, სწორედ მაშინ ჩამოვარდნილა ყუშბარა საავადმყოფოს ახლოს, და გელა დაყრუებულა... ბაბუა ამბობს ხოლმე: „საწყალმა ბაღანამ თავისი ტირილის მეტი ვერაფერი გეიგონოს ამ ქვეყანაზე, ესაა, ღმერთო, შენი სამართალი?“

გელას თავიდან არაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს ლაპარაკობდა. ახლა უკვე ლაპარაკობს. გიზომ არ იცის, როგორ აუხსნეს ექიმებმა ენა; რაღაც აპარატს ადებდნენ თავის ქალაზეო და რხევით გადადიოდა ბგერებიო და კიდევ რაღაცეები... ჰოდა, ახლა გელა ლაპარაკობს, თუმცა ძალიან უცნაურად აღებს პირს, ყვირიალა და უსიამოვნო ხმა ამოსდის ხოლმე ყელიდან, მაგრამ ლაპარაკობს, წერს კიდეც, სხვის ლაპარაკსაც ხვდება ტუჩების მოძრაობაზე, სმენას კი არაფერი ეშველა...

მეექვსე სართულზე გიზომ ზარი დარეკა.

კარი ფრთხილად, უხმაუროდ გაიღო და დეიდა ანეტამ ხელით ანიშნა, შემოდიო, გიზო მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ფეხისწვერებზე გაიარა მთელი ოთახი, უსიტყვოდ მიესალმა გელასა და ძია ნოშრევანს და მაგიდასთან შედგა. მაგიდაზე პატარა მაგნიტოფონი იდო, ძია ნოშრევანს ხელში ქაღალდი ეჭირა, რომელზეც ქართული ასოებით გამოყვანილი რუსული სიტყვები ეწერა. გელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის ზურგსუკან იდგა, სტრიქონებს დაძაბულად ადევნებდა თვალს, ბუტბუტებდა და ცდილობდა მაგნიტოფონზე ჩაწერილ საკუთარ ხმას აჰყოლოდა, ძია ნოშრევანი კი სტრიქონებს აყოლებდა თითს:

«Здраа-вствуй-те доор-огой
про-фес-сор... это я... Гее-ла»

ძია ნოშრევანმა გიზოს შეხედა და გაუღიმა, თითქოს ეუბნებოდა, ხედავ უკვე როგორ ლაპარაკობს გელაო. გიზომაც გაუღიმა და თვალი შეავლო მის მბზინავ სამხრეებს, რომელზედაც თითო დიდი ვარსკვლავი იყო ამოქარგული. გიზომ იცოდა, რომ რეაქტიულ თვითმფრინავში ეს ვარსკვლავი ხშირად ნამდვილ ვარსკვლავებთან ადიოდა.

«...Я уу-же... го-во-рю...»

განაგრძობდა მაგნიტოფონი. გიზომ ვეღარ მოითმინა, ქაღალდში ჩაიხედა და ბოლომდე წაიკითხა, მერე გაიფიქრა, რომ ამ წერილს ძია ნოშრევანი შეადგენდა.

«...Спаа-си-бо, доор-огой
про-фес-сор...»

ფირი მალე გათავდა. ძია ნოშრევანმა გადაახვია, გორგალი მოხსნა, სქელ კონვერტში შეინახა და ისევ გაუღიმა გიზოს.

— ექიმს უგზავნით?

— ჰო... ვნახოთ... — თითქოს თავისთვის უთხრა ძია ნოშრევანმა, წამოდგა და მუქი ლურჯი სერთუკის მოვერცხლილი ღილები შეიკრა.

— ძია ნოშრევან! — წამოიძახა გიზომ და დაფაცურდა, — ცოტახნით, თუ შეიძლება.

— რა იყო? მეჩქარება, გიზო!

— ამ წუთში! — გიზომ მაგნიტოფონში ახალი გორგალი ჩადო და სწრაფად გადაახვია ცარიელ დისკოზე, მერე ნოშრევანისკენ შემობრუნდა. მაგრამ ის უკვე გარეთ გასულიყო.

გიზომ ხელი ჩაიქნია, დახურა პატარა, სარეპორტაჟო მაგნიტოფონი, რომელიც საკუთარი ელექტროენერგიით მუშაობდა და ჩემოდანიანად ხელში დაიჭირა.

— წამო მეზობლებში! — უთხრა მან გელას.

ყოველი აზრი და განცდა, უმცირესი ცვლილება განწყობილებისა, გელას თვალებში ეხატებოდა. მისი თვალები ისმენდნენ და პასუხსაც იძლეოდნენ. ამ წუთში ისინი აშკარად ეუბნებოდნენ გიზოს, შენი ნათქვამი ვერ გავიგეო.

— წამო-მეთქი მეზობლებში! —

გელა მიხვდა, გაიღიმა, დაძაბულობისაგან შეკრული შუბლი გაეხსნა.

— წაა-ვიდეთ! — ყბა აუძაგძაგდა მას.

დერეფანში უფრო თბილოდა, ვიდრე ოთახში. ეს მაშინვე იგრძნო გელამ და ესიამოვნა. ღიდა ყოველთვის უშვებდა გიზოსთან სათამაშოდ და ამიტომ ყოვილთვის უხაროდა გიზოს მოსვლა. ახლაც სადღაც მიჰყავს გიზოს, ალბათ, სათამაშოდ.

გიზომ მოიარა ყველა მეზობელი, გელაც უკან დაჰყვებოდა, მაგრამ ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედა, რა თამაშს აპირებდა გიზო. შეკითხვას კი ასეთ დროს ყოველთვის ერიდებოდა, ეშინოდა, ვაი თუ ვერ გავუგო პასუხიო. ყოველ კართან ალაპარაკდებოდა გიზო, ასწევ-დასწევდა თავის მაგნიტოფონს, რაღაცას უხსნიდა ჯერ დეიდა ნათელს, მერე დეიდა რუსუდანს. მერე — ნატოს, თამარს, თეოს, მაგრამ არავისთან შესულან. ეტყობა, გიზოს ძია შალვა, ძია ვახტანგი, ძია გაიოზი და ძია სეკერიანე უნდოდა. ისინი კი ჯერ სამსახურიდან არ დაბრუნებულიყვნენ.

ბოლოს პირველ სართულზე ჩავიდნენ. გიზომ ეზოში გაიხედა, რაღაცას მიაშტერდა, მერე სწრაფად მოტრიალდა გელასკენ, ხელი გაიშვირა შორს, შორს და ანიშნა (იქნებ უთხრა კიდევაც), იქ წავიდეთო.

გელა გაჰყვა.

გარეთ იყო მზე, მაგრამ ისეთი სუსტი, რომ ყვითელი ფოთლებით მოფენილ ეზოში არც ჩანდა მისი სხივები, სამაგიეროდ, სველ ასფალტს აფერადებდა. მოდიოდნენ ავტობუსები და ტროლეიბუსები, მათი ბორბლები ტრიალებდა... და როცა ახლოს ჩაიქროლებდნენ, გელას ახსენდებოდა, რომ ავტობუსებს უკან ქარი მოჰყვება... უბერავს და მოაგორებს... ერთ გაძარცულ ხეს შავი ლეღვივით მოესხა ჩიტები, ჩიტები ტოტიდან ტოტზე გადარბოდნენ და ნისკარტებს აღებდნენ... პატარა ბიჭები ხეს აჰყურებდნენ და ხელისგულს ხელისგულზე ირტყამდნენ, მერე გაინაბებოდნენ და იღიმებოდნენ, რადგან ჩიტები ტოტიდან ტოტზე აღარ დფრინავდნენ და ნისკარტებს აღარ აღებდნენ.

გიზო ძალიან ჩქარა მიდიოდა, ძლივს მისდევდა გელა, ნტა სად მიჰყავდა?... აი, გიზომ მაგნიტოფონი მარცხენა ხელში გადაიტანა და მერე გაოფლილი, ცხელი მარჯვენა ჩასჭიდა გელას. ახლა, ალბათ, ქუჩა უნდა გადასჭრან...

ქუჩაში უეცრად ყველა მანქანა გაჩერდა, გელამ გაიხედა და დაინახა წითელი მანქანა, რომელიც ძალიან სწრაფად მოგორავდა შუა ქუჩაზე და რომელზეც მზისფერქუდიანი კაცები ისხდნენ. როდესაც წითელმა მანქანამ გვერდზე ჩაუქროლა (ძალიან დიდი ქარი მოჰყვებოდა უკან), გელას ყური ეტკინა. გახარებული, გიზოს წინ აიტუზა და საჩვენებელი თითი ყურზე მიიკაკუნა, მერე შორს წასულ წითელ მანქანისკენ გაიშვირა ხელი, მერე ისევ ყურთან მიიკაკუნა. გიზომ გაიღიმა და ჰკითხა: „მართლა?!“

როგორც კი ქუჩა გადასჭრეს, გიზო წითელი შენობისკენ გაიქცა. ეს სახლი აგურის იყო, ჯერ ფანჯრები არ ჰქონდა და არც სახურავი ეხურა. შენობის ახლოს მაღალი რკინის კოშკი იდგა, მას გრძელი რკინის ხელი ჰქონდა და სართულებზე მოფუსფუსე მუშებს აგურებს აწვდიდა. გიზო და გელა აქ ხშირად მოდიოდნენ საყურებლად. მაგრამ ახლა მანქანას ხელი გაშშებოდა. აღარც მუშები ჩანდნენ სართულებზე. სამაგიეროდ, ეზო გავსებულიყო ხალხით, ესენი ისევ ის მუშები იყვნენ, მაგრამ ტანისამოსი გამოეცვალათ და ეზოში ჩამომდგარ სპბარგო მანქანებისკენ მოდიოდნენ. ხელებს იქნევდნენ, იღიმებოდნენ, ჩერდებოდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ, ისევ მოაბიჯებდნენ და თანდათან იზრდებოდნენ, თითქოს მიწიდან ამოდიოდნენ. ასეთი გოლიათები თუ იყვნენ, ამოდენა მხარ-მკლავები თუ ჰქონდათ, გელას არც ეგონა, სართულებზე ისინი პატარები მოჩანდნენ ხოლმე. ახლა კი ფართო ბეჭებით მთელი ქვეყანა დაეფარათ. მუშებს ტანისამოსი გამოეცვალათ, მაგრამ მაინც დასცერილები იყვნენ თეთრი და წითელი ფერებით, ისინი იხრებოდნენ, სწრაფ-სწრაფად ისვამდნენ ხელებს შარვლებსა და პალტოებზე და თეთრი და წითელი ფერები ქრებოდა.

გიზომ გვერდი აუარა გროვად დაყრილ წერაქვებსა და რკინის ურობს, მსხვილ მავთულჩატანებულ ბრტყელ-ბრტყელ ქვებზე გადაირბინა და მანქანებისკენ გზა გადაუღობა მუშებს. მაგრამ მუშები არც შეჩერებულან, თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევებმა ვერ შეამჩნიეს ცეროდენა, და გიზომ უკან-უკან იწყო რბენა. მუშებმა ოდნავ შეანელეს ნაბიჯი, შეჩერდა გიზო, შორიახლოს შეჩერდა გელაც. გიზომ თვის მაგნიტოფონს დაადო ხელი, მუშებს აჩვენა და რაღაც უთხრა. მუშებს ჯერ გაუკვირდათ, წარბები მოეშმუხნათ, ერთმანეთს გადახედეს. გიზომ კიდევ და კიდევ მოუთათუნა ხელი მაგნიტოფონს და ისევ თქვა რაღაც. მუშებმა ერთად გაიღიმეს... უზარმაზარი მხრები აუთამაშდათ ღიმილისაგან და ისევ მანქანებისკენ განაგრძეს გზა. მაგრამ გიზო არ ეშვებოდა (ნეტავ რას თხოვს?), მთაკენ სახემობრუნებული, ისევ უკან-უკან მიხტუნაობდა, თან გზას ულოდავდა, თან თითქოს გაურბოდა მუშებს და რაღაცას ემუდარებოდა. ერთმა მუშამ, ყველაზე მაღალმა და ღონერმა, მანქანის ბორბალზე ფეხი შედგა,ზედ უნდა ასულიყო, მაგრამ გიზო პალტოს კალთაში ჩააფრინდა, რაღაც უთხრა და ორი თითით ყელზე იაწკარა. მაღალმა მუშამ გაიღიმა, ფეხი ჩამოიღო ბორბლიდან, ხელი ასწია და ამხანაგები შეაჩერა... მუშებმა ჯერ ხელები ჩაიქნიეს, მერე კვლავ გაეღიმათ. გიზოს ძალიან გაეხარდა. მაგნიტოფონი მიწაზე დადო, სახურავი აჰხადა და მიკროფონი ახლოს მიუტანა იმ მაღალ მუშას. მაღალმა მუშამ საბარგო მანქანისკენ გაიშვირა თითი, გელამ გაიხედა და შეამჩნია, რომ მანქანის ძარა შეუმჩნევლად ირხეოდა, კაბინაში ვიღაც შეხტა და, როცა უკანვე გადმოვიდა, მანქანის ძარა აღარ ირხეოდა. გიზომ ისევ ახლოს მიუტანა მიკროფონი მაღალ მუშას, მაღალმა მუშამ რაღაც თქვა და მანქანაზე ავიდა, მუშებს გაეღიმათ... მის ადგილზე სხვა მუშა დადგა და იმანაც თქვა რაღაც. სულ მოკლე სიტყვა იყო, მაგრამ გელა ვერ ხედავდა მის ტუჩებს და ამიტომ ვერაფერი გაიგო. რიგრიგობით მიდიოდნენ მუშები გიზოსთან და მიკროფონში რაღაცას ამბობდნენ. ბოლოს ყველა მანქანაზე ავიდა. მანქანა დაიძრა და გიზომ ხელი დაუქნია მუშებს, და მუშებმაც ხელი დაუქნიეს გიზოს. მერე მაგნიტოფონი დახურა და გელასკენ წამოვიდა გიზო. იგი ძალიან გახარებული იყო, და გელას აინტერესებდა, რას ამბობდნენ მუშები მიკროფონში. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა. გიზომ რაღაც თქვა, მაგრამ გელამ ვერ გაიგო. გიზო გაჩერდა, შემობრუნდა, რომ გელას მისი ტუჩების მოძრაობა დაენახა და გაიმეორა ის სიტყვა. კინაღამ ცრემლი მოერია გელას. მაინც ვერ მიხვდა ვერაფერს. აღბათ პირველად ეუბნებოდნენ ამ სიტყვას. გიზომ მაგნიტოფონი მიწაზე დადო, ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო, ხელისგული გაშალა და ზედ რაღაც დაწერა. გელამ წიგნივით მოიმარჯვეა მისი ხელი და ენის ბორძიკით წაიკითხა:

„ყოფ-ნა“...

IV

ასე ადრე არასოდეს მისულა ლევანი სამსახურში. მაშინვე მაგნიტოფონს ეცა და სახლიდან მოტანილი ფირი გამართა.

წუხელ გვიან დაბრუნდა სახლში. ბევრი აწვალა ბინდო, ბინდომაც ბევრი აწვალა თავისი ხმა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ახალგაზრდა მსახიობს ჯერ თითქოს ნედლი, მოუმწიფებელი ხმა ჰქონდა და ვერ აღწევდა ბგერის იმ სისრულეს და სინოყიერეს, სიამოსმომგვრელად რომ შეგვისებს სულს, როცა მეტს ალარაფერს გთხოვს ფაქიზი და განებივრებული ყურთასმენა.

ოჯახი დაძინებული დახვდა ლევანს. ვახშამთან ერთად მაგიდაზე იდო ფირი და გიზოს წერილი: „ვიღაცეები ჩავწერე, მამა, იქნება გამოდგეს“.

„ვინ უნდა ჩაეწეროს ნეტავ?“ დაძინებამდე ამაზე ფიქრობდა ლევანი. იმ შუაღამისას კინაღამ აამუშავა მაგნიტოფონი და კინაღამ დაიღვიძა ყველა. დილითაც მძინარე დატოვა გიზო და რადიოკომიტეტისკენ გამოეშურა. გადაცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საათზე იყო დანიშნული, უნდა მოესწრო. ბოლოსდაბოლოს, თავის ხმას ჩასწერდა და მომხდარიყო, რაც მოხდებოდა.

მაგრამ ჯერ გიზოს ნახლაფორთებს მოუსმენს, ნახავს ერთი, რა არის, სხვა რომ არა იყოს რა, აინტერესებს.

ლევანმა მაგნიტოფონი ჩართო და სმენად გადაიქცა:

— „არა, არა... მარტო ერთი სიტყვა, ძია... მხოლოდ ერთი, — შვილის ხმა იცნო ლევანმა.

— კი მაგრამ, ის მაინც გვითხარი, რად გინდა? — მოისმა ვიღაც უცნობი კაცის ბოხი, სასიამოვნო ხმა.

— გეტყვით, ძია გიორგი, მერე აუცილებლად გეტყვით!

— მოდით აქა, კაცო... მოდით, თორემ არ გვეშვება ეს ბავშვი!

— კაცო, ვიმღეროთ მაინცა, ე, ერთი სიტყვა რაღა ჯანდაბაა?

გაისმა სიცილი.

— რაო? „ყოფნაო?“

— ჰო, ძია...

— ჩვენი ბაგრატა მაინც იყოს აქ, გუშინ ერთი კედელი ციმციმ ასწია და მეხუთე სართულზე დადგა... კაი ორი ათასი მანეთი გაირტყა ერთ დღეში... აი, ყოფნაც ამას ჰქვიან!

— ბაგრატა არა და, ნათელას ხმას კი ჩავიწერდი სახსოვრად...

— გეყო, გეყო!.. შენ შენი ცოლის ხმას მოუარე...

ისევ გაიცინეს.

— ძია, იტყვით, ძია? — ისევ გიზოს შეწუხებული ხმა...

ლევანმა შეამჩნია, რომ ავტომანქანის მოტორის ხმა, რომელიც აქამდე ისმოდა მაგნიტოფონში, უეცრად გაქრა. და დაიწყო სხვადასხვა კილოთი, სხვადასხვა სიჩქარითა და დიქციით წარმოთქმული, რაღაც დაჟინებული, მრავალგზის გამეორებული „ვაშას“ მსგავსი:

— ყოფნა!

— ყოფნა!

— ყოფნა!

. . . . . .

თვალდახუჭული უსმენდა ლევანი, ახლა მისთვის არავინ და არაფერი არსებობდა, ყველაფერი გამქრალიყო, გაუჩინარებულიყო თვითონ ლევანიც, და ოთახში თითქოს იბადებოდნენ ადამიანებივით ერთმანეთის მსგავსი სიტყვები:

— ყოფნა!

— ყოფნა!

— ყოფნა!

. . . . . .

— ჰოპ! — აღმოხდა უეცრად ლევანს, წამოხტა და სიხარულისა თუ დაბნეულობისაგან ხელებით შეაჩერა მაგნიტოფონი.

რომელიღაც ჰგავდა:

ო, როგორ ჰგავდა უჩა არგვეთელის ხმას!

ამ წუთში მოძებნის, ამ წუთში უკან დააბრუნებს ფირს და შეამოწმებს.

...ჰგავს და მერე როგორ! საოცარია...

ახლავე გადასწერს, ჩააწებებს და მერე ვერავინ, ვეღარავინ მიხვდება მის შეცდომას, თვით არგვეთელიც კი.

...ნეტა ვისი ხმაა? ასეთი ხავერდიანი, ასეთი ძლიერი და სასიამოვნო... ეტყობა, მეზობლად გადავიდა გიზო... იქ თუ ნახავდა ამდენ ხალხს, მაინც რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი ჩაუწერია! „სართული“... და „კედელიო“, ჰო, რა თქმა უნდა, მეზობლებზე გადავიდოდა, მშენებლობაზე, ხშირად დადის ხოლმე იქ...

ნეტა ვინ არის? ალბათ, ახალგაზრდაა... შეიძლება არც იყოს ახალგაზრდა, ეს ვაქაცის ხმას ჰგავს... თბილისელია, თუ სოფლიდან ჩამოსული?... იქნებ ინჟინერიც იყოს... ანდა, ვინმე შემთხვევით გზადგავლილი... ქართველია, თუ... ვის არ ნახავ იმ მშენებლობაზე... საოცრად კი ჰგავს უჩა არგვეთელის ხმას და...

V

მთელი ღამე ბორგავდა უჩა არგვეთელი. დანაფლეთებულმა, დაკეპილმა ფიქრებმა ძილი გაუფრთხო და დილას ვეღარ გაიხსენა, ეძინა თუ არა. ფანჯარაზე ჩამოკიდებულ მწვანე ფარდას თეთრ ჩარჩოსავით შემოვლებოდა რიჟრაჟი.

„გთენებულა“, გაიფიქრა უჩა არგვეთელმა და საათისკენ გადაბრუნება დააპირა. სხეული არ დაემორჩილა. გაუჯიუტდა, თითქოს სხვა იწვა ლოგინში, ვიღაც დავრდომილი, მომაკვდავი, უჩას სურვილი და ნებისყოფა კი უსხეულოდ დარჩენილიყო. და მსახიობმა იგრძნო, რომ წუხელ ღამით სიკვდილმა კიდევ ერთი ფესვი წააგლიჯა მის სულს.

როცა თეატრს თავი დაანება, პირველად მაშინ მოკვდა უჩა არგვეთელი. ახლა მოკვდება მეორე, ნამდვილი სიკვდილით, როგორც მეორედ იბადებიან დიდი ბედნიერებისაგან.

კედლის საათმა დარეკა.

ცხრა საათი იყო.

საათმა გუშინდელი სტატია და ფრანგი ჟურნალისტის სიტყვები გაახსენა.

უჩა არგვეთელს ომი ასე წარმოედგინა:

დედამიწაზე აღარასოდეს შესრულდებოდა დიდი კომპოზიტორებისა და პოეტების ნაწარმოებნი... ეს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა უჩას, ეს შეუძლებელი იყო... უნდა დარჩეს, უნდა იცოცხლოს ყველაფერმა, და იქნებ დარჩეს, ვინ იცის, იქნებ დარჩეს უჩას ხმაც, რომელიც ამიერიდან სადღაც ჩაიბეჭდა და რომელიც უჩაზე დიდხანს გასძლებს, თუკი... თუ კიდევ ვარგა რამედ...

ახალგაზრდობაში მას უყვარდა თავისი მოგონილი „თამაში“. იმერეთის მთა-გორებში მარტოდმარტო მოხეტიალე, შეჩერდებოდა სადმე ტყეში, ან ღელის პირს, სადაც წელწადში ერთხელ თუ ჩაივლიდნენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, და ხმამაღლა, გულამოსკვნით იმეორებდა მელოდიას რომელიმე კლასიკური ოპერიდან. და მერე იმ ხეების, იმ ბალახებისა და ბილიკების მაგვრად განიცდიდა ამ „ახალი“, ჯერ გაუგონარი ჰანგების სიდიადეს.

ახლა სადღა აქვს უნარი ასეთი ფაქიზი განცდისა. ახლა იგი მოღლილ, მობერებულ დედამიწას ჰგავს, რომლის ძარღვებში კაცობრიობის მთელმა ტკივილებმა გაიარეს, როგორც ტყვია გაივლის სხეულს, სადღაც დაიკარგება და, თუ არ მოკლა, სამუდამოდ დაასნეულებს ადამიანს.

...რა ცოტას ცოცხლობს ადამიანი... რა საოცრად ცოტას... იქნებ ამ მიზეზმა წარმოშვა ხელოვნება?... მოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამიანი ვერ ასწრებდა თავისი ღვთიური ნიჭის ამოწურვას, ერთხელ მიხვდა ამას და შექმნა ხელოვნება... გამოკვეთილად, ღამაზად, ამაღლებულად თქვა ის, რასაც ასეული წლის სიცოცხლე დასჭირდებოდა. ხალხის შექმნილი სხარტი გამოთქმებიც ხელოვნებაა, რომ ადამიანებს რაც შეიძლება სწრაფად და შეკუმშულად ეთქვათ გრძლად სათქმელი, რომ აზრის გაზიარებას არ დასჭირვებოდა ზედმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთიც კი. ადამიანს რომ ათასი წლის სიცოცხლე დაპბედებოდა, შეიძლებოდა აღარც ამოედა ენა, აღარც ხელოვნება შეექმნა. თუკი მართლა ასეა, მაშინ არაა საკვალიო, რომ ცოტახანით ვცოცხლობთ...

კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში ნინო შემოვიდა. ძილისგან თვალები შეშუპებოდა, ხელში ისევ წამლის შუშა და კოვზი ეჭირა. ნინომ შუბლზე ხელი დაადო უჩას.

— ხომ კარგად გეძინა?

— ცუდად... დღეს... — უჩამ წამალი დალია.

— რა, დღეს?

— დღეს არ ვარ კარგად, წამოდგომა ვერ შევძელი.

— არაფერია, ცოტა დათბება და გაგივლის. იცი რა მზეა გარეთ?

— მართლა?! — წამოიძახა უჩამ და წარმოიდგინა ოქროსფერი სხივებით განათებული, მთაზე შეფენილი სახლები. ოდესღაც ასე მოჩანდა თბილისი მისი ფანჯრიდან. ახლა, ალბათ, ბევრი რამ შეიცვალა.

— უჩა, რადიოდან დარეკეს... წუხელ აღარ გითხარი.

— რა დარეკეს? — სუნთქვა შეეკრა უჩას.

— დღეს თორმეტ საათზე იქნება გადმოცემა!

— ახლა რომელი საათია?!

— ოცი წუთი აკლია!

— ნინიკო, ჩართე რადიო და დამტოვე!

— ჯერ ხომ უნდა ჭამო? — უსაყვედურა დამ.

— არა, ვერაფერს შევჭამ. ხომ იცი, რომ ახლა ვერაფერს შევჭამ. ნინო, შენ გენაცვალე, არ გეწყინოს, ჩართე რადიო და გადი!

ნინომ რადიო ჩართო, როგორ ზღაპარს გადმოსცემდნენ ბავშვებისათვის.

უჩა ისევ მარტო დარჩა ოთახში. საბანი ჩაისწორა, თბილი პერანგის საყელო შეიკრა, თმებზე ხელი გადაისვა, და რადიოსკენ მიაპყრო მზერა.

ახლა გადმოსცემენ ჩაწერილ მონოლოგს, უჩა საკუთარი ყურით მოისმენს განაჩენს, ახლა ყველაფერი გადაწყდება.

სიკვდილის იმიტომ კი არ ეშინოდა, რომ მიწაში ჩააწვენდნენ, ვეღარაფერს ნახავდა, ვეღარ იგრძნობდა და განიცდიდა, რომ ამ ქვეყნიდან გაქრებოდა და აღარასოდეს დაბრუნდებოდა. არა... სიკვდილი უჩა არგვეთელს მოუსპობდა უკანასკნელ იმედს, რომელიც ამ ოთახში ჩაესახა ავადმყოფობის პირველ დღეებშივე, იგი დიდიხანია ელოლიავებოდა ოცნებას, რომ წარსულის იმ დიდი ცეცხლიდან ერთი პატარა ნაპერწკალი კიდევ შემორჩენოდა სადღაც. და ვინ იცის, იმ ნაპერწკალს იქნება პატარა ალი მაინც გაეჩინა...

მაგრამ თუ ჩვარივით გადმოეკიდა მისი ხმა რადიოდან, თუ საბოლოოდ გაუნელდა ის უხილავი, შინაგანი ალმური, რომელიც ქანდარის შორეულ რიგებსაც აღწევდა და ათობობა ხოლმე... მაშინ აღარაფერი დარჩება სანანებელი, მაშინ იქნება სიკვდილს აღარც დაელოდოს.

— „ადამიანის სუნი მცეე-ემს... ადამიანის სუნი მცეე-ემს...“ — ზანზარებდა რადიოს ბაყბაყ-დღეი.

საბავშვო გადაცემა დასასრულს უახლოვდებოდა.

რადიოს ჩაჩუმებამ ფიქრები შეუწყვიტა მსახიობს. ოთახში სამარისებური დუმილი ჩამოწვა, მხოლოდ სადღაც, შორს, ყრუდ ისმოდა ერთ ხმად შემდნარი ქალაქის ათასი სხვადასხვა ხმა. უჩამ საათისკენ გააპარა თვალი და მაშინვე დახუჭა. თორმეტი სრულდებოდა. მალე რადიოში რაღაც გახმაურდა და დიქტორმა ქალმა გამოაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თბილისის დროით თორმეტი საათია, მოისმინეთ გადაცემა: „რუსუბლიკის სახალხო არტისტი უჩა არგვეთელი“.

დიქტორმა დაიწყო უჩას ბავშვობიდან, ერთხანს სოფლის შარა-გზაზე არბენინა, მდინარეზე საბანაოდ წაიყვანა, ბავშვობაშივე აღმოუჩინა მსახიობობის ნიჭი. შემდეგ გაზარდა უჩა. ქალაქში გააგზავნა და გიმნაზიაში მიაბარა. მერე სწრაფად გადაჰყავდა კლასიდან კლასში, ქალაქიდან ქალაქში, დასიდან დასში, თეატრიდან თეატრში. დაუნანებლად ეთხოვებოდა უჩას ცხოვრების დაუვიწყარ სურათებს, თვეებს, დღეებს, და უღმობლად უახლოვდებოდა 1934 წელს, იმ ოცდამეთოთხმეტე საფეხურს, საიდანაც უჩა გადმოიჩეხა... მერე უფრო აჩქარდა დიქტორი, რამდენჯერმე ახსენა უჩას ავადმყოფობა, ლოგინზე მიაჯაჭვაო... მაინც არ თმობსო... დღესაც ახსოვთო... კვლავ განაგრძობსო... სახელოვანი თაობაო... ოქროს ასოებითო... წარუშლელი კვალიო... და ბოლოს თქვა:

— ახლა მოისმინეთ ჰამლეტის მონოლოგი მეორე მოქმედებიდან. ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი უჩა არგვეთელი!

სუნთქვა შეეკრა უჩას... ვიღაცის შეეშინდა, რაღაცის შერცხვა, ჩამოვარდნილმა სიჩუმემ კანი აუბუსუსა. აი, ახლა ეტყვის რადიო, ეტყვის, გაგრძელდეს თუ არა მისი ბიოგრაფია. ეტყვის მკაცრად, დაურიდებლად, კი არ ეტყვის და, მიახლის სიმართლეს. და უჩაც იმ წუთშივე მიხვდება, მწარეა ეს სიმართლე, თუ ტკბილი, დამღუპველი თუ გადამრჩენელი. მიხვდება, რადგან, სამწუხაროდ, ისევ ძველებური ფაქიზი სმენა შემორჩა დღემდე... არა, ეს შეუძლებელია, ამის ატანა წარმოუდგენელია, ახლავე დაუძახებს ნინოს და რადიოს გადამოართვევინებს. მოასწრებს ნინო? მაშინ თვითონ, თვითონ უნდა ადგეს... ახლავე, დაუყოვნებლივ, თორემ ვინ იცის, რას დამართებს იმ უჩას თუ ჰამლეტის ხმა...

არგვეთელი ძლივს გადმოვიდა საწოლიდან. სკამის ზურგს ჩააფრინდა ხელებით, ზედ დაეყრდნო და მასთან ერთად რადიოსკენ წაჩოჩიალდა... მაგრამ უეცრად მოისმა გულის ამაჩქროლებელი, ყურების ამომსვები, დიდი, ძლიერი ფილტვების გოლიათური ამონასუნთქი. თითქოს იმ სუნთქვის ნიადაგ მოაღწია უჩამდე და არგვეთელი ჯერ გაოცდა, მერე აღტაცებამ მოიცვა, მერე შეკრთა, მერე სულ დაიბნა: „ღმერთო, ეს ხმა... ეს ძველი ხმა, ჩემი ახალგაზრდობის ხმა. ჩემი ფოლადი, რომელიც ყელში მედგა ოცი წლის წინათ და დიდიხანია გამდნარი მეგონა... ღმერთო, ნუთუ მართლა... ნუთუ მართლა დამრჩა ის ნაპერწკალი, ჩემი საოცნებო ნაპერწკალი, რომელსაც ველოდი, რომლის იმედი მქონდა, რისთვისაც აქამდე ვაცოცხლე თავი... როგორ დამიბერავს ქარიშხალივით, ამომიგმინვია უზარმაზარი ხეობასავით, ეს „ყოფნა“... ჩემი „ყოფნა“...

ჰამლეტი რადიოდან: — „...არყოფნა? საკითხავი აი ეს არის....“

უჩა არგვეთელი: — ერთ სიტყვაზე, მხოლოდ ერთზე მყოფნია ის ნაპერწკალი, მაგრამ ესეც საკმარისია. ამას აღარასოდეს ჩავაქრობ, გავაღვივებ, ავაბრიალებ. ერთ სიტყვაზე, მხოლოდ ერთზე მყოფნია...

ჰამლეტი რადიოდან:

— „სულდიდ ქმნილებას რა შეჰფერის? ის, რომ იტანჯოს
და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნეშტრითა გმირვა,
თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას
და ამ შებრძოლვით მოსპოს იგი? მოსპოს სიცოცხლე...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩა არგვეთელი:

...ყოველწელიწადს შევხვედრივართ იმ დღესა და წუთს, როდესაც უნდა გარდავიცვალოთო... ნეტავი იმ დღეს, იმ საათსა და წუთს ჩვენ რას ვაკეთებთ? ალბათ, მრავალჯერ გვიცინია, ან ვყოფილვართ ღრმად ჩაფიქრებულნი, ან ტკბილად ჩაძინებულნი, ანდა, უბედნიერესი განცდით შეპყრობილნი. იქნებ იმ დღეს, იმ საათსა და წუთს, ჩვენ ყოველთვის სევდიანი ვართ? იქნებ სწორედ ახლა დგება ჩემთვის ის წუთი?..

ჰამლეტი რადიოდან:

„...ამ მიძინებით გათავდება ის გულის-ქენჯნა
და ათასი სხვა ბუნებრივი უკეღმართობა,
რაიც ხორცშესხმულ ადამიანს წილად ხდომია,
განა ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?...“

უჩა არგვეთელი: (სკამზე დაყრდნობილი მიიწევს ფანჯარაზე ჩამოფარებულ მწვანე ფარდისაკენ) — არა, ახლა ნუ დადგება ჩემი წუთი, ახლა არ მინდა, მოვიდეს სხვა დროს... ახლა ქვეყანა უნდა ვნახო, ვნახო ფანჯრიდან, საიდანაც უკანასკნელად გამოვეთხოვე... და იქნებ ჩემი ნაპერწკალი უფრო გაბრწყინდეს... ჩიტი ფრენისას ერთნაირად შლის და კეკავს ფრთებს, მაგრამ არცერთ მხატვარს არ დაუხატავს ჰაერში ფრთებშეკეცილი ჩიტი... არავის დაუხატავს დაბერებული მზეთუნახავი და არავის უმღერია ჩაძინებულ მეომარზე...

ჰამლეტი რადიოდან:

„...მშვიდობის პოვნა რომ შეგვეძლოს დანის ერთ დაკვრით?
ვინა ზიდავდა ტანჯვით, კვნესით ამ სიცოცხლის ტვირთს;
რომ არა გვქონდეს იმის შიში, თუ სიკვდილ შემდეგ
იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს,
სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება...“

უჩა არგვეთელი: (მიიწევს მწვანე ფარდისკენ)

— ყოფნა, ყოფნა-მეთქი! ეყოფა პოლიტიკას მსახიობობა. ამ საუკუნეში იგი ნამდვილი სახით უნდა გამოვიდეს სცენაზე, თავისი საკუთარი სიტყვებით ელაპარაკოს, არაფერს შეთხზულს აღარ მოუსმენს ხალხი, აღარ დაუკრავს ტაშს, რადგან ადამიანს სიცოცხლე უნდა... თვით მზედ რომ გავჩენილიყავი, მაინც ადამიანად გადაქცევას ვინატრებდი, რომ მზისთვის მეცქირნა...

ჰამლეტი რადიოდან:

„ ...გაბედულებას მოსაზრება უსუსტებს შუქსა
და სასახელო ძლიერ საქმეთ, დიდად განზრახულთ
წინ ეღობება...“

უჩა არგვეთელი: (მიუახლოვდა ფარდას)

— ამ ფარდის იქით სუნთქავს ხალხი, — წარსული ჩემი და ჩემი მომავალი. ახლა ოთახში შემოვუშვებ ჩემს დიდ ქვეყანას, ასე შეცვლილს, გალამაზებულს, ...ჩემთან შემოვა ცხოვრება ასე გაუმეტებელი, ძნელად დასათმობი...

ნინო: (ოთახში შემოიხედავს და შეჰკივლებს).

— უჩა!... უჩა!

უჩა არგვეთელმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, როცა ძლიერად ჩასჭიდა თითები მწვანე ქსოვილს, ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა, მერე ხელის ერთი მოქნევით, ხმაურითა და შრიალით, ბოლომდე გახსნა, თავისი ფანჯრის დიდი, მწვანე, ფარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზიმ ჰიქმეთი

ავტობიოგრაფია

მე დავიბადე ათას ცხრაას ორში. მას შემდეგ
ჩემს ნაკვნარში არასოდეს დავბრუნებულვარ.
მძულს დაბრუნება.
სამი წლისა როდესაც გავხდი,
მე ალუპოში მცნობდნენ, როგორც ფაშის შვილიშვილს.
ცხრამეტი წლისა მოსკოველი სტუდენტი გახლდით
კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლისა.
ორმოცდაცხრისა კვლავ მოსკოვში, ცეკას სტუმარი.
თოთხმეტი წლიდან პოეზიის მსახურად მთვლიან,
ზოგმა ბალახთა სახეობა იცის ბევრგვარი,
ზოგმა თევზების სახეობა იცის ბევრგვარი,
მე კი — ათასი სახეობა განშორებისა.
ზოგმა ვარსკვლავთა სახელები იცის ზეპირად,
მე ვიცი მხოლოდ სახელები გამოთხოვების.
დიდ ციხეებშიც მიძინია, სასტუმროებშიც.
მგონი, გავსინჯე ყოველგვარი კერძი ამ ქვეყნად,
და, სხვათაშორის, ვიცი ყველა შიმშილის გემო,
და, სხვათაშორის, ვიცი გემო შიმშილობისა.
სამ ათეულის რომ შევსრულდი, გასანთლულ თოკით
უნდოდათ ჩემი დაკიდება და არ დამკიდეს.
ორმოცდარვისას სურდათ ჩემი დაჯილდოება
მშვიდობის მედლით და ეს ჯილდო მარგუნეს კიდეც.
ოცდათექვსმეტი წლის ვიყავი, როდესაც საკნის
სულ ოთხი მეტრი გავიარე ნახევარ წელში.
ორმოცდაცხრამეტ წლის ვიყავი. როცა პრაღიდან
თვრამეტ საათში ჰავანამდე გადავიფრინე.
ლენინი ცოცხლად არ მინახავს, ვერ მივუსწარი.
ოცდაოთხ წელში საპატიო გუშაგად ვიდექ,
სამოცდაერთში განვაგრძობდი სიარულს მასთან,
მისი წიგნების მავზოლეუმში.
ლამობდნენ ჩემი პარტიიდან ჩემს მოშორებას,
არ გამოვიდა.
ილუწებოდნენ კერპები და მე მათ ნამსხვრევებს
ქვეშ არ მოვყევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტს,
ჩემს ახალგაზრდა ამხანაგთან ერთად ვხედავდი
უეჭველ სიკვდილს და ვილტოდი მაინც იმისკენ.
დამსხვრეულ გულით,
ათას ცხრაას ორმოცდათორმეტს,
ოთხ თვეს ვიწექი გაუნძრეველად, ველოდი სიკვდილს.
მიგრძენია იქვე საშინელი
სატრფოთა მიმართ,
და სხვათა მიმართ არ მქონია შური არაოდეს,
თვით ჩაპლინისაც.
ხანდახან ქალებს ვატყუებდი, მაგრამ მეგობრებს,
არასდროს არა!
ვსვამდი, ლოთი კი არ გავმხდარვარ.
პური არსობის, მადლობა ღმერთს, მხოლოდ და მხოლოდ
ჩემი გარჯით და ჩემი ოფლით შემიძენია.
ვცრუობდი, რადგან მე მრცხვენოდა მაგიერ სხვისა,
ვცრუობდი, რათა არ სწყენოდა რაიმე სხვასა,
ვცრუობდი, ზოგჯერ მე ყოველგვარ მიზეზს გარეშე.
ვმოგზაურობდი მატარებლით და თვითმფრინავით,
ადამიანთა მეტწილს რისიც არა აქვს ფული.
მე დავდიოდი ოპერაში,
თუმცა ეგ სიტყვა
ადამიანთა მეტწილს არც კი გაუგონია.
სანაცვლოდ ამის ათას ცხრაას ოცდაერთიდან
არა ვყოფილვარ, სადაც დადის უმეტესობა, —
ეკლესიებში, მეჩეთებში, მარჩიელებთან,
თუმცა იყო დრო, მეც ყავაზე ვმარჩიელობდი.
მე ვიბეჭდები ოცდაათ თუ ორმოც ენაზე,
ოცდაათ-ორმოც ქვეყანაში.
ჩემს თურქეთში კი, ჩემს ენაზე, ჩემი დაბეჭდვა
აკრძალულია.
არა, კიბოთი არ ვყოფილვარ ავად არასდროს,
თუმც ეს არ არის სავალდებულო.
არა, მინისტრი არ ვიქნები, გამოგიტყდებით
არც მაქვს სურვილი მინისტრობის.
ომში არ ვიყავ,
თავშესაფარში არ ჩავსულვარ, არ ჩამიხედავს
არ გავქცევივარ მოპიკრე თვითმფრინავს შიშით,
სამაგიეროდ გავმიჯნურდი სამოცი წლისა.
მოკლედ რომ მოვჭრა, ამხანაგებო,
დღეს თუ ძაღლივით მე ვიხრჩობი განშორებისგან,
ქვეყნად ვცხოვრობდი ისე, როგორც ადამიანი
და კვლავ ვიცხოვრებ,
და ვინ იცის რას მოვესწრები,
ან რას გამოვცდი!

თარგმნა ხუტა ბერულავამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

*

სად არ ააღწევს ჩემი სხეული,
განათებული დიდი სურვილით,
სამარადისო სწრაფვად ქცეული,
ოკეანეთა გადამცურველი.

სიმაღლეების გადამსერავი
ძლიერი ფრთები სად არ ამიტანს, —
შეუწყვეტია გლოვა სერაფიმს,
მზის სადიდებლად დგას პირამიდა.

მოეფერება ჩემი თითები
ვარსკვლავებს, როგორც ძვირფას
ნარგაევებს,
ცივ სილურჯეში დავეკიდები,
ჩემი თვალები ზღვარს დაკარგავენ.

შემომანათებს დღე მარადისი,
სადაც ლაჟვარდებს მხრები დაღლია,
სადაც მოკვდავთა ფიქრიც არ ადის,
სადაც დუმილი და სიმაღლეა.

ყოფილა ქვეყნად ყრმა განიმედი,
გულზე ბრჭყალების აჩნდა იარა,
ის ერთხელ ბედმა რა გაიმეტა, —
შორ ვარსკვლავების ხვედრს ეზიარა...

დავტოვებ მიწას, რომ მისმა დარდმა
უფრო მაღალი მომცეს წვალება,
მეტეორების უეცარ ვარდნას
მივაჩერდები ცხელი თვალებით...

სიმაღლეები არ მოაცებდა
და სურვილების მწამდა ახდომა...
როგორც სამყაროს გზა და ოცნება,
ნისლებში ელავს ირმის ნახტომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

შემოდგომაა, მე ვარ სინაზით
და ანთებული ფერებით სავსე,
გული ვერ ტოვებს ცამდე მინაზიდ
ვნებებს და თითქოს ირწევა ნავზე.

გავხედავ მზეში წითლად შეღებილ
აგურის სახლებს და მტვრიან ხიდებს,
სუსტი თითებით ნელა ვეხები
მეწამული ცის თაღსა და კიდეს.

სმენა ვერ იჭერს შორეულ ძახილს,
ძირს დაფენილი ქრება ლანდები,
ქუჩაში ყოფნას უეცრად ამხელს
ხმაური მცირე და გადამდები.

შემოდგომაა... ეს დღეც გათავდა
ჩაუქრობელი ფერებით სავსე
და შეღამება მოდის თანდათან —
მაღლა ხეებზე შრიალებს ხავსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორამ ჩაღუნელი

ცხოვრების ბიურო*

თავი მეექვსე

ფაბრიკის შენობა რომ დაინახა, გურამი გაურკვეველმა გრძნობამ მოიცვა. რამდენიმე წუთის შემდეგ ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო, მიზანს მიაღწია, ფაბრიკაში მიდის, მაგრამ რა იქნება მერე? — ფაბრიკის შესასვლელთან შეყოყმანდა.

— რა მოგვიდა? — ჰკითხა არჩილმა შვილს. მამის ხმამ გურამი გამოარკვია, ნაბიჯი გადადგა და ეზოში შევიდა.

არჩილმა გურამი დირექტორთან შეიყვანა. დირექტორი არჩილს შინაურულად მიესალმა.

— ეგ ალბათ შენი ვაჟკაცია, ძალიან დაგმსგავსებია, შრომაშიაც თუ?..

— იმედი მაქვს, არ შემარცხვენს.

დირექტორი წამოდგა, გურამს მიუახლოვდა და ქოჩორზე გადაუსვა ხელი.

— ჩვენთან იმუშავებ?

— ვიმუშავებ.

— მთლად გამოუცდელია, სკოლის მერხიდან პირდაპირ აქ მოვიყვანე, — არჩილმა დირექტორს შეხედა.

— რას იზამ, ჩემო არჩილ, დავბერდით, დროა გზა ახალგაზრდებს დავუთმოთ.

— შენ მართალს ამბობ, ივანე, მე დავბერდი, მინდა ჩემმა ვაჟმა ჩემი ადგილი დაიკავოს.

ივანე სწრაფად შემოტრიალდა არჩილისკენ.

— რას ამბობ, არჩილ, მსუბუქ სამუშაოს გამოგიძებნით, შენთან დაშორება ჩემთვის ძნელი იქნება.

— გარწმუნებ, ივანე, არც ჩემთვის არის ადვილი... ხელს ნუ შემიშლი, მინდა ჩემს ბებრუხანას მივხედო, მეც დავისვენებ, სიბერის წლებს სოფელ-

---

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 11, 12, 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გავატარებ, იქაც შვილი მყავს, გამოუცდელია, დახმარება სჭირდება. ამას თქვენ ჩაგბარებთ, არაფრის ჯავრი არ მექნება.

გურამი მალე შეეჩვია ფაბრიკას. ივანემ მისვლისთანავე ღაბაშების დამუშავების საამქროში გააგზავნა და ოსტატად გამოცდილი ხელოსანი ილარიონი მიუჩინა.

ილარიონი ორმოცდაათ წელს მიტანებული მამაკაცი იყო, მუდამ მომღიმარი და გულღია.

— ღაბაშის გახეხვა სახისა და ხორცის მხარეებიდან აუცილებელია, — არიგებდა ილარიონი გურამს: გურამი კი ვერ გარკვეულიყო ტყავის დამუშავების რთულ პროცესებში და გულდასმით უსმენდა ოსტატს, რომელიც რამდენიმეჯერ უმეორებდა ერთსა და იგივეს.

გურამი ყურადღებით უსმენდა ილარიონს. აკვირდებოდა ოსტატის ყოველ მოძრაობას და იმახსოვრებდა.

დღის ბოლოს კი, როცა სამუშაო დღე თავდებოდა, ილარიონის ნაჩუქარ წიგნს დიდხანს კითხულობდა ყურადღებით. პირველხანებში ამ წიგნში მისთვის ყველაფერი უცნობი იყო. მაგრამ მალე მიხვდა თუ რას ნიშნავდა ღაბაშის დანოტივება და შეჭკნობა, ტუჩის დაუთოვება... პირველ ხანებში ძალზედ დაიტვირთა. სოფელშიც იშვიათად ჩადიოდა. დღისით მუშაობდა. საღამოს მეცადინეობდა. ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდა. ხელფასს როცა აიღებდა, პატარა საჩუქარს ყოველთვის ყიდულობდა მშობლებისათვის. უხაროდა, ყოველ ნივთს ეალერსებოდა, მერე კოხტად შეკრავდა და ბაზარში შეიტანდა, თანასოფლელს მონახავდა, კვირაობით ბაზარი სავსე იყო თანასოფლელებით, და მშობლებთან გაატანდა ხოლმე.

აგვისტოში ჩამოცხა. ბევრმა თავი გაარიდა ქალაქის სიცხეს. გურამი მარტო დარჩა. ამხანაგებიდან აღარავინ იყო ქალაქში. ფაბრიკაში კი ჯერ არავისთან მეგობრობდა. მარტო იჯდა ხოლმე ეზოში და წიგნის კითხვაში აღამებდა.

დრო გადიოდა, გურამი შეეთვისა ფაბრიკას. იგი სწორედ იქ მუშაობდა, სადაც უწინ მამამისის დახგა იდგა, მაგრამ ახლა ძველი დაზგები ახალი დაზგებით შეეცვალათ. პირველ ხანებში მუშაობა უჭირდა, მაგრამ ილარიონი უყურადღებოდ არ ტოვებდა, მზრუნველობას არ აკლებდა უფროსი მეგობრის შვილს და ძალას არ იშურებდა, რომ თავისი გამოცდილება ჭაბუკისათვის გაეზიარებინა.

საამქროში ყველაზე ახალგაზრდა გურამი იყო. პირველ დღეებში სიმარტოვეს გრძნობდა, მაგრამ, როცა საამქროში მასზე უმცროსი, მეცხრე კლასელი გივი ივანისული მოვიდა, გაუხარდა და მალე დაუმეგობრდა კიდეც.

გივის მამა ფრონტზე დაღუპვოდა. თუმცა დედა მასწავლებელი ქალი იყო და შვილისათვის არაფერს იშურებდა, გივიმ მაინც ფაბრიკაში მუშაობა არჩია და იმავე დროს საღამოს სკოლაშიც სწავლობდა.

— იცი, გურამ, კარგი ინჟინერი ვერ გამოხვალ თუ შენი საქმე ბავშვობიდანვე არ შეისწავლე. მამაჩემიც ინჟინერი იყო, ქარხანაში ბავშვობიდან უმუშავია, მერე გამომგონებელიც გამხდარა.

— მართალი ხარ, გივი, გეტყობა ინჟინრობა გადაგიწყვეტია, არა?

გივი დაფიქრდა.

— არა, მარტო მაგისთვის არ მოვსულვარ აქ, არ ვიცი, შენ როგორ ხარ, მე კი უსაქმოდად ყოფნა არ შემიძლია.

მალე მეგობრებს ტანსრული და წარმოსადეგი ვაჟკაცი ელგუჯა უზნაძე შემოემატათ. მერე სხვებიც მოვიდნენ. ფაბრიკის დირექცია ახალგაზრდებს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სწორედ იმ საამქროში უყრიდა თავს, სადაც გურამი მუშაობდა. უნდა გეგონათ მათი სიხარული, როცა საამქროში წერწეტა ქალიშვილი თინა ტყემალაძე შემოვიდა. ლამაზი არ იყო, მაგრამ ძალზე მიმზიდველი სახე ჰქონდა.

თინას თავი უბრალოდ ეჭირა, თითქოს ვერ ამჩნევდა ვაჟების აელვარებულ თვალებს და როგორც დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებს, ისე ესალმებოდა. წლოვანებით გივის ხნისა იქნებოდა, სულ ახლახან დამთავრებინა ექვსთვიანი კურსები და ფაბრიკაში გამოეგზავნათ.

ერთხელ, შესვენებაზე, ჯონდი ჭანტურიამ, რომელსაც საამქროში ყველაზე უფრო მოჰქონდა თავი, თავხედურად გაუწოდა ხელი და თავი გააცნო: — ჯონდიო, უთხრა.

თინა აილეწა და არაფერი უპასუხა.

— რა ლამაზი ხარ, გოგო! — უტიფრად შესცინა სახეში ქალიშვილს ვაჟმა.

გურამი და გივი მთკენენ წამოვიდნენ.

— ჯონდი, როგორ იქცევი! — უთხრა გურამმა და მკლავში ხელი წაავლო.

— ბიჭოს, ვისი ტიკი-ტომარა ხარ, გამაგებინე: გვერდები ხომ არ აგქავებია, — ჯონდიმ გურამის ხელი მოიშორა. და გვერდით მდგომ შოთა მახარობლიძეს თვალი ჩაუკრა.

— ახლა არ ივარგებს, გარეთაც მოვესწრებით, — წააქეზა შოთამ ამხანაგი.

გურამს ხმა არ ამოუღია. მიხვდა ჯონდი დავიდარაბას საამქროშიც არ მოერიდებოდა და თავგასულ ახალგაზრდასთან ჩხუბს თავი აარიდა.

გურამი ქარხნიდან მეგობრებთან ერთად გამოვიდა, გზაში თინა წამოეწიათ. ცხელოდა. ავტობუსის გაჩერებასთან ხალხს მოეყარა თავი. ახალგაზრდები არ შეჩერებულან, მტკვრის სანაპიროსკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვნენ.

დილანდელი ამბავი არავის გახსენებია. გივი ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, უფრო იმიტომ, თინას ყურადღება მიექცია.

— წელს ბაიდარებით ცურვაში პირველი ადგილი დავიკავე, ახლა მოკრივეთა შეჯიბრებაში უნდა მივიღო მონაწილეობა.

გურამმა არც იცოდა თუ გივი სპორტით ასე იყო გატაცებული. პირველად კიდეც დაეჭვდა, იქნებ თინას თავს აწონებსო.

ქალიშვილი გივის ყურადღებით უსმენდა.

— მოსწავლეთა საქალაქო პირველობაზე მეც ვღებულობდი მონაწილეობას.

— რომელ სახეობაში? — დაასწრო ყველას გივიმ.

თინას გაეღიმა. თვალით მტკვარზე ანიშნა.

— ცურვაში? — გაკვირვებით წამოიძახა ელგუჯამ.

— დიახ, ცურვაში!

გურამსაც გაუკვირდა, რას იფიქრებდა თუ ეს ნაზი გოგონა მოცურავე აღმოჩნდებოდა...

— ბოდიში, მაგრამ რა გვარი ბრძანდებით? — შეეკითხა ელგუჯა.

— ტყემალაძე, — უპასუხა გოგონამ და ბიჭებს მიუბრუნდა: — გინდა ვიცურაოთ? ცხელა კიდევაც, გავგრილდებით.

დაეთანხმნენ ბიჭები.

საუბარში ისე გაერთვნენ, რომ ვერც კი შეამჩნიეს მტკვრის ნაპირზე როგორ გავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭოს, დავეძებდი და თავის ფეხით არ მეახლა ეს ვაჟბატონი!

ჯონდი მეგობრებს მიუახლოვდა. უკან ინდაურივით აფხორილი შოთა მოსდევდა. არ ესიამოვნა გურამს მათი დანახვა.

— აბა, თუ ბიჭი ხარ, ახლა დამიდექი. საამქროში რომ დიდგულობდი, რა გეგონა, ადგილს ვეღარ მოგიძებნიდი თუ? მე ამას გავუსწორდები, — თქვა ჯონდიმ და გურამს დაადგა თვალი: — შენ მაგას მოუარე, — მიუბრუნდა შოთას და გივიზე ანიშნა.

— ბოდიშს ვიხდი თქვენთან, — მიუბრუნდა ჯონდი ახლა თინას, — ჩვენთან ასეთი წესია, ვინც გაიმარჯვებს, თქვენც...

— არ ვარგა, ჯონდი, რა დაგიშავა ამ გოგონამ, რატომ აყენებ შეურაცყოფას? ვაჟაცი თუ ხარ, მადროვე, გავაცილებ და ჩქარა დავბრუნდები.

— ჰა... ჰა... ჰა... — გადაიხარხარა ჯონდიმ, — მაგ ფანდებით ვერ მომატყუებ, მოვემზადე, თორემ...

შეშინებული თინა აიბუზა და აკანკალდა, მაგრამ მისთვის ყურადღება აღარავის მოუქცევია. გურამი მიხვდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა. რა ექნა, არ ჩაჰყოლოდა ჯონდის, სამუდამოდ თავს მოსჭრიდა ტოლებში, არა და...

ჯონდის აღარ დაუცდია, მიუახლოვდა გურამს და მუშტი მოუქნია. გურამი განზე გახტა, ჯონდიმ მუშტი ააცდინა, დატორტმანდა, თავი ვეღარ შეიკავა და რიყეზე დაეცა.

გურამმა ხელი მოჰკიდა, ზეზე წამოაყენა.

— ეჰ... შენი დედა... — უწმაწურად შეუკურთხა ჯონდიმ და გურამისკენ გაიწია, მაგრამ გურამის მოქნეულმა მუშტმა გონება დაუბნია.

— მიშველეთ!.. — გაისმა მახარობლიძის ყვირილი. ყველამ იქით მოიხედა, სადაც გივი იდგა და მარჯვენა ხელის თითებს იზელავდა. შოთა გულწასული ეგდო რიყეზე. თინა მდინარეს მივარდა, მუჭით წყალი მოიტანა და შოთას სახეზე ასხურა. შოთამ თვალი გაახილა, ძლივს წამოდგა.

— რაო, ქვა დაარტყი? ეგ რა ვაჟაცობაა — უყვირა ჯონდიმ გივის ღა ახლა მისკენ გაიწია. გივის უკან არ დუხვევია, ჯონდის ყბაში ხეთქა მუშტი და ძმოდენა ვაჟაცი ციბრუტივით დაატრიალა. ჯონდიმ ნატკენ ადგილზე ხელი მოისვა და სიტყვა არ უთქვამს, ისე მიეფარა თვალს. სირცხვილნაჭამი შოთაც მეგობარს გამოუდგა.

— შენ აღარ ხუმრობ, მაგარი ხელი გქონია! — მიუბრუნდა გურამი გივის.

— ერთი ფაბრიკის მუშები და ასეთი საქციელი? — ნაწყენი ხმით ჩაილაპარაკა თინამ და ნელი ნაბიჯით წავიდა. აღარც ბიჭები დარჩენილან, ისინიც სახლებისაკენ გაუდგნენ გზას.

თავი მეშვიდე

კარგა ხანმა გაიარა. ილიკო საამქროს უფროსად დადაიყვანეს. სულ ახალგაზრდებთან ტრიალებდა და თვალს ადევნებდა, გივი კომკავშირში მიიღეს, იგი მეათე კლასში იყო და სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. მეგობრებმა, რაც გადაწყვიტეს, კიდეც შეასრულეს, სპორტულ გართობებს არ იკლებდნენ. ელგუჯა კარგი მოჭადრაკე გამოდგა და მალე პირველი თანრიგიც მიიღო. გივიმ კრიზში საქალაქო პირველობაზე პირველი ად-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გილი დაიკავა. სირცხვილნაჭამი ჯონდი პირველხანებში საამქროში აღარც კი შედიოდა, როცა გიგო, ჩემი საკითხი კომკავშირის კრებაზე გააქვთო, იკადრა, თინას ეახლა და პატიება სთხოვა. თინა ფაბრიკაში ყველა გართობის წამომწყები და შრომაში თითით საჩვენებელი იყო. მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტში ხუთებზე აბარებდა, ყველაფერში პირველობდა და კიდეც ასწრებდა. ბიჭები თავიანთ მზეთუნახავს ცივ ნიავს არ აკარებდნენ. გურამი თინასა და გიგის დაუახლოვდა, თავისუფალ დროს სულ ერთად ატარებდნენ.

ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი გურამისათვის ერთი დღე იყო. ხალხით გაჭედილ დარბაზში მდუმარედ იჯდა. გულისფანცქალით ელოდა შედეგს.

კრებიდან რომ გამოდიოდა, კარებთან გიგი დახვდა.

— როგორაა საქმე?

გურამმა თავი დაუქნია და მეგობარს გაუღიმა.

— მომილოცნია, გურამ! — უთხრა გიგიმ და მკლავში ხელი გაჰოსდო.

— იცი, ჯონდის მაშინდელი საქციელი კომკავშირის კრებაზე გავიტანეთ.

— კარგია.

— ჯონდი მოტყდა, პატიება ითხოვა.

— შოთა მახარობლიძე?

— ისიც მაგრად შეახურეს.

— კარგი იყო, დავსწრებოდი.

— პარტიის კრებაზე იყავი, როგორ დაესწრებოდი.

— კარგია, თუ ბიჭებმა დანაშაული შეიგნეს.

— ყველაფერი აღიარეს, თინას ბოდიში მოუხადეს...

ბიჭები ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. ქუჩის კუთხესთან გიგი გურამს გამოეთხოვა, ეტყობოდა გურამი მართლაც დაღლილი იყო. დღევანდელმა დღემ ბევრი რამ მოაგონა, მაგრამ ყველაზე უფრო ეთერის სახე არ ასვენებდა. უკანასკნელი შეხვედრა გაახსენდა. ბევრჯერ ეცადა, გულგრილი ყოფილიყო მაგრამ ვერა და ვერ შესძლო. ყოველთვის ეთერზე ფიქრობდა. აღარ იცოდა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. ანდა, ბოლოსდაბოლოს, რა უნდა ეთქვა, ისიც კი არ იცოდა.

— უნდა ვნახო, უნდა შევხვდე, — ფიქრობდა და თვითონაც ვერ მიხვდა, ამ ფიქრებში როგორ გაიარა ბარნოვის ქუჩა.

— ეს არის, — ახედა გაჩირაღდნებულ შენობას. შევიდე? მაგრამ რისთვის მოვედი-მეთქი, რა ვუთხრა? — ფიქრობდა და თვალი ვერ მოეშორებინა აგურის ორსართულიან შენობისათვის. დიდხანს იდგა გაუბედავად — მერე თვალი მოჰკრა ჩასუქებულ მამაკაცს, რომელმაც მძიმე რკინის ჭიშკარი შეაღო და ეზოში მიიმალა.

„ეთერის მამაა“, — გაიფიქრა მან, — „თითქოს ვერა მცნობს, რამდენჯერ შემხვდა ქუჩაში და ერთხელაც არ მომსალმებია“.

„რა თქმა უნდა, სად მე და სად ეთერი“, — გაიცინა გულში და დღეს პირველად იგრძნო, რა მიუწვდომელი იყო მისთვის ეთერი.

ესტატეს სახე წარმოუდგა, კეთილი და მომდიმარე. გაახსენდა მისი სიტყვებიც.

„საკუთარ მამასაც კი ხელი ჰკრა, მე რას უნდა ველოდე“, — ფიქრობდა და ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა ქუჩას.

ოთახის კარი შეაღო. ელექტრონათურა აანთო. მაგიდაზე გადაშლილი

წიგნები ეყარა. ნაღვლიანად შეათვალიერა. ლამის მეორე წელიც უცდება, ინსტიტუტში შესვლა კი მაინც ვერ მოახერხა.

ეთერი წელს დაამთავრებს საშუალოს, ნეტავი სად აპირებს სწავლის გაგრძელებას? — წაილაპარაკა მან და თითქოს უცებ ძალა მიეცა. არა, რაც არ უნდა მოხდეს, წელს ინსტიტუტში უნდა მოეწყოს, ერთად დაამთავრებენ ორივენი, ასე აჯობებს, — თავის დასამშვიდებლად გაიფიქრა და წიგნი გადაშალა. გვიან დაწვა.

ღილით ადრე გაეღვიძა, ფაბრიკაშიც ადრე წავიდა. მთელ დღეს დაფიქრებული მუშაობდა. ეთერის სახე აღარ შორდებოდა. რაც უფრო მიუწვდომელი ეჩვენებოდა, მით უფრო მეტად სურდა ეთერის სიახლოვე.

ფაბრიკის დირექტორი ივანე პენსიაზე გავიდა. ეწყინათ საყვარელი ხელმძღვანელის წასვლა, ფაბრიკაში ახალი დირექტორის მოსვლას ელოდნენ, მალეც დანაშნეს; იგი გამხდარი, მაღალი ტანის, პირქუში, შუახანს მიტანებული კაცი იყო. არავინ იცოდა, საიდან მოიყვანეს. ფაბრიკის მუშაობას არ იცნობდა. ძველი ხელმძღვანელობა არ ეჭაშნიკა, მიყარ-მოყარა. მუშები ჩურჩულებდნენ, თავისიანები მოჰყავსო, ყოფილი დირექტორის ხალხს თავიდან იცილებსო.

ილარიონს დაადგა პირველად თვალი, იძულებული გახადა თვითონ მიემართნა დირექტორისათვის, გამთავისუფლე საამქროს უფროსობიდანაო.

არც გურამი დაუტოვებია დირექტორს უყურადღებოდ. ისიც სხვა საამქროში გადაიყვანა. ახალგაზრდობა სულმთლად დაქსაქსა. ერთიმეორეს დაუშორა. ასე ამართლებდა თავის საქციელს: ნაკლებს იღლაბუცებენ, უფროსებთან უფრო ენერგიულად იმუშავებენო.

საგრძნობლად დაეტყო ფაბრიკას ხელმძღვანელობის შეცვლა, პირველსავე თვეში გეგმა არ შესრულებულა. გამომუშავებამ იკლო, აშკარად ღელავდნენ მუშები, ბუზღუნებდნენ, ნერვიულობდნენ ეკამათებოდნენ ახლადმოსულებს. არც მათ უთმობდნენ არაფერს, აქვეითებდნენ, ათავისუფლებდნენ. ბოლოს ყველა შეეჩვია ახალ ვითარებას. თავს აიშვებ.

გურამმაც იგრძნო ახალი დირექტორის სუსხი, ჯერ იყო და შეჩვეულ მუშებს მოაშორეს, მერე უმიზეზოდ უწუნებდნენ ნამუშევარს. ახალ საამქროს მალე მიეჩვია, მაგრამ ერთი შიში დასჩემდა, დაინახავდა თუ არა დირექტორს, რატომღაც სულ იმის ფიქრში იყო, სამუშაოს დამიწუნებსო.

დირექტორი ხმელ-ხმელი კაცი იყო, ყოველთვის გაქანქათებული, თეთრი პერანგი ეცვა, და როცა საამქროში შედიოდა, საპირეებზე ხელის მოკიდებასაც კი ერიდებოდა. სულ სხვა იყო ივანე. უბრალო, სატინის ხალათში გამოწყობილი, მუშებში ტრიალებდა, მისი ხმამაღალი სიტყვაც კი არავის გაუგონია, ისე წავიდა ფაბრიკიდან.

სამუშაო ულმობლად აბამდა გურამს თავის ქსელში. წინანდებურად აღარ ჰქონდა დრო. უხმოდ მუშაობდა დაზგასთან და სამუშაო დღე დამთავრდებოდა თუ არა, ხმაამოუღებლად სტოვებდა იქაურობას. მის გვერდით ნესტორი მუშაობდა, საშუალო ტანის, შავთვალწარბა, ასე ოცდაათ წელს მიტანებული ახალგაზრდა კაცი იყო. ბოლოდროს მთლად გულჩათხრობილი გახდა ნესტორი. ახირებული და უცნაური ხასიათი დასჩემდა. სულ მიზეზიანობდა, საამქროს უფროსს უსაფუძვლოდ ეკამათებოდა.

დღის ბოლო იყო. გურამი ნესტორს მიუახლოვდა და მხარზე ფრთხილად დაადო ხელი. ნესტორი შემოტრიალდა, გაოცებით აზედა გურამს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— რა გნებავთ? — უხეშად ჰკითხა და საღებავით შეწითლებული ხელები ჩვრით შეიწმინდა. ქანცგამოლეული კაცის შეხედულება ჰქონდა ნესტორს. გურამს თვალში ეცა მისი გაწამებული სახე.

— ერთად წავიდეთ, ნესტორ!

ნესტორს ხმა არ ამოუღია, გახუნებული ფიჯაკი გადაიცვა და, გურამისთვის არც კი შეუხედავს, ისე გაემართა ფაბრიკის კარებისაკენ, გურამი ფეხდაფეხ მისდევდა.

— ნესტორ, ერთად ვისადილოთ! — შეეხმიანა გურამი და მკლავში ხელი გამოსდო.

თითო ჭიქა გურჯაანულმა ორივენი გაახალისა.

— თითოც დავლოთ, — გურამმა ერთი ბოთლი გურჯაანული კიდევ მოითხოვა.

— ეს არამი ხალხის შესანდობარი იყოს. ადამიანები ამაღლებული და კეთილშობილნი უნდა იყვნენ, მაგრამ განა ყველანი ასეთები არიან?

— სიამოვნებით შევსვამ ამ სადღეგრძელოს, — გურამმა ჭიქა შეივსო.

— შენ კარგი კაცი ხარ, შენთან თავისუფლად შეიძლება გულისტკივილის გამოთქმა. არ გაგიკვირდეს ჩემი ახირებული ლაპარაკი. ცუდი არ იფიქრო, მე მხოლოდ ზოგიერთი უსამართლობა მაწუხებს.

გურამი გულისყურით უსმენდა ნესტორს.

— ივანეს რა დავემდურო, წასული კაცია, მისი სიკეთე ყველას ახსოვს ფაბრიკაში. ახლა ბევრი რამე არ მომწონს.

— მითხარი, რა არ მოგწონს? — ჰკითხა გურამმა.

— ჩვენი დირექტორი ასე ფიქრობს, რაც უფრო მეტი სუსხი ექნებათ მუშებს, უკეთესად იმუშავებენო. მოხსნა, საამქროდან საამქროში გადაყვანგადმოყვანა, მითხარი, რა მოსაწონია? — ამოიოხრა, კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

გურამმა ისევ შეავსო ცარიელი ჭიქები.

— ახალმა ხელმძღვანელმა ჩვენს მუშებს ალღო ვერ აუღო, ზოგიერთები დედასაც აგინებენ დირექტორს, აბა რა გასაკვირია, უსამართლობა მოთმინებიდან გამოიყვანს ყველას. გამომუშავებამ ისე იკლო, თვალში გეცემა.

— სამწუხაროა, რომ ამაზე პირდაპირ არ ვლაპარაკობთ.

— კარგ მთქმელს კარგი გამგებიც უნდა ჰყავდეს. ზოგიერთები ისე არიან მიკუნჭული, რომ ისიც არ უნდათ, ვინმეს დაენახონ.

— ყველაზე არ ითქმის.

— რა თქმა უნდა, ყველაზე არ ითქმის.

მოსაღამოვდა. გარეთ გამოვიდნენ.

— ხედავ, — მიუბრუნდა ნესტორი გურამს, — ამ სასადილოში ყველაფერი ისეა გაკრიალებული, რომ შეხვალ, სულიერად ისვენებ. ჩვენთან? თუ ძმა ხარ, ღიპიანი მოსე რა უფროსია ჩემი, შენიშვნასაც ვერ გაუბედავს კაცი. თუ ხელი მიუწვდა, მუშტსაც დაატრიალებს.

— ნესტორ, მალე ასაღლვებელიც არაფერი გექნება.

— შენ ასე გგონია?

— დარწმუნებული ვარ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მერვე

გურამი ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. დიდხანს უსმენდა ბიუროს მდივნის უსუსურსა და არაფრის მთქმელ ანგარიშს. ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაბედა ადმინისტრაციის მუშაობის ნაკლოვანებაზე, პირიქით, ცამდე აიყვანა.

რაიკომის მდივანს თვალი არ მოუშორებია მომხსენებლისათვის. როინიშვილი გაფაციცებით იწერდა რაღაცას, სიტყვაში ბევრი გამოვიდა. ზოგი დირექტორს აქებდა, მუშებს ადანაშაულებდა, ზოგიერთნი კი პირიქით ლაპარაკობდნენ. გურამმა ძალიან ნელა, გაუბედავად დაიწყო ლაპარაკი, თანდათან ხმა გაუმტკიცდა, ბოლოს სულ დაავიწყდა მორიდება და სადად, გასაგებად მოახსენა კრებას ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობა.

გურამი განსაკუთრებით აღელვებული ლაპარაკობდა ღაბაშვილის საამქროზე. ვერ გამიგია, რატომ გაანთავისუფლეს გამოცდილი და საქმის კარგი მცოდნე ილარიონიო.

დირექტორმა თავის მართლება სცადა, ფაბრიკაში ახალი კაცი ვარ და მალე გამოსწორდება ყველაფერიო.

პარტორგანიზაციის ძველი მდივანი ახლადარჩეულ ბიუროს სხდომას აღარ ესწრებოდა, სამარცხვინოდ გააშავეს.

ბიუროს სხდომა რაიკომის მდივანმა როინიშვილმა გახსნა. მოკლე შესავალი წაუმძღვარა. საჭიროა ბიუროს მდივნის არჩევაო და მზერა გურამისკენ გაექცა. დირექტორი წამოდგა. ჩაახველა, სათვალე გაისწორა და გურამის კანდიდატურა წამოაყენა. წინააღმდეგი არავინ წასულა. გურამი არ ელოდა თუ მის კანდიდატურას დირექტორი წამოაყენებდა.

ბიუროს სხდომა დამთავრდა. გურამს მიულოცეს. ალექსანდრემაც მიულოცა:

— შენ იცი, როგორ გაამართლებ ნდობასო.

რაიკომის მდივანმა დაუბარა, ხვალ დილით შემოიარეო, და სწრაფი ნაბიჯით დარბაზიდან გავიდა.

გურამი თავბრუდახვეული გამოვიდა ქუჩაში. სახლშიაც არ მისულა, მთელ ღამეს ქუჩაში დაბორიალობდა. გაახსენდა სოფელი, მშობლები, და-ძმა და ეთერი.

დილის ბურუსი გაიფანტა, მზე ამოიწვერა და ნათელი მოჰფინა ქვეყანას. გურამი ბუნების გაღვიძებას ხარბად შესცქეროდა, მერე ბუჩქებს მოეფარა და გაირინდა. იგი გულისფანცქალით ელოდა შენობიდან ქალის გამოსვლას, რომ ერთხელ მაინც მოეკრა თვალი მისი ოცნებისათვის. ეთერი არ ჩანდა. ვინ იცის, რა ტკბილად ეძინა ახლა. გურამი დიდხანს გასცქეროდა გზას. ეთერი არ გამოჩენილა. საათს დახედა და ნელა გაჰყვა ქუჩას. ყურადღებას არავინ აქცევდა, გურამმა რუსთაველის პროსპექტი გადაჭრა და აღმართს უხალისოდ დაჰყვა.

დილის ცხრა საათი სრულდებოდა, ნაბიჯს აუჩქარა, სირბილით გაიარა მთელი ქუჩა, რაიკომის შენობაში შევიდა და სულმოუთქმელად აირბინა კიბე.

— მერი, როინიშვილი აქ არის? — მისალმების შემდეგ ჰკითხა რაიკომის ტექნიკურ მდივანს, — კი, — უპასუხა გოგონამ, გაუღიმა და ანიშნა, მიბრძანდითო.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გურაᲛᲘᲐ კარი შეაღო.

მორიდებით შეᲕიდა კაბინეტᲨი, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და რაიკომის მდივანს მიესალმა.

— გამარჯᲮობათ!

ალექსანდრემ თავი ასწია.

— ოჰო, უკვე მოხᲕედით? დაბრძანდით! — სკამზე მიუთითა, — აი, რაშია საქმე. თქᲕენ დიდი შრომის გაწᲕევა მოგიხდებათ, სანამ პარტიულ მუშაობას გამოასწორებთ.

— მუშაობას არ შᲕᲕᲨᲘᲜᲓᲔᲑᲘ, მაგრამ... — გაჩერდა, ფიქრობდა, ეთქᲕა თუ არა, რაც პირზე მოადგა.

— თქᲕᲘᲗ, რისა გერიდებათ.

— ზოგიერთები თუ არ გადაგᲕეღობᲜᲔᲑ გზაზე!

— არც ეს არის გამორიცხული, ფაბრიკაᲨᲘ შრომის დისციპლინა მოიკოᲭᲚᲔᲑᲐ, თქᲕᲔᲜ უნდა დაარწმუნოთ მუშᲔᲑᲘ, რომ ერთეულები ამინდს არ ᲭᲘᲛᲜᲘᲐᲜ.

— მაგრამ მე ᲮᲝᲛ არ შემიძლია ფაბრიკის ხელმძღვანელობას წინ აღᲕუდგე?

— თქᲕᲔᲜ მთელი ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის სახელით უნდა იმოქმედოთ. უპირᲕᲔᲚᲘᲡ ყოᲕᲚᲘᲡა, ყურადღება მიაქᲪᲘᲗ მუშᲗᲐ ყოფაცᲮᲝᲕრებᲐᲡ. გაითვალᲘᲡწინეთ კრებაზე გამოსული ამხანაგების საᲭᲘᲕრები და მტკიცედ შემოიკრიბეთ ფაბრიკის კოლექტივი.

— ჩემთვის ყᲕᲔᲚაფერი გასაგებია.

— არ დაიბნეთ, თუ გაგიᲭირდეთ, მოგᲖმართეთ, არ მოგერიდოთ.

მცირეხანს დუმილი ჩამოვარდა.

— თქᲕᲔᲜ დარწმუნებული ᲮᲐᲠᲗ, რომ ფაბრიკაᲨᲘ გეგმის შეუსრულებლობა ახალი ხელმძღვანელის ბრალია?

— რა თქმა უნდა, ეᲭᲕიანი კაცია, არავის ენდობა.

— ასეთი რამ შეიძლება ადამიანს შᲔᲛᲮᲕᲔᲡ, რა გასაკᲕირია, ფაბრიკაᲨᲘ ჯᲔᲠ არავის იცᲜᲝᲑ, ფრთᲮᲘᲚᲝᲑᲐ, რას იტყᲕᲘᲗ?

— შეიძლება ესეც იყოს, თუმცა კადრების გადაადგილება ნამდვილად ნაᲩᲥᲐᲠᲔᲕი იყო.

— რამდენიმე თᲕᲔᲨᲘ ძᲜᲔᲚია ამხელა საწარმოᲨᲘ გაცᲜᲝᲑა, ასᲔᲕᲔ ძᲜᲔᲚია ხელმძღვანელის ნიᲭᲘᲡა და უᲜᲐᲠᲘᲡ შეფასება.

გურამი თავᲩᲐᲚᲣᲜᲣᲚი უსმენდა. მიუᲮᲔდა, რაიკომის მდივანი არ უᲬᲝᲜᲔᲑᲔᲓᲐ დირექტორის გაკიცᲮᲕას.

— ყური უგდეთ მუშᲔᲑს, ისწᲐᲕᲚᲔთ და გამოადეᲥᲘᲗ, თქᲕᲔᲜი შემფასებᲔᲚᲘ მუშაობის შᲔდეგი იქᲜᲔᲑა, — დასძინა როინიშᲕილმა.

ეტყობოდა, რაიკომის მდივანს გურამი მოეწᲝᲜა.

საᲐᲛქრობᲨᲘ არ შეუᲕᲔᲚია, პარტორგანიზაციის მდივნის ლამაზად მორთულ ფართო ოთახᲨᲘ შეᲕიდა და სკამზე ჩამოᲯᲓა. საიდან დაიწყოს? რა თქმა უნდა, აᲯობებს ფაბრიკის მუშაობას ღრმად გაეცᲜᲝᲑ, — გაიფიქრა და კაბინეტიდან გამოᲕიდა.

დერეფანᲨᲘ დირექტორი შემოᲮᲕდა.

— როგორაა საქმეები? — ძალდატანებული ღიმილით მიმართა დირექტორმა გურამს.

— ᲕᲘწყᲔᲑ, ამხანაგო გიორგი, მინდა ფაბრიკის მთᲔᲚ მეᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ გაᲕეცᲜᲝ, თუმცა ჩემთვის ახალი არაფერია, მაგრამ სხᲕაა, როცა ასეთ მძიმე მოვალეობას დაგაკისრებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ შეწუხდები, რა ცნობებიც გნებავს, ყველაფერს თვითონ გაგაცნ ზადებენ. რაიკომი, ფაბრიკის მუშაობაზე ცნობებს ყოველდღიურად ითხოვს, მალე მოგბეზრდება, — ორპოფული ღიმილით დააყოლა დირექტორმა.

— ასე არ ივარგებს, აჯობებს პირადად ენახო ყველაფერი, ხომ იცით, გეგმებს ვერ ვასრულებთ და რამე უნდა ვიღონოთ.

— ვერაფერს გახდები, არაფერი დამიკლია, მაგრამ ამ ჩამორჩენას თავი ვერ დავაღწიეთ.

— რატომ? დიდი ხანი არაა, რაც ფაბრიკა მოწინავეთა რიგებში იდგა, მაშინ გეგმის შესრულებაზე არც ლაპარაკობდნენ, რა მოხდა ახლა? — გურამმა გამომცდელად შეხედა დირექტორს.

— განსხვავება მხოლოდ ის არის... დირექტორმა ჩაახველა, ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა, პაპიროსს მოუკიდა და გაგრძელა, — განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ გაბერილ ცნობებს აწვდიდნენ.

გურამი ჩაფიქრა დირექტორის სიტყვებმა „ვინ იცის, იქნებ მართალიც არის", — გაივლო გულში და დირექტორს ისე გაშორდა, ალარაფერი უთქვამს...

... გურამმა, გადაჭრით გადაწყვიტა ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლა. ავთო არ ეშვებოდა, სიტყვა რომ გატეხა და ფაბრიკაში მუშაობა არ დაიწყო, თავს დამნაშავედ გრძნობდა და უნდოდა გამოესყიდა.

აი, ახლაც ავთანდილი გურამთან იჯდა. მას შემდეგ, რაც აიწლედი დაამთავრეს, ორი წელი გავიდა და სწორედ ახლა გამოადგა გურამს ავთანდილი. ავთო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსს ამთავრებდა, დღემუდამ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა და კარგათაც ახსოვდა განვლილი მასალა. იმ დღეს მათემატიკის კურსით გათვალისწინებული საკითხები მთლიანად ამოწურეს.

— ერთი სიტყვით, ინსტიტუტში მეგულები, — ავთომ მხარზე მოუცაცუნა ხელი გურამს.

— ენახოთ.

— გურამ, მინდა ერთი ვინმე გაგაცნო, იცი რა გოგოა, — უცებ შეცვალა საუბარი თემა ავთომ.

— თუ ღირს?

— ისეთი კარგი გოგო იმ კურსზე არავინ არის.

— შენ საიდან იცნობ?

— ჩემი მეგობრის ამხანაგია.

— რომელ კურსზეა?

— პირველზე.

— რა გვარია?

— შვანგირაძე.

— ჰა?

— ხომ არ იცნობ?

— ეთერს?

— სწორედ ეთერია, ბიჭოს, გცნობია კიდეც!

გურამს აღარ გაუგონია ავთანდილის უკანასკნელი სიტყვები. ეთერი გაახსენდა. უკვე ორმა წელმა განვლო, რაც სოფელში უკანასკნელად ნახა. ვინ იცის, რამდენმა წყალმა ჩაიარა, ახსოვს კი გურამი? ეთერმა უშანგი შვანგირაძე გაახსენა, სქელი, ტლანქი მამაკაცი, ახალ დირექტორს მოჰყვა ფაბრიკაში, მომმარაგებლად დანიშნეს. რამდენჯერ შეხვდა, ერთი უგემურად კი დაუქნევს ხოლმე თავს და მეტი არაფერი. ბავშვობისას გურამი ხშირად სოფელში ხედავდა შვანგირაძეს, სცნობდა გურამს, როგორ არა, მაგრამ ისე გაბღენძილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუვლიდა, გურამი მიახლოვებას ვერ ბედავდა, ფიქრობდა, ალბათ ძალზე ჩემი გულისთქმა და ასე იმიტომ მექცევაო...

— რამ ჩაგაფიქრა გურამ?

გურამი გამოერკვა.

— გინდა, ხვალ შეგახვედრო?

— დარწმუნებული ხარ, რომ შესძლებ?

— ჩემზე იყოს, — ტაში შემოჰკრა ავთომ და საყვიდურით უთხრა, — მწყინს, ასეთი გულჩახვეული რომ ხარ, ერთხელაც არ წამოგცდენია.

გურამი ხმას არ იღებდა, მეგობარს უყურებდა და იღიმებოდა.

— ხვალ რომელ საათზე აბარებ გამოცდას?

— თორმეტზე.

— კარგი, გურამ, დანარჩენი მე ვიცი.

გულისფანცქალით ელოდა გურამი მეორე დღეს. გამოცდამდე სახლიდან ნახევარი საათით ადრე გამოვიდა. „სასაცილოა, ისე ვიქცევი, თითქოს სულ ერთი იყოს ჩემთვის, ვისი იქნება ეთერი. იმდენი გამბედაობა არა მყოფნის, შევხვდე და ვუთხრა, რაც ასე მაწუხებს“, — ფიქრობდა იგი.

ინსტიტუტში შესვლისთანავე დერეფანში ავთანდილი შემოეგება.

— გურამ! ჩქარა, გამოცდა დაიწყო.

აუდიტორიის წინ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი, ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ზოგს წიგნი გადაეშალა, თავი შიგ ჩაერგო.

— შემდეგი, მობრძანდით! — გაისმა გამომცდელის ხმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვერავინ ბედავდა გამოცდაზე შესვლას.

— მსურველი აღარავინაა?

გამომცდელმა ფურცელი მოიმარჯვა და თავისთვის ჩაილაპარაკა — მაშინ სიის მიხედვით დავიწყოთ.

გურამი გამომცდელს მიუახლოვდა.

— მობრძანდით! — შეუშვა გურამი გამომცდელმა აუდიტორიაში.

კარგა ხანს ელოდა ავთანდილი, ნერვიულობდა, დერეფანში დადიოდა და იმ კარს, რომლის იქითაც გურამი მიიმალა, თვალს არ აშორებდა.

გურამი გაბრწყინებული სახით გამოვიდა. საგამოცდო ფურცელი ხელში ეჭირა.

გურამმა ავთანდილს დაუწყო ძებნა და დერეფნის ბოლოში მოჰკრა თვალი, გოგონებს ელაპარაკებოდა. გურამი დააკვირდა მათ. ნუთუ ის არის?

ავთანდილი მისკენ წამოვიდა.

— როგორაა საქმე? — თითქმის ჩურჩულით ჰკითხა.

გურამმა საგამოცდო ფურცელი გაუწოდა.

— იცნობ? — თვალით ანიშნა გოგოებზე.

გურამი და ავთო გოგონებთან მივიდნენ.

— რა ნიშანი მიიღო? — წამოიძახა მაღალ-მაღალმა გოგონამ და საგამოცდო ჩამოართვა გურამს.

— გამარჯობა, ეთერი?

ეთერმა ხელი გაუწოდა.

— ჩაბარე, გურამ?

— ჩავბარე, — გურამი დაიბნა, არ იცოდა საიდან დაეწყო ლაპარაკი. ალბათ ასე გაჩუმებული იქნებოდა, ავთანდილი რომ არ მიშველებოდა.

— გავიაროთ!

ოთხივენი კიბეზე დაეშვნენ და ქუჩაში გამოვიდნენ.

— როგორც გატყობთ, თქვენ ძველი ნაცნობები ხართ, ჩვენ აქეთ წავალთ, შენ კი, გურამ, ეთერი გააცილე.

ეთერმა ვაჟს შეხედა, დაფიქრებული იდგა გურამი, ქალს არ გამოპარვია, როგორ ააღელვა ვაჟი მასთან შეხვედრამ.

— რას ჩაფიქრებულხარ, გურამ, არ გავიაროთ, იქნებ დაკავებული ხარ?

— წავიდეთ, სადაც გინდა, — გურამმა ქალს მკლავში ხელი მოჰკიდა.

— რამდენი ხანია არ შეეხვედრივართ.

ეთერმა ნაღვლიანად შეხედა ვაჟს.

— ალბათ დაცოლშვილდი?

— არც მიფიქრია.

— არჩევანზე ხარ? — გაუცინა ქალმა.

პარკში შევიდნენ. გრძელ ლოდზე ჩამოსხდნენ და ორივენი მდუმარედ ათვალიერებდნენ წინ გადაშლილ ქალაქს. ლაპარაკს თავი ვერ მოაბეს.

„რა მემართება?“ — გურამმა ქალს შეხედა.

— დროა წავიდეთ! — ეთერი წამოდგა. ვაჟს ხელი მოჰკიდა და პარკის გასასვლელისაკენ წავიდა. გურამმა გამბედაობა მოიკრიფა, წუთით შეაჩერა ეთერი და ხელზე აკოცა.

— რას სჩადი! — ეთერმა ხელის კვრით მოიშორა ვაჟი.

გურამი დამშვიდდა, იგი ახლა თვალებში შესცქეროდა გაბუტულ ეთერს და ელოდა თუ რას ეტყოდა.

— იცოდე, თუ თავს არ შეიკავებ, შენთან წამომსვლელი აღარა ვარ.

გურამს გულზე მოეშვა.

— შენა ხარ ჩემი სიცოცხლე, გინდ შემიწირე, გინდ გამაბედნიერე, — ეჩურჩულებოდა ვაჟი ქალს და ნელა მიჰყავდა.

ქალი აღარ ეწინააღმდეგებოდა.

— ახლა მარტო წავალ, — თქვა მან უეცრად და ვაჟს მოსცილდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე შეჩერდა, მოტრიალდა და, ინსტიტუტში შეგხვდებიო — მოაძახა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

მკლავი

ნაგვემმა ყველაფრის გახდა დააპირა.

— გეცვას, — უთხრა მელოტმა — ახლა ადექი, ჭირიმე, და ამ გუბეში ჩაწექი, გაგრილდები!

— შემდეგი! — დაიძახა ბეღურამ.

ნაგვემმა წელი აითრია, გუბეში ჩადგა, წყალს ჩააშტერდა, ძლიერ განცვიფრებული ჩანდა. ტკივილი უმანჭავდა სახეს. ძნელად ჩაიკეცა, წყალში ჩაწვა. იმავ წამს ცრემლები გადმოსცვივდა დაპა-ღუპით, მწარედ ატირდა.

მეზღვაურმა გუბის ნაპირზე მოიკალთა, წყალში ჩაიხედა.

ფსკერიდან ლამი დაიძრა, ნაგვემის სხეულის ირგვლივ წყალი აამღვრია, ღრუბელივით წავიდა ნაპირებისკენ.

— ძაან ნასწავლი კაცი ხარ, არა? — ჰკითხა ბეღურამ წელსზევით შიშველ ბეითალს და რქის ვარაყიანი სათვალე მოუთვალიერა.

— არა. უმაღლესი განთლება მაქვს. ექიმი ვარ, ვეტერინარი!

— აჰაა! ინტელიგენციის ფენა. გასაგებია. წაჰყევი ამას. შრომა აკეთილშობილებს ადამიანს.

მელოტმა წინ წაიგდო ბეითალი, ავტობუსისკენ წავიდა.

ბეღურამ ფაშვიანს უხმო. სანამ მოვიდოდა ნინოს დააცქერდა.

ფაშვიანი გზაშივე შეუდგა გახდას. ბეღურასთან მისულს პიჯაკი უკვე მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული.

— როგორმე, რაღაც უნდა გაკეთდეს! — ჩაილაპარაკა არჩილმა.

— კაციშამიები! — თქვა ნინომ — შენ მართალი იყავი, უნდა დამერტყა... სწორედ ზურგიდან.

— იმაზე უკეთესს ვერაფერს ვიზამთ, რომ... რა შეგვიძლია?! — გამოელაპარაკა ვექილი, — ვერსაით წაველენ. სულერთია!

ბეღურამ ადრევე მოჰკრა ყური ლაპარაკს, მაგრამ თვალი მხოლოდ ვექილს შეასწრო.

— ვაუბატონო, ენას ვერ დააყენებ? — ბეღურამ ნიკაპზე მოიკრა ხელი, დაფიქრდა და პატარა ხნის ყოყმანის შემდეგ უკანა რიგებში მსხდომთ წინ გადმოჯდომა უბრძანა.

ხალხი წამოიშალა, ადგილი გადმოინაცვლა. ვექილს არ ეხებოდა ეს ბრძა-

---

გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 1.

ნება, მაინც რატომღაც ფაციფუცი ატეხა, რამდენჯერმე მოირბინა თვალით იქაურობა. ხელები აფათურა, დაწყნარდა და წინ გადაჯდა.

ახლა არჩილი, ნინო, საბლერი და მიტო უკანასკნელ რიგში აღმოჩნდნენ.

— ნუთუ ვერაფერს მოვიფიქრებთ, დასწყევლოს ღმერთმა! — ისევ ჩაილაპარაკა არჩილმა.

მიტო ბეღურას შეჰყურებდა, ფიქრობდა.

— თომა კრავი, განთქმული მეკობრე... ის უფრო დიდი იყო უთუოდ. ალბათ უფრო ლამაზიც — თქვა მან.

— მშობლები ჰყავს, ნეტა?.. შეიძლება ჰყავდეს, — ჩაილაპარაკა საბლერმა.

მუსიკის მასწავლებელი ფაშვიანს შესცქეროდა, თან პიჯაკის შებნევას ლამობდა; მარაყუჟში აფათურებდა თითებს, ღილს ეძებდა, ვერ პოულობდა. მერე დაიხედა. ღილი ამოგლეჯოდა.

— აწყალეტა, — აღნიშნა მან და ასფალტი მოათვალიერა, ღილს ეძებდა.

ფაშვიანი ტრუსის ამარა იდგა. მარჯვენა ხელით მარცხენა მაჯა დაებღუჯა, სახეზე სულელური ღიმილი უთამაშებდა, თვალებში შესციცინებდა ბეღურას. ბეღურამ მისი დამრგვალებული, დონდლო ნაკვთები მოათვალიერა, გულიანად გაეცინა.

— რა ხელობისა ხარ?

ფაშვიანმა რაღაც ჩაილაპარაკა.

— ბოთეტის კაცი ვარ... კვების მუშაკი.

— ძმები ვყოფილვართ... შენ ჩემი უფროსი ძმა ხარ, უფრო მსხვილი მძარცველი... წადი!.. მოიცა, მოიცა, მაჩვენე? — ბეღურამ ხელით დაბღუჯულ მაჯაზე ანიშნა.

ფაშვიანმა მაჯას ხელი შეუშვა. ოქროს საათმა დაიბზინა.

— ეეე! აბა, შე კაი კაცო, მძაცცობაში ტყუილი შეიძლება? აქ მომე ეგ წისქვილი. შენ კიდევ მოიპარავ სამაგისო ფულს. მოიტა!

ფაშვიანმა ჩახითხითა, თითქოს იცილქა და ახლოა მოაგონდა, რომ ამ ხნის კაცს ბაშვური საქციელი აღარ შეშვენის. უხერხულობა ხითხითში ჩაატარა.

მოიხსნა, მისცა, გული ჩასწყდა, თვალები სინანულით აევსო.

— გაძნელდა. საღღაა... — წასჩურჩულა მან ბეღურას და წაბაჯბაჯდა.

მილოტმა ნაძარცვით დატვირთული ბეითალი მოიყვანა, დაეკა საბარგულში ჩააყრევინა.

— ნახე, რა ვიპოვნე! — უთხრა მელოტმა ბეღურას და ჯიბიდან მიტოს მაღვიძარა ამოიღო.

ბეღურამ მაღვიძარა გამოართვა, დააცქერდა, დიდხანს უყურა.

— ჩვენიც ასეთი იყო, უფრო დიდი! — ჩაილაპარაკა მან, მაღვიძარა ჯიბეში ჩაიდო და შემდგომს უხმო.

— წაიღო! — დაინანა მიტომ.

— მიიჩოჩეთ ცოტა, სულ წამართვით ადგილი! — თქვა ვიღაცამ.

— პირიქით! ლამის კისერზე შემომსაკუპდეთ, — უპასუხა მეორემ.

— წყნარად, ამხანაგებო, დაუთმეთ ერთმანეთს! — ჩაერია საბლერი.

— მოდი შენ, გვრიტო! — დაუძახა ბეღურამ სალათისფერ ქალს და ისევ ნინოს მიაბჯინა თვალი.

არჩილმა დაინახა ბეღურას უტიფარი მზერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეღურამ თავით ფეხამდე აზომ-დაზომა სალათისფერი ქალი. ჯერ გაოცდა, შემდეგ სიცილი მოერია. სალათისფერმა ქათინაურად მიიჩნია, მორცხვად გაიღიმა.

— პირდაპირ მოდების ჟურნალიდან გადმოხვედი, თუ სადალაქოს ვიტრინიდან მოგიპარეს, ლამაზო? — ბეღურას მოეწონა თავისი ნაოხუნჯარი, ჯულიან სიცილს მოჰყვა.

— გაიხადე! — დასძინა მან წარბშეკრილი.

სალათისფერი ქალი უკიდურესად გაოცდა.

— გავიხადო!?

— შენ რა გეგონა? დროზე!

— რას ამბობთ, ეს პალტო... ასეთი ქსოვილი... თქვენ საზიზღარი მძარცველი ხართ, არა გრცხვენინათ?! ასეთი ქსოვილი... არ გავიხდი!

ბეღურამ ბებუთი ოშიშვლა, მუცელზე მიაბჯინა.

— გაიძრე!

ქალი დაიბნა; ერთხანს განაბული იყო, თითქოს ფიქრობდა რა მოვიმოქმედოვო. მერე ისევ წამოილუღლუღა:

— ასეთი ქსოვილი... — შეჰკივლა და ასფალტზე გაიშხლართა გულწასული.

ბეღურამ ერთი კი დახედა და აღარ დაუყოვნებია, შემდგომს უხმო, საბლერს. უკანასკნელი რიგიდან.

საბლერი მშვიდად მიუახლოვდა. ცნობისმოყვარეობა უღვიოდა თვალებში. ალალი, გულღია მზერით შეჰყურებდა ბეღურას.

— გაიხადე! — მიმართა ბეღურამ ხმადაბლა, მცირე დაყოვნების შემდეგ.

საბლერი დინჯად შეუდგა გახდას.

ბეღურა გულდასმით ადევნებდა თვალს.

— ერთ რამეს გეტყვი. მისმინე, გინდა? — უთხრა საბლერმა ბეღურას.

— თქვი, თან გაიხადე.

— ერთსა და იგივე რაიმეში ავიც არის და კარგიც. ადამიანს, ხდება ხოლმე, ცხოვრება გააბოროტებს, ყველაფერში მხოლოდ ავს ხედავს. პირიქით უნდა. კეთილი და კარგი უნდა დაინახო, შეითვისო. ავი უნდა აპატიო, მიუტევო. მაშინ ადამიანი გეყვარება და აღარც ბოროტებას ჩაიდენ.

საბლერს ხელში ეჭირა სამოსი, ისე ლაპარაკობდა. ბეღურა ძალიან დიდი ინტერესით უსმენდა, ეთანხმებოდა კიდეც, სახეზე ეტყობოდა.

საბლერი მორჩა. ორთავენი სდუმდნენ. ბეღურამ თავი დახარა, ასფალტს ჩააშტერდა.

— დაამთავრეთ? — იკითხა მან მოკრძალებით და თავი ასწია.

საბლერს სიხარულმა გაუელვა თვალებში. სიამაყე იგრძნო, იმ მოესვეულივით, რომელმაც თავისი ჩაგდებული მარცელის ნაყოფი მოიწია... თავი დაიქნია დასტურის ნიშნად.

— ეგენი აქ ჩაყარე და წაეთრიე! — უთხრა ბეღურამ და სიცილი დააყარა.

საბლერი ასეთ დასასრულს არ ელოდა. დაიბნა, წამით მოსაზრების უნარი დაკარგა, მერე ტანსაცმელი საბარგულში ჩაყარა და გაბრუნდა.

რამდენიმე ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული, დაბრუნდიო, მიაყვირა ბეღურამ.

საბლერმა ბრძანება აასრულა.

— აბა. ერთი, გაიძრე წინდები!

საბლერი შეყოყმანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰა-მეთქი!

საბლერი დაიხარა, გაიძრო, წელში გაიმართა, ხელის მოქნევას აპირებდა წინდების საბარგულში ჩასაყრელად...

— არა! აქ მომე.

საბლერი გაწითლდა, ძალისძალად გაუწოდა წინდები, თვალები ჩახარა. ბეღურამ წინდიდან ოთხად მოკეცილი ფულები ამოაცურა, დახედა და ხარხარს მოჰყვა.

არჩილმაც ვეღარ შეიმაგრა სიცილი.

— როდის მოახერხა?! — გაოცდა ნინო.

— გითხარი, დაასორსოლავე და ნესტორში შეიტენე-მეთქი. რომ არ დამიჯერე? — გამოსძახა მიტომ სიცილით.

ბეღურამ გული იჯერა, ცრემლი შეიმშრალა.

— მე, რომ შენში მარტო კეთილი და კარგი დამენახა, ამ ფულს ხომ ვეღარ დავინახავდი. ხა, ხა, ხა, წადი! შემდეგი!

მელოტმა ისევ მოიყვანა ნაძარცვით დასაპალნებული ბეითალი.

— ამუნია, ცოლი გიშოვნე! — მელოტმა ჩაიდანის სათბური „მატრიოშკა“ დაისვა მუშტზე.

„მატრიოშკას“ ღაჟღაჟა, მღიმარე სახე ჰქონდა და უზომოდ განიერი, ჭრელი ქვედატანი.

ამუნიამ ისე ფართოდ გაიღიმა, რომ პირის ნახევი ყურებამდე გადაეხსნა.

— მოიტა აქ! — დაიძახა მან — ჩვენი სახლის პატრონს ჰქონდა მაგისთანა და ჩაიდანიც ჰქონდა, დიდი ჩაიდანი... ფაიფურისა ჰქვია, არა?

მელოტმა „მატრიოშკა“ გადაუგდო.

— ეს ყველაფერი საინტერესოც კია, ღმერთმანი! — თქვა ნინომ.

— დაბრუნდებით. დავდგეთ მწყობრში და მილიციას მივადგეთ. რა ვიმღერო, „ჩვენ ვართ მჭედლნი“ თუ... რომელი ჯობია? — იკითხა მიტომ.

არჩილმა საფეთქლები მოისრისა.

— ივარგებს, ღმერთმანი ივარგებს! — ჩაულაპარაკა მან მიტოს და ნინოს — მოვიგონე. ყველაფერი რიგზე იქნება!

მიტომ და ნინომ ყურები სცქვიტეს.

არჩილმა სიჩუმე ანიშნა, ბეღურას გახედა. მეგობრებმა მიბაძეს.

ბეღურა კვლავ ნინოს შემოსცქეროდა.

— რას შემომჩერებია! — ჩაილაპარაკა ნინომ.

— დროზე. ნუ აჭიანურებ! — ეს მუსიკის მასწავლებელს ეხებოდა, მაგრამ უნებლიედ იყო ნათქვამი, თავისთავად გადმოსული. გულისყური ისევ იქ ჰქონდა ბეღურას, ნინოს სახეზე, თმაზე, მკერდზე.

როგორც იყო, მოიხსნა საათი მასწავლებელმა. ბეღურამ გამოართვა, იმ პარკში ჩაადო, რომელშიც ძვირფას ნივთებსა და ფულს უყრიდა თავს.

— წადი! შემდეგი. შენ. დროზე! — მოხუც ქალს დაუძახა.

— ეს... ეს ნამდვილი ყაჩაღობაა! — თქვა მასწავლებელმა აღშფოთებით.

— ნამდვილი, — დაუდასტურა ბეღურამ გულგრილად, არც კი მიუხედავს მისკენ, ისე.

მოხუცი ქალი შორიახლო დაუდგა.

ბეღურამ დააყოვნა, ნინოთი იყო გართული.

არჩილმა თავი ჩახარა.

კარგახანს იჯდა ასე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

როცა თავი ისევ ასწია, გაფითრებული იყო, ცდილობდა კია ღელვა არ შემჩნეოდა, თავს იკავებდა.

მიტომაც შენიშნა ბეღურას აკვიატებული თვალთვალი.

სალათისფერმა ქალმა ოდნავ გაახილა ცალი უპე და საჩქაროდ მოუუტა.

ბეღურამ მწოლიარეს დახედა.

გულწასულს მსხვილი ოფლის წვეთები გამოსᲮდომოდა სახეზე.

— რა ონსილა ჰქონია! — გაიკვირვა ბეღურამ — ზემოდან მზე, ქვემოდან ცხელი ასფალტი!.. ადე, ქალო, მოიხარშები.

სალათისფერმა ქალმა წოლა და გარინდება არჩია.

— სტუდენტი ხარ? — ჰკითხა ბეღურამ ახალგაზრდა კაცს ყასიდად და მაშინვე გულწრფელმა ცნობისმოყვარეობამ შეუცვალა ხელოვნური გამომეტყველება.

სტუდენტმა თავაზიანად დაიქნია თავი და იმავ წამს შეჰკრა წარბი, თითქოს თავისთავს გაუჯავრდა, ამ ნაძირალასთან გამოლაპარაკება რათ ვიკადრეო.

მიტომ არჩილს გაფითრება შენიშნა. დაფიქრდა, მიზეზს დაუწყო ძებნა.

— რა არის? — იკითხა მან.

არჩილმა ჯერ ბეღურას გახედა, მერე ნინოზე გადმოაცურა თვალი.

მიტო რაღაცას მიუხვდა.

— შენ გგონია...

— არა, აქ ხალხია, ეჩქარებათ კიდეც. აქ არა, — მიუგო არჩილმა.

— ???

— თან არ წაიყვანონ... ასეც იქცევიან ხოლმე. გახსოვს?

ნინომ ყველაფერი გაიგონა.

— ვერ წამიყვანენ! — გასცრა მან ჩურჩულით და ისე მტკიცედ, როგორც Ხმამაღლა ვერასოდეს თქმის.

— მართლა! — გაშრა მიტო — მახსოვს, როგორ არა.

— ალბათ ასეთი არაფერი იქნება, მაგრამ მაინც იცოდე, მანქანაში არ უნდა შეჰყვე, არასგზით, გესმის?.. მე რაღაც მოვიფიქრე. არავითარი წინააღმდეგობა იქამდე, სანამ მანქანაში ჩასმას არ დაგიპირებენ... არავითარი. ორიავეს გეხებათ! — ჩაუჩურჩულა არჩილმა.

ვექილმა კისერზე იტაცა ხელი, ქინქლა მიიᲭყლიტა. ბეღურამ ტაცანზე მიხედა, თითით იხმო ქინქლის მმუსრავი.

ვექილი ქილიკი ღიმილით მიახლოვდა.

— რას იღრიᲭები?! — დაუტია ბეღურამ — გაიხადე. ყველაფერი გაიხადე! გგონია, არ ვიცი, ვინცა ხარ? ურალზე პროკურორად არ იყავი? ცოდოა, შენთვის არა მცალია... შეეხვდებით.

ვექილი ერთი ცახცახითა და ფაციფუცით მოჰყვა გახდას. ქილიკი ღიმილიც წაუვიდა, ადამიანის ფერიც.

არჩილმა ხეᲗებში ჩამᲮდარ ქარის ᲑუტᲑუტს მიაყურა. მეგობრების ჩახრილი თავები მოხედა თვალში.

— თავები მაღლა! — დაიჩურჩულა მან გამამხნევებელი ღიმილით — ყველაფერი რიგზე იქნება!

ნინომ ღიმილითვე უპასუხა.

მიტომ იᲭვნეულად ამოხედა და ისევ ასფალტში წაყო თვალი.

— საᲮᲘᲗᲚᲔᲢᲐᲕᲘ, ძმებო! — მოისმა აღფრთოვანებული შეძახება.

ყველამ იქით გაიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელოტი ნაძარცვით დატვირთულ ბეითალს მოსდევდა. ხელში ვეებერთელა ამპულა ეკავა, ჰაერში არხევდა, ძმაკაცებს აჩვენებდა.

ამფნიამ ყურები სცქვიტა.

შოშიამ სიხარულისაგან კინაღამ მიატოვა თავისი საგუშაგო. ღიძილმა გაუბადრა სახე, თვალები გაუბრწყინდა.

— ჩაყარე! — უბრძანა ბეღურამ ბეითალს, — მაჩვენე, რა არის?

ბეითალმა საბარგულზე დაუშვა ალაფი.

— წადი!.. მორფიუმის ხუთპროცენტიანი ხსნარი, ოჰო!

— სამი ცალი! — აუწყა მელოტმა.

— მოიტა „ჩიტი“!.. დაიკარგე აქედან! — შეუტია ბეღურამ ვექილს, წიხლი ჩასცხო, ამპულას დახედა და დაიძახა: — შემდეგი!

— ეგ... ცხენებისთვის... — გამოსძახა ბეითალმა, წამოდგა, პერანგის ამხანაგის ტოტები აისწორა, როგორც შარვლის ტოტებს აისწორებენ ხოლმე დაჯდომისას მამაკაცები, დაჯდა და დასძინა: — ცხენებისთვის მიმაქვს!..

ყური არავინ ათხოვა.

ექიმი ქალი მოვიდა. ბეღურა ამპულას ესიყვარულებოდა, ექიმი ქალისთვის არ ეცალა. მელოტი დაბრუნდა, რაღაც საგანი მოიტანა, ტურტლიან ჭინჭში გახვეული. ჭინჭი შემოაცალა.

პატარა შპრიცი იყო, ნემსით გამართული, ჭინჭივით უსუფთაო.

ბეღურამ ბებუთით წაატეხა ყელი ამპულას, მელოტს მიუშვირა. ამან ნემსი ჩაყო მოყვითალო სითხეში, შეიწოვა, ყირაზე დააყენა შპრიცი, დგუშს მიაწვა, სანამ ნემსიდან მორფიუმის წვეთები ერთიმეორეს არ გადმოჰყვნენ. მარდად, ნაჩვევად მოქმედებდა.

ექიმი ქალი პირდაღებული შეჰყურებდა ამ პროცედურას.

— ამხანაგებო, რას აპირებთ? — იკითხა მან.

— ამხანაგები მორფიუმის შეშხაპუნებას აპირებენ! — მიუგო ბეღურამ ხალისით, ამპულა მელოტს გადასცა, ვენებზე დაითათუნა ხელი, ნემსი გამოართვა და მკლავში იტაკა.

— გამოიღეთ ახლავე! — დაიყვირა ექიმმა — მოიწამლებით... მე გიბრძანებთ, გამოიღეთ... მე ექიმი ვარ!..

ბეღურამ და მელოტმა ყურიც კი არ ათხოვეს.

— დარბის, მამაძაღლი! — ბეღურა კანქვეშ შეყვანილი ნემსით დასდევდა ვენას; ვერაფრით ვერ დაეჭირა. ხან მარჯვნივ დაუსხლტებოდა, ხან მარცხნივ, ხან სადღაც დაყვინთავდა.

მელოტი მწყურვალი თვალით დასცქეროდა.

— როგორ შეიძლება უსტერილო შპრიცით... ინექცია. გამოიღეთ ახლავე! — აღშფოთდა ექიმი.

სალათისფერ ქალს ალბათ ცნობისმოყვარეობამ სძლია, ისევ გაახილა ცალი თვალი და უმალვე მოჭუტა.

ბეღურამ, როგორც იყო მორტყა ნემსი ვენაში. შპრიცში წვრილი, წითელი ჭაელი შემოიკლაკნა და ნემსშივე ჩაბრუნდა დგუშის დაწოლის გამო, სითხემ დაიწია. ბეღურამ მელოტს გადასცა შპრიცი, ცერით დააწვა ნაჩხვლეტს.

— გადარეულები არიან!... — ჩაილუღლუღა თავრეტდასხმულმა ექიმმა.

— საათი, ფეხსაცმელი, საფულე... კაბაც! რა საჭიროა ასეთი ლამაზი კაბა გზაში?.. ჩქარა, დაიკო, სწრაფად. შენ მოემზადე! — ესროლა მან მიტოს.

სანამ ექიმი იხდიდა, მელოტმა ამფნიას შეუშხაპუნა მორფიუმი და ახლა შოშიას მიაშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს დანა გამომართვი. ამ კაბპას ტანისამოსი და ფეხსაცმელი დაუჭერი, — ბეღურამ მელოტს სალათისფერ ქალზე მიანიშნა და ბებუთი გაუწოდა.

ამის თქმა იყო, გულწასული ქალი ფეხზე წამოიჭრა და თვალის დახამხამებაში უკვე გაძარცულ მგზავრებთან ამოყო თავი.

პალტოს და კაბის წამოფაფრვა არც ახლა დავიწყებია.

დაჯდა.

მძარცველები სახტად დარჩნენ, სიცილი პირზე შეაშრათ, დაიბნენ. მერე გონს მოვიდნენ და ახარხარდნენ.

ქალი არხეინად იჯდა.

შემთხვევით პალტოზე დაიხედა და შეჰკივლა: ასფალტის დიდი ლაქა ედო.

— ვაიმე!... — ჩაიკვნესა მან. ლამის ატირებულიყო — ეს... ამოვა?

თანამგრძნობი არავინ აღმოუჩნდა.

— აბა, ესა ყოფილა, ი! — გაოცდა ბეღურა.

მელოტმა წასვლა დაუპირა, მიბრუნდა კიდეც, მაგრამ რაღაცას წაატანა თვალი და შედგა.

არჩილის ზურგსუკან, დაცლილ ადგილზე, გაზეთის ნახევს ატოკებდა ნიავი, ქვეშ რაღაც შავი საგანი მოჩანდა ხოლმე შეტოკებისას.

მელოტმა კარგახანი უთვალთვალა გაზეთის ნაფლეთს.

— დამიჭი! — შპრიცი ბეღურას მიაჩეჩა — არავინ გაინძრეთ! — დაიძახა მან, ასფალტზე მსხდომთ რევოლვერი დაუმიზნა და გაზეთისკენ დაიძრა.

ფრთხილად მიიპარებოდა, თვალს არიდებდა გაზეთს, არ შეამჩნიონო. საწამ ასაღებად დაიხრებოდა, ერთხელ კიდევ აიცეცა მზერა. მერე გაზეთს დააცხრა და „ოპელისკენ“ გამოიქცა.

გაზეთის ნაფლეთი გადაადგო.

ახალთახალი, სევადი პისტოლეტი შერჩა ხელში.

ბეღურამ დახედა და გესლიანად გადაიხარხარა.

აქეთ-იქიდან განცვიფრების ბგერა მოისმა. ვიღაცამ ჩაიხითხითა.

— რა უჭირავს? — მოჭუტა თვალები ვექილმა.

— სამოვარი, — მიუგო ვიღაცამ.

— საკერავი მანქანა.

— პისტოლეტი უჭირავს!

— ლაჩარი, მხდალი! — აღშფოთდა ვექილი — მაგ პისტოლეტითვეა დასახვრეტი!

— შეიძლება ასეც მოხდეს! — გასცრა გუბეში მწოლიარემ.

— იქამდე არაფერი გეტკინოს, — ჩაგესლა ნაპატიმრალმა.

— აქვე იყო... ზურგს უკან! — თქვა არჩილმა სინანულით.

— ვისი უნდა იყოს? — ჩაილაპარაკა ნინომ ცოტახხნის შემდეგ.

ყველას ეს კითხვა შეუჩნდა, ყველა პასუხს ეძებდა. მგზავრებმა ერთმანეთის თვალიერებასა და შესწავლას მიჰყვეს ხელი. ეუმა ჩაიბუდა თვალებში.

— მიდი, ჰა! რა პირი დაგიღია! — დაუყვირა ბეღურამ, როცა მიტოს ტანზე საყურადღებო ვერაფერი ნახა.

მძღოლის შემდეგ არჩილი მოვიდა.

— რამხელა მხეცია! — თქვა ბეღურამ, — ადამიანის ხორცი მართლა მოტკბაა?

არჩილი სდუმდა.

— გაიძრე ყველაფერი! მამაშენს ტახის ეშვი არ ჰქონია ცხვირში გაყრილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი გახდას შეუდგა. ყელის ძარღვები დაუბერა ბრაზმა, თვალებში სისხლი მოაწვა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ტრუსების ამარამ საბარგულში ისროლა ტანისამოსი და ფიქვების კენწეროებს ახედა.

ნაჭრილობევი დაუნახა ბეღურამ მკერდზე, მკლავში, მუცლის არეში.

— თუ ასე გიყვარდა კოლმეურნეობა, რომ სიცოცხლე არ დაინანე, დარჩენილიყავი შენს სოფელში, აქ რაღა მოგარბენინებდა?! წადი.

არჩილი გაბრუნდა.

მორფიუმმა იმოქმედა. თვალები აუციმციმდა ბეღურას, ენა აუჭიკჭიკდა, გუნება გამოუკეთდა.

— მოდი, ლამაზო, მოდი, ჩემო მერცხალო! — უხმო მან ნინოს და ღიღინს მოჰყვა.

განაპირას მჯდომმა მეზღვაურმა მძარცველებს დაუარა თვალით.

ესენი შპრიცითა და მორფიუმით იყვნენ გართულები.

მეზღვაური მიწაზე გაიშოტა და ფრთხილად გახოხდა.

არჩილმა დაინახა. უმალ გაარიდა თვალი. მიტოს გვერდით ჩაჯდა, საბლერის წინ.

ჩამრეცის პირას მეზღვაური ზეზე წამოიჭრა და ფერდობზე დაეშვა.

მძარცველებს ელდა ეცათ. მელოტმა ცივად შეუშვა ხელი შპრიცს, რევოლვერი დააძრო, ორი-სამი ტყვია მიაყოლა გაქცეულს.

ამაოდ.

მეზღვაური უკვე შორს იყო.

ფიქვების შტამბებში გაიელვა მისმა თეთრმა საყელომ და გაქრა.

— წავიდეს. სანამ სადმე მივა, მუმლი დათოხლავს!.. ეუეუნა თვალები გაქვს, ჩიტო! — უთხრა ბეღურამ ნინოს ნაძალადევი სითამამით.

გაუღიმა, თითი მოუცაცუნა ღაბაბზე.

— რა გინდა! — გაუცარა ნინომ.

— გაიძრე! — მაგრამ ამ თქმას სხვა კილო ჰქონდა, უფრო რბილი, ალერსიან ბრძანებას ჰგავდა, მამაკაცი იგრძნობოდა.

ნინო გაჯიუტდა.

— გაიხადე-მეთქი! — გაიმეორა ბეღურამ უკმეხად.

ნინო დაჰყვა ამ კილოს, გახდას შეუდგა.

ფაშვიანს ავზორცად უღიმოდა ცალი ლოყა, ცალი თვალი, ტუჩების ცალი კუთხე. სალათისფერი ქალი ისე იჯდა, თითქოს თეატრში ყოფილიყო. მიტოს ფიფრმა გადაკარა ღაწვისთავებზე. საბლერმა თვალი აარიდა; ქალის გაშიშვლების დანახვა დაირცხვინა. არჩილი დამშვიდებული ჩანდა, რაღაცის მოფიქრებაში იყო გართული, დროდადრო მიტოს შეხედავდა ხოლმე, თითქოს ეშინოდა, ზედმეტი არაფერი ჩაიდინოსო. მგზავრებსაც ათვალიერებდა, მათი განწყობილება აინტერესებდა.

— შეეშვი, რაში გინდა მაგისი ძონძები! — გამოსძახა ამუნიამ ბეღურას და კიდევ კარგახანს იბურტყუნა რაღაცეები.

ნინომ საბარგულში ისროლა შარვალ-ზედატანი.

კარგად შემომჯდარი სპორტული თარგის შავი ტრუსი ეცვა და თეთრი ნახევარმკლავა მაისური. მოედანზე გამოსულ მობურთალს ჰგავდა. ისეთი ნატიფი იყო თავით ფეხამდე — ნიავს წამოექროლა, ლერწამივით შეატოკებდა.

ბეღურა გაოცებული ათვალიერებდა ნინოს, თვალებით სჭამდა.

მკერდზე დაბჯინა თვალები, მაგრამ მკერდს მხოლოდ რამდენიმე წამის განმავლობაში ხედავდა. მერე საგანი დაკარგა მზერამ, აღარაფერს აღარ უყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდნენ თვალები. ნელა წაიღო ხელი, გადაკრეჭილ თავზე გადაისვა, მარაოდ გაშლილი თითები შეაცურა არარსებულ ქოჩორში.

ნინომ წასვლა დააპირა.

— საით! — დაიყვირა ბელურამ.

ნინო მიტრიალდა.

— რა მინდა? — ბელურამ ღვარძლიანად გაიღიმა — რაც მინდა, ალბათ აღარ შემიძლია, ალბათ არც მინდა... მორფიუმის ბრალია... ამდენი წელიწადი!.. მე მინდა... მე შემიძლია მოგიალერსო! — თავზე გადაუსვა ხელი, ხუჭუჭ თმაში შეუცურა თითები.

ნინო ერთიანად ააკანკალა ბრაზმა.

— ახლა... აკოცებს! — წარმოსთქვა სალათისფერმა ქალმა რაღაც გაუგებარი აღფრთოვანებით. ტაშიც კი შემოჰკრა.

სპალერს თითქოს ჭუჭრუტანაში ჰქონდა თვალი, საკუთარი ცნობისმოყვარეობისა ეუხერხულებოდა.

— მგონი ყველაფერი რიგზეა! — წაუჩურჩულა არჩილმა მიტოს — ეს გამიჯნურებული აფთარი, ეტყობა, არ უპირებს თან წაყვანას. მთავარია, მოთმინება ეყოს!..

ნინომ მხარს ზემოდან გადმოიხედა, აღშფოთება შეაფრქვია მისკენ მომზირალ მგზავრებს, არჩილს გაუყარა თვალი.

ამასობაში ბელურამ წელზე შემოჰხვია ხელი, მეორე ხელი ღაწვზე მიადო, თავისკენ მიიზიდა, მკერდზე მიიკრა ნინო. ნინოს წინააღმდეგობა არ გაუწევია, თითქოს არც უგრძვნია, განაბულ, ყურებდაცქვეტილ, შეშინებულ მამაკაცებზე მიჰბმოდა თვალი. ბელურამ კოცნა განიზრახა, ტუჩები ნინოს ტუჩებისაკენ წაიღო.

ნინომ მხრები და მკლავები შეიქნია, თავი გაინთავისუფლა, ნაბიჯი წასდგა. ეს თავისთავად მოხდა, გონებას მონაწილეობა არ მიუღია. ბელურამ ხელი წაატანა, არ გაუშვა, ისევ თავისკენ მიიზიდა: ნინომ კიდევ მგზავრებს გახედა.

— ცხერის ფარა, ლაჩრები! — თქვა მან მწარედ — საინტერესოა, არა?.. გაცახცახებთ?..

— ახლა სილას გააწნავს! — თქვა სალათისფერმა ქალმა.

— ისიც სცემს, ცემით მოკლავს, — მიუგო ნაპატიმრალმა.

— მართლა? — გაუკვირდა სალათისფერ ქალს.

— ცუდი იქნება! — თქვა არჩილმა.

— რა?

— თუ იმანაც დაუწყო ცემა, — უპასუხა არჩილმა — ვაი თუ ვეღარ მოითმინოს რომელმემ, იქნებ რამდენიმემაც... მაშინ...

— მაშინ გვესვრიან, ყველას დაგვხოცავენ! — განაცხადა ვექილმა.

— გვესროლონ, მაგათი... — დაიღრინა გუბეში მწოლიარემ — სიკვდილი არა სჯობია ასეთ... მაგათ დედა!..

— წყნარად, წყნარად! — მიაგება არჩილმა.

სალათისფერი ქალი ისმენდა, მაგრამ გვიან მიხვდა რაშიც იყო საქმე.

— მაშინ, ნუ გაარტყამს სილას. მართლა, რომ გვესროლონ? — დაიწყწინა მან.

— სილა? — იკითხა ფაშვიანმა — არ შეიძლება!

— მე... მე სიცოცხლე მინდა! — წამოიწუწუნა ბეითალმა.

— უნდა მოითმინოს. არავითარი სილა! — თქვა ვექილმა კატეგორიულად.

— რა მოხდა, სხვას ხომ არაფერს უპირებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა, მოითმინოს!

ბეღურამ ჯერ ლოყაზე აკოცა ნინოს, შემდეგ ტუჩებში. ნინო განცვიფრებული, თვალებამღვრეული შესცქეროდა არჩილს, მიტოს, საბლერს, სხვებს. მზერა ვერ მოეცილებინა.

არჩილი წარბშეკრული უბღვერდა, ცეცხლებს ჰყრიდა. მიტო თავჩაქინდრული იჯდა, ჭარხალივით წითელი. საბლერს საფეთქლებში ეტაცნა ხელები, მიწას ჩაჰყურებდა, თითქმის მილულული თვალებით.

— დამიდგეს თვალები! — აღმოხდა დედაბერს.

ბეღურა ანაზდად აიმღვრა, სახე დაემანჭა, გაბოროტდა. ხელი ჰკრა, მკერდიდან მოიცილა ნინო.

— არაფერი! ფიცარი ვარ, ხე ვარ... — ჩაილაპარაკა ბეღურამ. სისხლმა მოასხა ყელში, სახეში. კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მოისმა კიდეც ორიოდ ბგერა, და ნინოს მიერ მოულოდნელად გაწნულმა სილამ მოჰკვეთა სიტყვა.

ბეღურას ელდა ეცა, ნიკაპი აუთრთოლდა, უნებლიედ ლოყაზე იტაცა ხელი.

— რისთვის!.. — ჩაიხრიალა მან და გამეტებით, მთელი ძალღონით გაარტყა ნინოს... ერთი, მეორე, მესამე...

მიტო ზეზე წამოიჭრა. არჩილმა მოასწრო, ხელი სტაცა.

მიტო იწევდა. არჩილის ძალღონეს ვერსად მიუდიოდა, ეს ერთი ორად ამწარებდა, გაცოფებულს ჰგავდა. ბოლოს არჩილმა მძლავრად მოზიდა, მიწას მიაკრა. გაკავებული მაინც ბორგავდა და იწევდა.

— თქვენი ბრალია, თქვენი ბრალია ყველაფერი... ცხეებიც, მორფიუმიც... ფიცარი ვარ, თქვენი ბრალია!.. — ყვიროდა ბეღურა, უქნევდა, ახვედრებდა, აცდენდა.

— გამიშვი! — იწევდა მიტო და არჩილს მკლავებიდან დაძრომას ლამობდა.

ნინო უძრავად იდგა. ტკივილმა წარბი ვერ შეახრევინა, ნერვებმა თითქოს უარი თქვეს სამსახურზე. არჩილს შეჰყურებდა, მხოლოდ მას ხედავდა, მარტო მას გრძნობდა.

— კმარა, ძაღლებო! — დაიძახა საბლერმა და ზეზე წამოიჭრა.

გუბეში მჯდომიც ადგა, ბეითალიც, მუსიკის მასწავლებელიც.

— შენ, ეი! გაათავე ფაფხური! — დაუყვირა შოშიამ მიტოს და ავტომატი მოიმარჯვა.

მელოტი თავზე წამოადგა მიტოს. ის კი მაინც ილანძღებოდა, ყვიროდა, იწევდა.

შოშიამ ცაში აიშვირა ლული და რიგი მისცა. ტყვიები სტვენითა და წიწინით მიჰყვა ერთიმეორეს. ლანძღვა-გინება და მუქარა მოაყოლა.

მოჭრილებივით წოიქცნენ ზეზე მდგომნი. ნაგვემმა გუბიდან ზხეფები გაუშვა. მარტო საბლერი ჩაჯდა ძალისძალად, მძიმედ. ყველამ ირგვლივ მსხდომების თვალიერებას მიჰყო ხელი, ვინ მოკვდა, რომელი დაიჭრაო.

მხოლოდ მიტოზე არ იმოქმედა ამან. გაათეცებული ძალით იწევდა.

მელოტი ზედ მივიდა, რევოლვერი მიუმიზნა, ნიშანში ამოიღო მიტო და ღვარძლიანად გაუცარა:

— განძრეულხარ — მზად იქნები!

მიტოს არც გაუგონია:

მაშინ მელოტის სალოკი თითი რევოლვერის ფეხს მიაწვა.

არჩილი წამით გაშრა. მელოტის მოჭუტულ თვალს ახედა, დაცემინებაზე მისულ ჩახმახს ჰკრა მზერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც თვალშეუსწრები სისწრაფით გაწვა ბეჭებზე, რეკოლვერიან მაჯაში აუკრა ფეხი მელოტს და გავარდა კიდეც.

ბეღურამ რეკოლვერის ხმის გაგონებისთანავე მიატოვა ნინო და მელოტთან გაჩნდა.

წინ გადაეღობა.

— არ გინდა სველი საქმე! — უთხრა მან მელოტს გადაჭრით.

ნინოს ის ხელკეტები მოხვდა თვალში, ვეება მგზავრი რომ გალახეს. ასაღებად წაიწია.

ამუნიამ ისკუპა გზის გადაღმიდან, ავტომატის კონდახი დასცხო ბეჭებში, ასფალტზე დასცა ნინო და სირბილითვე დაუბრუნდა ადგილს.

შოშიამ კიდევ ერთი რიგი მისცა.

ტყვიების წუილმა უმალ სამარისებური სიჩუმე ჩამოაგდო. მიტოც კი გაირინდა.

— ხმა-კრინტი, ეგრეევე, ბრბოზე დაგაცლით, თქვენი!.. — დაიწრიპინა შოშიამ, ხმა მოსწყდა, ბოლო ბგერა მამლაყინწასავით წამოიყივლა.

— არ გინდა-მეთქი სველი საქმე! — გაუმეორა ბეღურამ მელოტს.

მოხუცი ქალის შუბლზე კაპიკიანის ტოლა ლაქა ნელნელა გამუქდა შინდისფრად და წვრილი, დაკლაკნილი ნაკადული ჩამოცურდა ღაწვზე, ნიკაპზე, ყელზე.

სხეული გვერდზე გადაიზნიქა, ბეითალს მიენდო, მკერდზე სისხლი დააწვეთა.

უხმოდ მოკვდა დედაბერი. მორჩილი, კეთილი გამომეტყველება ჰქონდა და მშრალი, უაზრო გამოხედვა.

მელოტმა ლანძღვა-გინებით იბრუნა პირი. ბეღურა გამოჰყვა.

მიტომ უკან მიიხედა. მოხუცი ქალი დაინახა. რაღაც ბგერა ალმოხდა და თავში იტაცა ხელები.

— თავშეუკავებლობის ტყვია! — თქვა არჩილმა.

ნინომ წამოიწია, მძაფრი ტკივილი იგრძნო.

ბეღურა თავზე წამოადგა, დოინჯი შემოიყარა, დააცქერდა.

— შეეშვი, რაში გინდა ეგ კახპა... წასვლის დროა! — დაიძახა ისევ ამუნიამ გზის გადაღმიდან, დაიხარა, „მატრიოშკა“ აიღო, შეხედა და იღლიაში ამოიჩარა.

მიტო ისევ აბორგა ყელში მომდგარმა ბოღმამ, მაგრამ ახლა უკვე აღარ იწვედა, ადგილზე ბორგავდა, ბრაზს ჰკლავდა.

— გააჩერეთ ეგ იდიოტი! — დაიყვირა ექიმმა ქალმა და გული წაუვიდა.

— იმგზავრე ასეთ... ასეთ... ასეთთან? — აღშფოთდა ფაშვიანი.

— თქვენ არა გაქვთ უფლება! რა ჩვენი ბრალია?! — დაუწიწინა სალათისფერმა ქალმა მიტოს.

— ეს საქციელი შეიძლება უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლის ფასად დაჯდეს... — უთხრა მიტოს ვეექიმმა.

ნაგვემი ვეება მგზავრი გუბეში კი აღარ იწვა, იჯდა. ერთობ ეამაყებოდა ეს; ეტყობა მონაპოვრად სთვლიდა ამ განსხვავებას.

— რას ნიშნავს წინააღმდეგობა! — ჩაულაპარაკა მან ნაპატიმრალს — მე ვზივარ, ხედავთ?

ნაპატიმრალს ნაგვიანებით მისწვდა ნაგვემის სიტყვები. დაფიქრდა. მერე ნაგვემს შეხედა, გუბეში ჩაიხედა და უპასუხა:

— დიდი შეღავათია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს შოშიამ შეუტია ნაგვემს:

— ჩაწე, რას წამოყუნცულხარ!

— შეეშვი, იჯდეს. ისევ აყაყანდებიან! — გამოსძახა ამუნიამ.

შოშია მართლა მოეშვა ნაგვემს.

— ხედავ? — გაუმეორა ნაგვემმა ნაპატიმრალს, — უკვე დათმობაზე წავიდნენ.

ამან ყური აღარ ათხოვა.

ბეღურა მოულოდნელად ადგილს მოწყდა, გაუძარცვავ მგზავრებს დაერია, წიხლი დაუშინა.

— წაეთრიეთ, აღარ დამენახოთ, თქვენი!.. — აყვირდა ბეღურა.

— გეყოფა, გაათავე, წავიდეთ! — ურჩევდა მელოტი.

ნინო ზეზე ადგა, თავი ჩაქინდრა, ასფალტს ჩააჩერდა.

მგზავრები წამოშალნენ, გაძარცულებს მიაშურეს.

ბეღურამ ნინოს გადახედა. კარგახანს უმზირა. მერე საბარგულთან მივიდა, მისი ტანსაცმელი ამოიღო, მიუტანა და ხელში ჩაუდო.

— წაიღე, ჩაიცვი... შენი იყოს — უთხრა მან დამნაშავედ.

ნინომ უნებურად გამოართვა, ნაბიძებს ჩააშტერდა, შემდეგ საბარგულშივე ისროლა სამოსელი, თვალი გაუსწორა ბეღურას, სახეში შეაფურთხა და წავიდა.

არავინ განძრეულა. ამუნიამ მაინც დაიძახა:

— შეეშვი, რაში გინდა ეგ კახპა! — მანქანასთან მივიდა, საბარგული დახურა, ორიოდ ნაბიჯით დაუახლოდა მგზავრებს და ავტომატი მიაღერა.

ბეღურა მიმავალ ნინოს უყურებდა.

ნინო ორიოდ ნაბიჯზე დაუდგა არჩილს.

დააცქერდა.

გადაჯვარედინდნენ მათი თვალები.

— მხდალი ყოფილხარ, ძმობილო, ლაჩარი, ეგოისტი! — უთხრა მან ხმამაღლა არჩილს.

არჩილი გაშრა. რამდენიმეჯერ დააპირა რაღაცის თქმა — ვერ შესძლო.

— მხდალი... ეგოისტი?.. — თქვა მან ბოლოსდაბოლოს — მე... შენთვის, ამათთვის... ასე იყო საჭირო... — ანაზდად სიმშვიდე ეწვია და მტკიცედ დააყოლა: — დაჯექი! მერე ვილაპარაკოთ.

ნინო განზე გავიდა და განმარტოებით დაჯდა.

მოდუშული იყო, აღშფოთებული, თვალებზე ცრემლმომდგარი.

არჩილმა თავი ჩაღუნა, ხელებში ჩხირის ტრიალს მოჰყვა.

მგზავრები სდუმდნენ.

ბეღურამ მკლავი გადაისვა სახეზე, ნინოს თვალი მოაშორა. ჯიბიდან მიტოს მაღვიძარა ამოიღო, ხელში შეათამაშა, ჯიბეშივე ჩააბრუნა, მანქანისაკენ გასწია.

საჭეს მიუჯდა, ძრავი ჩართო. უღელტეხილის მიმართულებით გამოსაჭა „ოპელი“ და გაირინდა.

საბლერმა პეშვით წყალი ამოიღო გუბიდან, გულწასულ ექიმს დააპკურა, სველი ხელისგულით დაუზოა ყურები და საფეთქლები.

მძარცველებმა „ოპელისკენ“ დაიხიეს და მანქანაში ჩასხდნენ.

„ოპელი“ დაიძრა.

გამონაბოლქვი ბოლი რუხ ნისლად შედიდდა, თანდათან გაიცრიცა.

ნიავმა აღარ აცალა გათენტულიყო, თან წაიყოლა.

არჩილი სმენად იქცა, მანქანას მიჰყვა თვალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამ ცილინდრზე მუშაობს, არა? — სწრაფად ჰკითხა მან მიტოს და ისევ მიაყურა.

მიტომ არ უპასუხა.

საბლერმა ნაპატიმრალს ანიშნა;

ფრთხილად ასწიეს მოხუცი ქალის ცხედარი. წაიღეს.

ხავსზე დასვენეს ჩრდილში, უზარმაზარი ფიჭვის ქვეშ.

საბლერმა ქუთუთოები დაუხურა მოხუცს.

ნაპატიმრალმა ტანსაცმელი და ჭაღარა თმა მოუწესრიგა, მკლავები დაუკრიფა გულზე.

„ოველი“ მოსახვევს მიეფარა.

ფაშვიანს თვალი იქით ეჭირა, მაშინვე ზეზე წამოდგა.

— დაჯექით, დაბრუნდებიან და კიდევ გაგვძარცავენ! — ასჩურჩულა სალათისფერმა ქალმა, ტრუსის ტოტი დაუკაჩა და პალტო შემოიხვია მჭიდროდ, როგორც ქარში, ან ყინვაში იცავნ.

ფაშვიანმა ტრუსის რეზინაში იტაცა ხელი. დაჯდომა დააპირა, მუხლებშიც კი მოხარა ფეხები, მაგრამ გადაიფიქრა და ავტობუსისკენ წავიდა.

თვალი შარაზე ჰქონდა. ნელა, ფეხაკრეფით მიდიოდა თითის წვერებით, თითქოს რასმე ეპარებაო.

ბეთალი გაოცებული იყო ფაშვიანის საქციელით.

— ათი წუთი თქვეს. უკვე გავიდა ათი წუთი? — ჰკითხა მან ვექილს. საბლერს და ნაპატიმრალს შეხედა და დასძინა — ესენიც!.. ხომ თქვეს არ ადგეთო.

— სსს! — დაუსისინა ვექილმა, — დასხედით! — მიმართა მან ჩურჩულით საბლერს და ნაპატიმრალს და ფაშვიანს დაადევნა: — დაბრუნდით!

არცერთმა არ ათხოვა ყური.

— სამზე მუშაობდა! — ახლოა უპასუხა მიტომ არჩილს კარგახნის წინანდელ შეკითხვაზე — მეოთხეც... წყვეტილად. მერე რა?

ჩამრეცილან ფეხის ხმა და ფიჩხის ტკაცუნი მოისმა.

უმალ ყველამ იქით გაიხედა.

მეზღვაური დაბრუნდა.

მგზავრები მოათვალიერა. რაღაც შერცხვა, სიწითლემ დაჰკრა, თავი დახარა.

სტუდენტის საცოლემ მოულოდნელად შეჰკივლა, ცრემლები გადმოსცვივდა, აქვითინდა. სტუდენტმა მიუალერსა, დამშვიდება დაუწყო, მაგრამ ანაზდად ხელები იტაცა მუცელზე; ამოიკვნესა, გაფითრდა. გუბეში მჯდომმა ალმაცერად გადმოხედა.

— რა იყო? — ესროლა მან სტუდენტს მკვახედ.

— მუცელი! საშინლად... მკრის, — ძლივს თქვა სტუდენტმა.

— არაფერია. რეაქცია. ეგრე იცის. გაივლის! — ანუგეშა საბლერმა.

გუბეში მჯდომი წამოდგა, ბოლთა დაჰკრა.

საბლერმა ექიმ ქალს ჩრდილში გადასვლა უშველა.

მუმლის მოძალება აქამდე არავის უგრძვნია. სტუდენტის საცოლემ პირველმა იტაცა ხელი ცრემლით შესვილებულ ღაწვზე. ტკაცანმა სასტარტო გასროლასავით იმოქმედა, უმალ ყურისწამღები ტკაცა-ტკუცი ატყდა.

— ნინო, დამშვიდდი! — შესწყწუნა საბლერმა — პირდაპირ რაღაც, ღმერთმანი... გამოუვალი მდგომარეობა იყო... — ნინოს ამოხედვამ სიტყვა პირზე წეახმო.

ნინო ისევ ისე იჯდა, მუხლისკენრზე ნიკაპდადებული. აკეცილი ფეხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავებით შემოესალტა. გამანადგურებელი მზერა ჰქონდა, თითქოს ეუბნებოდა: „ეს საბლერს, მოწყდები თავიდან, თუ არაო.

ორიოდე ნაბიჯის მანძილზე არჩილი, მიტო და მძღოლი საუბრობდნენ ხმადაბლა.

— ვიცი მე ეგ „ოპელი“, ჯაბახანაა. ოთხ ცილინდრზეც ვერ განავითარებს ოთხმოც კილომეტრზე მეტს. კომპრესია არ უვარგა, საბურავებიც, — ამბობდა მიტო.

— სამ ცილინდრზე სამოცზე მეტს ვერ მისცემს! — ჩაურთო მძღოლმა.

— ავტობუსი? — შეეკითხა არჩილი.

მძღოლმა დააყოვნა.

ნინო ყურებდაცქვეტილი ისმენდა.

— ასსაც აჩვენებს; მაგრამ გზები... ეს მონაკვეთი... „ოპელი“ სამოცი კილომეტრის სისწრაფით ივლის, ჩვენ — ასით ვერა. დავიმტვრევით.

— ვივლით! — მიუგო არჩილმა — მე ვივლ!

ნინომ ისევ ამოხედა საბლერს, ისევ კვლავინდებურად... საბლერი საჩქაროდ გაშორდა აქაურობას.

დაბნეული იყო საბლერი, შეძრწუნებული, დარცხვენილი, კუდამოძუებული.

გუბეში ნაწოლს შეეფეთა, როგორც ხალხმრავალ ქვაფენილზე ხდება ხოლმე.

— მაპატიეთ!.. — მიმართა საბლერმა — მომაწევინეთ, თუ შეიძლება! — თვალები საითღაც წაიღო, ხელები გადაიფშვნიტა სიგარეტის გამორთმევის მოლოდინში.

გუბეში ნაწოლმა თავაზიანად, მზადყოფნით გააქანა ხელი ჯიბისკენ... ანაზდად მოაგონდა, გალუმპული, ლაფში ამოგანგლული პერანგის ამხანაგის ამარა რომ იყო და უკიდურესად განრისხდა:

— იდიოტო! — გაუცარ მან საბლერს, გვერდი აუარა, ბურტყუნ-ბურტყუნით განაგრძო ბოლთა.

საბლერმაც.

ავტობუსში ფაშვიანი თავის ადგილთან მივიდა, მიიხედ-მოიხედა, თვალს ხომ არავინ მადევნებსო.

ავტობუსიც კარგად მოათვალიერა.

არავინ იყო. ღია, ამოწეწილი ჩემოდნები, უკუღმა ამოტრიალებული ხელჩანთები და იატაკზე მიჩყლეტილი ორი, მაგრად მოხარშული კვერცხი დაინახა.

დაიხარა. სავარძლის ბალიში ასწია.

ფულის კონა ამოაცურა. იატაკზე დაგდებულ პორტფელს დასწვდა, ფული შიგ ჩადო, კიდევ მიიხედ-მოიხედა და თავის ადგილზე დაეშვა იღლიაში პორტფელამოდებული.

მკლავი მოუჭირა პორტფელს. კმაყოფილებით გაიღიმა.

სალათისფერი ქალი ადგა, დალაქავებულ პალტოზე დაიხედა, ცრემლი გადმოსცვივდა, სლუკუნით წამოვიდა ავტობუსისკენ.

ნინო გატაცებით ისმენდა თავისი მეგობრების სჯა-ბაასს. წეღანდელი განწყობილების ნატამალიც აღარსად ემჩნეოდა.

მერი ადგა, მოსაუბრეებს შეუერთდა.

მაშინ საბლერმაც აქეთ გამოსწია.

— თქვენ როოისმე გინახავთ, ან გაგიგონიათ ასეთი რამ? — ჰკითხა ბეითალმა მუსიკის მასწავლებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა? ვიოლინოს გასაღები სვირანგად მკლავზე?.. არასოდეს!

— არა! ხუთი მეათედი ხუთპროცენტიანი მორფიუმი ერთ შეშხაპუნებაზე! გინახავთ?

მუსიკის მასწავლებელმა მხრები აიჩეჩა.

ბეითალმაც.

ქალები ისხდნენ. კაცები, ზოგი ორ-ორი, სამ-სამი შეკრებილიყვნენ, სდუმდნენ, ხანდახან თუ იტყოდნენ რასმე. ზოგი აქეთ-იქით დაბორიალობდა, მღელვარებას ინელებდა.

არჩილი თავგამოდებით უმტკიცებდა თავის მოსაზრებას მეგობრებსა და ავტობუსის მძღოლს.

ნინო საღღაც სივრცეში იყურებოდა, ფიქრობდა, ხანდახან შემოხედავდა ხოლმე არჩილს და კვლავ განზე მიჰქონდა მზერა, კვლავ ფიქრობდა.

— არსებობს კოდექსი... უმარტავდა ვექილი მუსიკის მასწავლებელს — ეს არის ბანდიტიზმი, ორმოცდამეცხრამეტე პარაგრაფი, დიახ. ითვალისწინებს ოცდახუთი წლის პატიმრობას, ან უმაღლეს ზომას. მაგრამ გაქცეულებმა ხომ ჯერ ბაღრაგზე თავდასხმა მოახდინეს, იარაღი წართვეს, ერთი ჯარისაკაცი სასიკვდილოდ დაჭრეს... აქ მოხუცი ქალიც. ეს უკვე ტერორია, ორმოცდამეთვრამეტე პარაგრაფის მერვე მუხლი. სანქცია იგივეა — ოცდახუთი, ან დახვრეტა.

— სამსახურეობრივ მოვალეობათა აღსრულების დროს! — დაურთო ბეითალმა.

— ცალკე დანაშაულად არ ჩაითვლება, — მოუჭრა ვექილმა — ეგ, მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებაა, სამსახურეობრივ მოვალეობათა...

ბეითალს არ მოეწონა, რომ ეს მხოლოდ დამამძიმებელი გარემოება აღმოჩნდა და არა საგანგებოდ გათვალისწინებული, უმძიმესი დანაშაული.

— როგორ?! — შეედავა იგი ვექილს — სამსახურეობრივ მოვალეობათა აღსრულების დროს!

ბეითალმა დამსწრეები დაირბინა თვალით, გესმით რას ამბობსო? კაცები ყველა აქ იყვნენ. ხმა არავის ამოუღია, მაგრამ გამომეტყველების მიხედვით ყველა ბეითალის მხარეზე იყო.

— უბრალოდ. დამამძიმებელი გარემოება! — ნიშნისმოგებით უთხრა ვექილმა. — სიჩუმე, მოიცათ! — დაიყვირა გუბეში ნაწოლმა, გულხელი დაიკრიფა და ვექილს შეეკითხა: — შეურაცხყოფა, ცემა, ძალადობა?

— ეგეც... დანაშაულის შედგენილობაა, გასაგებია? — თქვა ვექილმა მტკიცედ.

— ეგეცაო, გაიგეთ?!

ყაყანი ატყდა. ისეთი გამწარებული იერიში მიიტანეს ვექილზე, რომ ამან ორიოდ ნაბიჯით უკანდახევა ამჯობინა.

— მოითმინეთ, ამხანაგებო, ეგ უბრალო საქმე როდია. აგიხსნით ყველაფერს. ჩვენი სადამსჯელო პოლიტიკა ადამიანის ხელახალ აღზრდას ეყრდნობა...

ვინ აცალა!

— აღზრდაო!.. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტია, ბოროტმოქმედების აკადემიაა ციხეები.

— სიჩუმე, მოიცათ! — გუბეში ნაწოლმა დოინჯი შემოიყარა — ვინ უნდა აგვინაზღაუროს ტანისამოსი, ნივთები, ეს ყველაფერი?

— დაატიმრებენ... დაგვიბრუნებენ! — მიუგო ვექილმა.

— ვნახოთ და ვერ დაიჭირონ! მაშინ?

— რასაც ვერ იპოვნიან?

— მიუსჯიან, ამუშავებენ, ოცდახუთ პროცენტს ყოველთვიურად დაუქვითავენ და გადაგვიხდიან ღირებულებას.

— ეი — და!

— ამუშავებენო? ამუნიას ამუშავებენ? ბეღურას, მელოტს, შოშიას? — ნაპატიმრალმა გულიანად გადაიხარხარა — მაგათ თავის სიცოცხლეში ხელი არ გაუნძრევიათ, ჩემისთანების ხარჯზე ცხოვრობენ. მაგათ ამუშავებენ?

ნაპატიმრალი ჩაბეირდა, ცრემლი გადმოუცურდა: ნიშნისგებით ხარხარებდა, თითქოს წინასწარ იყო აღტაცებული იმით, რომ ყველა ეს ბეღურები და ამუნიები არასგზით არ იმუშავებდნენ.

არჩილს ცალი ყური აქეთ ჰქონდა. ყველაფერს ისმენდა, მოკამათეებს ათვალიერებდა, ფიქრობდა.

— წავიდეთ? დრო გადის, — მიმართა მან თანამოსაუბრეებს და ისევ ყაყანს მიაყურა.

— წავიდეთ! — უმალვე მიუგო მიტომ — ნაღდი რამეა.

— კარგი, ჯანი გავარდეს! — თქვა მძღოლმა მცირედი ყოყმანის შემდეგ.

— რამდენიმე წუთის დაკარგვა კიდევ მოგვიხდება, — თქვა არჩილმა და მგზავრებზე ანიშნა თვალებით — მოდით, მომყევით ყველა!

— მოიცა, რა საჭიროა... რა გინდა? — მიტომ არჩილის შეჩერება სცადა.

— საჭიროა.

ვექილი ზურგით იდგა. ტრუსის ამარა იყო, მუხლებამდე სწვდებოდა განიერი ტოტები. ფეხები სუ!ტი ჰქონდა, წვრილი, რაქიტული. მხრებში ვიწრო, ბამხდარი და ასაკთან შედარებით უდროოდ მოხოილი, საცოდავად მობუზულიყო. თავი უზარმაზარი უჩანდა, სრულიად საკმარისი ზომისა, რომ თუკი რამ კანონი არსებობს, ყველაფერი შიგ ჩატეულიყო. მის წინ ათი-თხუთმეტი აღწფოთებული მამაკაცი ყვიროდა, მოითხოვდა, იმუქრებოდა.

არჩილი გვერდში ამოუდგა. ამ ვეებერთელა კაცთან, თითქოს უფრო დაპატარავდა და დაიჩუტა ვექილი.

— ჩუმად! — ისევ დაიყვირა გუბეში ნაწოლმა. ისე ყვიროდა, თითქოს ფინიების გუნდს უჯავრდებოდა — ამუშავებენო? ესე იგი, არ დახვრეტენ?.. რას მიუსჯით?

— ჩვენ? ადვოკატთა კოლეგია? ჩვენ არაფერსაც არ მივუსჯით. ჩვენი საქმეა მოვითხოვოთ კანონის აღსრულება და ლმობიერება, ჩვენი აზრი გამოვთქვათ, განვუმარტოთ ბრალდებულს მისი უფლებები. სასამართლო ორგანო მიუსჯის... ალბათ უმაღლეს ზომას, მაგრამ სისრულეში... ოცდახუთი წლის პატიმრობით შეეცვლებათ.

მგზავრებმა პირი დააღეს. აქამდე ყოველი მათგანი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ასეთ თავხედ ბოროტმოქმედებას მხოლოდ ერთი სასჯელი აქვს, დახვრეტა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგებო! ჩვენ იმდენად ძლიერები ვართ ყოველმხრივ... ნახეთ, როგორი მტერი დავამარცხეთ სამიოდე წლის წინ?.. უბოროტესი! ფაშიზმი!.. უმაღლესი ზომის სისრულეში მოყვანა გაუმართლებელია. არსებობს ბრძანებულება... ჰუმანიურობა, ამხანაგებო... ადამიანის სიცოცხლე. რა არის ყველაზე ძვირფასი? ადამიანი! გასაგებია? — ვეკლიმა წასასვლელად გაიწია.

— ეგ რომელი სიცოცხლეა ყველაზე ძვირფასი, ჩემი თუ...რა ერქვა იმას?..

— ბეღურა.

— მელოტი.

— კო, ჩემი, თუ მელოტისა?

საბლერი და მძღოლი მგზავრებში შეერიენ.

ნინომ ორი, სამი ნაბიჯის მანძილზე არჩია გაჩერება. მაღალ ძირკვზე ჩამოჯდა. მიტო მის გვერდით დადგა.

მკლავები მოუხვდათ ერთმანეთზე შემთხვევით.

ნინო გაირინდა. მღელვარება დაეტყო, თვალებში ალი გაუჩნდა, სუნთქვა აეშალა.

მიტო თმაზე დასცქეროდა, შვებამ, სითბომ გადმოქონა თვალებიდან. ხელი წამოიღო, სურდა თავზე გადაესვა ნინოსათვის... ხელი ჰაერში გაუშეშდა, განწყობილება შეეცვალა ანაზდად, თავშეკავებას უხმო. ალერსისთვის წამოღებული ხელით ფიჭვის ხმელი ქერქი წაატეხა, ფშვნა დაუწყო.

— მიტო! — თქვა ნინომ ძალიან დაბლა, მთრთოლვარე ხმით.

მიტოს ელდა ეცა, ფიჭვის ქერქი ხელიდან დაუვარდა, უმალ არჩილისკენ წაიღო თვალები.

ადამიანები ლაპარაკს არ აცდიდნენ ერთმანეთს; არჩილი სათითაოდ ათვალიერებდა დამსწრეებს, სწონიდა, რაღაცას უცდიდა. მისი კუპრივით შავი თვალებიდან ფიზიელი და მახვილი გონება იყურებოდა, მხნე, დაძაბული შრომა ჩანდა.

— მე მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ხვალ, თუ მაზეგ იგივე აღარ მომელის... მე მუსიკოსი ვარ!.. — მოისმა ხმამაღალი შეძახილი.

ნინო მიტოს მზერას მიჰყვა, არჩილზე შეჩერდა, დაუკვირდა.

ახლა ფიჭვების კენწეროებს თუ ქედების თხემებს გაჰყურებდა არჩილი, შავრამ ნათლად ჩანდა, გულისყურით აქ იყო, აქაურობაში, ამ ღელვისა და აღშფოთების მორევში, ამ შეურაცხყოფილ, უმწეობის გრძნობით გამწარებულ ადამიანებთან... განიერი, კუნთოვანი მკერდი ჰქონდა ჩაყავისფერებული ნატეკვიარებით მხარის სახსარსა და მარჯვენა მკლავის კუნთში. ბრგე იყო, აკრეფილი, წარმოსადეგი და ძლიერი, ძალიან ძლიერი!

— გამოცანასავით კაცია! — ჩაილაპარაკა ნინომ.

მიტომ თვალებში ჩახედა ნინოს. იქ უკმაყოფილება, თუ გაუგებრობა დახვდა.

— სწორად მოიქცა! — თქვა მიტომ მტკიცედ.

ნინო დაფიქრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორად, — დამარცვლა ნინომ — ამათთვის? — მან ნიკაპი აიქნია, მგზავრებზე მიანიშნა.

— ამათთვის, შენთვის, ჩემთვის. ყველასათვის ასე იყო საჭირო.

— საჭირო! — ისევ დამარცვლა ნინომ — სწორი!.. არაფერი არ მესმის. დადევნებაც იმიტომ მოუვიდა აზრად, რომ ასეა საჭირო? — გაღიზიანებული, ძარღვებაშლილი იყო.

— არა ხარ მართალი, ნინო! — არჩილი...

— მე არ მინდა ვიყო მართალი, სწორი, საჭირო! — შეაწყვეტინა ნინომ — ადამიანი მინდა ვიყო და არა შინაგანაწესი!..

მიტომ აღარ უპასუხა, ისევ წაატეხა ქერქი ძირკვს.

— ეგ არის კანონი?

— ეგ რაღა კანონია!

*

აღშფოთებამ იმ დონეს მიაღწია, რომ მგზავრების უმრავლესობას ადამიანის ფერი აღარა ჰქონდა. ზოგს ხელები უცახცახებდა, ზოგს ნიკაპი, ზოგს სისტლი მოაწვა სახეში, ზოგს ენა ებლანდებოდა.

არჩილი ვექილს წინ ჩაუდგა, გადაეღობა, ერთიანად დაფარა თავის ვეება სხეულით.

მტკიცე, ცივი მზერით ჩამოუარა აღგზნებულ ადამიანებს.

ყაყანი ნელნელა მინელდა და მთლად მიწყდა.

არჩილმა დააყოვნა, გონს მოსვლა დააცადა მსმენელებს.

მგზავრები წამით გაინაბნენ. შემდეგ ერთდროულად ამოძრავდნენ. უმჯობესი ადგილები შეირჩიეს, რაღაც მნიშვნელოვანისა და გადამწყვეტის მოახლოვება იგრძნეს თითქოს და კვლავ მიწყდა ჩამი-ჩუმი.

— ჩვენ გვაქვს საშუალება დავაპატიმროთ მძარცველები, დავიბრუნოთ ყველაფერი და გადავცეთ ბანდიტები კანონს. მე გეკითხებით თქვენ, როგორც მოქალქეებს, როგორც საბჭოთა ადამიანებს, უნდა გამოვიყენოთ თუ არა ეს შესაძლებლობა?

ყველა სდუმდა.

ზოგი მიწას დასჩერებოდა, ზოგი საითღაც იყურებოდა უძრავი, გატვრენილი თვალებით, ზოგი არჩილს შემოსცქეროდა და ეშვით თუ დამატებით განმარტების მოლოდინით.

კოღომ წივილით დაიარა სახეები, შიშველი მხრები, თმაშეთხელებული თავები. ნიავის ქიქინი მიწყდა, სხივების მცხუნვარებამ იმატა.

— გუ-გუ! გუ-გუ! — მოისმა ტყიდან და ისევ აწივლდა კოღო გაჭიანურებულად, სულისწამღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავისი ჭკუა არ ეყო, რომ ამათსას იშველიებს? — გადაუჩურჩულა ნინომ მიტოს.

— მგონი, პირიქით! — მიუგო მიტომ დაყოვნებით — საკმარისი ჭკუა რომ არ ჰქონდეს, ამათ არაფერს შეეკითხებოდა.

— საშუალება?.. — დარღვია სიჩუმე ნაპატიმრალმა.

— დავხოცოთ?.. რა ვიცი, აბა? — თქვა ბეითალმა.

არჩილის თვალებში შეშფოთებამ გაიელვა.

— გამოვიყენოთ, შესაძლებლობა? მანდობთ, მე გავაკეთო ეს! დრო, ყოველი წამია ძვირფასი. მიპასუხეთ! აი, თქვენ! — მან მიტოს მიაშვირა თითი.

მიტო არ მოელოდა. დაიბნა, მაგრამ უმალვე დაეუფლა თავს და მტკიცედ, წარბშეუხრელად თქვა:

— უსათუოდ, დაუყოვნებლივ!

— თქვენ? — არჩილმა ნინოს მიათითა.

— განდობთ, რა თქმა უნდა!

— თქვენ?

— გეთაყვათ, თუკი კეთილინებებთ? თქვენზე უკეთ ვერც გააკეთებს ვინმე, — უპასუხა საბლერმა.

— რა საკითხავია? — თქვა მძღოლმა.

— მაგას რა ლაპარაკი უნდა?

— თავისთავად ცხადია!

— მაშ როგორ?!

— უეჭველად! — მოისმა აქეთ-იქიდან და კვლავ ალიაქოთი ატყდა.

არჩილი ვექილს მიუბრუნდა:

— თქვენ? — არჩილის გადამეტებულ თავაზიანობის იქით რაღაც ფარული აზრი მოისმა.

ვექილი წახდა: ჯერ წარბი შეკრა. ეს შეუპოვრობის ცდა იყო, მაგრამ ილაჯი ვერ გასწვდა, თვალებში მუდარის წყალი ჩაუდგა.

— თქვენ-მეთქი!

— ამხანაგებო! ეს ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, წმინდათა-წმინდა მოვალეობაა! — დაიძახა ვექილმა და დასძინა: — არსებობს კანონი... წინაალმდეგობის გაწევის შემთხვევაში შეგვიძლია ვიხმაროთ ძალა!

არჩილმა ღიმილი შეიკავა და დაიყვირა:

— რამდენიმე კაცია საჭირო! თქვენ, თქვენ, თქვენ! — მიტოზე, საბლერზე, მძღოლზე მიაშვირა თითი და ვექილს მიუტრიალდა: — თქვენც საჭირო იქნებით!

ამას ერუანტელმა დაუარა, მაგრამ მაინც ყოჩაღად თქვა:

— უსათუოდ!

— ვინ წამოვა კიდევ?!

— მე წამოვალ! — განაცხადა გუბეში ნაწოლმა.

— მეც! — თქვა მეზღვაურმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც მინდა! — ასწია ხელი ნაპატიმრალმა.

— კმარა! — დასაკვნა არჩილმა. — ჩასხედით ავტობუსში, ზედმეტებს სთხოვეთ გადმოვიდნენ. ამუშავე ძრავი, — უთხრა მან მძღოლს. — ამხანაგებო! ჩვენ ერთ საათში დავბრუნდებით. ავტობუსში ასანთი იქნება, ცეცხლი დაანთეთ, მუმლი გაიფანტოს...

— ვინმე ამოვირჩიოთ, ხალხის მოგლა ითავოს! — დაიძახა ნინომ — ეს ამხანაგი... ბეითალი!

— სწორია! — დაუდასტურა არჩილმა — ამხანაგო! ითავეთ თქვენ! მოუარეთ ამ ხალხს — უთხრა მან ბეითალს. შემდეგ ყველას ერთად მიმართა ღიმილით — ყურები ნუ ჩამოგიყრიათ, ყველაფერი რიგზე იქნება.

არჩილმა თვალი ჩაუკრა ხალხს და ავტობუსს მიაშურა.

— ჩამოდით, ამხანაგებო! — შესძახა არჩილმა ფაშვიანს და სალათისფერ ქალს ქვემოდან.

ფაშვიანი არ განძრეულა.

სალათისფერმა ქალმა გაიკვირვა და უკეთესად ჩაიკალათა სავარძელში.

ნინომ საფეხურზე შედგა ფეხი.

— ჩამოდი, ნინო! — უთხრა არჩილმა.

ნინომ შეკამათება დაიპირა, მაგრამ არჩილის იერმა ენა მოჭკვეთა. დაყოვნა, დაიბნა.

— ვაიმე, რაღა ვქნა?! — ჩაიწუწუნა მან და უცაბედად მოსულმა აზრმა გაუბადრა სახე — მიტო, უთხარი... საბლერ... წამიყვანეთ! ყველაფერს ისე გვაკეთებ, როგორც მეტყვით, როგორც საჭირო იქნება, ღმერთმანი!.. მეც მინდა, რა!

ძეგობრებმა დუმილით უპასუხეს.

მაშინ არჩილთან მიიჭრა ნინო, კისერზე ჩამოეკიდა, შეემუდარა:

— არჩილ, წამიყვანეთ...

არჩილი უმალ მოლბა. ყოყმანი, თანხმობის მაგვარი რაღაც დაეტყო. ნინო გაირინდა და ნაპერწკალივით ავარდა საფეხურზე.

— ამოდით! მე სულერთია წამოვალ.

არჩილმა, მიტომ და საბლერმა ერთმანეთს გადახედეს და ავტობუსში ავიდნენ.

მეზღვაურმა ასანთი გადაუგდო დარჩენილებს.

მძღოლმა ძრავი ამუშავა.

— მოიცა! — ესროლა არჩილმა მძღოლს და ფაშვიანს მიუბრუნდა — ჩადით ძირს. თქვენც! — სალათისფერ ქალსაც ეხებოდა.

ფაშვიანმა ოდნავ შეაქანა თვალები, როგორც აკვარიუმში გარინდებულმა თევზმა იცის ხოლმე ფარფლის შერხევა. ფიქრადაც არ მოსვლია ადგომა, კარგახნის შემდეგღა უპასუხა:

— მე ბილეთი მაქვს... საკუთარი ადგილი მიკავია. იქ მუმლია, იკბინება!..

— მეც აქ მინდა; არ მინდა იქ! — განაცხადა სალათისფერმა ქალმა.

არჩილს გაეცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტომ თანხმობად ჩათვალა ეს სიცილი და გაუკვირდა არჩილის საქციელი. მერე ფაშვიანს მიმართა:

— იჯექი, მაგრამ მამიშენის შვილი ხარ, ხმა ამოგიღია!

ნინომ სარკმელში გადაიხედა.

დარჩენილები გაბუტულებივით გამოსცქეროდნენ ავტობუსს. ვერავის მოესაზრებინა რა ხდებოდა, სად მიდიოდა ავტობუსი, რატომ სტოვებდნენ მათ.

ბეითალი ერკემალივით იდგა.

— კარგი წინამძღოლი გყავთ! — ჩაილაპარაკა ნინომ — სათქვენოა!

მანქანა დაიძრა. სვლას უმატა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სპიდომეტრის ისარი სამოცსა და ოთხმოცს შორის დაირხა.

მიტომ იატაკზე მოიკალათა, მძღოლის გვერდით. კარებში არჩილი და საბლერი იდგნენ. ნინო მოვიდა, არჩილსა და საბლერს შორის შემოყო მხარი, ძალისძალად შემოძვრა კაბინაში, კედელს აეკრა.

ისეთივე შიმალიანი გზისპირები იყო. მზე კვლავინდებურად აცხუნებდა, ოღონდ ავტობუსში ქარმა იმატა დიდი სისწრაფის გამო და აგრილდა.

ძრავი თავგამოდებით ღმუოდა და გზაზე გადმოყოფილ ტოტებს ლაწილაწი გაუდიოდათ.

მოსახვევებში მგზავრები სახელურებს ეჭიდებოდნენ. ფაშვიანი ერთი-ორჯერ გადმოცურდა კიდეც სავარძლიდან, ერთი-ორჯერ სალათისფერ ქალს მიაწყდა, კედელზე მიაჭყლიტა, ვაი დაამახებინა.

სადღაც ნაჯაოს გვერდი ვერ აუხვია მძღოლმა. ყველა ზეზე წამოყარა ავტობუსის შეხტომამ. მგზავრებმა ალმაცერი, უკმაყოფილო თვალი ჰკრეს მძღოლის კაბინას. ფაშვიანმა წარბი შეჰკრა.

— გაგიჟდა? — წარმოთქვა აღშფოთებით სალათისფერმა ქალმა და იმ წამსვე დააყოლა: — სხვები? რატომ არ წამოვიდნენ სხვები?

— რამდენი კილომეტრია უღელტეხილამდე იქიდან, სადაც დაგვიხვდნენ? — ჰკითხა არჩილმა მძღოლს.

— იქიდან? — მძღოლი დაფიქრდა — ათი.

— ისინი ამ აღმართებზე სათში ოცდაათ კილომეტრზე მეტს ვერ განავითარებენ. მე ეგ „ოპელი“ ვიცი... არც საბურავები უვარგა! — თქვა მიტომ.

— მაშ, უღელტეხილამდე ოცი წუთის სავალი ჰქონიათ! — დაასკვნა საბლერმა.

— ჩვენ სამოცს ვავითარებთ, — თქვა არჩილმა — ჩვენზე რამდენი ხნით ადრე წამოვიდნენ, როგორ გგონიათ?

— ასე, ათიოდე წუთით ადრე.

— ალბათ.

— ჰო, ათით. იქნებ თხუთმეტით.

— ჩვენ ორჯერ მეტი სისწრაფით მივდივართ. უღელტეხილამდე ათი წუთი გვინდა, — თქვა საბლერმა.

— ზედ უღელტეხილზე დავეწევით! — დაიძახა მიტომ ხმამაღლა, სიხარულით და უმალ რაღაც ფიქრმა გაიტაცა.

სავარძლებშიც გაიგონეს.

საერთო დუმილი ჩამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ხტოდა და ზანზარებდა. მანქანა აღმართებს ებრძოდა, გზას ფეხქვეშ ითელავდა, მანძილს სჭამდა.

— უღელტეხილზე დავეწევით... — ჩაილაპარაკა ვექილმა, გუბეში ნაწოლს მიხედა — მერე?

გუბეში ნაწოლმა ვერ გაიგონა.

— ვის უნდა დავეწიოთ?.. რად გვინდა? — გამოელაპარაკა ფაშვიანი სალათისფერ ქალს.

— გული მერევა! — მიუგო ქალმა — უთხარით, ცოტა ნელა!

— ასე მალე?.. — ჩაილაპარაკა ნინომ.

— რა იყო?

— ასე მალე დავეწევით?.. ათიოდე წუთში?

— არითმეტიკა! — თქვა საბლერმა. — არა უმეტეს თხუთმეტისა!

მიტომ არჩილს ახედა, კარგახანს უყურა, რაღაცას მოელოდა მისგან. მერე უთუოდ სხვაგან გაექცა ფიქრი, გამომეტყველება შეეცვალა.

არჩილი ფიქრობდა.

— საინტერესო სპორტია ავტორბოლა... — ჩაილაპარაკა მიტომ თავისთვის — უნდა სინჯოს კაცმა... როდისმე.

— უღელტეხილიდან ფილიპოვის ნოღამდე სულ კლდიანი გზაა, არა? — იკითხა არჩილმა.

— სულ კლდიანია, — უპასუხა მძღოლმა — მარცხნივ კლდეები, მარჯვნივ კლდიანი ხრამები!

— ჩვენ უნდა უღელტეხილის შემდეგ დავეწიოთ. დაუკელი. ოცდაათიორმოცით ვიაროთ! — უთხრა არჩილმა მძღოლს.

მანქანამ სვლას უკლო.

— ხელიდან წასული ხალხია! — ჩაილაპარაკა საბლერმა — მორფიუმიც... ეს რომ არ იყოს!..

ვექილმა მიხედ-მიხედა, ფაშვიანისა და სალათისფერი ქალის წინ გადაჯდა. გამოელაპარაკა. ნაპატიმრალიც მოვიდა, ვექილის გვერდში დაეშვა, სახელურს ჩაეჭიდა. მეზღვაური აქვე იყო. გუბეში ნაწოლმაც აქეთ მოაშურა. ყველამ ჯგუფად მოიყარა თავი.

— რა ჩვენი საქმეა?.. — თქვა ფაშვიანმა — მაგისთვის ის არსებობს, იმათი მოვალეობაა!

— არა, თქვენ წარმოიდგინეთ... — ვექილმა კაბინისკენ გააპარა თვალი და უფრო ხმადაბლა განაგრძო — იქ, ძარცვის დროს სულ სხვა იქნებოდა თავდაცვის ფარგლებში და სხვა ასეთები. აქ? აქ წინასწარგანზრახული... ერთი სიტყვით, რა ვიცი, აბა?

— არსებობს... წინასწარგანზრახული... — გამოაჯავრა ნაპატიმრალმა ფაშვიანს და ვექილს — თქვენ არ იცით რა ხალხია ეგენი!.. არ იცით! — ნაპატიმრალმა ხელი ჩაიქნია და ჯავრიანად დაფფურთხა იატაკზე.

— „წმიდათა-წმიდა მოვალეობა“ რაღა იქნა? — მოაგონა გუბეში ნაწოლმა ვექილს — სოროეს ეძებ?

— თქვენ, მოქალაქევ, ცოტა ფრთხილად... გამოთქმები! შეუარცხყოფაც დანაშაულია.

— მე არ მესმის, როგორ უნდა დავაპატიმროთ... როგორ... რითი უნდა დავხოცოთ? — მეზღვაურმა ხელები გაასავსავა.

ფაშვიანმა თვალები დაჭყიტა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მე არავისი ის არ მინდა! რა ჩემი საქმეა?..

— უნდა დავხოცოთ? — გაოცდა სალათისფერი ქალი — რატომ? ცოდონი არ არიან?

საბლერმა გამოხედა თავმოყრილებს.

— ხომალდზე შეთქმულება მზადდება, კაპიტანო! — გადაულაპარაკა მან არჩილს ღიმილით.

არჩილს მათკენ არ გაუხედავს, მაგრამ წარბი კი შეკრა.

— ის ბეითალი თან უნდა წამოგეყვანა. აქ უფრო გამოდგებოდა! — თქვა ნინომ.

არჩილი ახლა-ღა მიხვდა ნინოს ფანდს, თუ რა აზრით წამოაყენა ბეითალის კანდიდატურა.

— საკვირველია! — უთხრა არჩილმა ნინოს — შენ ადამიანები გეჯავრება!

— ადამიანები? ადამიანი მიყვარს, ცხოველი მეჯავრება!

არჩილმა მხრები აიჩეჩა.

ავტობუსმა უღელტეხილი გადალახა და თავქვეებს დაჰყვა.

აქ იკანკლდებს აღარ ხაზავდა გზა, მთავრეხიღის ფერდობებს მისდევდა, ნელ-ნელა ეშვებოდა ბარში. გზატკეცილი კლდეებზე იდო, მთები დიდი იყო, მკვეთრად მოხვევა არსად უხდებოდა იმ ადგილების გარდა, სადაც ხევების მორკალვა იყო საჭირო.

ქვემოთ უშველებელი დაბლობი ჩანდა, მისაწიერამდე ტყით დაფარული, მწვანე, ხავერდოვანი.

— რაღაც გდია, — თქვა ნინომ.

— საბურავია, „ოპელის“ საბურავი. აკი გითხარით! — დაიძახა მიტომ.

— ბორბალია! — შეუსწორა მძღოლმა, სკლას უკლო, ათიოდ მეტრის მანძილზე გაიჩერა — ხრიკი არაფერი იყოს!

— არა მგონია. ალბათ გამოცვლა მოუხდათ! — თქვა არჩილმა და ჩავიდა. მეზღვაურიც ძირს ჩამოხტა.

ბორბალთან მივიდნენ.

საბლერი, მიტო, ნინო, მძღოლი წამოეწივნენ.

იდგნენ, ბორბალს დასცქეროდნენ.

— საცოდავი ხალხია — ჩაილაპარაკა საბლერმა.

— შესაბრალისი მაგათ არაფერი აქვთ, — თქვა ნინომ.

არჩილი ბორბალს დასწვდა, გზის განაპირაზე მიაგორა და ავტობუსისკენ გასწია.

საჭეს მიუჯდა.

სხვებიც ამოიკრიფნენ.

მძღოლმა იუხერხულა უცხო კაცი თავის საჭესთან. თქმაც უნდოდა, ვერც შეებედნა; არჩილმა მანქანა დასძრა, სვლას უმატა, მაშინღა გაბედა მძღოლმა:

— უფლება არა მაქვს! საჭესთან უცხო კაცი... ვნახოთ და მოხდეს რამე?.. მანქანაა, პასუხი ხომ მე უნდა ვაგო!

— პასუხს ვაგებთ ყველა: ჩვენ და ისინი, ვინც დაგვავალა. პირადად მე ვაგებ პასუხს მანქანაზე. ამაზე ლაპარაკს მოვრჩით, — მოუჭრა არჩილმა — საბლერ, ძიდი ერთი, „შეთქმულებს“ მიხედე! — თქვა მან ღიმილით.

საბლერი წავიდა.

— უთხარით მაგას! — მიმართა ფაშვიანმა საბლერს — მე არ მინდა ასე ჩქარა... საერთოდ არ მინდა!

— თქვენ? არც თქვენ გინდათ? — შეეკითხა საბლერი სალათისფერ ქალს თავაზიანად.

— მე?.. მე აღარ მერევა გული, მაგრამ მეშინია, გადავიჩეზებით!

— ეს წინასწარ განზრახული მკვლელობაა! — აღშფოთდა ვექილი — ამხანაგებო!.. სანამ გვიან არ არის, უნდა გადავწყვიტოთ...

— გადაწყვეტილია და გათავებული! — მოუჭრა გუბეში ნაწოლმა.

— წესდებაში როგორ სწერია? — ჰკითხა მეზღვაურმა საბლერს.

— გაქცევის შემთხვევაში ბადრაგი ხმარობს იარაღს გაუფრთხილებლად! — უპასუხა ნაპატიმრალმა საბლერის მაგიერ.

— ჩვენ ბადრაგი არა ვართ! — თქვა ფაშვიანმა.

— რა არის ბადრაგი? — იკითხა სალათისფერმა.

— ასეთ აქციაზე უფლებამოსილებაა საჭირო! — განმარტა ვექილმა.

სპიდომეტრის ისარი ასზე ავარდა. მოსახვევებში ყალუზე ასადგომად იწევდა მანქანა. საბურავებს ერთი ჭაპანწყვეტა ჰქონდათ.

გზას, ჩრამების პირას, ბეტონის მარგილები გასდევდა მწკრივად. მიუხედავად თავაწყვეტილი სისწრაფისა და მრუდე გზისა, ავტობუსი ყოველ მომენტში მარგილებიდან თანაბარ სიშორეზე ეჭირა არჩილს. ისე მიდიოდა მანქანა, თითქოს ლიანდაგზე იდგა.

მიტო იატაკზე იჯდა, არჩილის გვერდით. ახლა მძღოლი და ნინო იდგნენ ზღურბლზე, ელვის სისწრაფით მომქროლავ გზატკეცილს გასცქეროდნენ.

— დაიმსხვრევა, ცოდო! — თქვა მიტომ სინანულით.

— რაღად ვარგა. აღარ ვარგა! — მიუგო მძღოლმა.

— ახალთ-ახალია, რას ამბობ! — ახედა მიტომ.

მძღოლმა უნდობლად გაუღიმა.

— ნაგავია, ეგ რაღა მანქანაა!

— მე მაღვიძარაზე ვამბობ, — უპასუხა მიტომ.

— მაღვიძარაზე, რა მაღვიძარაზე?

— ჩემი მაღვიძარა, ტირში რომ მოვიგე. ჯიბეში ჩაიდო ბეღურამ.

ნინომ გაიცინა, მძღოლი დაიბნა. არჩილმა ღიმილით გადმოხედა და ისევ გზას მიაცივდა.

— კიდევ რაღაც გდია გზაზე! — თქვა ნინომ.

მძღოლი დაიხარა, მიტოც შუბლის მინას მიაცივდა. არჩილმა სვლას უკლო, დაამუხრუჭა.

ნინო უმალ ჩახტა, დასწვდა, აიღო.

გაშალა. განიერი, ხალვათი შარვალი აღმოჩნდა, ტყავის სარტყელით საქამრეში.

— შარვალი! — განცვიფრდა ნინო და ავტობუსში ავიდა.

— ჩემი შარვალი! — დაიძახა ფაშვიანმა.

წამოხტა, პორტფელი სავარძელზე მიაგდო, ნინოსკენ გაიქცა, შუა გზიდან დაბრუნდა, პორტფელი იღლიაში ამოიჩარა და თვალის დახამხამებაში უკვე ხელში ეჭირა ნაპოვნი.

— ჩემი შარვალი!

იქვე სავარძელში ჩავარდა, ჩაცმას შეუდგა. პორტფელი უშლიდა, მეორე

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხელს ვერ ხმარობდა. მაინც მოახერხა, გაუყარა ფეხები, ადგა, ღილები შეიბნია.

— პიჯაკი!.. ხომ არ... მართლა არ იყო?

მანქანამ კვლავ გაუტია გზას.

ფაშვიანი ავტობუსის ბოლოში გავიდა; ჯურგის მინაში გაიხედა.

— ჩვენი საქციელი თვითგასამართლებაა და სხვა არაფერი! — იმეორებდა ვექილი ხმადაბლა და წარამარა კაბინისკენ აპარებდა თვალებს.

— სამწუხაროდ უარესია! — ჩაერია საბლერი — ეს არის საბჭოთა ადამიანების დიდი ჯგუფის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. ამდენ ხალხში ერთიც არ მოიძებნა ისეთი, რომელსაც პატიებისა და მიტევების უნარი გამოემჟღავნებინა... სამწუხაროდ...

— რისი პატიება, რა პატიება! — ეცა გუბეში ნაწოლი — ამისი პატიება შეიძლება? — მან ხელები გაშალა, ერთი მიყურეთ, რას დამამსგავსესო.

— ეგენიც ადამიანები არიან! — დაუჭირა მხარი ფაშვიანმა ვექილს.

— ადამიანები! — დააბრიალა თვალები გუბეში ნაწოლმა — მუსრი მაგისთანებს... მსხვილს და წვრილს... სულერთია.

— როგორი დაუნდობლები ხართ კაცები! — აღშფოთდა სალათისფერი ქალი.

— ეგ მაშინ იქნება სწორი, მაშინ გაავლებენ მუსრს, როცა ყველა ასე იაზროვნებს, — ჩაურთო საბლერმა — აქ სულ რამდენიმე კაცი ვართ და ყოველ ჩვენგანს თავისებურად ესმის... ზოგი განადგურების მომხრეა, ზოგი აღზრდა-გამოსწორების...

— სადამსჯელო პოლიტიკა მაგასაც ითვალისწინებს, როცა აღზრდა-გამოსწორების თვალსაზრისს აღგას, — ჩაურთო ვექილმა — ერთი სიტყვით, ჩვენ კანონს ვარღვევთ... რომ მივდევთ. შევჩერდეთ, სანამ გვიან არ არის!

— სულ ეგრეა! — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ნაპატიმრალმა.

— ელოლიავებიან! ეგენი კი, უარესს სჩადიან!

გზამ ძლიერ მკვეთრად მოუხვია მარცხნივ.

არჩილმა მძაფრად მოსაჯა.

მანქანამ ცალი მხარი აიშვირა, ყალყზე შედგა, მარჯვენა ბორბლებით მოხაზა რკალი, მოლაღე ვეშაპივით მოიქნია კუდი და კვლავ ოთხ წერტილზე დაჯდა.

ფაშვიანი კუთხეში მიაგდო ცენტრიდანულმა ძალამ.

საბლერი და ვექილი იატაკზე გადმოცვივდნენ.

ნაპატიმრალმა მოახერხა სავარძელში დარჩენა. სხვები კედელთან მიყუჟა მოსახვევამ.

სალათისფერი ქალი მაშინღა გადმოვარდა, როცა მანქანა გასწორდა.

საბლერს დაწყდა მკერდით.

წამოიწია, სახელურს ჩასჭიდა ხელები, სხეულის სიმძიმე მოაშორა საბლერს.

— მაპატიეთ, ბოდიში! — უთხრა სალათისფერმა ქალმა საბლერს.

— რას ბრძანებთ, პირიქით! კიდევ შეიძლება, თუკი ინებებთ! — შესცინა საბლერმა.

სალათისფერმა ქალმა გადაიკისკისა.

ვექილი პირქვე ემხო, სავარძლის ფეხებს ჩასჭიდებოდა.

საბლერი ადგომას ცდილობდა, მანქანის ბორგვა-ტორტმანი უშლიდა ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერწმუნეთ... — შესწუწუნა ვექილმა საბლერს — ეს ამბავი ცუდად გათავდება! ურჩიეთ... — მანქანა შეტტა, თავი სავარძლის ბალიშზე მიახლვენინა, სიტყვა შეუწყვიტა.

საბლერმა ადგომა უშველა. სავარძელში ჩასვა.

ამაოდ ცდილობდა ადგომას ფაშვიანი.

საბლერი მივარდა, რის ვაი-ვაგლახით წამოაყენა.

— ხომ არაფერი იტკინეთ?

— ჰმ, კიდევ რაღაც გდია, — ჩაილაპარაკა არჩილმა.

— პერანგს გავს! — აღნიშნა მიტომ.

— აღარ გავაჩერებ... ეშმაკობაა! განზარხ ყრიან, დრო მოიგონ.

— მართლა!

მანქანამ ძონძს გადაუარა, უკან ჩამოიტოვა.

— ნახეთ, როგორი პერანგი მაჩუქა ფრიდამ? — შეეკითხა მიტო ნინოს და არჩილს — ბაცი ცისფერი.

— ქალებისაგან საჩუქრების აღება... რავი, როგორც გინდა! — ჩაილაპარაკა ნინომ უკმაყოფილოდ.

— ფრიდა ქალი კი არ არის, ჩემი საცოლეა! — განაცხადა მიტომ.

ნინოს თვალები დაუფართოვდა, გაფითრდა.

არჩილმა პირი დააღო, ზომაზე მეტ ხანს შეაჩერა მზერა მიტოზე. საპის მოტრიალება შეაგვიანდა, ძალიან მკვეთრი რკალის მოხაზვა დასჭირდა და ისევ ალიაქოთი ატყდა ავტობუსში.

— მე ასე სწრაფად... არ ვიცი! — აყვირდა ფაშვიანი — გაიჩერეთ! აღარ მინდა. არ ვიცი ასე ჩქარა... სიცოცხლე!

— კო, გაიჩერონ ახლავე! — ხმა მისცა ვექილმა.

არჩილმა მძაფრად დაამუხრუჭა,

მანქანა ადგილს მიაცივდა.

ადგა. მძღოლმა და ნინომ გზა უტიეს. კაბინიდან გამოვიდა.

თვალი მოავლო ავტობუსს.

გუბეში ნაწოლი სავარძლის საზურგეს ჩაჰფრენოდა, ფაშვიანს შეჰყურებდა. მეზღვაური ძალზე დაძაბული ჩანდა, არჩილს თვალი ჩაუკრა, მიდი, ჩვენ შენთანა ვართო, მაგრამ რაღაც ნაძალადევად, ხელოვნურად გამოუვიდა. ვექილმა თავი ჩაქინდრა. სალათისფერმა ქალმა გულზე მოიგლო ხელი.

— აღარ შემიძლია. მალე დავეწევით? როდის მორჩება ეს ნჯღრევა!

ნაპატიმრალი შარვალში წასწვდა ფაშვიანს, დაქაჩა, დაჯე, რა გული გაიწყალეო.

— მე არ შემიძლია ასე სწრაფად!.. რად მინდა, არ მინდა! — დაიძახა ფაშვიანმა.

— ვის უნდა ძირს ჩასვლა? — იკითხა არჩილმა მშვიდად.

მეზღვაური ზეზე წამოხტა.

— მე აქ ვრჩები! ყველაფერი სწორია. ვისაც არ უნდა — ჩავიდეს! — დაიძახა მან და ვექილს მიაჩერდა.

ფაშვიანი საფეხურისკენ გაქანდა.

— კიდევ ვის? დროზე, ამხანაგებო!

მგზავრები სდუმდნენ.

ფაშვიანი საფეხურზე შეჩერდა. მიდამოს თვალი მოავლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიმეორებ! დაჭერის დროს წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ვისაც არ სურს, მიიღოს ძონაწილეობა, ჩავიდეს ძირს!

კვლავ სდუმდა ყველა.

არჩილმა ფაშვიანს ესროლა მზერა.

ფაშვიანი საგონებელში ჩავარდნილიყო. შეშინებულ თვალებს აცეცებდა.

პაპანება იყო. ნაცრისფერი კლდეები იდგა მარცხნივ, შვეული, დაღრანკული, ტიალი. ნაცრისფერ გზაზე თუხთუხებდა მანქანა, — ერთადერთი ცისფერი საგანი ნაცრისფერ მიდამოში. მარგილებს იქით აღარაფერი ჩანდა, მხოლოდ ძირს, ძლიერ ღრმად და შორს მონაცრისფრო ბურუსი წაჰკვროდა უსაზღვრო დაბლობს. ქინქლა ირეოდა იმდენი, რომ დასანახს აუფერულებდა, ამქრქალებდა, ამღვრევდა.

— მე აღარ მერევა გული... და აღარც მეშინია. წავიდეთ! — განაცხადა სალათისფერმა ქალმა.

ფაშვიანი უაღრესად შეშინებული იყო.

ძირს ჩავიდა. პორტფელს დახედა, შეყოყმანდა.

— ეს შემინახეთ... — მან პორტფელი ორივე ხელით გაუწოდა ნინოს — მე აქ მოვიცდი, არსად არ წავალ! — მერე ანაზდად გადაიფიქრა, ისევ იღლიაში ამოიჩარა და მოიბუზა.

ასე იდგა, მიტოვებულივით, მარტოდმარტო. რაღაცას ჩურჩულებდა გადამცდარივით.

არჩილმა კიდევ შემოიარა თვალით თანამგზავრები და კაბინაში შებრუნდა.

მანქანა დაიძრა. ფაშვიანი, თითქოს ამასღა ელოდა, მოულოდნელი სიმარდით შეხტა საფეხურზე, ავტობუსში ავიდა, ადგილს მიაშურა და ისევ სალათისფერი ქალის გვერდით ჩამოჯდა.

კვლავ ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, სწორედ მოიქცა, რომ დაბრუნდა თუ დარჩენა სჯობდა?

საბლერმა კაბინისკენ გასწია. გზად ფაშვიანს ესროლა:

— მაშ, მივდივართ, არა?

ფაშვიანმა მორჩილი თუ ძალიან შინაურული ღიმილით უპასუხა და საბლერი უკვე კაბინასთან იყო, მაშინღა თქვა:

— მე ხალხში მიყვარს. იქ მუმლია და მარტო...

— ახლა უკვე დროა, — უთხრა არჩილმა მიტოს — გადასხით ხალხი ბოლო სავარძლებზე და დავიძახებ თუ არა დაწექით-მეთქი, ყველა იატაკზე დაწვინეთ.

— აქ ვინ დარჩეს, შენთან? ერთი კაცი ხომ აუცილებლად საჭიროა? — მიუგო მიტომ.

არჩილი დაფიქრდა.

— მე დავრჩები! — თქვა ნინომ — რა უნდა გავაკეთო?

— მიტო დარჩეს. შენ... მანქანის ტარებას ისე ვერ შესძლებ, როგორც მიტო, — თქვა არჩილმა.

— შეეძლებ!

— ნინო, დამიჯერე... — თქვა არჩილმა უკმაყოფილოდ.

— კარგი, კარგი! — შეაწყვეტინა ნინომ, გაბრუნდა და ხმამაღლა, მეგობრების გასაგონად თქვა — ამათმა უადგილო ზრუნვამ გააწყალა გული! — კიდევ რაღაცეები იბურტყუნა, სანამ მგზავრებამდე მიაწია.

— საბლერ, მიდით, გადასხით ხალხი და ყური გეჭიროთ, როცა დავიძახო, ყველა იატაკზე დაწვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბლერმა და მძღოლმა უმალ აასრულეს არჩილის ნათქვამი.

ახლა მხოლოდ არჩილი და მიტო იყვნენ კაბინაში.

გზა ერთიმეორეზე წალაგებულ ვეებერთელა რკალებისაგან შესდგებოდა. ბაფთი ფერდობის რელიეფს მისდევდა, ხევში შეუხვევდა, ახლა შემდგომ ფერდობზე გამოვიდოდა და რკალს ხაზავდა, ვიდრე მომდევნო ხევს მიაწევდა.

— მანქანა! — თქვა არჩილმა.

— მანქანა. „ოპელი!“ — გაიმეორა მიტომ.

არჩილმა მიიჩოჩა, მიტო გვერდში მიუჯდა.

ისარი ასზე ავარდა.

როცა ავტობუსმა იმ ადგილს მიაღწია, სადაც „ოპელს“ მოჰკრეს თვალი, მათ წინ პირდაპირი ხაზით, სულ ახლოს ლარივით გაჭიმული გზის ორ-სამ კილომეტრიანი მონაკვეთი გამოჩნდა მკვეთრი მოსახვევით ბოლოში. ამ მონაკვეთზე ეასაღელად ერთი მოზრდილი ხევის შემოვლა იყო საჭირო. არჩილმა სვლას არ დაუკლო, ისე შეუდგა მოხვევას.

— აქ შევიპყროთ! — თქვა არჩილმა ხმადაბლა.

— შესაფერი ადგილია!

კლდე ციცაბო იყო, მხოლოდ ერთ თუ ორ ადგილზე მოეკიდებინა ფეხი რომელიღაც გასაცოდაებულ ბუჩქს, დაღვრემილი ძწვანე ლაქა დაესვა ნაცრისფერ პიტალოზე.

ხევში ნალად იდო გზა. ნალის შიგნითა წიბო უნდა გაევლო ავტობუსს იმ სწორ მონაკვეთზე გასასვლელად, რომელიც არჩილმა აირჩია მიზნის სისრულეში მოსაყვანად.

ავტობუსი ნალის ერთ ქიმს შეუდგა, როცა „ოპელმა“ მოპირდაპირე ქიმი გაიარა და სწორზე გავიდა.

სულ ახლოს იყო; პირდაპირი ხაზით ორასიოდე მეტრზე, გზით ალბათ ერთ კილომეტრზე, ან ცოტა მეტ მანძილზე.

— დაგვინახეს! — თქვა მიტომ.

— დაწექით! — დაიძახა არჩილმა.

ავტობუსის ბოლოში ყველა იატაკზე დაეშვა.

მიტომ საჭეს წაავლო ხელები, მსუბუქად, ისე, რომ მართვაში ხელი არ შეშლოდა არჩილს.

ფეხები სატერფალებს მიუახლოვა.

მერე რაღაც მოაგონდა, ორი პაპიროსი აიღო თაროდან, ორივეს ერთდროულად მისცა ცეცხლი, ერთი არჩილს ჩაუდო პირში, მეორეს თვითონ დაეჭაჩა და ისევ საჭეს წაავლო ხელები.

ავტობუსმა რკალი შემოიარა, ციცაბოებს ჩაუღრიალა თავისი ჭაპანწყვეტა და რქას შეუდგა. კიდევ ოთხასი თუ ხუთასი მეტრი — ავტობუსი ნალის ქიმს მიაწევდა, გაუხვევდა და სწორეზე გავარდებოდა ტყვიასავით.

მარცხენა ბორბლები მტკავლზე ასცილდნენ გზას. მარჯვენა ბორბლებმა მტკავლზე გაუარეს ბეტონის მარგილებს, დაიღრჭიალეს, სწორეზე გაიტანეს ავტობუსი, მანქანა დაჯდა და გასწია...

„ოპელი“ სამას-ოთხასი მეტრის მანძილზე იყო. ზურგის მინაში სახეები მოჩანდა.

მიტომ სპიდომეტრს დახედა.

ისარი ციფერბლატის სარჭს მიაცივდა, სისწრაფე მაქსიმალური იყო, „ოპელსა“ და ავტობუსს შორის მანძილი სწრაფად მცირდებოდა.

— არ გვესვრიან! საკვირველია! — თქვა მიტომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შორს ვართ, ელიან სანამ ახლო მივალთ. ალბათ არც ესმით, რა გვინდა.

ორმოცდაათი, სამოცი მეტრიღა ჰყოფდა მანქანებს, როცა „ოპელის“ ზურგის მინა ავტომატის კონდახებმა გამოამსხვრიეს.

— უფრო ახლოს აღარ მიხვიდე, მოგვახვედრებენ! — ჩაილაპარკა მიტომ.

— არა, — მიუგო არჩილმა და ავტობუსმა სვლას უკლო.

ორივე მანქანა თანაბარი სისწრაფით მიდიოდა. მანძილი მათ შორის უცვლელი რჩებოდა. ახლოეა გახდა ცხადი, თუ როგორ მიჰქროდა ავტობუსი აქამდე; თითქოს დაისვენა ძრავმა, მიწყნარდა, დამშვიდდა. ბორბლებმა ხმაურს უკლეს, დაშოშმინდნენ.

— მიგვიხვდნენ?

— ალბათ! უთუოდ უფრო ახლო მანძილიდან აპირებენ სროლას.

ისევ დაიღრიალა ძრავმა, მანძილს შეუტია მანქანამ. „ოპელი“ თვალნათლივ ახლოვდებოდა.

— გვიმიზნებენ!

— ძნელია, ორივე მანქანა ხტუნავს, მხოლოდ შემთხვევით...

ავტომატების ტატანი მოისმა.

ავტობუსის ყველა მუხრუჭი ჩაირთო. მიტო და არჩილი ერთდროულად ჩაიხარნენ. სისწრაფის მკვეთრმა შემცირებამ ყველაფერი წინ წაიგდო. უკანიდან ყრუ ბაგა-ბუგი მოისმა, რაღაც საგანი ეძგერა კედელს. შეყვირებებმა მოაწიეს კაბინამდე, ძრავი ჩაქრა, წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

ავტობუსი ასი მეტრით მოსწყდა „ოპელს“.

არჩილს არც კი გაუხედავს წინ, სტარტერს დაეწვა. ძრავი უმალ ამუშავდა. ისევ დაიძრა ავტობუსი.

— კარგი იყო! — თქვა მიტომ — გრძელი რიგები მისცეს.

— ერთი ასეთი მისვლა და უკანასკნელ ვაზნებს დახარჯავენ... მერე ყველაფერი კარგად იქნება.

ისევ დაიწყო კლება მანძილმა. ისევ დაეწია ავტობუსი „ოპელს“ და კვლავ ოცდაათი-ორმოცი მეტრის სიშორეზე აეკვიატა.

— რა გითხარი?.. სამოცით მიდიან, ჩვენსავით... მაგ მანქანას მეტს ვერ გამოსტყუებ! — თქვა მიტომ.

სპიდომეტრის ისარი მართლაც სამოცზე ირხეოდა.

— აღარ ისვრიან!.. — შეფიქრიანდა არჩილი.

მოსახვევი უკვე ახლოს იყო და ეტყობა მკვეთრი, რომ კლდე კონცხივით შემოჭრილიყო გზატკეცილში.

მძარცველებს ავტომატები გადმოეშვირათ, განაბული შემოჰყურებდნენ მდევარს.

— მგონი აღარც გვესვრიან... გესმის რაშია საქმე?.. ფსიქიკა, — თქვა არჩილმა — მაშ... ახლა როგორღა...

— ვითომ?.. ენახოთ... რაც არის, არის!

არჩილს ღიმილმა გადაკრა.

— რა იყო? — შეეკითხა მიტო.

— არ გესმის?

მიტომ მიაყურა.

— ბეღურა ყვირის, — თქვა მიტომ — რას ყვირის?

ორივე სმენად იქცა.

— სხვებს უყვირის რაღაცას.

— ალბათ უჯავრდება, რას გამოშტერებულხართო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი აქსილირატორს დაწვა. სამოცდაათზე დააყენა სისწრაფე, ოდნავ მარცხნივ გამოსაჭა მანქანა, თითქოს გვერდის აქცევასა და გადასწრებას აპირებდა.

მაშინ ბეღურამაც მარცხნივ მოსაჭა.

ოპელ გზისპირა თხრილს აეკრა.

მანქანებს შორის მანძილი დაჟინებით მცირდებოდა, მოსახვევი ახლოვდებოდა.

„ოპელის“ ზურგის დოლაბში ამუნიასი და შოშიას თავები მოჩანდა. მანძილი იმდენად შემცირდა, რომ მათი სახის გამომეტყველებაც კი ნათლად ჩანდა.

— ეგენი ვეღარ გაისვრიან! — თქვა არჩილმა.

„ოპელის“ მძღოლის კარი გაიღო, ბეღურამ თავი გამოყო, ავტობუსს ჰკიდა თვალი და კვლავ მიიმალა.

კარი არ ჩაუკეტავს, მიხურა, ხელით ეჭირა.

მოსახვევამდე ასიოდე მეტრი დარჩა. ავტობუსი ლამის ჯახრიდით მისჯდომოდა „ოპელის“ ჯახრიდს.

ამუნია და შოშია დამბლადაცემულივით შემოსცქეროდნენ ავტობუსს.

ბეღურა კვლავინდებურად ყვიროდა და ილანძღებოდა.

უკვე მოსახვევის აღება იყო საჭირო, რომ „ოპელის“ მძღოლის კარი გაიღო, ბეღურამ მანქანიდან ისკუპა და გზისპირა თხრილში გადახტა.

„ოპელმა“ ათიოდე მეტრი გაირბინა, მძღოლებს ეძგერა ჯახრიდით.

მარგილები გადაწვნენ, „ოპელი“ წინა ბორბლებით გზას გადასცდა...

არჩილმა მკვეთრად მოსაჭა, მაგრამ რკალი იმდენად მკვეთრი და მოკლე აღმოჩნდა, რომ „ოპელს“ კი მშვიდობით გასცდა ავტობუსი, მაგრამ მოსახვევს, ცხადი იყო ვერ აიღებდა...

მაშინ ყველა მუხრუჭები ერთდროულად ჩაირთო, ჯახრიდი ირიბად ეძგერა ბეტონის მარგილს... მანქანა ადგილს დააკვდა.

ავტობუსმა გასწვრივ გაუარა ბეღურას.

„ოპელი“ წამით გაშეშდა უფსკრულის პირას, თითქოს შეყოყმანდა, გადაკარდნილიყო თუ არა. მერე უკანა ბორბლები ნელნელა ასცილდა გზას, აიწია.

მანქანა აყირავდა და დაიძირა, გაუჩინარდა.

ბეღურა წამოხტა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა ხრამისკენ, გადაიხედა.

ხმამაღალი ჩახანი მოისმა ქვევიდან... კლდეებმა მოძახილით უპასუხეს.

ავტობუსმა ერთი-ორჯერ შესთუხთუხა გამორბენილ გზას და დადუმდა.

არჩილმა საკეზე მოყარა მკლავები, მკერდი ზედ დაადო, ნიკაპი მკლავებზე ჯასდო და ფიქრს გაჰყვა.

მიტომ და პნევმატურმა მუხრუჭებმა ერთად ამოისუნთქეს.

ნინო უკანა კარიდან ჩამოხტა. საბლერი გადმოჰყვა.

სხვებიც ჩამოვიდნენ.

ბეღურამ გამოიხედა, მიტრიალდა, გაიქცა.

ორმოცდაათი ნაბიჯი გაირბინა, გზატეეცილი მიატოვა, მარცხნივ დაუხვია და ხრამში ჩავიდა.

თავპირისმტვრევით გარბოდა ჩამრეცში.

ეცემოდა, ქვებს ეჯიდებოდა, დგებოდა, გარბოდა.

— მანქანისკენ გარბის, ალბათ იარაღის აღება უნდა! — თქვა საბლერმა.

ნინომ სწრაფად მოავლო თვალი ხრამს. ადგილს მოწყდა, ავტობუსი ჩამოეტოვა და ცოტახნის შემდეგ ისიც ხრამში გადაეშვა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თხასავით მიხტოდა, მსუბუქად, მოხდენილად.

მიტომ კაბინიდან თვალი შეასწრო. მყისვე ძირს ჩახტა. დაყვირება უნდოდა, ხელებიც კი მიიდო პირზე, მაგრამ გადაიფიქრა და სირბილით მიპყვა ნინოს.

ხრამს ორთავე ᲗᲮრიდან ჩამრეცი თხემები ჩასდევდა.

ერთხე ბეღურა ჩარბოდა „ოპელისკენ“, მეორეᲖე — ნინო.

— ჩაასწრებს, მამაძაღლი! — თქვა გუბეში ნაწოლმა და ბეღურასკენ გაიქცა. ნაპატიმრალი და მეზღვაური მიპყვნენ.

გზიდან გადაუხვიეს, თხემზე ჩავიდნენ, ქვების დაგორებას მიპყვეს ხელი.

ამან კარგი შედეგი გამოიღო. ქვამ ქვა აიყოლია...

ბეღურა იძულებული გახდა მარჯვნივ დაშვებულიყო, მანძილი დაუგრძელდა.

ამ დროისათვის ნინოს ნახევარი გზა ჩათავებული ჰქონდა. უკვე ცხადი იყო, რომ ბეღურაზე ადრე მიაღწევდა მანქანამდე. მიუხედავად ამისა, თხემის წიბოს თავი მიანება, კლდეებს ჩაპყვა ფორთხვითა და ბღაუᲖით.

კინაღამ ᲗᲮწყდა რამდენიმეჯერ, მაინც დაკინებით განაგრძობდა ჩასვლას.

ფაშვიანმა ფეხაკრებით გაიარა ავტობუსი, წინა კართან შედგა. სანამ საფეᲮურზე ჩავიდოდა, არჩილს გადახედა.

არჩილი ისევ ისე იწვა საᲯეᲖზე, ოღონდ ახლა სალოკი თითით ხელსაწყობის ზემოთ დამაგრებულ საფარმო ნიშანს უჩიკინებდა უაზროდ, უნებლიედ.

მერე თითი მოაცილა და წაიკითხა:

— Сделано в СССР!

ფაშვიანმა მხარუკუღმა მოხედა არჩილს და ძირს ჩავიდა.

აღარავინ ჩანდა.

გადანგრეული მარგილები დაინახა, იქით წავიდა.

Ხრამის პირს ახლო ვერ მიბედა, ისე გადაალო თვალი მიდამოს.

მგზავრები Ხრამში ჩადიოდნენ.

სალათისფერი ქალიც ჩადიოდა. ხელში ფეხსაცმელი ეᲭირა, წინდის ამარა, ბორძიკ-ბორძიკით მისდევდა ვეᲭილს.

ფაშვიანი უფრო ახლოს მივიდა Ხრამთან. „ოპელი“ დაინახა, ჩააშტერდა, სანახაობამ გაიტაცა.

ნინომ დაღეᲭილ-დაᲭმუᲭნულ მანქანასთან მიირბინა.

ყურადღება არაფრისთვის მიუქცევია — არც სისხლისთვის, არც ცომადქცეული, დასახჩრებული გვამებისთვის და ირგვლივ მიმოფანტული ნაძარცვისათვის... ავტომატს დასტაცა ხელი, რქა მოხსნა, დარწმუნდა, რომ ვაზნები კიდევ იყო, რქა ადგილზე დააყენა და იმ თხემისაკენ გაიქცა, სადაც ბეღურა ეგულებოდა.

არჩილი ავტობუსიდან ჩამოვიდა. ᲯახᲠიდი შეათვალიერა.

თითქმის არაფერი ემჩნეოდა მანქანას.

ფაშვიანისკენ წამოვიდა.

Შორიდანვე შენიშნა, რაღაცას ბუტბუტებდა დახლის კაცი.

მოუახლოვდა, გვერდში ამოუდგა. იმდენად იყო გართული ფაშვიანი, თავისი საფიქრალით, რომ ვერაფერი გაიგონა.

არჩილმა მიაყურა.

ფაშვიანმა „ოპელს“ თვალი მოსწყვიტა, სივრცეს გახედა.

— რამხელა... უშველებელია... ეგ არავის არაფერს შეარჩენს! — მოᲭკრა ყური არჩილმა და შეეკითხა:

— ავტობუსი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშვიანს ელდა ეცა, მოუბრუნდა, თვალები აიაპუნა და ძალიან გულღიად გაიღიმა.

— ავტობუსი? — გაიმეორა ფაშვიანმა — ჰო, ავტობუსი!

არჩილი ხრამში ჩასაფელი ადგილისკენ წავიდა.

ფაშვიანმა თვალი მიაყოლა, არჩილს მიჰყვა.

ხუთი-ექვსი ნაბიჯი გადადგა, პორტფელზე დაიხედა, დაფიქრდა.

— მეც... მე ახლავე! — მიაძახა მან არჩილს და ავტობუსს მიაშურა.

ნინო თხემზე ავიდა, მიდამო მოათვალიერა, თვალი მოჰკრა ბეღურას. პატარა ფერდო ჩაირბინა და ბუჩქებში ჩაუსაფრდა. ათ ნაბიჯზე მოუშვა ბეღურა.

— ხელები მაღლა, ძმობილო!

ბეღურა სახტად დარჩა, ხელებმა თავისთავად აიწიეს... მაგრამ იმავ წამს იბრუნა პირი და ფერდოზე ჩაეშვა.

ნინომ მოკლე რიგი მიაყოლა.

ბეღურა ბუჩქებში მიიმალა.

მალე შიშველი იწყებოდა, იმაზე გასვლა დააცადა ნინომ.

ესროლა, ბოლომდე დააცალა რქა.

ბეღურამ კიდევ ირბინა, ნინოს მოხედა და ისევ სირბილი განაგრძო.

ნინომ კარგახანს უყურა.

უკვე ძალიან შორს იყო ბეღურა, როცა ნინომ იარაღი შეათვალიერა.

სამიზნე მიღრეჯილი ჰქონდა ავტომატს, ალბათ დაცემის დროს თუ დაზიანდა.

ისევ ბეღურას მიაყოლა თვალი.

აღარ გარბოდა. მშვიდი, თითქმის ნელი ნაბიჯით ჩასდევდა მწვანე ფერდოს. ერთხელაც კი არ გამოუხედავს უკან, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, არც რამე იყო მოსალოდნელი.

ნინო გასაქცეროდა და ფიქრობდა. მერე ძალიან ხმადაბლა თქვა:

— არჩილს ვერ წაუხვიდოდი! — იყუჩა, თვალი აარიდა გაქცეულ მძარცველს და დასძინა: — ვერავინ ვერ წაუვა!.. ვერავინ? ვერც მე? — ნინო ღიმილით გამობრუნდა; ალბათ უსიამოვნო არ იყო მისთვის ამაზე ფიქრი.

მიტო მანქანაში იქექებოდა, თვალებს აცეცებდა, თავგამოდებით ეძებდა რაღაცას.

საბლერი და ვეჭილი მანქანის ნარჩენს დასაქცეროდნენ უხმოდ.

— დასწყევლოს ღმერთმა, — თქვა თავისთვის საბლერმა — არ უნდა იყოს ასე, სირცხვილია ადამიანისათვის...—განზე გავიდა, ქვაზე ჩამოჯდა, დაფიქრდა.

— ჰმ, შეხედეთ ერთი ამას? აქამდე შერჩენია. — თქვა დამცველმა თითქოს საბლერის პასუხად და „ოპელის“ რომელიღაც ნაწილზე მიუთითა.

წითელ მინანქარში ყავისფერი სვასტიკა იყო ჩაქდეული და ქვემოთ შავივე ასოებით ეწერა: Wermacht.

ნაპატიმრალმა ის ხელკეტი აიღო, რომლითაც გუბეში ნაწოლი მგზავრი გალახეს ძარცველებმა.

მელოტის გვამს წაადგა თავზე.

— მე ახლა გაჩვენებთ, როგორ მცემა ამ ძაღლმა... პატიმრობაში! — თქვა მან და ხელკეტი შემართა.

ვეჭილმა თვალები დააჭყიტა.

— დაანებე თავი! — შესძახა საბლერმა — მკვდრის ცემა რა საკადრისია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ასე ვიყავი მაშინ! — ესროლა ნაპატიმრალმა, ხელკეტი შეიჭნა, მაგრამ ჰაერში გაუშვიდა მკლავი.

ერთხანს გაკვირვებით უყურა მანქანიდან ნახევარზე გადმოცურებულ, დასახიჩრებულ გვამს, ხელკეტი ძოისროლა და განზე გადგა.

— ძოტ-ხეთ უკან! — უბრძანა დამცველმა — ეგ ჯოხი ნივთიერი მტკიცებაა.

ნინო მოვიდა.

— სად არის? — მყისვე ჰკითხა მიტომ.

— გაიქცა.

— გაიქცა? აკი ესროლე, დააცდინე?

ნინომ მიღრეჯილ სანიშნეზე მიუთითა.

— დავაცდინე!

მიტომ ღრმად ამოისუნთქა, კვნესა ამოაყოლა.

— თან წაიღო, აქ არ არის. ვეძებე.

— რა წაიღო? — ჰკითხა ნინომ.

— ჩემი მაღვიძარა, — მიტო გულდაწყვეტილი იყო. მოფუშული, ძარღვებაშლილი. მიწაზე დაჯდა, თავი ჩაქინდრა.

ნინო მიტოს დააცქერდა. რატომღაც სევდა მოაწვა თვალებში.

არჩილი მოვიდა. მხოლოდ ერთხელ ესროლა თვალი ჯართადქცეულ მანქანას, შარვლის ჯიბეებიდან რევოლვერები ამოუღო მელოტს, ხელებში ათამაშა და დამცველს ჰკიდა თვალი.

— თქვენ და თქვენ! — არჩილმა გუბეში ნაწოლს და ნაპატიმრალს მიათითა — გამოიღეთ გვამები...

ნაპატიმრალმა ფეხებში წაავლო ხელი მელოტის გვამს და თავისკენ გამოითრია მანქანიდან.

— ერთხილად! როგორ იქნება!? ადამიანია, შეშა ხომ არ არის, — შეუყვირა გუბეში ნაწოლმა და მისაშველებლად მირბინა.

— აჰ! — შეჰკივლა სალათისფერმა ქალმა და მოცელილივით დაეცა.

ახლა მას ნამდვილად წაუვიდა გული. სანახობამ წაართვა გრძნობა.

საბლერი მის მობრუნებას შეუდგა.

ნინო მიტოს დასცქეროდა.

მიტომ ამოხედა.

იგრძნო, ეს არ იყო ჩვეულებრივი მზერა. თვალი გაარიდა და ჩაილაპარაკა:

— როგორ გაუკვირდება ფრიდას, როცა ვუამბობ!

ნინო აფეთქდა, თავი ეიღრო შეიკავა, ჟრუანტელმა დაუარა, ნიკაპი აუცახცახდა, თვალები მრისხანებით აევსო.

ზურგი შეაქცია მიტოს.

სალათისფერი ქალი გონს მოვიდა.

არჩილმა ნაძარცვის ერთ ადგილზე თავმოყრა უბრძანა მგზავრებს.

ამობაში ფაშვიანმაც მოაწია.

პირდაპირ ნაძარცვის გროვასთან მივიდა, თითქოს საგანგებოდ მისთვის შოეყარაო თავი ტანსაცმლისთვის, უმალ თავის ნივთების ძებნას მიჰყო ხელი. აურ-დაურია ყველაფერი. ჯერ პერანგი იპოვნა, აქვე გადაიცვა. ახლა პიჯაკის ძებნას შეუდგა.

ფაშვიანმა იგრძნო, რომ ყველა განაბული შემოჰყურებდა. წამით მოეშვა ტანსაცმელ-ფეხსაცმელის გროვას, თანამგზავრები მოათვალიერა.

ყველგან მძრახავი გამოხედვა დახვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემინდა, მოერიდა, განზე გავიდა თავჩახრილი.

ყველამ თითო იღლია ნაძარცი წაიღო ავტობუსისკენ.

სალათისფერი ქალის წილად აღარაფერი დარჩა.

მან თვალი გააყოლა მწკრივად მიმავალ თანამგზავრებს და ძალიან მოუნდა თვითონაც წაეღო რიმე. გარშემო მიიხედ-მოიხედა. ვერაფერი მოხელა. მაშინ „ოპელის“ მიჩეჩყილ საბარგულთან მივიდა, ჩაიხედა.

აქაც არაფერი იყო.

დიდხანს იდგა დაფიქრებული. ხანდახან ტანსაცმელზე იხედებოდა.

პოლოს მკლავზე გადაკიდებული სალათისფერი პალტო საბარგულში ჩაადგო.

ზემოდან დასცქეროდა. კმაყოფილმა ღიმილმა გადაჰკრა.

თავისივე პალტო ამოიღო საბარგულიდან, წინდები მარდად დაიხადა და თანამგზავრებს გამოუდგა ფეხშიშველი.

ცალ ხელში პალტო ეკავა, მეორეში ფეხსაცმელი.

ფაშვიანს მკლავებით ღიპზე მიეჯაჭინა თავისი წილი ტვირთი. მძიმედ, ხვნეშა-ხვნეშით მიდიოდა.

ნაპატიმალი და მეზღვაური თავის საქმეს აკეთებდნენ.

— როგორ მიშარა, მამაძაღლმა! ორმოცდაათიც კი იყო... ორმოცდარვად ჩამითვალა, — ჩაილაპარაკა მიტომ და ადგა.

ზემოთ, ავტობუსთან, ყველა თავ-თავის ტანისამოსში გამოეწყო.

მძღოლმა და გუბეში ნაწოლმა ითავეს დარჩენილი მგზავრებისთვის ტანისამოსის მიტანა და მათი წამოყვანა.

— სანამ ჩვენ გვამებს ამოვიტანდეთ, — მიმართა არჩილმა ვექილს—თქვენ ოქმი შეადგინეთ ყოველივე მომხდარის გამო. საბლერ, შენ კარგი ხელი გაქვს, ერთად შეადგინეთ ოქმი...

— მე მაქვს... ყველაფერი: ქაღალდი, პირის გადასაღებიც... მაქვს, — განაცხადა ფაშვიანმა — ქიმიური ფანქარიც.

— ძალიან კარგი. შეუდექით! — თქვა არჩილმა, ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო, დახედა და ვექილს ჰკიდა თვალი ანაზდად.

ვექილმა პისტოლეტიდან არჩილის თვალებზე გადააცურა მზერა. იქიდან ისევ პისტოლეტზე, ისევ თვალებზე...

მუდარა გასჯდომოდა გუგებში, რაღაცას იხვეწებოდა.

— ოქმის შემდეგ! — უთხრა არჩილმა ვექილს და პისტოლეტი ჯიბეში ჩააბრუნა.

ნინო გატაცებით უსმენდა არჩილს. სახეზე განცვიფრება და შიში აღბეჭდოდა.

ყველა თავის საქმეს შეუდგა.

ნინო ბეტონის მარგილზე ჩამოჯდა ხრამის პირას, ხრამისკენ ზურგით, თავი ჩახარა.

დროდადრო არჩილს შემოსცქეროდა ხოლმე და ისევ ფიქრს მისდევდა.

ავტობუსმა კვლავ ფეხქვეშ შეითელა გზა.

უღელტეხილისკენ მიჰქროდა ცისფრად შეღებილი ფოლადის მანქანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიერ-ჟან ბერანჟე

ჩემი აკლდამა

კარგად გახლავართ...
ნუ სწუხდებით,
წინასწარ რა გრჯით?
როგორც ძვირფას ძეგლს
სამარეზე ქვას მიდგამთ ვითომც,
სისულელეა, მეგობრებო, უმიზნო ხარჯი,
დიდებულებმა მოსაგონრად დაიდგან თვითონ.

ძვირია, ძვირი,
ბრინჯაოა თუ მარმარილო...
საწყალი მკვდარი,
ზედ ქვა უნდა გადაახურო,
უკეთესია, ცოცხლებისთვის მოიტათ ღვინო,
დავლიოთ ძმებო,
ძეგლის ფულით ვიმხიარულოთ!

თქვენმა სალარომ რომ ააგოს კარგი აკლდამა,
ის ოციათას ფრანკზე მეტი დაჯდება ბარე,
ამ ღია ცის ქვეშ,
ამ მწვანეზე დავსხდეთ თამამად,
ექვს თვეს გვეყოფა,
მხიარულად დროს გავატარებთ!

ლხინში სიმღერა საამური დავძახოთ ერთად,
კომკებს ავაგებთ ოცნებისას
სულო და გულო,
თავდავიწყებით ეს ცხოვრება
შევიტკბოთ მეტად,
გადავკრათ ძმებო,
ძეგლის ფულით ვიმხიარულოთ!

რა დროს ვბერდები?
როცა იგი ისევ ნორჩია,
მთხოვს სამკაულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითი მოვკლა სურვილი მისი?
მორთვა სწადია,
დიდხანს თმენას ვერ შეეჩვია,
ეს ყველამ იცის,
ასე ამბობს მთელი პარიზი.

როცა ვალი გაქვს თუნდაც მცირე
შენი ლამაზის,
ჯილდოდ მოელის იგი კაბას სასიხარულოს,
ჩვენს სიცოცხლეში,
მოდი ერთგულ ადამიანზე
დავხარჯოთ ფული,
ძეგლის ფულით ვიმხიარულოთ!

რას მეუბნებით,
რის გართობა, სანახაობა,
ან ცრუ დიდება მოვიხვეჭო?
არ მინდა, არა,
ვიღაც მოხუცი
თვალჩამქრალი დამჯდარა ობლად
ბედნიერება ყველამ უნდა გავუზიაროთ.

მძიმე დღეების დიდი ტვირთით
თვალს ვეღარ ახელს,
ჩემზე ადრე სურს გასართობი
ფარდა ავწიოთ,
ერთი ადგილი სურს თეატრში რომ შემინახოს,
მას მივცეთ ფული,
ძეგლის ფული გავუნაწილოთ!

რაში მჭირდება თუ ჩემს სახელს სამარის ქვაზე
ამოიკითხავს მომავალში მკვლევარი-ბრძენი,
ან ვარდ-ყვავილებს რომ მაყრიან მდუმარ კუბოზე,
სანამ ცოცხალ ვართ ყვავილებიც ვიგემოთ ძმებო!

მე ვთხოვ ჩემს შემდეგ ქვეყნად მოსულ ადამიანებს:
ნუ შეწუხდებით ჩირაღდნებით პოეტის ძებნით,
უგნურო ბრძენო,
მირჩევნია გავანიავო,
რომ ლხინისათვის მოვიხმარო ფულები ძეგლის.

ძვირია, ძვირი,
ბრინჯაოა, თუ მარმარილო,
საწყალი მკედარი,
ზედ ქვა უნდა გადაახურო,
სანამ ცოცხალ ვართ
მაშ მოიტანეთ,
მოიტანეთ ღვინო,
დავლიოთ ძმებო,
ძეგლის ფულით ვიმხიარულოთ!

ᲞᲔᲚᲘᲙᲐᲜᲘ

როცა პელიკანს დაღლის შორი გზები ულევი,
დაბინდებისას უბრუნდება თავის ლელიანს,
მიაშურებენ მას შვილები დამშეულები,
შორიდან იცნეს,
მოელიან,
საზრდოს ელიან.

ერთი ფიქრი აქვთ:
რომ ნადავლი გაინაწილონ,
ვერ მოითმენენ
სიხარულით რომ არ დასწივლონ.

ნისკარტ მომართულთ
ღაბაბები საოცრად ჰქონდათ,
როს პელიკანი მძიმედ კლდეზე წამოიმართა,
გაშალა ფრთები —
ფრთები ბუდის მფარველი კალთა,
ხელმოცარული მებადური ცას შესცქეროდა.

ვერ ინადირა,
ოკეანეს ფარავდა ნისლი,
უქმად იარა სივრცეები გადაბუგული,
გაიპო მკერდი,
შადრევანად აენთო სისხლი,
სხვა რა გაჩნდა?
ამოიღო მფეთქავი გული.

დაწვა მდუმარედ
და ტკივილმა თავზე დასწივლა,
დამშეულ შვილებს
ერთი გული გაუნაწილა.

ჩამოიშორა სიყვარულით ტანჯვის აჩრდილი,
თვალს უბნელებდა სისხლი მკერდით ამონაჩქროლი,
სიკვდილის სუფრას მოკანკალე დაემხო თრთოლვით,
ტანჯვის ალმურში შეერია სიამე ტკბილი.

---

* შვილების საზრდოსთვის წასული პელიკანი, როდესაც ვერაფერს მოინადირებს და დაბრუნდება ხელმოცარული, ნისკარტით გიპობს მკერდს, ამოიღებს გულს და შვილებს შეჭამევს (მთარგმნელის შენიშვნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განა საღვთო ზვარაკობა
ტანჯვაა მხოლოდ?
დაჭრილმა სულმა
წამებაში რომ არ იწვალოს;

შეიპყრო შიშმა,
რომ უგულოდ ცოცხალი დარჩეს,
წამოიმართა,
ფრთები ანდო ქარების ქროლვას,
ერთი შეჭკივლა,
თითქოს მეტი ტკივილით დასჭრეს,
მშვიდობით ცაო,
სასიკვდილოდ აღმოხდა მთრთოლვარს.
მისმა კივილმა ზღვის ფრინველებს
დასცა თავზარი,
ზღვის სანაპიროს შერჩენოდა გვიანი მგზავრი,
მიენდო უფალს...
გუგუნებდა სიკვდილის ზარი...

მგოსანო!
ასე იქცევიან დიდი მგოსნები,
ამ წუთისოფლად მეფობს ძალა სიყვარულისა,
როცა დრო-ქამს ჰკლავს ხალხი
ლხინით,
ფიქრით,
ოცნებით
ეს არის მსგავსი პელიკანთა სასწაულისა.

ამბობენ:
ფუჭი იმედები წარმავალია,
თუმცა იმედით ხომ მშვიდდება ვაგლახი გული,
მგოსნის ნათქვამი მოქნეული მჭრელი ხმალია,
მოელვარეა,
ელვასავით ნისლთა მკვეთელი,
მაგრამ მარად ქამს ზედ აჩნია სისხლის წვეთები,
სისხლის წვეთები —
სიცოცხლეა შეუწყვეტელი.

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ქავთარაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანჯი ჯიმონენი

(ყარელიელი მწერალი)

„ყმა ხალიჩის ჯ ხალიჩის“

მოთხრობა

მოხუცი მეთევზე და ბედნიერი ნაგაზი ნაპირისკენ ბრუნდებოდნენ. ნავის ფსკერზე გროვად გახვავებული ბადე სავსე იყო სიგებითა და ქეფალებით და ბზინვა გაჰქონდა. მოხუცი უსვამდა ნიჩბებს და თან შეშფოთებული გასცქეროდა ტბას, საიდანაც მძიმე ზვირთებად ძოგორავდა ტალღები. სათევზაო ნავი ნაფოტივით ირწეოდა ტალღებზე, ხან ქოჩორზე მოექცეოდა, ხან მათს შავ მორევში იძირებოდა. საფიქრებელი იყო, რომ მოხუცი ვეღარ გაუმკლავდებოდა ტალღებს და ქარი ნავს შეაგდებდა სრტეში, ნახევარკუნძულებს შორის, რომელთა იქით ფართოდ გადაშლილიყო წყლის სივრცე და ნაპირი აღარ მოჩანდა.

მაგრამ მოხუცს არ აშინებდა შემოდგომის ქარიშხალი. პირველად როდი ეჭიდებოდა ტალღებს ამ ტბაზე. მას სხვა რამ აშფოთებდა: რაღა მაინცდამაინც დღეს მოუნდა ამინდს გადარევა. ძაღლი წყნარად იჯდა კიჩოზე, მიჩვეული იყო ნავის მსუბუქ რწევას ტალღებზე; ერთგულებით ადევნებდა თვალს პატრონის ყოველ მოძრაობას და, თითქოს ესმოდა მისი გულისწუხილი, ძმიმედ ხვნეშოდა.

ხიისინიემის ნახევარკუნძული, ან როგორც მას უძახდნენ, ეშმაკის ნახევარკუნძული, ჯერ კიდევ შორს იყო. შემოდგომის დილის ბინდბუნდში და წვიმის წვრილ ბადეში მოხუცს ვერ გაერჩია თავისი ძველი ქოხი, რუხ კლდეებში რომ მიეუფულიყო.

მოხუცმა მეთევზემ იგნატამ ეს ქოხი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დადგა, როცა რუსეთ-იაპონიის ომიდან დაბრუნდა. შვებულებაში გამოუშვეს, მან კი გადაწყვიტა აღარ დაბრუნებულიყო ჯარში. როცა საჭირო იყო, ცუდად არ უომნია — გიორგის ჯვარიც კი მიიღო გენერლისაგან, მაგრამ ომი რომ გათავდა, აღარ უნდოდა მტერიან მოედნებზე მწყობრში სიარული.

თავშესაფრად იგნატამ ხიისინიემი აირჩია, რადგან თვით მისი სახელწოდების თანახმად, იქ მარტო ეშმაკები ბუდობდნენ და ურიადნიკების შიში აღარ ექნებოდა. მახლობელ სოფლამდე სამოცდაათ კილომეტრამდე იყო.

ნახევარკუნძულს მატერიკისაგან ჰყოფდა მეტად განიერი ჭაობი, რომელიც სავსე იყო ისეთი უძირო ჭანჭრობებით, რომ გამოუცდელი კაცი სამუდამოდ ჩაიძირებოდა შიგ; გარდა ამისა, ჭაობს გაღმა მწკრივად აზიდულიყვნენ ციცაბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდეები, მხოლოდ იგნატამ და კიდევ რამდენიმე მონადირემ იცოდნენ ამ კლდეებში ისეთი ხვრელები, რომლებშიც დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაძვრებოდა კაცი.

ხალხური გადმოცემით, აქაც ეშმაკების ადგილსამყოფელი იყო, და ამ კლდეებმაც, ნახევრაკუნძულის მსგავსად, ხიისიკალიოს ანუ ეშმაკის კლდეების სახელი მიიღეს.

პირველი ორი წელი იგნატა ნაპირისგან მოშორებით მდგარ კარავში იმალებოდა. როცა მიხვდა, რომ აღარავინ დაეძებდა, მოიყვანა თავისი გულის სწორი მუარიე. ერთად აიშენეს ქოხი, აბანო და ბოსელი. აქ ხიისინიემში დაიბადა მათი ერთადერთი ვაჟი, შემდეგ რომ ტყისმჭრელთა დაიწყო. შვილი ტყის დამუშავების ერთი უბნიდან მეორეზე გადადიოდა, და ცოლიც თან დაჰყავდა, მათი პატარა შვილი ხუოტი კი, მოხუც იგნატას შვილიშვილი, ისევ პაპასთან ცხოვრობდა. ორმოცდაერთში შვილმა რუხი ფერის მაზარა ჩაიცვა და უკანასკნელად გამოეშვიდობა მოხუცს. შვილის დაღუპვის უწყებას მოხუცი მოწწებით ინახავდა პატარა, რკინით მოჭედილ სკივრში, რომელიც საკუთარი მხრებით მოეტანა მანჯურიიდან.

თითქოს ყველაფერი ეს ძალზე დიდი ხნის წინათ იყო — მუარიეც, შვილიც, რძალიც. ცოცხლები დარჩნენ მხოლოდ შვილიშვილი ხუოტი და თვითონ იგი, მოხუცი იგნატა. შვილიშვილი მოხუცთან მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა. ჯერ პეტროზავოდსკიდან, სადაც სატყეო ტექნიკუმში სწავლობდა, შემდეგ კი შორეული მექანიზებული სატყეო პუნქტიდან, სადაც უფროსად მუშაობდა.

ამ ზაფხულს ჯერ არ ყოფილა. აი სწორედ დღეს უნდა ჩამოსულიყო. ერთი თვის წინათ შეატყობინა მოხუცს ეს ამბავი. მაგრამ მოვიდოდა კია კატარღა ასეთ ამინდში?

ქარი ნავს ღია სრუტისაკენ მიაქანებდა. მოხუცმა ერთი გემოზე შეუკურთხა, დაიფურთხა ხელიგულებზე, მიეჯინა ფეხებით ნავის ფსკერს და მთელი ძალით დაიწყო ნიჩბების მოსმა. ბურუსში გამოიკვეთა ხიისინიემის გამოსახულება. უკვე გამოჩნდა ქოხი, აბანო და ბადების გასაშრობი ფარდულიც. მოხუცი, განუწყვეტლივ იხედებოდა ტბისკენ: ნუთუ ტალღები არ დაცხრება კატარღის მოსვლის დროისთვის? ნავი ნაპირს მიადგა. ბებერი მუსტი აწკმეტუნდა და აფუსფუსდა. — აი შე ზარმაცო! — დატუქსა მოხუცმა, აიყვანა ხელში და ნაპირისაკენ წაიყვანა. მხოლოდ ეს ბოლო ხანია, რაც მუსტის პატრონის დახმარება სჭირდება; წინათ თვითონ ხტებოდა წყალში, ხშირად ნაპირისგან მოშორებითაც კი გადმოხტარა. — ბერდები, მუსტი, — თანაგრძნობით ბუტბუტებდა მოხუცი. იგნატამ დღეს ბევრი თევზი დაიჭირა და დიდი დრო მოანდომა ბადეების გამოცლას; როცა თევზი სულ ამოაწყო, ბადეები წყალში გაავლო და ფარდულში გაჭიმა. რაკი შვილიშვილი ჩამოდის, დღეს აღარ ისვრის მათ წყალში.

ეშმაკსაც წაუღია თევზი! ცოტა არ დაუჭერია თავისი ცხოვრების მანძილზე. ცოდვას არ ჩაიდენს, თუ ერთ საღამოს დაისვენებს.

იგნატა მუშათა მომარაგების განყოფილების თევზსაჭერ ბრიგადაში ირიცხებოდა, მაგრამ ყოველთვის განმარტოებით თევზაობდა. მართალია, სთხოვდნენ გადასულიყო ბაზაში სხვა მეთევზეებთან ერთად საცხოვრებლად, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლიეს. მოხუცი ჯიუტობდა. არ უნდოდა მიეტოვებინა თავისი ხიისინიემი, რომლის მიდამოებშიც ყოველ მეჩიჩს და ორმოს იცნობდა; შვილიშვილისთვისაც სასიამოვნო იქნება აქ შვებულების გატარება. მოხუცს თავი დაანებეს. რად უნდა ჩააცივდნენ — ჯიუტმა პაპამ ხომ სამოცდაათ წელს გადაცილებული. ერთ-ორ საათ-ნახევარ ადრე ბანაობდა, ბადეებიც ამოიღო, ბადეებიც ამოიღო, ბადეებიც ამოიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიგადის სხვა წევრები. მოხუცმა საკუჭნაოში წაიღო თევზით სავსე მძიმე კალათა. ქოხის კარში ჯოხი იყო გაჩრილი, — ნიშანი იმისა, რომ შინ არავინ არის. მთელი ნახევარი საუკუნე, რაც ქოხი აქა დგას, მის კარზე ბოქლომი არა ყოფილა. იგნატამ მოაცილა ჯოხი კარს, დაიხარა და ისე შევიდა ოთახში. კარის ხმაურზე ბოსელში ძროხამ დაიმღუღა.

— ძოისვენე, მოეს წრები! — მოხუცი დაეჩვია ძროხასა და ძაღლთან ხმამაღლა ლაპარაკს.

მან ჩამოიღო ღუმელიდან თბილი საკვები და ბოსელში წაიღო. შემდეგ თამბაქო გაახვია, საფთა ვედრო აიღო და დაბალ სკამზე ჩამოჯდა, რომ ძროხა მოეწველა. ძროხის წველისას ყოველთვის პაპიროსი ჰქონდა ხოლმე კბილებში გაჩრილი და ახლაც დაუწვა ძროხას გვერდი. ძროხამ ისეთი გამწარებით ესროლა წიხლი, რომ მოხუცმა ძლივს მოასწრო ვედროს გამოწევა; პასუხად მუშტი ჰკრა პირუტყეს მუცელში. ძროხამ მძიმედ ამოიხვნეშა და ორივე დამშვიდდა.

სახამ მოხუცი ძროხას წველიდა, მუსტი დინჯად ეჯდა გვერდით, აქეთ-იქით აქიცინებდა თავს და საქმიანად ადევნებდა თვალს ამ პროცედურას. როცა მოხუცი წამოდგა, მუსტი, როგორც ყოველთვის, პირველი გაიქცა სახლისაკენ და თათებით გააღო საკუჭნაოს კარი.

ასე ერთნაირად მიდიოდნენ დღეები, წლები. მოახლოვდა საუზმის დრო. დღეს მას არაფერი მოუხარშავს, — არ ეცალა. იგნატამ ძაღლს თევზი მოუჭრა და თეფში იატაკზე დაუდგა. მუსტი იცნობდა თავის თეფშს. დღეს იგი უგემურად და აუჩქარებლად ჭამდა და წამდაუწუმ შეჰყურებდა პატრონს. მოხუცი თვითონაც თევზს შეექცა. უცბათ ფანჯრის მინები შორეულმა აფეთქებამ შეაზანზარა. პირველ აფეთქებას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე.... მუსტიმ წამით ყურები ცქვიტა, შემდეგ კი დინჯად განაგრძო საუზმე. მოხუცი და ძაღლი უკვე შეეჩვევნენ ამ აფეთქებებს. აფეთქებდნენ ხიისიკალიოს კლდეებს, სადაც ახლა დასავლეთ კარელიის ახალი რკინიგზის მშენებლობა მიმდინარეობდა. იქ, კლდეებში, სადაც მხოლოდ იგნატას და რამდენიმე სხვა მონადირეს თუ შეეძლოთ გავლა, მალე მძიმედ დატვირთული მატარებლები გაივლიდა.

ნასაუზმევს მოხუცმა ოთახის მილაგება დაიწყო. იატაკი ჯერ კიდევ გუშინ მორეცხა, ახლა კი ჯულდასმით გადაწმინდა მტვერი რადიომიმღებს. ეს მიმღები შარშან იყიდა. შვილიშვილს დაახვედრა, თორემ მოწყენილი იყო ხოლმე, უკანასკნელ ცნობებსა და მუსიკას თუ არ ისმენდა. მართალია, როცა მისი წასვლის შემდეგ მოხუცს თვითონ მოუნდა მუსიკის მოსმენა და ბერკეტებს ტრიალი დაუწყო, მიმღებში რაღაც გასკდა და უცბათ დადუმდა. მოხუცს არავინ მოუწვევია მიმღების შესაკეთებლად, თუმცა ახალ დაბაში, რკინიგზის ნაშენებელთა შორის, საქმეში ჩახედულებიც იყვნენ. დაე შვილიშვილმა თავისი ხელით შეაკეთოს, თავს შეიქცევს. თუ ვერ მოახერხებს შეკეთებას, — რა მოხდა, — ახლის ყიდვა შეიძლება. მიმღებზე იდგა ჩარჩოში ჩასმული სურათი ქერა და ცხვირაპეჭუა ჭაბუკისა. მოხუცმა სახელოთი გადაწმინდა სურათს მტვერი და თბილმა ღიმილმა გაუქრო უხეში ნაოჭები ბანჯგვლიან სახეზე. აი შეხედეთ, რა ბიჭია მისი შვილიშვილი! მართალია, სურათი მაშინ არის გადაღებული, როცა სატყეო ტექნიკუმში დაიწყო სწავლა. მაშინ იგი მოხუცისათვის როგორღაც უფრო ახლობელი და საყვარელი იყო: პატარაობისას მას უფრო მაგრად უყვარდა პაპამისი. ზოგჯერ შემოდგომის საღამოს ორივენი ღუმელზე მოიკალთებდნენ და მოხუცი ზღაპრის მოყოლას დაიწყებდა. ზღაპრები ბლომად იცოდა. პატარა ხუოტი სულგანაბული უსმენდა, შემდეგ მაგრად მოეხვეოდა მოხუცს კისერზე და აღტაცებით ჩურჩულებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბაბუ, როცა გავიზრდები, მეც აგიშენებ ბაჯაღლო ოქროსაგან ბროლს სასახლეს!

ტბა კი ხმაურობს და ხმაურობს.... რა საყვარელი სულელი ბიჭუნა იყო პატარა ხუოტი!! მაგრამ რაც უფრო ემატებოდა წლები, უფრო ჩუმი და მოსაზრებული ხდებოდა. მართალია, ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა, მაგრამ მისი სტუმრობა სულ უფრო და უფრო ხანმოკლე ხდებოდა; გასაკვირიც არ არის. აქ მას მალე წყინდებოდა. მოხუცს კარგად ესმოდა ყველაფერი, მაგრამ გულით ადვილად ვერ ურიგდებოდა. ოთახის მილაგებას რომ მორჩა, მოხუცმა ათი კილომეტრით დაშორებულ დაბაში წასასვლელად დაიწყო მზადება, — იქ კატარღა უნდა მოსულიყო. იგნატამ ჩაიცვა ახალი კოსტუმი, რომელსაც მხოლოდ შვილიშვილის ჩამოსვლისას და დღესასწაულებში, დაბაში წასვლისას ატარებდა და რკინით მოქედილი პატარა სკივრიდან შემნახველი სალაროს წიგნაკი ამოიღო, იქნებ რამის ყიდვა დამჭირდესო. ჩაიხედა წიგნაკში — შიგ კარგა მოზრდილი თანხა ეწერა. აი სწორედ დღეს ჩაბარებს წიგნაკს შვილიშვილს: ახალგაზრდაა, გამოადგება ფული, მოხუცს კი ბევრი აღარაფერი სჭირდება.

მან წიგნაკი ჯერ მაგიდაზე დადო და სკივრიდან შვილიშვილის წერილების შეკვრა ამოიღო. ცოტა ხანს ეჭირა ხელში და ისევ ჩასდო. ხშირად, საღამოობით გადაიკითხავდა ხოლმე, თუმცა ძლივს კი არჩევდა ხელნაწერს. წასვლის დრო დადგა. მოხუცმა აიღო სავარცხელი, ჩაიხედა პატარა, გაშავებულ სარკეში და გაიკოხტავა ჭაღარა წვერი.

— არც ისე ბებერი ვარ! — სარკიდან ეშმაკურად უცქეროდნენ მოჭუტული თვალები. დანაოჭებული სახე ჯანსაღად გამოიყურებოდა. როცა, როგორც იქნა გადაწყვიტა წასვლა, უცბათ შებრუნდა ოთახში, კარადიდან ერთი ბოთლი კონიაკი გამოიღო და მაგიდაზე დადგა. დაე მაშინვე დაინახოს შვილიშვილმა, როგორც კი ოთახში შემოვა, — კარგია მადის მოსაყვანად. ეზოში მოხუცმა ყოყმანი დაიწყო. მართალია, ქარი ცოტა ჩადგა, მაგრამ ტალღები მაინც ბობოქრობდნენ, საშიში იყო დაბაში ნავით გამგზავრება, გაუძნელდება ნიჩბების მოსმა და, რაც უარესია, შეიძლება შვილიშვილი დასველდეს. ფეხით წასვლა სჯობს.

არავითარი გზა მოხუცის ქოხთან არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჭაობი ყველა გზას ჩაიტანდა მის მშენებლებთან ერთად. ოდესღაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე იგნატამ ყველაზე გაუვალ ადგილებში მორები მოათრია. ეს მორები დიდი ხანია დალპა და ალაგალაგ ძლიერ ღრმად ჩაიძირა, ისე რომ არც კი ჩანდა. მაგრამ მოხუცს სიბნელეშიც შეეძლო გავლა. ახლაც ზედ მიდიოდა ჭაობის ტალაზე ამოგანგული, მუცლამდე წყლით დაფარული. მუსტი უკან მიჰყვებოდა. როცა საშინი ადგილი უკან მოიტოვეს, მოხუცს სიმხნევე მოემატა, ახლა უკვე მხიარულად მიაპიჯებდა რბილ იაგელზე. ჭკვიანმა მუსტიმ უკვე იცოდა საითკენ უნდა წასულიყვნენ და ამიტომ წინ გარბოდა. მოხუცს უყვარდა ოინება ტყე-ტყე ხეტიალსა და ნავში ჯდომის დროს. აი, აჭვე ახლოს მსხვილი მექანიზებური სატყეო პუნქტის დაბა შენდება. შვილიშვილიც ხომ სწორედ მექანიზებური სატყეო პუნქტის უფროსია. ხომ შეიძლება მოხდეს, რომ სწორედ აქ გადმოიყვანონ სამუშაოდ. იქნებ თვითონაც ძოისუურვოს მშობლიური ადგილებში ჩამოსვლა. რა კარგი იქნებოდა! სანამ ჯანი შესწევს, მოხუცი ითევზავებს. თუ არ მოსწონს შვილიშვილს ხიისინიემი — მისი ნებაა. იგნატაც გადაბარგდება მეთევზეების ბაზაზე, რატომ უნდა დაიწვეს კისერზე შვილიშვილსა და მის ახალგაზრდა ცოლს. რა სასიამოვნო იქნება ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალვაზრდებისათვის, რომ მათ ბინაში ახველოს და ოხრავდეს მოხუცი? სტუმრად კი, რასაკვირველია, ივლის მათთან. მუტტისთან ერთად მივა შვილიშვილთან და ეტყვის: „აბა, უფროსო, მიიღე სტუმრები — შენი მოხუცი პაპა და მოხუცი მუსტი...“

ხშირად არ ესტუმრება ხოლმე, შვილიშვილს ხომ ისედაც ბევრი საქმე ექნება. შაბათობით მივა ხოლმე ზოგჯერ.

ისევ გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა. „ააფეთქეთ, გარეკეთ ეშმაკებიო“, გაეღიმა მოხუცს. რომ არც იმუშაოს აქ შვილიშვილმა, ზაფხულში ჩაჯდება რბილ ვაგონში და ხელში ექნება ბილეთი პაპამდე, ხიისინიემამდე, მოხუცს გაეცინა კიდეც. რატომაც არა, ყველაფერი შესაძლებელია. როგორც იქნა დაბაც გამოჩნდა. ხშირ ფიქვნარში ყვითლად მოჩანს პატარა ხის სახლები. ზოგი უკვე მზადაა, ზოგი ისევ ხარაჩოებშია.

მოხუცი შედგა, რომ ბულდოზერის ცქერით დამტკბარიყო, რომელიც უზარმაზარ ბელტს უბიძგებდა. „აი მესმის. ძალაც ამას ჰქვია“... მუტტი კი დაფრთხა და მოხუცის ფეხებს მიეკრო. აი ასეთ უზარმაზარ მანქანებსა და ზედ მომუშავე ხალხს ხელმძღვანელობს მისი შვილიშვილი.

— ძია იგნატას სალამი! — დაუძახა ტრაქტორისტმა და ხელი დაუქნია.

მოხუცმა თავი დაუქნია. უფრო სწორედ, მხოლოდ მიხედა, რა თქვა ტრაქტორისტმა. განა გაიგონებ რამეს ასეთ გრუხუნში? ყმაწვილმა კიდევ რაღაც დაიძახა და მოხუცი დარწმუნებული იყო, რომ მის ამ სიტყვებსაც მიხვდა.

— შვილიშვილს ხვდები? — იგნატამ ხმამაღლა უპასუხა: — დიახ, ვხვდები! დღეს უნდა ჩამოვიდეს. მოვა კია კატარღა ასეთ ამინდში?

ნავმისადგომში ხალხი შეკრებილიყო. მოხუცმა ნაბიჯს უმატა, გულმა სიხარულით დაუწყო ცემა: რაკი ხალხი იცდის, მაშ კატარღაც მოვა. იგი უცებ შეჩერდა, სწრაფად ჩაიყო ჯიბეში ხელი და თავი გააქნია. შემნახველი სალაროს წიგნაკი მაგიდაზე დარჩენია. „ეჰ, ეტყობა ძალიან მოვხუცდი ან სიხარულისაგან დავკარგე გონება... არაუშავს, თუ ფული დამჭირდა, ვიშოვნი, აქ ყველა მიცნობს.“ მოხუცს ყველა გულთბილად ესალმებოდა. ეკითხებოდნენ ჯანმრთელობისა და თევზის ამბავს. დაბნეულად პასუხობდა, რადგან მთელი გულისყური აქფებული ტბისაკენ ქონდა.

— აი სად არის, ხედავ? შავი წერტილი კუნძულის მარჯვენა მხარეს — უჩვენებდა ხალხი.

— ვხედავ! — უპასუხებდა მოხუცი, თუმცა არავითარი შავი წერტილი არ დაუნახავს. თვალი წინანდებურად აღარ უჭრის, მაგრამ მას სჯერა ხალხისა, რომ ტბაზე შავი წერტილი მოსჩანს, სჯერა მუსტისა, ხელად რომ გამოცოცხლდა და მოუთმენლად ცქმუტაკვ. ესე იგი კატარღა მოდის! მალე ტალღების დგაფუნში მოტორის ხმაური გაარჩია. სმენა მოხუცს მხედველობაზე უკეთესი ჰქონდა.

გავდა კიდევ რამდენიმე ხანგრძლივი წუთი და მან დაინახა კატარღა, რომელიც თუმცა ყვინთავდა ტალღებში, მაგრამ ჯიქურ უახლოვდებოდა ნაპირს. ბოლოს გამოჩნდნენ მგზავრებიც. შვილიშვილი სადღაა? რასაკვირველია, ისევ კაიუტაშია, ალბათ ბარგს კრავს. მგზავრებმა გადმოსვლა იწყეს.

უცებ მწარე წინათგრძნობამ მოიცვა მოხუცი. ნუთუ შვილიშვილი არ ჩამოვა? კაიუტაში რომ ყოფილიყო, მუსტი ინერძნობდა და მხიარული ყეფით მივარდებოდა...

ყველაზე ბოლოს ფოსტალიონი ქალიშვილი ჩამოვიდა. დაინახა თუ არა მოხუცი, უთხრა: — კარგია, რომ აქა ხარ, პაპა, თორემ ხიისინიემში მომიხდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამობოტება. წერილია, ალბათ შვილიშვილისაგან. წამო ფოსტაში თუ გინდა, წაგიკითხავ.

ისინი ფოსტისაკენ გაემართნენ. წინ ქალიშვილი მიდიოდა, მას მძიმე ნაბიჯებით მიჰყვებოდა მოხუცი, უკან კი დაღონებული მუსტი მოჩანჩალებდა.

ქარი გაყვითლებულ ფოთლებს დაკოროლებდა. ფოსტაში რომ მივიდნენ, ქალიშვილი ჩამოჯდა და დაიწყო კითხვა:

— „ძვირფასო პაპა“...

— ყოველთვის ასე მწერს, — თქვა მოხუცმა — ეტყობა ისევ ვუყვარვარ, არ მივიწყებს მოხუცს.

— „ძვირფასო პაპა, — გაიმეორა ქალიშვილმა, — ჩემს ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. შეგიძლია დაწინაურება მომილოცო. მე ახლა სატყეო პუნქტის კი არა, არამედ ტრესტის მთელი განყოფილების უფროსი ვარ. ჩვენ ქალაქში გადავედით. ამ დღეებში ბინას მივიღებთ — ორ ოთახს თავის სამზარეულოთი. თვითონ მიხვდები, რომ აღარ მცალია ჩამოსასვლელად. ახლავე უნდა შევუდგე სამუშაოს.

— ესე იგი მთელი განყოფილების უფროსია, არა? — იკითხა მოხუცმა, როცა დაინახა, რომ ოთახში ხალხი შემოდიოდა. „ვინ მოიფიქრებდა. შვილიშვილიც ასეთი უნდა!“ იგი დაუფარავი სიამაყით უცქერდა ყველას. ქალიშვილმა კითხვა განაგრძო:

— „არ ვიცი, როდის მივიღებ მომავალ წელს შვებულებას და სად გავატარებთ მას. ჩვენ ხომ არც ერთხელ არ დაგვისვენია სამხრეთში. რასა იქმ, პაპა, ხომ კარგად ხარ? ალბათ ისევე მაგრად ხარ როგორც წინათ? — ყოჩაღ, პაპა! თუ ფული დაგჭირდება, ნუ მოგერიდება, მოიწერე, დაგეხმარები ხოლმე. რასაკვირველია, ალბათ ხვდები, რომ ბევრის გამოგზავნას ვერ მოვახერხებ. ახალი ბინის მოწყობაა საჭირო. ქალაქში უკეთ დაგვჭირდება ჩაცმა, ვიდრე სატყეო პუნქტში. ჰო, კიდევ ერთი ახალი ამბავი: მალე შვილიშვილის შვილი გეყოლება. დაწერილებით მერე მოგწერ ყველაფერს. იქნებ როდესმე ერთი კვირით ჩამოხვიდე? — მაგრამ ამაზე მერე მოვილაპარაკოთ. მოიწერე. მდაბლად გიკრავთ თავს.

შენი შვილიშვილი ხუოტი“.

ქალიშვილმა დაკეცა წერილი და თითქოს რაღაც დანაშაული მიუძღოდეს, მიტრიალდა. გარშემო მყოფნიც ვერ უსწორებდნენ თვალს მოხუცს. ჩუმად ეკითხებოდნენ ქალიშვილს, ჩემი წერილი ხომ არ არის და ფეხაკრეფით გადიოდნენ ოთახიდან.

— რას იზამ, წამოდი, მუსტი!

მოხუცი ადგა, მუსტიც ადგა.

პასუხს ხომ არ მისწერ? — ჩუმად ჰკითხა ქალიშვილმა. — მე დაგიწერიდი.

— მერე იყოს — თქვა მოხუცმა და კარში შეჩერდა. — სჯობია მასწავლო, ფული როგორ გადავუგზავნო. ახლა ხარჯები ექნება. თუმცა შემნახველი სალაროს წიგნაკი შინ დამრჩა. სხვა დროს იყოს.

ქალიშვილმა გაკვირვებით შეხედა, არაფერი უთხრა. მოხუცი გავიდა. ქარი უფრო და უფრო მძაფრდებოდა, ტალღები გრიალით ეხეთქებოდა კლდეებს. ტალღების ხმაურში მოხუცს კატარღის გუგუნი მოესმა. მიუხედავად ქარიშხლისა, კატარღა უკან ბრუნდებოდა.

მოხუცი ძალიან ნელა მიდიოდა, ხშირად ჩერდებოდა შესასვენებლად. ნელი ნაბიჯით მიდიოდა მუსტიც, რომელიც ხშირად ჩამორჩებოდა ხოლმე პატრონს.

— შენ რა, არ გნებავს შინ წასვლა? — ჰკითხა მოხუცმა, როცა ძაღლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუახლოვდა. მუსტიმ კუდი გააქიცინა და ფეხებში ჩაუწვა მოხუცს. ჭაობზე რომ გადადიოდა, მოხუცს ამჯერად ფეხი უცდებოდა და სულ მთლად ამოისვარა ტალახში. სველი მუსტი საცოდავად წკმუტუნებდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა ქოხს მიადწიეს. ბოსელში მოხუცთან ძროხა მივიდა და სახეში ჩაუშტერდა. იგნატამ მაგრად ჩაარტყა მუშტი შუბლში. „შენ კიდევ აქა ხარ? რა ეშმაკად მინდიხარ?“

მაგრამ გაბრაზებამ უცბათ გაუარა და ალერსი დაუწყო. თან იმეორებდა. კმარა ნუ ჯავრობ, ეს მე ისე... ერთმანეთთან დაშორება მოგვიწევს. არ წაგიყვან თან ბაზაში, ალარ ვჭირდებით ერთმანეთს“.

მოხუცმა მძიმედ ამოიოხრა, თითქოს მარტო ახლა მიხვდა, რომ შვილიშვილი არ ჩამოსულა და არც არასოდეს ჩამოვიდოდა. იგი მძიმედ დაეშვა სკამზე, ისე რომ ქუდიც არ მოუხდია. დიდხანს, ძლიერ დიდხანს იჯდა ასე.

ჩამობნელდა. მოხუცი ნელა ადგა, აანთო ნავთის ლამპა, გახსნა კონიაკის ბოთლი, ობლად რომ იდგა მაგიდაზე და ჭიქა გაიესო, მერე მიაშტერდა ერთ წერტილს და დალევა დაავიწყდა.

მუსტიმ საცოდავად დაიწკმუტუნა. მოხუცმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, მუსტი, ცუდი სიზმარი ხომ არ ნახე? — და იმ წამსვე დაავიწყდა მუსტი. ვერც ის შეამჩნია, კედლის საათი რომ გაჩერდა. მაგრამ ოთახში განფფბებულმა სიჩუმემ უცებ გამოაფხიზლა. მუხლებზე დაირტყა ხელები, ადგა, დაქოქა საათი, ჩაიცვა მეთევზის კურტაკი და უთხრა მუსტის:

— წამო, მუსტი, ვნახოთ, იქნება გადავაგდოთ ბადე.

მუსტიმ თავი ასწია, მისი თვალები თითქოს კითხულობდნენ, გვიან ხომ არ არისო? მაგრამ მაინც ადგა და გაჰყვა პატრონს.

ტბაზე სიბნელე ჩამოწოლილიყო. მოხუცი იდგა, ეტყობოდა რაღაცა ვერ გადაეწყვიტა, შემდეგ გაგულისებული დაბრუნდა ოთახში. აიღო ძველი ბადე და დაუწყო კვნესა ნავთის ლამპის მბჟუტავ შუქზე. მაგრამ საქმე აშკარად არ გამოდიოდა, არ ჰქონდა დღეს მოხუცს მუშაობის თავი! იგი მიხვდა, რომ აღარ შეეძლო მეტი მუშაობა აქ, მარტოდმარტოს, ნავთის ლამპის შუქზე. ამ ქოხში არავინ ძოვა. ბაზა კი გაჩირაღდნებულია, იქ არიან ადამიანები, რომლებსაც დიდი ხანია იცნობს. მას ხომ ბევრი უთევზავნია მათთან.

მაგიდაზე დილით დავიწყებული შემნახველი სალაროს წიგნაკი შეამჩნია. შვილიშვილს ახლა ალბათ უჭირს ფული.

მოხუცმა გადასდო ბადე, ჩაიდო ჯიბეში წიგნაკი და ადგა.

— წამოდი, მუსტი, დაბაში, — თქვა მან. — ალარაფერი დაგვრჩენია აქ. ხვალ კი ბარგი-ბარხანას მოვაკითხოთ; ადექი!

ჭაობზე ბნელოდა, ისე ბნელოდა, რომ მოხუცი ვერაფერს ხედავდა. ფეხებმა თვითონ მიაგნეს ღრმად ჩაფლულ მორგს.

დასველებულმა და გატალახიანებულმა გაიარა, როგორც იქნა, ჭაობი. გაჩერდა, რომ მოეცადა მუსტისათვის. დაუძახა სიბნელეში.

შემდეგ გაუხვია დაბისაკენ, საიდანაც თვალისმომჭრელი სინათლე მოდიოდა. ისევ გაისმა ხიისაკალიოს მხრიდან შორეული აფეთქების ხმა. ეს მშენებლები აფრთხობდნენ იქაურ ეშმაკებს.

სიარული გაადვილდა. მოხუცმა ნაბიჯს უმატა.

ტბა კი ხმაურობს და ხმაურობს.

თარგმნა **გურამ ბუხნიკაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეჭრე შამათავა

ჯარისკაცური სტრიქონები მოგვითხრობენ...

1942 წლის ბოლოს ჩვენს კინოოპერატორებზე უჩვენებდნენ რეჟისორ-დოკუმენტალისტის ირაკლი კანდელაკისა და მისი მებრძოლი თანამეგზურების — ოპერატორების ვლადიმერ კილასონიძის, ლევან არზუმანოვისა და ოთარ დეკანოსიძის დოკუმენტურ საბრძოლო კინონარკვევს — „კავკასიის დასაცავად“, რომელიც მკაცრ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველ მეომართა მამაცობასა და თავდადებას ასახავს!

ეს საფრონტო კინონარკვევი 1942 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის პირველ რიცხვებში, მძაფრი ბრძოლების დროსაა ვადაღებული ფრონტზე. იგი ჩრდილო კავკასიაში, ჩვენების ხეობაში გაჩაღებული მკაცრი ბრძოლების უტყუარი საბრძოლო მატიანეა. კინონარკვევში მრავალი საინტერესო, სამახსოვრო კადრია.

კინორეჟისორსა და ოპერატორებს ძალზე რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა, მიუხედავად ამისა, მათ შესძლეს ნათლად აღებეჭდათ და ეჩვენებინათ იმ დღეთა სინამდვილე, ნამდვილი საბრძოლო კადრები, რომლებიც სწორად მოგვითხრობენ ჩვენი ხალხის ერთგული შვილების ღირსებისა და საბრძოლო დამსახურების შესახებ, მათ უჭკნობ საბრძოლო დიდებაზე.

კინონარკვევის საფიქტორო ტექსტში ბევრი გაუხსნელი ადგილია.... ცხადია, ეს ომის დროს შექმნილი მდგომარეობით იყო ნაკარნახევი... ფილმში ზოგადად ქართული ნაწილი იხსენიება და არა მისი ნამდვილი და სრული სახელწოდება... კადრებში ნაჩვენებ მეომართაგანაც ბევრის გვარი, სახელი და სამხედრო წოდებაც არ არის ხსენებული და მათი ვინაობაც მაყურებლისათვის უცნობია...

მაგრამ ამ ნარკვევს იმდენი შინაგანი ძალა და ღირსება გააჩნია, რომ ამ ბრძოლების მონაწილეთათვის მისი ერთი ნახვითაც ადვილია ამ ოცი წლის წინათ მომხდარი ამბების გახსენება და იმ შესანიშნავ ადამიანთა ცნობა, რომელთა იარაღიანი სამეგობის უკვალოდ ფასაა ეს „დოკუმენტური კინონარკვევი მიეძღვნა...“

კინონარკვევი მოგვითხრობს დაახლოებით ათი საბრძოლო დღის ამბებს.

მაშ ასე, შეკუეკეთ ამ კინონარკვევს და ვნახოთ, რაზე და ვისზე მოგვითხრობენ მისი კადრები...

ფილმის ერთი ნაწილი ჩვენი დივიზიის გაზეთის „წინ გამარჯვებისაკენ“ რედაქციის მუშაობას შეეხება...

ამ კადრში არ ჩანს ჩვენების ლამაზი ხეობა, არც მთის სწრაფი მდინარეა წარმოდგენილი, რომლის ნაპირას, კლდეთა ძირში იმ ხანად სამხედრო ჟურნალისტთა „შტაბ-ბანაკი“ იყო მოკალთებული, მაგრამ ჩვენი საფრონტო პრესის ერთ-ერთი მცირე ქვეგანაყოფის საბრძოლო საქმიანობას მაინც გვიჩვენებს თავისებურად.

ეს ნაწილი, რომლის შესახებაც ფილმი მოგვითხრობს, ქართული მსროლელი დივიზია იყო. იგი შეიქმნა 1942 წლის დასაწყისში ქართლის გულში — გორში. აქ მიიღო მან ჯეროვანი საბრძოლო წრთობა, აქ ჩაამარეს მას სამხედრო ოსტატობისა და საბრძოლო მზადყოფნის სიმბოლო — მეომრული დროშა. აქედან 1942 წლის აგვისტოში გაემგზავრა იგი ფრონტზე და აქ მოვიდა მისი საბრძოლო წარჩინების სასიხარულო ამბავი.

ფრონტზე, რედაქციის ადგილსამყოფელი მუდამ იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ვითარება და რა ამოცანას აყრულებდნენ დივიზიის ნაწილები და ქვეგანაყოფები. მაგრამ რედაქციის მისამართი ყოველდღე მოდიოდა მეომართა მიერ ნაჩქარევად, ფანქრით დაწერილი კორესპონდენციები, ხოლო აქედან მუდამ იგზავნებოდა წინა ხაზზე ასევე სწრაფად შეკრული, ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი გაზეთის ახალი ნომერი, რათა მეომართა მიერ მოთხრობილი ჯარისკაცური ამბები კელავ ჩამოგარიყო საბრძოლო მწყობრში და ათასების კუთვნილება გამხდარიყო მამაცების საბრძოლო გამოცდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდარი არ ყოფილა წითელარმიული გაზეთის რედაქციის სასტამბო მეურნეობა, მაგრამ აუცილებელი მას მუშად გაანწყდა და ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში ქონდა იგი. მოზრდილი, სათაურებისა და „ქუდების“ შესაფერისი ქართული შრიფტების გარდა მას „სალარონში“ საკმაოდ იყო თვარი და შავი კორპუსი, თვარი და შავი პატერი — თავიდ მოწყობილობებიდ; ორი — დიდი და პატარა — საბეჭდი მანქანა, ქაღალდისა და სალებავების საჭირო მარაგი, პატარა ბიბლიოთეკაც — ყველაფერი ეს ვიწროდ, მაგრამ მოხერხებულად იყო განლაგებული ერთ, საკმაოდ მოძველებულ, სამტონიან ავტომანქანაზე.

ასე მცირე იყო ჩვენი სასტამბო მეურნეობა. მაგრამ ჩვენს სიმდიდრეს შეადგენდნენ ამ მეურნეობის ჩინებული მუშაკები, თავიის საქმის ნამდვილი ოსტატები — ასოთამწყობები და მბეჭდავები — მედიამ მხნე, დაუზარელი, შრომისმოყვარე მებრძოლები, რომლებსაც კარგად ესმოდათ თანამოიარაღეთა წინაშე მდგარი პასუხსაგები საბრძოლო ამოცანები, ამ შეგნებით მოქმედებდნენ ისინი მედიამ და თავიანთი ღირსეული წვლილი შექონდათ საერთო ჯარისკაცურ საქმეში.

მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი გაზეთის რედაქციის თანამშრომელთა გვარები — ასოთამწყობები: ნიკოლოზ ცინცაძე, ვალერიან ქაცარიძე, არმენ პაპიაშვილი, რაფიულ მარუაშვილი; მბეჭდავები: ისააკ საალეი, სერგო ზედგენიძე; **მძღოლი ნიკოლოზ** შეროზია. ჩვენი ასოთამწყობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დახელოვნებული და ბეჯითი მუშაკები იყვნენ, რომლებსაც ღამით, ნახევრად სიბნელეში, კკარის სინათლეზე შეეძლოთ მთელი სეტტი ფანქრით, სახელდახელოდ დაწერილი მასალა აეწყოთ უშეცდომოდ, თვით აწყობის პროცესში ტექსტში დაშვებული უნებელი უზუსტობის გასწორებაც.

გაზეთის მორიგი ნომრის მასალები აწყობილია, კორექტურა ჩასწორებული, მაკეტიც მზადაა. იწყება გვერდების შეკერა, ანაბეჭდები წაკაითხულია, ყოველივე საჭირო შესწორება შეტანილია და შედარებული. ნომერი მზადაა და ხელმოწერილია დასაბეჭდად.

ახლა იწყება არანაკლებ შრომატევადი და ძმიმე სამუშაო — ნახევრად სიბნელეში მისი ბეჭდვა. ავტომანქანაზე მოწყობილი ძრავიდან მიღებული ენერგია ამ სამუშაოს ვერ ძლევს. თანაც მისი ხმაური ფრონტისპირა ზონაში საფრთხეს ქმნის... აქ მთავარია მბეჭდავების ენერგია: ფეხით უნდა მოიყვანონ მოძრაობაში ძმიმე საბეჭდი მანქანა და საათობით ბეჭდონ მთელი ტირაჟი. ეს ძნელი, ძალზე ძნელი საქმეა, მაგრამ საქმე მოითხოვს, საბრძოლო მოვალეობა მოითხოვს და ისინიც **არაადამიანურ** შრომას ეწევიან. აქ დაღლილ მბეჭდავებს ასოთამწყობნი შველოდნენ, მათ კი რედაქციის მუშაკები და ასე გრძელდებოდა დღეს, ხვალ, ზეგ...

ხშირად ყოფილა: აი, გარიერაკია, რედაქცია მოსულან მებრძოლები — ფოსტალიონები, მაგრამ ტირაჟი ჯერ კიდევ არ ჩამოთავებულა. ქანცგამოლეული მბეჭდავებს ფეიიანდებათ. მაშინ მათ დასახმარებლად მწყობრში ის მებრძოლები დგებიან, ვინც წუხელ ფხიზლად იყვნენ ბრძოლის ველზე, „უცოდინარნი“ უთვალთვალებენ მოწინააღმდეგის მოქმედებას და ჯერიოვან პასუხს აძლევენ მას. ახლა კი, წამოსულან ქვეგანაყოფიდან, რათა საუზმის შემდეგ გაზეთი დროულად მიიტანონ ველად, სანგარში თუ ბლინდაჟში... მაგრამ საქმეს მოითხოვა და შველიან ამ თავიანთ თანამოიარაღეებს, მონაწილეობენ გაზეთის დროულად გამოშვებაში, მის დამზადებასა და ბეჭდვაში. ასეთი ჯარისკაცური საქმე და ურთიერთდახმარება ფასდაუდებელი იყო... ასე იქმნებოდა მებრძოლთა გაზეთის ყოველი ნომერი...

რედაქციის სულ სამი მუშაკი ყავდა: პ/მგ რედაქტორი, პ/მგ მდივანი და კორესპონდენტი. ლ. დგებუაძე, კ. დობორჯგინიძე და ამ სტროჩონების ავტორი — ისეთი იყო მისი პირადი შემადგენლობა. შემდეგ შემოგვემატნენ კომუნისტი მებრძოლები — ძველი ბოლშეეიკი მალხაზ ფარულავა და ნოე კაკუშაძე.

სწერო ამ წითელარმიული გაზეთის ისტორია — ეს ნიშნავს სწერო თვით შენაერთის ისტორია, რადგან გაზეთი, მისი ფურცლები მეტნაკლებად, თავისებური სარკე იყო ამ დივიზიის მებრძოლთა სასახელო საბრძოლო გზისა და საქმეებისა.

ძნელია საერთნო ვითარებაში გაზეთის გამოვნებით გაფორმება. შესაძლოა ყველა საჭირო მასალა მზად იყოს — მოწინავე, კორესპონდენცია, ინფორმაცია, ლექსი, ნარკვევი თუ ჩანახატი გკონდეს, მაგრამ ნომრის მასალების შესაფერისი კლიშე თუ არ არის — გაზეთი სანტტერესო მაინც არ გამოღის. აი, ამ გაზეთის კოლეკტივის ღირსეული თანაშემწე აღმოჩნდა საშტაბი ქვეგანაყოფის პოლიტხელის მოადგილე, ბუნვანი ნიკიერი ახალგაზრდა ალექსანდრე ტარანი. ჯიბის პატარა დანა, სახელდახელოდ ნაშოვნი ლინლიოუმის ნაჭერი — და იმ დღეთა ბრძოლების გმირთა პორტრეტები მზადაა. ამ პორტრეტებს იგი პირდაპირ ნატურიდან „იხატავდა“.

მის მიერ ლინლიუმზე გამოკვეთილი ბრძოლის გმირთა, მოწინავე მეომართა: ლეიტანანტ ნ. მიქაძის, წითელარმიელ ი. კაკაურიძის, უფროს ლეიტენანტ ა. პირმისაშვილის, სერჟანტ ი. რეხვიაშვილის, ლეიტენანტ ა. ჭელიძის, უფროს სერჟანტ ნ. ჩინჩალაძის, უფროს

პოლიტნელ დ. კუბინინის, პოლიტნელის მოადგილის ვ. ალადაშვილის, მემანქანე ფ. ხახიძის და სხვა მრავალთა პორტრეტები ამშვენებდნენ იმ ხანად გაზეთის ფურცლებს.

შემტევ ნაწილებს შესაფერისი ნომრით თან მიყვა ჩვენი გაზეთის რედაქციაც. დივიზიის საბრძოლო ამოცანა მეტად სასასუნისმგებლო და საპატიო იყო: მარშიდან პირდაპირ ჩაბმულიყო შეტევით ბრძოლაში და სამეფოდ გზა გადაეღობა წინ მომავალი მტრისათვის. ცხადია, ეს საბრძოლო ოპერაცია ჯეროვნად იყო მოფიქრებული და მოიზდადეული სარდლობის მიერ, მაგრამ ყველასათვის საფიქრებელი იყო, თუ როგორ გაართმევდა თავს ამ ახალს და უჩვეულო დავალებას დივიზიის პირადი შემადგენლობა? მართალია მას ჯეროვანი მოამზადა ქონდა გვალილი, უზრუნველყოფილა იყო ყველა ძირითადი პირობით, მაგრამ ბრძოლა, სიცოცხლეტევეთი მოქმედება გამოცდილი, ძლიერი და ვერაგი მტრის წინააღმდეგ მაინც ბევრ და დიდ საფიქრელს ქმნიდა... მით უფრო, რომ მოწინააღმდეგის მიერ დამარცხებული ჯარის ნაწილები ჩვენს თვალწინ უკან იხევდნენ უწესლიგოდ...

ის იყო დივიზიის მეორე ეშელონის განლაგების ადგილზე მიდგომა, როცა „საბრძოლო ნათლობის“ დღეც დაიწყო. რედაქციისთვის მიჩნეული ადგილზე მოვალალთდით და მორიგი ნომრის გამოშვების თაგარიგს შეუდგა დივიზიის გაზეთის კოლექტივი. მოეწყო სახელდებული სარედაქციო თათბირი. ძალზე მოკლედ განვიხილეთ სამოქმედო გეგმა. თათბირი მალე მოთავდა. საორიენტაციო გეგმა და დავალებანი ბლოკნოტში ჩაეინიშნეთ, რუკა საველო ჩანთაში ჩავდეთ და იარაღისსმენლნი სასწრაფოდ გამოვეკითხეთ ჩვენი თავშესაფრიდან.

საით წავიდეთ, ვის „ვესტუმროთ“ პირველად? — ეი კითხვა, რომელიც უნებლიეთ წამოიქრა ჩვენს წინაშე. მართალია რუკაზე ზუსტად აღნიშნული გვაქვს ნაწილების გამოსვალი რაინონი, შეტევის ნაკრაფდეი მიმართულება, მაგრამ ვინ იცის, ბრძოლის მსვლელობაში რა მოხდა, ან რა ცვლილებები შეიტანა მან ვითარებაში, ნაწილებსა და ქვეგანყოფების დანიშნულ მიმართულებასა და მათს მოქმედებაში? ვითარება ბრძოლაში სწრაფად და მოულოდნელად იცვლება! ამის წინასწარი თქმა კი პრაეის შეეძლო და მე და ჩემი თანამგზავრი კ. დობორჯგინიძე თავდასაბრალედ მაინც დანიშნულ მარშრუტს დავადექით.

გზად დივიზიის პოლიტგანყოფილებაში შეეიარეთ. ზოგი რამ საინტერესო და საჭირო იქაც დავაზუსტეთ — იქ ოპერატიული საქმისათვის დარჩენილ ამხანაგებთან...

გზეთის დღევანდელი ნომერი შენაკრები წინაშე მოგიან საბოლოო ამოცანებს თავლინა, ცხადია, იმ დასაშვები ფორმით, რომ საქმის კურსში მყოფ მკითხველს გუმანით წარმოედგინა ამ ვითარების თავისებურება და თავისი ადგილიც ღირსეულად განესაზღვრა და დაეკავებინა შემტევთა ‘ორის.

ახლა კი ჩვენთვის, დივიზიის გაზეთის შუაკეთათვის, მთავარი იყო გვენახა არა მარტო ის, თუ ვინ როგორ გაიგო თავისი ამოცანა, არამედ ისიც, თუ ვინ როგორ იმოქმედა, გვეწყოდა საკუთარი თვალით გვეხილა ბრძოლის ველზე, მტერთან პირისპირ შეხვედრისას, თუ ვინ, როგორ იხდიდა თავის პატრიოტულ მოვალეობას, ვინ როგორ იბრძოდა და როგორ ასრულებდა პრაქტიკულად დედასამშობლოსათვის მიცემულ ფიცს, გვენახა ჩვენი ძველი მეგობრები, ზუგაში, საბრძოლო სწავლების დროს ეეკიითად რომ ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს, იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას.

წითელარმიელი გაზეთი არა მარტო მებრძოლთა მეგობარი და დამრიგებელი იყო, არამედ მათი საბრძოლო მემატიანე და მათი საბრძოლო საქმისა და დიდების პირველი მაუწყებელიც! ეს ეზრი გვამოძრავებდა დღესაც, საბრძოლო გამოცდის ეამს, რათა დროულად მიგვეღწია მათთან, რათა ერთად გაგვეზიარებინა დღევანდელი წარმატების სიხარული, მათი გამარჯვების სადიდებელი გვეთქვა მათივე პატარა, მაგრამ მართალი და დამაჯერებელი წერილებით, აღგვეწერა დიდი ჯაფითა და წვიდა სისხლით მოპოვებული პირველი გამარჯვება, მათთან ერთად გაგვეზიარებია ნანატრი წარმატებასაც არა მარტო სიხარული, არამედ მუეხარებაც ამ მებრძოლთა გამო, რომლებიც დაეცნენ ამ მკაცრ და სისხლისმღვრელ შეტაკებაში.

გზადა, თუ შეიძლება მას გზა ეუწოდოთ, ჩვენნი დივიზიის მსროლელი პოლკის მეთაური მაიორი არტემ ბერაძე შემოგვეგება. მას ძალზე ეჩქარებოდა შნაერთის მეთაურის საკომანდო პუნქტზე. ურთიერთ მისალმების შემდეგ, ორადოდ სიტყვით მაინც გვითხრა თავისი ნაწილის იმდენის ბრძოლებისა და ამ უბანზე შექმნილი ვითარების შესახებ. გვანიშნა პოლკის ქვეგანყოფებზე მოქმედების რაინონ და მიმართულება. ჩვენც დაუყოვნებლივ იქით მივაშურეთ. რამდენიმე წუთში უკვე დანიშნულ ადგილას ვართ და ბრძოლაგადაწყვეტილ მეომართა შორის ვიმყოფებით.

თითქოს ძნელი იყო მათთან ამ უჩვეულო ვითარებაში შეხვედრა, გასაუბრება, დღევანდელი ძმაფრი ბრძოლების შემდეგ საუბარი, ისე უშუალოდ და გულღიად, როგორც ჩვეულებრივ საბრძოლო სწავლების დროს ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხოლმე, მაგრამ ჩვენი ძველი ნაცნობები კვლავ ჩვენული ხალისით გვხვდებოდნენ და შეკითხეს გარეშეკი აღფრთოვანებით გვიყვებოდნენ სასახელოდ გადახდილი ბრძოლის შესახებ, იმაზე, თუ ვინ როგორ გამოიჩინა თავი, ვინ როგორ შესარულა თავისი ამოცანა და მოვალეობა. ჩვენ დიდი ინტერესით ვისმენთ მათ ნაამბობს, ბლოკნოტშიც ვინიშნავთ მათ სახელსა და გვარს, მათი კონკრეტული მოქმედების ამსახველ მაგალითებსა და საბრძოლო ეპიზოდებს, ვაძლევთ დავალებას და ჩრეკას, ვინ რაზე დაგვიწეროს კორესპოდენცია, გაზეთისათვის საკრძო მასალა.

აღსანიშნავია, რომ ამ გულითად საუბრებში მეომრები თავიანთ თავზე ცოტას ამბობდნენ, უმთავრესად იმაზე გვიყვებოდნენ, თუ როგორ ებრძოდა მისი ამხანაგი, თანამოიარაღე, მისი ქვეკანაყოფი. ამიტომ ჩვენ სწორედ აქ ვვიჩდებოდა დამატებითი კითხვების მიცემა, რათა გაგვეგო ჩვენი თანამოსაუბრის ჯარისკაცური საქმე, მისი მამაცობისა და უუნარის ამბავი. და როცა თვითონ არ ამბობდნენ, ჩვენთვის საკირო საკითხზე ბრძოლ თანატოლი ან მეთაური გვპასუხობდა ამოწურვადად.

ამ ბრძოლებში წარჩინებულთა შორის ცოტა როდი იყო კომუნისტი და კომკავშირელი მეომარი, მეთაური და პოლიტმუშაკი, რომლებსაც ნატყვიარი ქონდათ შეხვეული, სახეზე თუ მკლავზე სისხლი ანჩდათ, მაგრამ მხნედ იტანდნენ პირველ ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებს. ისინი ახლა უმთავრესად იმას ცდილობდნენ, რომ როგორმე სხვებისათვის მიეხედათ, კვლავ აღედგინათ და შეეკრათ საბრძოლო მწყობრი და მორიგი ამოცანის შესასრულებლად ყოფილიყვნენ მზად...

ენახეთ ძმათა სასიფლო. პატივი ვეცით კაპიტან მიხეილ ბუხანიის, პოლიტხელ ელადიძეს შუბითძისა და სხვა მამაცთა ნათელ ხსოვნას.

იქვე ახლოს სახელდახელოდ მოეწყოთ საველე ლაზარეთი — მძიმედ დაჭრილთა დასახმარებლად... ძნელი იყო იქ შესვლა... აქ ფრონტელი დოსტაქრები მეშაობდნენ შეუსვენებლად, რომ ყოველი შესაძლო ღონით, რათა გადაერჩინათ მებრძოლის სიცოცხლე.

მიუხედავად მეტად დაძაბული ვითარებისა, საველე ლაზარეთის ბეგრმა დაჭრილმა მოისურვა უჩეულო, თავისებური ინტერვიუს მიცემა გადახდილი ბრძოლების შესახებ. სასიამოვნო იყო. რომ აქაც, ამ ყველაზე მეიმე მომენტშიც დაჭრილები პირველ რიგში თავიანთ ამხანაგებზე და მეთაურებზე ყვებოდნენ.

საღამოს გვიან დაბრუნდით რედაქციაში მოწრნივე ხაჩიდან. ღრმა შთაბეჭდილებებითა და პატარ-პატარა, მაგრამ ღრმა-შინაარსიანი ჯარისკაცური კორესპოდენციებით სავსე ჩანთით. ეს იყო არაჩვეულებრივი ბრძოლის ამბები, რომელთა გაცნობა ყველას ინტერესებს ... ხელს და განცდილ ამბანაგებს ვეზიარებდით, როცა რედაქციაში დიდად სასიხარულო ცნობა მოვიდა: მივიღეთ არჩის სამხედრო საბჭოს პირველი მისალოცი წერილი. ეს დოკუმენტი ბევრ რამეზე მეტყველებდა... მისი სიმპრილე ამ რამდენიმე საათის წინ საკუთარი თვალით ვიხილეთ და მოვისმინეთ თვით ბრძოლის ველზე. ამაზე ნათლად ღაღადებდნენ ბრძოლადახდილ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა წერილები, რომლებიც რედაქციაში მოვიტანეთ.

აი, რას იუწყებოდა არჩის სამხედრო საბჭო:

„ნ.“ შენაერთის მეთაურს ამხანაგ სილაგაძეს,

კომისარს ამხანაგ სოხაძეს

და მთელ პირად შემადგენლობას

არჩის სამხედრო საბჭო გილოცავთ თქვენ პირველ გამარჯვებას, — პრავოიერეანსკის, სოვეტსკაიას, კრასნაია პოლიანას და ელადმირსკის აღებას.

სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ეს გამარჯვება დასაწყისია კაცობრიობის ვერაგი მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედებისა.

გისურვებთ წარმატებებს შემდგომ ბრძოლებში ეერმანელ-ოკუპანტთა საბოლოო განადგურებისათვის.

წინადადებას ვიძლევთ, ბრძოლაში თავგადაკმაჩენილი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები წარმოადგენით მთავრობის ჯილდოზე, სამხედრო საბჭო. 1942 წ. 26 აგვისტო“.

ეს არაჩვეულებრივი ბრძოლა იყო, პირველი სერიოზული გამარჯვება ფრონტის ამ უბანზე, მეტად ძმიმე ვითარებაში და აქ ძლიერი და გათავეხედებული მტრის შეჩერება, მისი მეწინავე ნაწილების დამარცხება და უკუგდება — მართლაც დიდ გამარჯვებას უდრიდა.

წითელარმიელი გაზეთის რედაქციასა და სტამბაში მთელი ღამე არ შეწყვეტილა მეშაობა. ყველა მონდომებითა და თავდადებით აკეთებდა მასზე მინდობილ საქმეს. კვლავ გადადეთავალიერეთ დღეკანდელი მასალები, შევარჩიეთ მორიგი ნომრისათვის საკირო წერილები, მოეხსენთ ნომრის მაკეტი და შეეუდექით მასალების დამუშავებას. ყველა შეწყობილიდან შეუდგა საქმის. საშრიფტო სალარისთან პირველი დადგნენ ნ. ცინცაძე და ვ. ქაცარიძე. ისინი მოზრდილი შრიფტით — თვრი მთავრული კორპუსით სამ სეტრზე აწყობენ სამხედრო საბჭოს მილოცვის ტექსტს. სწორედ ამით იხსენება გაზეთის პირველი გვერდი.

მალე პირველი კორესპონდენციებიც მზადაა ასაწყობად. ასოთამწყობები რაკიდან მარუშვილი და არმენ პაპიაშვილი ჩვენული სისწრაფითა და ბეჯითად აწყვებენ თავიანთ საქმეს — დედნის აწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის პირველი გვერდი მზადაა. მისი ანბანეჯი ხელთა გვაქვს. გინდა დიდხანს უყურო მას, ერთხელ კიდევ წაიკითხო, მიუხედავად იმისა, რომ თვალები გელუღება უძილობის გამო, მაგრამ დრო არ იითმენს, სადაცაა გათენდება...

განთიადზე სტამბის სამეჯი მანქანა იწყებს კაკანს. ისაკ საკოვისა და სერგო ზედგენიძის ჯერი დგება. იწყება არანაკლებ მძიმე და სასწრაფო სამუშაო. საჭიროა მალე დასრულდეს ტირაჟის ბეჭდვა, რათა დილით ადრე მოსულმა მებრძოლებმა დროულად წაიღონ ახალი, ჯერ კიდევ საღებავშეუშრობელი გაზეთის ნომერი ქვეგანაყოფებში. მას ელიან მოწინავე ხაზზე, დივიზიის, გაზეთმა ყველაზე ადრე უნდა მოაწოდოს მებრძოლამდე.

გაზეთის აღნიშნული ნომრის მასალები განადიდებდა დივიზიის მეომართა პირველ წარმატებას და ამ გამარჯვების გმირებს, უხიარებდა თანამოიარაღეებს მათს საბრძოლო გამოცდილებას, სანიმუშოდ სახავდა სხვებისათვის მათ, მამაცობასა და უნარს, მოუწოდებდა ახალი სასახელო მეომრული წარმატებებით განემტკიცებინათ წინა დღით მოპოვებული ღირსება, შეუსვენებლივ ერტყათ მოძალადისათვის, სასახელოდ დაეცვათ დედასამშობლო და ღირსეულად შეესრულებინათ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა ხალხისა და მამულის წინაშე.

პირველი ბრძოლისა და გამარჯვების პირველ გმირებზე — ამ ორიოდე სიტყვით შეიძლება ყველა ამ მასალისა და მათი ავტორების დახასიათება. რამდენად სასიხარულო და სასიამოვნო იყო ჩვენთვის ის ფაქტი, რომ ვარაუდსა და არჩევანში არ შეშმდარვართ! ეს რამდენიმე დღის შემდეგ დაადასტურა ფრონტის სარდლობის ბრძანებებმა, რომელთა შორის ზედგენი ამ პირველი დღის ბრძოლებში თავგამოჩენილ მეომართა შორის სიამოვნებით წაიკითხეთ წერილების, გმირთა და სამხედრთა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებულთა სია, რომელთა შორის იყვნენ: წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულნი — მეტყვიამფრქვევე წითელარმიელი ოსეფ კაკაურიძე და კოძკაშვილი უფროსი სერჟანტი ნოე ჩინჩალაძე, წითელი ვარსკვლავის ორდენით — ლეიტენანტები ნესტორ ლელაძე და ნესტორ მიქაძე; მედლით „მამაცობისათვის“ — უფროსი სერჟანტები გიორგი სანადირაძე და ტარიელ კიკალეშვილი; მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — ლეიტენანტი მიხეილ ბექაური, წითელარმიელი შაქრო ქაფიანშვილი და მრავალი სხვა.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა არმიის საფრონტო გაზეთმა „საბჭოთა პატრიოტმა“ ორიოდე დღის შემდეგ მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ამ ნომერს და გაზეთს „წინ გამარჯვებისაკენ“ უწოდა „მებრძოლთა მეგობარი და აღმზრდელი“. ჩვენი მებრძოლი კოლექტივის მეტრეოდენ ჯარისკაცურ შრომას, მის პირველ საფრონტო ნომერს ასე დაუფასება ნამაგარი. გაზეთის ამ ნომრის მომზადება იყო ჩვენი კოლექტივის „საბრძოლო ნათლობაც“. მან ჩვენც საფრონტო ვითარებაში მუშაობის მნიშვნელოვანი საბრძოლო გამოცდილება შეგვძინა. მისი წარმატება და მაღალი შეფასება ჩვენთვის დაუვიწყარი და თავისებური საბრძოლო ჯილდოდ იყო...

მეორე დღეს დარჩენილ მარავიდან მორიგი ნომრის მასალები მოვამზადეთ და კვლავ წავედით მოწინავე ხაზზე, მოქმედ ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, ჩვენს ნაცად ამხანაგებთან და მეგობრებთან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზიეულ ზაღლაბაძე

თაობის ფიქრი

ყრილობაზე

საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი სავსეა. აქ არიან რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ზუსტად ათ საათზე საქართველოს კომკავშირის ოცდამეოთხე ყრილობა მუშაობას იწყებს. დარბაზი სულგანაბული ისმენს საანგარიშო მოხსენებას. მერე შესვენება ცხადდება. გრძელ დერეფნებში დადიან და ერთმანეთს ეცნობიან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ავერ საეკვეთო უკრავენ. ამაოდ ცდილან წრეში შეიწეევას და მოეცვ

ძველი ოსტატების კვალდაკვალ

ათასზე მეტი წლის წინ ჩვენი წინაპრები აწრთობდნენ ფოლადს და თიხისაგან ქიტწვედნენ ჭურჭელს. ამ ჭურჭელმა საუკუნეებს გაუძლო. მცხეთის, ფრიალეთისა და ვანის სამარხებში ნაპოვნია მშვენიერი დოქები, ქვევრები, ჯამები და ჭინჭილები, რომლებიც ქართველთა მაღალ ოსტატობასა და ხელოვნებაზე ლაპარაკობენ. მილები, რომლებითაც ძველ ქართულ ქალაქებში სასმელი წყალი შემოდიოდა, დამუშავებული და გამომწვარი თიხისაა. ჩვენს მუზეუმებში მრავლადაა დაცული ძველ ქართველთა კერამიკის ოქროათი ნიმუშები. უყურეთ ამ მუნჯ ყარყარა სურეს და საცნაური ხდება, როგორ ცხოვრობდნენ შენი წინაპრები, როგორი იყო მათი კულტურა და მატერიალური შრომა. შენს წინაა კრამები, რომელიც ათიათასი თოვლი და წვიმა ჩამორიცხა და ახლა ვალმოხდილი დევს ყრუ დარბაზების თარიგზე. ახლა საფლავი-ქვევრი, რომელიც შეინახა ^ძველი წარმართების ძვლები და დაგვანახვა მამა-პაპათა მაჯიების სიმსხო და ბეჭების განი...

ათასწლეულებს იქით ძველი ასურეთის დედაქალქ ნინევიაში უმდიდრესი ბიბლიოთეკა იყო თურმე, რომელშიც თიხის გამომწვარ ფირფიტებზე დაწერილი თქმულებები და ^ყაიანი კანონები ინახებოდა. ასევე, თიხაზე სწერნენ ბაბილონელები და შუმერები, ხეთები და ხურიტები, ძველი სპარსელები და ქართველთა შორეული წინაპრები ურარტელები.

და ქართველიც, რომელიც წერდა ხბოს ტყავზე და ხარის ბეჭზე, უფრო ადრე ალბათ წერდა თიხაზეც. ვინ იცის, იქნებ ჩვენმა არქეოლოგებმა საუკუნის ფერფლწაყრილი ასეთი ფირფიტებიც აღმოაჩინონ მომავალში. ჯეროვრეობით კი ქართველთა ოსტატობის დასტურად ეს ნაირფერად მოხატული ჯამები, წეროებივით სურები და გაუბზარავი ქვევრებიც კმარა

ასე დიდი და შორეული ისტორია აქვს თიხის დამუშავების კულტურას საზოგადოდ და ჩვენშიც. და ამის შემდეგ გასაკვირი აღარაა, თუ დღეს საქართველოს გარეთაც წავაწყდებით ქართული კერამიკის ნაწარმს, ან ჩვენებუერი მხატვრული კერამიკის ნაირფერ ნიმუშებს. განთავისუფლებულმა საქართველომ მარტო ხალიბების საიდუმლო როდი ამოხსნა, მან მკვდრეთით აღადგინა ავრეთვე ქართული თიხა და ფაიფური.

ვფიქრობ ყველაფერ ამაზე და დოქს ხელში ვიღებ. კარგად ვიცი, რომ ასე არ შეიძლება. არ უნდა მოკიდო ხელი, უხერხულია. მაგრამ მაინც ვიღებ დოქს და ვთვალიერებ. გოგი ^ კვეპაძი. თბილისის კერამიკული კომბინატის მოწინავე მუშა ისევ ჩემთანაა. მე ახლა იგი მაინტერესებს: იმიტომ კი არა, რომ მოწინავე მუშაა, არამედ იმიტომ, რომ უძველეს, ფენიქსივით განახლებულ ქართულ საქმეს ემსახურება.

— ეს ყრილობა მორჩება და, იცოდე, თქვენი სტუმარი ვარ, გოგი!

— მობრძანდით, შესანიშნავი ღვინო მაქვს.

— არა, კომბინატში უნდა მოვიდე.

— ასე იყოს. არც იქ დაგიხვდებით ურიგოდ.

ურიგოდ დახვედრას ვინ ჩიოდა, ოღონდ საერთოდ დამხვედროდა. ღამის ცვლა ემუშავა და შინ ეძინა. რახან კარისკაცისთვის ნათქვამი მქონდა, გოგი კვეპაძეს ვეძებ-მეთქი, მარტომ კომბინატის დათვალიერებაზე ხელი ავიღე და უკანვე გამოვბრუნდი. კომბინატი ნავთლუღნია. ოც წუთზე მეტს მოინდა ატბობესი „ქალაქში“ დაბრუნებას. ფანჯარასთან ვიჯექი და ვფიქრობდი, რომ თბილისი დიდი და განიერი ქალაქია.

მეორე დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მართლა დიდი ქალაქია ჩვენი თბილისი. გოგი პირველივე შეხვედრამ მიმასწავლა. ეტყობა, კომბინატის ეკესასაციანი კოლექტივი კარგად იცნობს დამკერელ მუშას.

კოგბინატში

გოგი წინ მიმიძღვება. შევდგით თუ არა ფეხი კომბინატის ეზოში, უცებ თითქოს სხვა ქვეყანაში მოვხვედრილიყო, უცნაური გრილი და გუგუნი ისმის ყოველი მხრიდან. უბრალოდ მიკვირს, რატომ კედლის გადაღმა არ ისმოდა ეს ხმაური. ეზოში აუტანელი ბუღი დგას. თითქოს კირით სავსე ვეება ტომრები დაეფეთხოთ. მასის დამამზადებელ საამქროში შევდიგართ. აქაც აუტანელი მტვერია.

— ბევრს ფიქრობენ ჩვენი ბიჭები, რომ ამ მტვერს როგორმე ბოლო მოეღონს, — მეუბნება გოგი.

ვეებერთელა დოლები თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავენ. საამქროს კედლის გაყოლებით ორი მეტრის სისქის მილი ტრიალებს.

— მოდი, თავიდან დავიწყოთ ყველაფერი,— გოგი ხელს ჩაიდებს და საამქროს ფართო კარებთან მივდივართ.

— აი, ეს ნედლეული მარაგია. ნედლეულს უმთავრესად რუსეთიდან და უკრაინიდან ვიღებთ. კომბინატში ძირითადად სამშენებლო მასალა მზადდება. მზადდება ავრეთვე ნახევრადფაიფურისა და ფაიანსის ნაწარმი.

— სულ რამდენი საამქროა, გოგი, კომბინატში?

— ხუთი ძირითადი და სამი დამხმარე: — მასის დამამზადებელი, საჩამოსმსხვილო, მოსაპირკეთებელი ფილების, საგამომწველო და სამხატვრო საამქროები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის ვიწრო კიბით მეორე სართულზე ავდივარო. სწორედ მბრუნავი დოლების თავზე იატაკი ქაიქე ამოჭრილია და გვერდით ნედლეული ყრია.

— აი, აქედან ვაწვდით დოლებს ნედლეულს, — მიხსნის გოგი, — ნახევრადფაიფურის მისაღებად დოლებში იყრება კვარცის ქვიშა, მინდერის შპატი, ნახევრადფაიფურის ნარჩენი, კაოლინი და თიხა. რა თქმა უნდა, ემატება წყალი. დოლებს კედლებზე ქვის პატარა კოჭები აქვს, რომლებიც ბრუნვისას ფშვნინან და აფხვიერებენ ნედლეულს. ამის შემდეგ სხვა საამქროებში გრძელდება საწარმოო პროცესი: დაწნეხვა, ყალიბებში ჩამოსხმა, გამოშრობა, გამოწვა... ცალკე ხდება მოჭიქურება.

მეზობელ საამქროში გადადგიან. თარიგებზე თაბაშირის ყალიბებში ჩამოსხმული სანიტარული კერამიკის ნიმუშებია, ჯერ კიდევ სველი, გასაშრობად გამოფენილი. წინასწარიანი მუშები ყალიბებს სადღაც მიარბენინებენ. ალბათ გამომწვეულ საამქროში.

ეზოში მანქანები შემოდიან. მუშები ცელან და ტვირთავენ მანქანებს. საამქროებში დაადგრებენ თიხითა და მინდერის შპატით დატვირთულ პაწია ურიკებს. საერთოდ, ყველა ნუშათა აკეთებს თავის საქმეს, რადგან ამ ხმაურში წარმოუდგენელია რაიმე საუბარი. ჩემი და გოგის დიალოგიც ყვირილს უფრო გავს. მინდა გავიგო მოწინავე მუშის გვარი, ვინ შრომობს უკეთ. გოგი პირდაპირ პასუხს გიურჩის რატომღაც. კომბინატი მოწინავე საწარმოოა. ესე იგი, ყველანი კარგად შრომობენ. აგერ სამ წელია არავისთვის დაუთმია კომბინატს საჯართველოს პროფკავშირების გარდამავალი დროშა, ახლა კი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ დროშასაც დაეპატრონენ. ჰოდა, ყველას თავის წელილი შეაქეს ამ წარმატებაში. საერთოდ, ისეთი კაცი ჩანს ეს ჩემი თანამოსაუბრე, სიტყვას ვერ ათქმევინებ. მით უმეტეს თავის თავზე. მე კი მინდა მეტი ვიცოდე მის ცხოვრებაზე, მის წარსულზე. გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს? გასაგებია. კომბინატის კომკავშირული კომიტეტის მდივანია? ხასიათმენი. პოლიტეკნიკური ინსტიტუტის სტუდენტია? ასეც ვფიქრობდი. კიდევ? და ეს „კიდევ" რჩება უპასუხოდ.

მხატვრული კერამიკის საამქროსაკენ მივდიოდით, როცა ლურჯ წინსაფრიანი გოგონა დაგვეწია. დირექტორი გეძახიო, უთხრა გოგის.

— ორშაბათობით საწარმოო თათბირი გვაქვს, — ამბობს გოგი, — კვირის შედეგებს ვაჯამებთ.

მერე გოგონას მიუბრუნდა:

— ლენა, თუ და ხარ, გაყევი ჩვენს სტუმარს. ბოდიში მოვიხადა და წავიდა.

მართალი გითხრათ, ცოტა გაშეხრდა კიდეც. იქნება ახლა მაინც გავიგო გოგი კვაჭაძის ცხოვრებისა და შრომის ამბავი. ლენა ქეციხველი მასის დამამზადებელ საამქროში ცვლის უფროსია. ალბათ კარგად იცნობს გოგის...

ლენა ქეციხველის ნაამბობი

გოგი კვაჭაძე თბილისის რკინიგზის IX საშუალო სკოლაში სწავლობდა, დაამთავრა 1955 წელს. როგორი მოსწავლე იყო? არა, ლენამ ეს არ იცის. ან საიდან უნდა იცოდეს. მათ ერთძანერთი კომბინატში გაიცნეს. ჰო, დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, უმაღლეს სასწავლებელში სცადა მოწყობა. ქულები დააკლდა. ზოგიერთივით არ გაჯიუტებულა, საგამოცდო ფურცელი გამომცდელს დაუტოვა, თვითონ კი მუშაობა დიწყო. ეს 1955 წლის სექტემბერში იყო. რა ხნისაა? 1936 წელსაა დაბადებული. სწორად ახსოვს? რა თქმა უნდა. გოგი გასათხოვარი ქალი არაა, რომ ტყუილი ეოქმა ლენასთვის. დიახ, სწავლობს. აბა როგორ. რახან ერთხელ ვერ მოხვდა, ამიტომ ხელს ხომ არ აიღებდა სწავლაზე. პოლიტექნიკურ ინსტიტუტშია, სილიკატების ტექნოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. მეოთხე კურსზეა. როგორი სტუდენტია? არც ეს იცის ლენამ. ფრიადისანი არ ეუნდა იყოს. არც უკვირს ლენას. ბევრი საქმე აქვთ კომბინატში. ყველაფერს ვერ მოასწრებ კაცი.

სახლი აქვე აქვს, კომბინატთან ახლოს ცხოვრობს, კაკაბეთის ქუჩაზე. ოცდაჩვიდმეტ ნომერში. შინ დედა ყავს, — სათნო, კეთილი დიასახლისი, თამარი. მამა, გიორგი, ნაფთალეის სადგურში მუშაობს. ერთი და გიორგინა გათხოვილი, უმცროსი აქვე, თბილისშია. მსახურობს, კარგია, რომ სამსახურთან ახლოსაა გოგი. დადგენილი დრო მხოლოდ უსუნგულო ადამიანებს აქვთ. ზოგჯერ თავისუფალი ხარ, მაინც მიხვალ, საქმეს მიხედავ, მეგობრებს ნახავ, გაიცინ, გულს შეაჯერებ. ჰოდა, კარგია, თუ შენს სამსახურთან ახლოს ცხოვრობ. გოგი კი სწორედ ასეთი ბიჭი ყოფილა. ასე ამბობს **ლენა.** ასე იცნობს ლენა მას.

26 კომისრის რაიკომის შტატგარეშე მდივნად მუშაობდა თურმე გოგი კვაჭაძე 1960-61 წლებში. 1960 წელს ენერგიული ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. 1956 წელს შშენებლთა საკავშირო თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა. ჩვენი რესპუბლიკიდან სულ 19 კაცი იყო ამ თათბირზე გაგზავნილი. მათ შორის კომბინატის ახალბედა მუშაც მოხვდა. მაშინ დაუჯილდოვებიათ გოგი ნიშნით „წარჩინებული", რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს ენიჭებათ. კიდევ რა თქვას ლენა ქეციხველმა თავის ამხანაგსა და თანამოსაქმე-

ზე? ამჟამად ცელის უფროსობა მიუნდეიათ გამრჯე მუშისათვის. ყველა აფასებს თურმე, ყველას უყვარს.

რა შემძლია დაეუმატო ლენს სიტყვებს... არის ტელეფონის ნომრები, რომელსაც ადვილად იმახსოვრებს კაცი. არიან ადამიანები, რომელთა სახეებსაც ადვილად იმახსოვრებს კაცი. ასეთი ადამიანები უმეტესად კეთილი ადამიანები არიან, წრფელი გული აქვთ, ალალი ხასიათი, პირდაპირები არიან და შეუძლიათ საქმეზე და მეგობარზე ზრუნვა. სწორედ ასეთი, ადვილად დასამახსოვრებელი და კეთილი სახე აქვს გოგი კეკაძეს. სიტყვაძირსა და საქმიანს, მას ყოველთვის რაღაც ზრუნვის თუ ფიქრის ნიშანი ატყვია სახეზე. აქვს კიდეც საფიქრალი. მარტო ის როდი კმარა, გიცნობდნენ და გაქებდნენ. ყოველ დღე, ყოველ წუთში უნდა აკეთებდე რაიმე ისეთს, რაც შენდამი გამოჩენილ ნდობას გაამართლებს და გაამაგრებს. გოგის ნამუსიანი გული აქვს, და ეს გული არ მოუსვენებს, შეურიგდეს ნაკლს და ჩამორჩენას. დღეშუდამ ფუსფუსებს, სწავლობს, მუშაობს. ამითაც არ თავდება მისი საზრუნავი. კომბინატის პარტიული ბიუროს წევრია, ცელის უფროსის თანამდებობა ანდეს, კომკავშარული კომიტეტის მდივანია.

იმის, რაც ლენა ქეგხიშვილისგან მოვისმინე, და იმის, რაც თვითონ ენახე, ერთმანეთს ვეუმატებ და ვცდილობ უფრო ნათლად წარმოვიდგინო ჩემი თაობის კაცის სინტერესო ცხოვრება. მერე ჩემს მასპინძელთან ერთად კომბინატის ეზოდან გამოვდივარ. ავტობუსში ვჯდები, მაგრამ ახლა უკვე ვეღარ ვგრძნობ მანძილს, რადგან ახლადშენენი სახეები და ადამიანები სჯობნიან დროსა და მანძილზე ფიქრს.

თაობის ფიქრი

გარდა იმისა, რომ ცელის უფროსია საამქროში, მე არაფერი ვიცოდი ლენა ქეგხიშვილზე. უცებ წარმოვიდგინე, რომ გოგი ისევე მიუვებოთა ლენას შესახებ, როგორც ამ რამდენიმე წუთის წინათ ლენა მაცნობდა მის ბიოგრაფიას, საინტერეხოა, რას მეტყოდა გოგი კეკაძე ამახანაგზე. ალბათ იმასვე, რაც ამ უკანასკნელმა გოგიზე ილაპარაკა. მე მიეხედი და გამეხარა, რომ გოგისნაირი ახალგაზრდები ერთიულები არაა. ისინი ბევრნი არიან, ჩუმად აკეთებენ დიდ საქმეებს და ხშირად დგანან ჩრდილში, რადგან არ უყვართ თავიანთი პიროვნების წინ წამოწევა.

საჩუქრების მაღაზიაში შეხვალ, ნახავ მშვენიერ დოქებს, დახვეწილი სილეტრიების ვაზებს, სხვადასხვა კონფიგურაციის სასმისებს, ფაიფურის სურებს და თასებს, მოხდენილ საყვავილეს, ორგანულური საფერფლეს... მაგრამ მარტო ეს როდია ამ ახალგაზრდების დამსახურება. ისინი უფრო დიდ საქმეებს აკეთებენ. ისინი ჩვენი ეროვნული სამშობლოს მომავალს ქმნიან, უკეთესი მერმისის რწმენას მაღიენენ, მთელი პლანეტის ცხოვრებაზე ფიქრობენ, მშვიდობაზე და ბედნიერებაზე ფიქრობენ.

1960 წელს ბელგიაში იყო გოგი კეკაძე. გაიცნო თანატოლები, მეგობრები გაიჩინა. მიხვდა, რომ ახალგაზრდებს, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, ბოლოს და ბოლოს, ერთი დიდი და საერთო მიზანი აქვთ: ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის მიზანი. ფეშენებელური ეილებისა და კეთილშობაობილი სასტუმროებია ელვარება ვერ ფარავდა კაპიტალისტური ქვეყნის წყულეტს. ახალგაზრდებს ვაქორეებაში უხდებათ ცხოვრება და შრომა. მათ ცხოვრებაზეც დაფიქრდა გოგი, დაფიქრდა და მიხვდა, რომ ძის შრომას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდები ამდენს ფიქრობენ ერთმანეთზე.

ერთი წლის მერე სახალხო პოლონეთშიც იმოგზაურა. დაათვალიერა ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკები. თვალწინ გაცოცხლდა ბუხენვალდისა და ოსვენციმის საშინელებანი. მილლიონობით ჭაბუკისა და ქალიშვილის ბედზე ჩაფიქრა იგი ნანახმა. კედლებზე ახლოცაა შერჩენილი სისხლით დაწერილი სტროფნები, რომლებიც მოუწოდებენ ადამიანებს იბრძოლონ ადამიანებისათვის, თავისუფლებისათვის, ახალი ომის და საერთოდ ყოველგვარი ომისა და კაცთაჟალეტის წინააღმდეგ.

ყველაფერ ამაზე ფიქრობს გოგი კეკაძე. ეს მარტო მისი კი არა, მთელი მისი თაობის ფიქრია. ახლაც, როცა ახლოვდება საკავშირო კომკავშირის ყრილობა, ახალგაზრდა დელეგატი ფიქრობს თავის თანატოლებზე. რომლებიც თავს მოიყრიან დედაქალაქში და იმსჯელებენ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, მთელი ქვეყნის ახალგაზრდების მომავალზე.

კეთილი ეს ფიქრი, რადგან იგი თაობის ფიქრია, თაობისა, რომელმაც უნდა კომუნიზმში იცხოვროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲗᲘᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ

(გარდაცვალებიდან 125 წლისთავის გამო)

„ᲑᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲘᲝᲣᲗᲛᲔᲚᲘ ᲩᲐᲘᲓᲣᲚᲐᲜ ᲗᲐᲜ ᲜᲐᲝᲠᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲔᲚᲐᲕᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲔᲚᲐᲒᲠᲘᲗᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲐᲜ ᲡᲣᲚᲛᲐ“, — ᲬᲔᲠᲓᲐ ᲑᲔᲚᲘᲜᲡᲙᲘ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲡᲘᲠᲒᲔᲘᲡ ᲫᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗ „ᲐᲞᲝᲛᲔᲘᲡᲐ“ ᲛᲘᲐᲠᲬᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲔᲥᲜᲐ ᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲗᲐᲡᲬᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲨᲔᲥᲜᲐ. „ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗᲝᲜ ᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲐ, ᲐᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲗᲝ“.

Ა. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ 1837 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲝᲣᲞᲐᲕᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲒᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ“ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲢᲐᲠᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲑᲔᲓᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲗᲛᲠᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲘᲖᲛᲘ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲜᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲘᲮᲘᲔᲚ ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲕᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲮᲘᲗ ᲐᲦᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲛᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲧᲝᲤᲐ ᲘᲛᲘᲗᲘ ᲪᲘᲠᲕᲠᲨᲘᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲗᲡᲐᲒ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲐ, „ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ“, ᲘᲡ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲒᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲤᲠᲜᲐᲕᲘ ᲠᲘᲒᲨᲘ ᲩᲐᲐᲧᲝᲤᲔ. ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲯᲐᲓᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲡᲘᲠᲒᲔᲘᲡ ᲫᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ.

•

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲡᲘᲠᲒᲔᲘᲡ-ᲫᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1799 ᲬᲚᲘ 26 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲒᲐᲦᲐᲠᲩᲑᲔᲣᲚᲘ ᲐᲮᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲠᲒᲔᲘ ᲚᲘᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ.

ᲛᲐᲛᲐᲛᲘᲡᲘᲜ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲓᲔᲓᲐ — ᲜᲐᲓᲔᲓᲐ ᲝᲡᲘᲞᲘᲡ ᲐᲚᲘᲪᲔ — „ᲞᲔᲢᲠᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ“ ᲰᲐᲜᲘᲑᲐᲚᲘᲡ ᲨᲝᲛᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ. ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲑᲐᲒᲨᲕᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜᲔᲑᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲰᲝᲯᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲗᲛᲘᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲑᲘᲫᲛᲘᲡᲘᲜ, ᲒᲐᲡᲘᲠᲘ ᲚᲔᲕᲘᲡ ᲫᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲓᲠᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲓᲝᲓᲝᲓᲜᲔᲜ Ნ. ᲙᲐᲠᲐᲛᲖᲘᲜᲘ, Გ. ᲟᲣᲙᲝᲕᲡᲙᲘ, Კ. ᲑᲐᲢᲘᲣᲨᲙᲝᲕᲘ, ᲘᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲪᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ“ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲓᲐ. ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲫᲘᲫᲛ, ᲐᲠᲘᲜᲐ ᲠᲝᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲢᲐᲛᲐ (ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲣᲙᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲜᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲠᲐᲑᲘᲡ“ ᲰᲐᲜᲘᲑᲐᲚᲘᲡ ᲨᲝᲛᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ. ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲑᲐᲒᲨᲕᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲘᲪᲔᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲗᲛᲘᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ. ᲑᲘᲫᲛᲘᲡᲘᲜ, ᲒᲐᲡᲘᲠᲘ ᲚᲔᲕᲘᲡ ᲫᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲓᲠᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲓᲝᲓᲝᲓᲜᲔᲜ ნ. ᲙᲐᲠᲐᲛᲖᲘᲜᲘ, Გ. ᲟᲣᲙᲝᲕᲡᲙᲘ, Კ. ᲑᲐᲢᲘᲣᲨᲙᲝᲕᲘ, ᲘᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲪᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲔᲠᲗᲝᲜᲐᲓ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲘᲒᲘ ᲑᲐᲘᲠᲝᲜᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲜᲐᲮᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲘ, ᲛᲝᲬᲧᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲐᲚᲘᲡᲝᲗ:

Умом козак, с калмыцкой красотой,
Великодушный — только не зимой:
В тепле он мягок, полулиберал, —
Он жесток, если зимний вихрь попал.

ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲣᲛᲨᲘ Ს�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲗᲣ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲑᲣᲓᲔᲑᲘᲗ. ᲚᲘᲪᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ვ. მალინოვსკი მოწინავე განმანათლებელი იდეების მიმდევარი იყო, პროფესორი ა. კუნიცინი — ნეტრნგემელი სტუდენტი, ნიკოლოზ ტურგენევის (დეკაბრისტთა ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და თეორეტიკოსის) მეგობარი, ბატონყმობის მოძულე და რადიშჩევის თაყვანისმცემელი.

ლიცეუმსა იმპერატორ ალექსანდრეს იმედი არ გუმამართლა. მისი კედლებიდან გამოვიდნენ ა. პუშკინი, ი. პუშჩინი, ვ. კუხელბეკერი, ბარონი დელვიგი... ახალი თაობა, რომელმაც შექმნა ახალი ლიტერატურული ეთოქაც და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაციაც.

ლიცეუმში სწავლისას პუშკინი დაუახლოვდა ლიტერატურულ ჯგუფს „არზამასს", დაუახლოდა საფრანგეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულ ოფიცრებს, რომელთაც ეკრობიდან არა მარტო გამარჯვებული მხედრის ჩინ-მედლები ჩამოპყავთ, არამედ ევროპის ცივილიზაციის უშუალო შთამბეჭდავი, რუსის, სენ-სიმონისა და განმანათლებლთა გალეწილი და მეფის რუსეთის გარდაქმნის აუცილებლობის შეგნება. ამავე პერიოდში დაუახლოდა პუშკინი ოფიცრისა და ფილოსოფოს პ. ჩაადაევს, რომელსაც ცნობილი ლექსი მიეძღვნა და რომელმაც პუშკინის მსოფლმხედველობაზე დიდი გალეწილი მოახდინა.

ლიცეუმის დამთავრების შემდეგ (1817 წ.) პუშკინი გაგზავნეს საგარეო საქმეთა კოლეგიაში. ახალგაზრდა პოეტმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება მძაფრი პოლიტიკური ეპიგრამებითა და ლექსებით, რომლებშიც დეკაბრიზმის იდეებს გამოხატავდა. ამ ეპიგრამებმა და პოლიტიკურმა ლირიკამ, აგრეთვე ზოგმა ფაქტმა (მაგალითად, ლუკეის სურათზე წარწერილმა „გავკვეთილ ტირანებს") ალექსანდრე პირველი განარისხეს და 1820 წელს პუშკინი გადაიყვანეს ეკატერინოსლავში, გენერალ ინზოვის კანცელარიაში, ხოლო 1823 წელს — ოდესაში; მაღალოჩინის გენერალ-გუბერნატორის ვორონცოვის განკარგულებაში. შემდეგ, 1824 წელს, შშობლების მამულში, სოფელ მიხაილოვსკოეში გადაასახლეს.

მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლები ევროპაში ეროვნული რევოლუციური ალმაღლობით აღინიშნა. 182C — 23 წლებში ესპანეთში დროებით წარმატებას მიაღწია რიეგო-კეირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაეუფნებინა და იგი, ვისი მეგობრებიც ცამბირის გათოშილ ტრამალებში მიმოფანტა, მეხოტბედ და კარის პოეტად ექცია. რომანოვი შეჰპირდა პოეტს, რომ იგი იქნებოდა მისი პირველი ცენზორი. პუშკინის ცხოვრების ერთი ხანა, ხანა იმედების და ოცნების, ილუზიების და შეთქმულებებისა, დამთავრდა, დაიწყო პიროვნული თავისუფლებისა და შემოქმედებისათვის ბრძოლის წლები. მას არასოდეს უღალატია თავისუფლების იდეებისათვის, უფრო ღრმავდებოდა და იჭვეწებოდა მისი შემოქმედება, უფრო მეტად იჭრებოდა მასში რეალისტური და ხალხური, უფრო ხმამაღლა და მრისხანედ ყიჟინდა მისი მხიარება. ამ მძიმე მორალური დეპრესიის დროს შექმნა მან ლექსები:

„Мой первый друг, мой друг бесценный“, „Я гимны прежние пою“, „Анчар“.

1827 წელს პუშკინმა დეკაბრისტებს ცამბირში გაუგზავნა ლექსი—„Во глубине сибирских руд...“, რომელშიც გამოთქვამდა რწმენას, რომ მათი სახელი უკვალოდ არ გაქრებოდა და მათი ბორკილებიდან თაობები მახვილებს გამოაწრთობდნენ. პოეტმა-დეკაბრისტმა ალექსანდრე ოდოევსკიმ უპასუხა ცნობილი ლექსით, რომელს სტრიქონი „Из искры возгорится пламя“. — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგად იქცა.

1828 წელს პუშკინმა ამირკაკასიაში იმოგზაურა. ამ მოგზაურობით მთავრდება პოეტის ცხოვრების კიდევ ერთი პერიოდი და იწყება არა მხოლოდ შემოქმედებით თავისუფლებისათვის, ღირსებისა და ოჯახური ბედნიერებისათვის ბრძოლის წლები.

*

ა. პუშკინმა შექმნა ახალი რუსული ლიტერატურა, დადგინა ლიტერატურული ენის ნორმები, დაუახლოვა იგი ცოცხალ სამეტყველო ენას და ცხოვრებას, ერთხელ და სამუდამოდ გაათავისუფლა რუსული პოეზია უცხოური გავლენისაგან და იგი ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ, ხალხურობის სიღრმიდან და სიზოგადოებრივი ყოფიდან მომდინარე ლიტერატურად აქცია.

„როგორც უნდა იყოს მოხდარი ან ვინმეს მიერ მოხდენილი ენის რეფორმა, იგი თავისთავად არ შეიძლება დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტად იქცეს... მნიშვნელოვანია აზროვნების ცვლილებით გამოწვეული ენის ცვლილება“,— წერდა ბელინსკი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ახალი იდეური და თემატური სფერო ენის განახლებასა და გარდაქმნას იწვევს და, ამდენად, იგი არა მარტო ფორმის შეცვლას, შინაარსის შეცვლასაც ნიშნავს. შინაარსის შეცვლა ყოველთვის გაიგივებული იყო ენობრივი ნორმების ცვლასთან და, თავის მხრივ, ლიტერატურის ეროვნული პოზიციებისაკენ შემობრუნებას ნიშნავდა, რისთვისაც ჯერ კიდევ მ. ლომონოსოვი იბრძოდა.

ტრედიაკოვსკისა და ხერასკოვის პოეზია არ შეიძლებოდა ეროვნული ყოფილიყო, რადგან იგი ოფიციალურ და შუსხმა, რომელიც ევროპული კლასიციზმის გავლენით ანტიკური მითოლოგიის მასალასა და სახეებს იყენებდა; ეს იყო სასახლეების პოეზია და თავისი ბენებით იმდენად იყო დაცილებული ხალხს, რომ მისი ენის გარდაქმნა შეუძლებელი იყო.

რუსულმა ლიტერატურამ განვლო განვითარების დაახლოებით ისეთივე გზა, როგორიც ახალი ევროპელების ევროპულმა ლიტერატურამ. კარამზინის, ჟუკოვსკის, დიმიტრიევის, ბატიუშკოვის დამსახურება არა მარტო კლასიციზმის ენასთან ბრძოლა და სალიტერატურო ენის გაცოცხლება, „ლომონიზმის ოჩოფეხებიდან ჩამოყვანისა“ და გაბუნებრივების ცდა იყო, მთავარი დამსახურება იყო თვით ლიტერატურის დანიშნულების ახლებური გაგება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ენის განახლება.

მსგავსი ლიტერატურული პროცესი მომსწავებელი იყო იმისა, რომ ლიტერატურაში მოვიდოდა ძლიერი შემოქმედი, რომელიც არა მარტო გაარღვევდა და განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანდა ამ პროცესს, არამედ შემდეგ თავის შემოქმედებაში უარყოფდა იმას, რაც გუშინ პროგრესს ნიშნავდა, და ახალ ლიტერატურას შექმნიდა, შექმნიდა სკოლას, რომელიც თავისი ხასიათით ეროვნული იქნებოდა, საფუძველს ხალხურობაში ჰპოვებდა და შექმნიდა პირველ რეალისტურ ტილოებს.

პუშკინის შემოქმედების ლიცეუმის პერიოდი ერთგვარად ლიტერატურული შეგირდობის ხასიათს ატარებდა. იგი ითვისებდა უფროსი თანამედროვეებისა—დერჟავინისა და კარამზინის — მემკვიდრეობას, მას იზიდავდა ბატიუშკოვის ელეგიური პოეზია, დ. ფონვიზინისა, ა. რადიშჩევისა და ი. კრილოვის შემოქმედება.

პირველი ნაწარმოები, რომელშაც პუშკინი უცავს განსახვავა თანამედროვეებისაგან, იყო პოემა „რუსლანი და ლუდმილა“. ბ. ბელინსკის „რუსლანი და ლუდმილა“ თავისთავად ნაკლებად სრულყოფილ მხატვრულ ქმნილებად მიაჩნია, მაგრამ იგი აღნიშნავს იმ როლს, რომელიც პოემამ შეასრულა: „რუსლანი და ლუდმილა“ ისეთი პოემაა, რომელშაც რუსული ლიტერატურის ისტორიაში ეპოქა შექმნა“. პუშკინის პოემაში ყოველდა ხალხური მეტყვე-

ლების პოეტური ნიმუშები, ლირიულობა და ირონია; „მსგავი მანამდე არაფერი არ ყოფილა, ლექსი მსუბუქი, ჟღერადი, მელოდიური, ჰარმონიული, ცოცხალი, ელსტიური...“ — პოულობს ბელინსკი ევიფენებს და დასძენს: „რუსლანი და ლუდმილა“ იყო „შეფოთვარე უარყოფა მათი ლიტერატურული ყურანისა“. პუშკინმა შეერიგებელი ბრძოლა გამოუცხადა კლასიკიზმის პათეტიკურ რიტორიკას და სენტიმენტალურ რომანტიზმს. იგი უარყოფდა არა მხოლოდ იმას, რასაც ეუკოვსკი, იგი უარყოფდა თვით ეუკოვსკისაც და რუსული პოეზიის წინაშე მოულოდნელ და ახალ გზებს სახავდა.

ლიტერატურული სახელი და აღიარება ახალი ნაწარმოებების სტიმულია, „რუსლანი და ლუდმილა“ მომდევნო წლები ტრიუმფის წლებია. პუშკინს უწინდებიან მიმდევრებიცა და მტრებიც, იგი თავისი შემოქმედებით არაეულ დაკანონებულ ლიტერატურულ გემოვნებასა და ავტორიტეტებს, ამავე დროს იზიდავს მათ თავისას ძლიერი, მელოდიური და გასაგები ლირიკითა და შინაგანი ძალით იზიდავს პროტესტითა და დაუთრგუნავი ბენებით. ახალი საუკუნეების თითქმის არცერთ დიდ პოეტს არ უცხოვრია მშვიდობიანად და არ შერიგებია იმ წესწყობილებას, რომელიც მის შემოქმედებითს გენიას ზღუდავდა. პუშკინის მიმზიდველი ძალა თანამედროვეთათვის პოეტის პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც მდგომარეობდა.

ამ განწყობილებათა ლოგიკური შედეგია „კავკასიის ტყვე“, რომელშიც უფრო გარკვევით იმჟამ საზოგადოებრივი მოტივი. „კავკასიის ტყვეს“ მოჰყვა „სამხრეთის პოემების“ აქტიური, თავისუფლების მოყვარული რომანტიზმი; „ბახჩისარაის შადრევანი“, ისტორიული ლეგენდა, რომლის თემა ხან-გირეის სერაფში დარჩენილმა, ქართველი ქალის საფლავზე არსებულმა თქმულებამ მისცა; პოემა „ბოშები“, რომელშიც ციგილიზაციიდან გაქცევის რომანტიკული ილუზია ერთხელ და სამუდამოდ იმსხვრევა.

1823-31 წლებში პუშკინი წერს თავის უდიდეს ნაწარმოობას, პოემა-რომანს „ევგენი ონეგინი“, რომელშიც ასახავს თანამედროვე საზოგადოების ყოფას, თავისი დროის გმირს, რუსული ლიტერატურის პირველ „ზედმეტ ადამიანს“, რომლის საზოგადოებასთან კონფლიქტიც ღრმა სოციალური და ფსიქოლოგიური საფუძვლებიან მომდინარეობს. „ევგენი ონეგინი“ ეპიქური ნაწარმოებია, რომლის არქიტექტონიკა და კომპოზიცია რომანის პრინციპებზეა აგებული. პუშკინი გმირის ასახვის მეთოდს რომანტიზმის პოემების გმირებს უპირისპირებს, იგი თავის გმირს სუბიექტურ-რომანტიულ თვისებებს არ ანიჭებს, ხატავს მას ობიექტურად, რუსეთის სოციალურ-ისტორიულ გარემოში და ამიმწურავი მრავალმხრივობით გადმოსცემს ეპოქის ხასიათს. აქაა ყველაფერი— პროვინციული მემამულეების ყოფა, მოსკოველი აზნაურების ცხოვრება, პეტერბურგის მაღალი საზოგადოების ბალები... და ამ გარემოცვაში მოძრაობს ერთგვარი ინერტიულობის ნიღაბს ამოფარებული გმირი — „ზედმეტი ადამიანი“, რომლის ტრაგედია მხოლოდ მის სულიერ უწონასწორობაში და მოუწყობლობაში არ მდგომარეობს. იგი სოციალური სინამდვილის პროდუქტია, დაუხარჯავი ენერგიის მსხვერპლი და ძლიერი პიროვნების პროტესტს საზოგადოებრივი ეთიკისა და გემოვნების დაპირისპირებით გამოხატავს. ევგენი ონეგინი „საუკუნის პირმშოა“, ისევე როგორც სტენდალის ჟიულიენ სორელი, მიუსეს ახალგაზრდა კაცი, ბაირონის ჩაილდ ჰაროლდი. იგი განზოგადებული ტიპია, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული რუსულ სინამდვილესთან და თავისი ეპოქის ინტელექტს, ეგოიზმსა და ფსიქიკას ასახავს. ონეგინი უპირისპირდება ლენსკის, მეოცნებე, რომანტიკოს პოეტს, რომელსაც რეალობის ილუზიები აღქმა ახასიათებს. იგი განყენებული, ფაქიზი გრძნობების, მელოდიებისა და რიტმის სამყაროში ცხოვრობს და დასაღუპადაა განწირული. ოღ ონეგინი პუშკინის „სულის სარკეა“, ლენსკი პუშკინის გარდასული ოცნებებია, ოცნებები, რომლებიც პუშკინს არ უარუყვია, უბრალოდ, იგი დასცილდა მათ და მკაცრ რეალობას დაუტრფდა. ეპიური სიდინჯისა და კრიტიკული მხილების პარალელურად ვითარდება უაღრესად ლირიკული მოტივი — ტატიანას სიყვარული. ტატიანა წინამორბედია იმ რუსი ქალებისა, რომელთა ლირიზმი, სულიერი სიწმინდე, ძლიერი სიყვარული და მტკიცე ხასიათი შემდგომ გონჩაროვმა და ტურგენევმა არაერთგზის ასახეს.

თვალი რომ გადავავლოთ პუშკინის შემოქმედების ალმავალ ხაზს, კანონზომიერი განვითარების დიაგრამას მიკიღებთ, დაწყებული ლიცეუმის პერიოდის ელეგიებთა და მიძღვნებით, მისი პოეზია რომანტიზმის გამოვლით თანდათანობით მკვიდრდება რეალიზმის პოზიციებზე, რაც მისი შემოქმედების ერთგვარ კანონობრივ გართულებასა და მრავალფეროვნებას იწვევს. „ევგენი ონეგინი“ ხიდია, რომელიც პუშკინს პოეტს პროზაიკოსთან აკავშირებს. ამავე დროს იგი წერს ისტორიულ ღრამებს, მოთხრობებს, ავროვებს მასალებს რომანისთვის და უფრო და უფრო ღრმად იჭრება ეპოსის საზღვრებში. მისი შემოქმედების პრობლემატიკა ფართოვდება, ღრმავდება სოციალურად და გამოხატვის უფრო მონუმენტურ ფორმებს მოითხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინი ქმნის პოემა-ზღაპრების სერიას, რომლებშიც ბავშვობიდან ნაცნობ, შემდეგ სოფელ მიხაილოვსკოში გაგონილ თემებსა და მოტივებს ამშვენებს. წერს დახვეწილი, ხალხური და მელოდიური ლექსით. საყურადღებოა ისიც, რომ მისი პოემა-ზღაპრები ისტორიზმის შთამბეჭდილებას ქმნიან, წარმოსახული სამყარო ყოფის რეალურ ვითარებებთანაა შეზავებული და არ ახასიათებს მისტიკური ბუნდოვანება და ზიში გამოუცნობისადმი.

პოეტს ინტერესებს როგორც სიტყვიერების ისტორია, ისე თავისი ხალხის ისტორია. იგი ჯელდასმით სწავლობს ზორეულ ეპოქებს, ავორეებს მასალებს ბუგაჩოვის აკანყებაზე, რის საფუძველზეც ქმნის მხატვრულ ნაწარმოებს და ისტორიულ შრომას.

1824-25 წლებში პუშკინმა დაწერა მონუმენტური, მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული ტრაგედია „ბორის გოდუნოვი". თემად აირჩია შეაღლი ხანა ივანე მრისხანეს სიკვდილსა და რომანოვების გამეფებას შორის, რუსეთის ისტორიის მძიმე პერიოდი, პოლონელთა ლაშქრობებსა და ცრუდიმიტრების უზურპაციის ხანა. პუშკინის შემოქმედების, კერძოდ, დრამატურგიისაკენ, ნიშანდღობლიი ფუისებაა ისტორიზმი, პოეტური წარმოსახვისა და ისტორიის მეცნიერული გაგების სინთეზი. ტრაგედიით „ბორის გოდუნოვი" მან ერთხელ კიდევ უარყო კლასიცისტური დრამატურგია და რომანტიზმის ცალმხრივობა. „ბორის გოდუნოვში" ნათლად გამოიხატა პუშკინის შეხედულება ისტორიაზე. კერძოდ, ხალხის ისტორიული როლი გადამწყვეტ მნიშვნელობაზე. „ბორის გოდუნოვს" მოპყვა ისტორიული ნაწარმოებები „პეტრე დიდის არაბი" და რომანტიკულ-პერიოდული ეპოპეა „პოლტავა", რომლის მსოფლმხედველობით საფუძველი „ბორის გოდუნოვში" გატარებული იდეა იყო.

ამავე დროს პუშკინი ქმნის ფსიქოლოგიური პიესების სერიას: „ძუნწ რაინდს", „მოცარტსა და სალიერის" და მის შემოქმედებაში განცალკევებით მდგომსა და ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნაკლებად დასრულებულ ნაწარმოებს „ქვის სტუმარს".

1827 წელს პუშკინმა დაწერა პირველი დიდი პროზაული ნაწარმოები, დაუმთავრებელი „პეტრე დიდის არაბი" (თავისი წინაპრის ჰანიბალის ცხოვრების ისტორია). შემდეგ — მოთხრობების სერია „ბელკინის მოთხრობები", რომელშეც საზოგადოების ყველა ფენის ცხოვრება ასახა. „ბელკინის მოთხრობები" თემატურად მრავალმხრივია; კრებულში ეხვედრით ნოველის ხასიათის ნაწარმოებებს, ან მსუბუქი იუმორის ქმნილ, რამდენადმე ვოდევილურ მოთხრობას (ბაგალოთად, „ქალბატონ ბლეხის ჯოგო"), ამავე დროს ისეთი ღრმა სოციალური ფილოსოფიის მქონე ნაწარმოებს, როგორიცაა „სადგურის ზედამხედველი". მაგრამ პუშკინის დამსახურება რუსული პროზის განვითარებაში არა მარტო „ბელკინის მოთხრობების" ღირსებაში და მის ჭკვიან, ნათელსა და უბრალო ენაში მდგომარეობს. პუშკინი „ბელკინის მოთხრობებით" ერთხელ კიდევ დაუპირისპირდა კარამზინის „საბრალო ლიზას" სენტიმენტალობას და რუსული ლიტერატურის სუსტად განვითარებულ დარგს, — პროზას თავიდანვე მისცა გარკვეული მიმართულება. პუშკინის პროზა მოიცავდა იმ საწყისებს, რომლებმაც ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, ი. გონჩაროვისა და სხვების პროზა წარმოშვა.

ოცდაათიან წლებში რუსეთში გლეხთა აკანყებები გახშირდა. აკანყდნენ არაკრეევის პათოლოგიური ფანტაზიის ნაყოფი „სამხედრო დასახლებები". ეს დასახლებები რუსეთის ერთ მთელან ყაზარად გადაქცევის უტოპიედენტო მაგალითი იყო, არაკრეევმა მოაწყო ჯარისკაცთა სოფლები, სადაც ერთი და იმავე ღროს მიწასაც ამუშავებდნენ და სამხედრო ეალდებულებასაც იხდიდნენ. ეს იყო გაორკეცებული ჩაგრა, რომლის ატანაც ადამიანურ ძალას აღემატებოდა.

აკანყებებმა, გლეხთა მოძრაობის ისტორიისა და საარქივო მასალების შესწავლამ პუშკინის შემოქმედებაში ახალი თემა შეიტანა. იგი წერს „სოფელ გორიუხინის ისტორიის" წერას, წერს „ტუბროსკისს" და ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ პროზაულ ნაწარმოებს „კაპიტანის ქალიშვილს".

არსებობდა ოფიციალური აზრი, რომელსაც პუშკინმა „პუგაჩოვის აკანყების ისტორიაში" თავი ვერ აარიდა, მაგრამ მასალის ღრმად შესწავლამ შემოქმედის წარმოსახვაში ჩამოაყალიბა რეალური პიროვნების სახე, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებში ხორცი შეასხა. „კაპიტანის ქალიშვილში" ტიპიზაცია სრულყოფილად აყვანილი. პუგაჩოვი არა მარტო მრისხანე შურისმგებელი და თავაშვებული ბრბოს წინამძღოლი, იგი ზოგადლიტერატურული გმირია, რომელიც უბრალო, ბატონყმობის უღელქვეშ მგმინავი რუსი გლეხის ხასიათს გამოხატავს. პუგაჩოვი კეთილია, ირონიული, მოარაკე, ცოტათი მოფილოსოფოსო და ხალხური ცბიერებით დაბრძენებული. მას შეუძლია ბევრი მოითმინოს; მოითმინოს მანამ, სანამ ადამიანს მოთმინება ძალუძს, მაგრამ მაშინ, როცა გადაწყვეტს იმოქმედოს, მისი დაგებებული ენერგია საშინელია და ყველაფრის შემმუსვრელი. ამავე დროს იგი კეთილია ჩვეულებრივი ადამიანის სიკეთით და ბოროტია ადამიანური ბოროტებით. მას შეუძლია სიკეთე გადაუხადოს და შეუძლია ბოროტებაზე გაითაკეცებული ბოროტებით უპასუხოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონყმობის ლიკვიდაცია, რომელიც ლიბერალური კომბატანტებისა და საიდუმლო კავშირების მსჯელობის საგანი იყო, პუშკინმა ლიტერატურის თემად აქცია და შექმნა მხატვრულად სრულყოფილი ლიტერატურული პორტრეტი, რომლის მიღმაც გენიოსი შემოქმედის საოცარი წინასწარგანჭვრეტის უნარი იმალებოდა.

*

პოეტის ცხოვრების უკანასკნელი წლები დიდი შემოქმედებითი ნაყოფიერებითა და ყოფის დრამატიზმით აღინიშნება. ნიკოლოზ პირველი და ბენკენდორფი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ პუშკინის გადაქცევა კარის პოეტად შეუძლებელია, რომ იგი არამც თუ ტრედიაოლესკი, ჟუკოვსკიც კი არ არის და მისი თავისუფალი გენია არ შეიძლება შეიზღუდოს სამმპერატორო ცენზურით. ამავე დროს პოეტის აუტორიტეტი ისე გაიზარდა, რომ მისი ხელოვნებით თავიდან მოცილება ან გადასახლება თითქმის შეუძლებელი იყო.

ბაირონი ინგლისის არისტოკრატიამ სამშობლოდან განდევნა და ბაირონის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის მეფე გეორგ V, რომელიც პოეტის საწინააღმდეგოდ პამფლეტებსაც კი წერდა, ეგრეთწოდებულ „ანტიბაირონს". ნიკოლოზ რომანოვს პამფლეტების წერა არ შეეძლო, ალმოსავლეთის დესპოტი, რომელიც ნიკოლოზ ტურგენევის აზრით „ფეოდალური პირველი ღამის" უფლებების გამოყენებაზეც არ ამბობდა უარს, პოეტის წინააღმდეგ ჭორის, ცილისწამებისა და დაბეზღების ამორალურ ტაქტიკას იყენებდა.

პუშკინის ცხოვრების ამ წლების დახასიათება მ. ლერმონტოვის სიტყვებით შეიძლება — «Невольник чести», ამაყი, თავმოყვარე და რამდენადმე თავშეუკავებელი პუშკინი ღირსების ტყვე იყო და ღირსებისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

1834 წელს იმპერატორმა პუშკინს კამერიუნკერის წოდება უბოძა (წოდება, რომელსაც ჯაბუკებს ანიჭებდნენ და 35 წლის პოეტს სრულებით არ შეეფერებოდა). იმპერატორს სურდა პოეტის ცოლი ნატალია გონჩაროვა თავის სიახლოვეს ჰყოლოდა.

თუ გადავალებთ თვალს მწერალ ვერესაევის მიერ მოგონებებულ პუშკინის თანამედროვეთა — სოლოგუბის, ვიაზემსკის, ნაშჩოკინისა. და სხვების მოგონებებს, ნათლად დაეინახავთ, როგორ იკვრებოდა პოეტის ირგვლივ გრძნეული რკალი, როგორ ითრევდა მას ცილისწამების, ეჭვისა და შელახული თავმოყვარეობის მორევი და პუშკინს უკვე აღარ ჰყოფნიდა უნარი ეფლგრილად განესაჯა შექმნილი მდგომარეობა, მას თითქოს სჯეროდა ცოლის უდანაშაულობა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი იყო არა ფაქტი, არამედ შექმნილი მდგომარეობა. „ღირსების ტყვეს" ღირსების რეაბილიტაცია სჭირდებოდა, რათა არ დაცემულიყო ყალბი მორალის მჭრე საზოგადოების თვალში. და იგი დაღუპა გადამთიელისა და „არისტოკრატი — ფატის" დანტესის ხელით, რომელიც ისტორიაში ჩაედინა ბორტეანის წყალობით მოხვდა, ისევე როგორც რამდენიმე წლის შემდეგ მეორე „არისტოკრატი" მარტინოი. არც ერთი მათგანის არსებობა არავისთვის არ იქნებოდა ცნობილი, რომ ისინი ბრმა იარაღად არ გაოჰაქციულყვნენ და ნებისთი თუ უნებლიე სამსახური არ გაეწიათ თვითმპყრობელობისათვის. მათ შეაფერხეს რუსული კულტურის განვითარება, მაგრამ ის, რასაც ბელინსკი „ეპოქის სულს" უწოდებს, უკვე შეიქმნა. შეიქმნა ახალი რუსული ლიტერატურა, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ი. ტურგენევის, ლ. ტოლსტოის ლიტერატურა.

სერგი ჭიღვარია

სიმონ ჩიკოვანი

სიმონ ჩიკოვანი გამოჩენილი საბჭოთა პოეტია, ერთ-ერთი გახმაურებული პოეტი ჩვენი ქვეყნის მიღმაც. სავსებით ნათელია, რომ ასეთ სახელს პოეტი ვერ დაიმკვიდრებდა, თუ არ ექნებოდა დიდი და ორიგინალური პოეტური საბაყარო. და, მართლაც, ვინც სიმონ ჩიკოვანის ლექსებს დააკვირდება, ადვილად აღმოაჩენს ორიგინალურ პოეტურ სულს, რომლითაც ავტორი ჩვენს გაოცებას იწვევს, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით მას.

არიან პოეტები, რომლებთანაც მათს თანამედროვეებს დავა აქვთ. თუ ვის მხარეზეა სიმართლე, უფრო გვიან ირკვევა ხოლმე უკვე თანამედროვეთა მონაწილეობის გარეშე, ე. ი. ამ დავას ისტორია ირკვევს.

არიან ისეთი პოეტებიც, რომელთა შეფასებისას თანამედროვეები ორ ბანაკად განაყოფიერნიან. ერთნი აქებენ, მეორენი კი აკრიტიკებენ და ედავებიან პოეტს. სიმონ ჩიკოვანი თავისი განცალკევებული პოეტური გზით უფრო განეკუთვნება პოეტების მეორე ჯგუფს.

სიმონ ჩიკოვანი თავისებური პოეტური ბილეკებით შემოვიდა ქართულ პოეზიაში. მისი პირველი პოეტური ინტონაციები ყალიბდებოდა იმ რთულ ლიტერატურულ პერიოდში, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს მოჰყვა. ამ იდეური ბრძოლის დღეებში ს. ჩიკოვანი მთელი თავისი პოეტური სულითა და პათოსით ახლო იყო საბჭოთა სინამდვილესთან, რევოლუციასთან, მაგრამ ამ სურვილის პოეტური გამოთქმის ხერხები, პოეტური ჩანაფიქრის საშუალებები ფუტურიზმის ფორმალური გაგლენების ტყვეობაში იმყოფებოდა. უფრო მეტიც: ს. ჩიკოვანი საქართველოში ფუტურიზმის ლიტერატურული ხერხებისა და პრინციპების პროპაგანდისტთა მეთაურად გვევლინებოდა.

თავისი პირველივე პოეტური ქმნილებებით ჩაება იგი იმ იდეურ და პოეტურ ბრძოლებში, რომლებიც 20-იანი წლების ქართულ წმერლობაში მძაფრ სახეს იღებდა. სუბიექტურად, პოეტური მისწრაფებებით ამ დიდსა და გადამწყვეტ ლიტერატურულ ბრძოლაში ს. ჩიკოვანი მხარს უჭერდა ყოველივე ახალს, რევოლუციურს, პროლეტარიატის სახელთან დაკავშირებულს, და ებრძოდა ყოველივე დრომოჭმულს, უნიადაგოს, ხალხის ინტერესებს დაცილებული პოეზიის გზასა და პრინციპს.

ეს გარემოება კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ს. ჩიკოვანის პოეტურ ფიგურას მისი შემოქმედების დასაწყისის პერიოდიდან.

ს. ჩიკოვანი რთული პოეტური აზროვნების მხატვარია, იმდენად რთული, რომ ერთბაშად ძნელი ასახსნელიც კი არის მისი პოეტური საბუები და ჩანაფიქრები. განსაკუთრებით ეს ითქმის პოეტის ადრინდელ ლექსებზე. აქ მხედველობაში მისაღები წიგნერობა, ლიტერატურული ზოგადი განათლება, რომელიც პოეტის პირველსავე ლექსებში- გამოვლინებული. ვინც ამ მხრივ დაკვირდება ს. ჩიკოვანის შემოქმედებას, იგი ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ს. ჩიკოვანის პოეტური სამყარო მეტად რთული.

არიან პოეტები, რომლებიც უშუალო პოეტური შთაგონებლებითა და პოეტური განცდით გვიტაცებენ. არიან პოეტურ შთაბეჭდილებათა ტიპის მხატვრები, რომლებიც ერთბაშად აღიქვამენ საგნებსა და მოვლენებს, მათ პოეტურ აღქმას ახდენენ გრძნობის სფერში, შთაბეჭდილებათა ფიქსაცია — უშუალოდ გრძნობიან სამყაროში გადატანილს—ასევე უშუალოდ გვაწვდიან. არიან მეორე კატეგორიის პოეტები, რომელთათვის დამახასიათებელია გონების თვალით აღქმა და „წიგნიერ პრიზმაში" გადატანა საგნების და მოვლენებისა. ყველაფერი ეს თავისებურად გამოხატულია პოეტურ განცდათა სფეროში. ეს ორი სხვადასხვა გზაა მწერლობაში, კერძოდ, პოეზიაში. ეს ორი სხვადასხვა ხერხი და მანერა, ამავე დროს, პოეტური აზროვნების ორი ტიპიც ამის მიხედვით ისახება. ჩვენ აქ საუბარი გვაქვს, თუ შეიძლება პირო-

ბითად ითქვას, პოეტების ორი ჯგუფის, ორი ტიპის შესახებ. რასაკვირველია, ეს ერთგვარი სქემაა და, როგორც ყოველგვარ სქემა, მეტად განსაზღვრული. არც ერთ ამგვარ სქემაში აბსოლუტურად არ თავსდება ამა თუ იმ პოეტის რთული სამყარო.

ს. ჩიქოვანის პოეტური გზა სწორედ იმ სიდუმლოებათა ძიების გზაა, რომლითაც პოეტი თავის ჩანფიქრს მკითხველს უზიარებს. ამ ძიებაში ცოტა ოდი იყო მცდარი, ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელი, მაგრამ ამ ძიებაში ნათლად ვლინდებოდა დიდი ლიტერატურული განათლება და პოეტური სამყაროს სირთულე. და თუ ჩვენ ს. ჩიქოვანის მიერ განვლილ პოეტურ გზას ერთგვარი ეეოოლეციის თვალით შეეხედავთ, მაშინ ნათლად შეგვიძლია გავაჩიოთ პოეტური შემოქმედების ორი პერიოდი.

პირველი პერიოდი ს. ჩიქოვანის შემოქმედებისა ფუტურიზმის ლიტერატურული პოზიციებით წარიმართა. აქ საკმაოა ერთი შენიშვნა გავაკეთოთ: საქართველოში ფუტურიზმი მაშინ შემოვიდა, როდესაც ამ ლიტერატურულ სკოლას თავისი გზა უკვე გაელილი ჰქონდა იტალიასა და რუსეთში და ლიტერატურულად ფუტურიზმის რაობა სავსებით გამომქეანებული იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ლიტერატურული სკოლის საჯაროდ აღიარება და შემოსვლა დაუკავშრდა იტალიური და რუსული ფუტურიზმის იმ გარეგან, მყვირალა მეამბოხე ხასიათს, რომელიც ჩვენს ფუტურისტებს თითქოს რევოლუციასთან აახლოებდა. განსაკუთრებით უნდა ეთქვათ ეს რუსული ფუტურიზმის შესახებ. მაგრამ, მეორე მხრით, ამ დროს უკვე საკმაოდ ნათელი იყო, რომ ფუტურიზმმა, როგორც სკოლამ, ლიტერატურაში ვერაკვითარი კვალი ვერ დატოვა და მთელი მისი ფორმალისტური ენნდელორობა გაუზიარებელი დარჩა მკითხველთათვისაც და მწერლობისთვისაც. ეს უკვე საყოველთაოდ ნათელი იყო. მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში მწერლების ერთი ჯგუფი მანც მიუბრუნდა ფუტურიზმის განვლილ გზას.

რით უნდა იიხსნას ეს გარემობა?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები აღინიშნა მწვავე ლიტერატურული ბრძოლით. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ამ ნიშნით: იღებდა მწერალთა ჯგუფი რევოლუციას, საბჭოთა საქართველოს, თუ მასთან კონფლიქტი, ბრძო�o ჰქონდა. ამის მიხედვით იყოფოდნენ, უმთავრესად, ამ პერიოდის ლიტერატურულ სკოლები. რასაკვირველია, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დუმდნენ, ყოყმანობდნენ, არ ესმოდათ ახალი. რევოლუციური და. განზე გამდგარნი, მწვავე ლიტერატურულ ხელჩარიოულ ბრძოლაში თითქოს არ მონაწილეობდნენ. სწორედ ამ ვითარებაში წარმოიშვა საქართველოში ფუტურისტული სკოლა. სუბიექტურად ამ სკოლამ თავისი პოეტური კრედო თითქოს რევოლუციას დაუკავშირა, ისინი შეედომით თვლიდნენ, რომ ახალ მწერლობაში (ლაპარაკია საბჭოთა მწერლობაზე) ოქტომბრის რევოლუციის ანალოგიით ოგივე ოპერაცია უნდა ჩატარდეს, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა. რაკი ოქტომბრის რევოლუციამ უკუგადო ძველი, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემები, ამიტომ ახალი საზოგადოებრივი წყობილება, საბჭოთა ხელისუფლება, სრული ანტიპოდია ძველი საზოგადოებრივი პოლიტიკური სისტემებისა. ამის ანალოგიით მწერლობაშიც უკეგდებული და უარყოფილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი ის, რაც გაკეთდა ძველ საზოგადოებრივ სისტემებში, უნდა შეიქმნეს სრულიად ახალი ტიპის, ახალი ყაიდის მწერლობა განთავისუფფუნეთ ძველი ლიტერატურული სამუშაოებისაგანო, — აცხადებდნენ ფუტურისტები. და ეს გარეგნული პრეტენზია ქართველმა ფუტურისტებმა ძველ ფუტურისტულ სკოლას მოარგეს.

როგორც ცნობილია, პირველად ლიტერატურაში ყველაზე მწვავედ კლასიკური მწერლობისაგან გამიჯვნისა და სრულიად ახალი ტიპის მწერლობის შექმნის საკითხი სწორედ იტალიის ფუტურისტებმა წამოაყენეს. მომავლის მწერლობის შექმნის ეს პრეტენზია დონკიხოტური აღმოჩნდა. ამ გაკვეთილის მიუხედავად, ქართველი ფუტურისტები ფუტურისტულ-მხატვრულ პოზიციას საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიუბრუნდნენ სწორედ იმის იმედით, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება იძლეოდა ამგვარი ანალოგიების გატარების საფუძველს მწერლობაში. მათი შეცდომა სწორედ აქედან წარმოდგებოდა.

არც ერთ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც კი მთელისად უკუგადებდა მანამდე შექმნილ მწერლობას, არაფერი ხეირიანი არ შეუქმნია და საზოგადოებაში მომხრეები არ უპოვია. ეს ნამდვილად შემოწმებული ფაქტი იყო და აქეთკენ მიბრუნება, რასაკვირველია, წინასწარ განწირულად უნდა იქნეს მიჩნეული. როგორც ვთქვით, ეს მანც მოხდა ქართულ მწერლობაში სწორედ ფუტურისტების თუ ლეფელების სახით. და ეს იყო მათი მთავარი შეცდომა.

ამ ჯგუფის ყველაზე გამოჩენილი ფალავანი ს. ჩიქოვანი იყო და მისი პიტარის გზაც ფუტურისტულ შეცდომებსა და მონაპოვარს ყველაზე ტიპიურად ამეკვენებდა.

ვინც ს. ჩიქოვანის ადრინდელ შემოქმედებას დაუკვირდება, ადვილად აღმოაჩენს მასში წინააღმდეგობას ფორმასა და შინაარსს შორის. ამ წინააღმდეგობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ს. ჩიქოვანმა სცადა ადრინდელ ლექსებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტურისტული პოეზიის გარეგნული, ფორმალისტური სამსლეი მოერგო რევოლუციური შინაარსისათვის. ასე მექანიკურად დაეკაკვშირა მან რევოლუციური იდეები ახალი ცხოვრების პათოსს. ეს გარეგნული მორიგება ქმნიდა სწორედ იმ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც ჩვენი პოეტის ადრინდელი ლექსებისთვისაა დამახასიათებელი. ამ მკაცრ წინააღმდეგობათა ფორმებში ს ჩიქოვანი მიინც, — მისი პირველი პერიოდის ლექსების მიხედვით, — მბრძოლი, შეტევითი განწყობილებებითა და ინტონაციებით გვეკლინება. ამ პოზიციის მიხედვით იგი მთლიანად და სავსებით ემყარება ახალი რევოლუციის სამყაროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ს. ჩიქოვანისათვის არ არსებობდა პრობლემა რევოლუციის მიღებისა, საბჭოთა ხელისუფლების აღიარებისა. პირიქით, პოეტი თავის პირველსავე ლექსებში რევოლუციის უტტარმიმბრაფდ გვეკინებოდა და თავისთავს რევოლუციის ჭეშმარტ პოეტად თვლიდა, ამ პოზიციებიდან უტეცდა ყველას, ვინც კი არ იზიარებდა რევოლუციის გზას, — უტეცდა დაუნდობლად და სასტიკად.

ს. ჩიქოვანის ადრინდელი ლექსები ყველაზე უფრო ტიპიურად თავმოყრილი და დალგებულია 1930 წელს სახელგამის მიერ გამოცემულ ლექსების კრებულში, რომელსაც ჰქვია „მხოლოდ ლექსები“.

ეს წიგნი ერთგვარად აჯამებდა პოეტის მიერ განვლილ პირველ ხუთ წელს. იმ წელს კი, როდესაც კრებული დაიბეჭდა, პოეტი უკვე ადარ იცავდა პრინციპულად ფუტურიზმის ტიპიურ გზას, რომლითაც შემოვიდა იგი ჩვენს პოეზიაში.

ხსენებულ წიგნს თანდართული აქვს შესავალი წერილი, სადაც ნათქვამია: „თემატურად კრებულის ზოგიერთი ლექსი უკვე განვლილი ხანაა ჩემთვის. მათი პროპაგანდა ავტორს სპეციალურად ადარ მიაჩნია, მაგრამ წიგნის მთლიანობისა და პოეტური განვითარების აღსანუსხავად კრებული იტეკვს წმინდა ლირიკული ხასიათის მასალებს და ექსპერიმენტალური ცდების ნიმუშებსაც. ეს წიგნი ბრძოლა სიტყვისა და თვის დამორჩილების ასპარეზზე, ამიტომ ის ნოვატორული მოვლენაა ქართულ პოეტურ მეტყველებაში, თანადროულობის თვალსაზრისით წაგს რევოლუციური თემატიკა მიეძღვის წინ, ხოლო ლექსალობით ის ოთხივე განყოფილებაში რეკონსტრუქციული ცდაა ქართული მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით“.

ამ ამონაწერში ორი გარემოება იპყრობს ჩვენს ყურადღებას: პირველია ის, რომ პოეტი რევოლუციურ თემატიკას თვლის თავისი წიგნის მთავარ მიღწევად, ხოლო, მეორეც, პოეტი მხატვრულ, ფორმალურ პოზიციას ოთხივე განყოფილებისთვის, ესე იგი მთელი წიგნისთვის, მიიჩნევს რეკონსტრუქციულ ცდად ქართულ მწერლობის ტრადიციებთან შეფარდებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეტის აზრით, მისი ნოვატორული წერის მანერა იმაშია, რომ კლასიკურ მწერლობასთან შეფარდებით ეს პოზიციაა ახალი და განსხვავებულია.

„მხოლოდ ლექსები“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს რევოლუციური პათოსით. პოეტი დაუნდობლად ებრძვის ყველა პოეტს, რომელსაც რევოლუციის მოწინააღმდეგის პოზიცია აურჩევია. ასეთი შინაარსისაა ლექსები: „ჩემი სტაყვა მემარცხენეობის დისპუტზე“, „მიძღვნა ახალ პოეტებს“, „ჩემი სტყვა ჩემს შესახებ“, „გაბაასება ახალ მკითხველთან“. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის პროლეტარიატის, რევოლუციური საქართველოს პოეტია, მისი მხატვრული:

მე ფუტურიზმი ბრძოლა კიევლით
რევოლუციის ძარღვებში ნაშთი
მე ჩამოსული, მწერლის კიბიდან,
პროლეტარების სიღრმეში გაეჭრდი.

უფრო ქვემით კი პოეტი ფართოდ განმარტავს, რომ იგი ასრულებს დროის ეპოქის ბრძანებას, „ლექსებს დაიურთე ოქმის ნახეი“, ვარ მუშების, მებრძოლების პოეტი, მე ახალი დროების, ახალი გმირების მხატვარი ვარო, — არაერთხელ იმეორებს პოეტი ამ სიტყვებს. ამ ფრაზებს, ამ აზრებს და ა. შ. ეტეკვ ყველა მოწინააღმდეგეს. ჩვენთვის ვასაგებია ავტორის დაუოკებელი შეტეკვა მემარჯვენე პოეტებისადმი. რევოლუციის პოეტი აღშფოთებით კითხულობს: სანამ უნდა ისისინოს მემარჯვენეობამ, მოლექსეები გამოფიტულ ძალებზე უკრავენ „ცოტრ ჰანგებს“, მათს ლექსებს ჯობის სენი. შმორის სენი ასდის, ჩვენ, მებრძოლნი, მეფრშენი მემარცხენეებისა ვერ ვითმენთო მსუბუქ ლექსებს, ოთახისა და სიყვარულის ამ გამოფიტულ პოეზიასო.

პოეტი ამტკიცებს, რომ იგი, ისევე როგორც მაიაკოვსკი, ფუტურიზმიდან პროლეტარიატთან მოვიდა და ბოლომდე დარჩება მისი ერთგული. მე მინდა ხალხს დავუტოვო სიტყვა მართალი, რომელშიაც გადმოცემული იქნება „ახალი დროის სუნთქვა, აზრი დროებისაო“. მიმართავს რა ძველ პოეტს. ხალხისაგან განდგომილ პოეტს, რომელიც „უცნოეთში ნასესხვ ხმას ფლ ნიღაბს“ ატარებს, ავტორი აკვნის: „შენ, მიგდებული და ნათრევი ჯაგლაგ ცხენივით. სკადე ქაღალდზე ძველი ხმების ლექსად ზეკრება“. ჩვენგან შენ გამოხვალ დამარცხებულიო. ამ იდეურ ბრძოლაში პოეტი ამაყად აცხადებს: „შენ ფოტორიოდან ხარ, მე ფოლადით გამოვითალე, შენ ეტრფი ჯორს და უცხოელ მტერიან ჭიანურს. მე მინდა ხალხს დაეუტოვო სიტყვა

მართალი, დ-ვემეტ აზრს გამეჭიახსა და ადამიანურს“.

ამ ადრინდელ ლექსებში მკითხველი აღვილად იგრძნობს დიდ ტკივილებს, დაინახავს დიდ პრობლემებს, რომლებსაც აყენებდა ჩვენი ეპოქა. აქ არის მებრძოლი შემართებაც, ცხოვრების მეღელვარე ცენტრში ყოფნის სურვილიც და გაწწყობილებაც. ერთ ადრინდელ ლექსში „მიძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს“ პოეტი აცხადებდა, რომ, მართალია, ჩემი ლექსები რთულია, მწერნობიერი, ისახსნელი შარადებივით, მაგრამ მე ახლა ცხოვრების ქუდი გამოვიცვალე და ვარ ამ საუკუნის საყვირი: მადლობა შენ, ჩემო წინამპარო, შენ მშვიდი ხარ და მე ისარი, ბრძოლას შეეადგენთ გამოგონებულს და შენს სისხლს, ჩემს ძარღვებში რომ დგას, შთამომავლობას მე დავუმტკიცებო. ცხადია, ამ ლექსის მთელი მხატვრული სამოსელი ბუნდოვანია, პოეტის პრეტენზია დაუსაბუთებელია, მაგრამ საქმე ისაა, რომ პოზიციერად პოეტის განცხადება, — რომ იგი ბარათაშვილის მებრძოლ ინტონაციებს აეთვარებს, — მაშინ მეტად გაბედული ნათქვამი იყო. ასეთსავე მიდრეკილებას ეხედავთ ლექსების ციკლში, რომელიც პოეტმა მყინვარს მიუძღვნა. მყინვარის შესახებ პოეტი იმ აზრითაა, რომ ნამდვილი შემოქმედი მხოლოდ ის არის, ვინც ხალხთან ახლოს დგას, ვინც ხალხის ცხოვრებით სულდგმულობს. მყინვარი, რომელიც გაშდგარა ხალხისაგან, არ შეიძლება იყოს პოეტის თანაგრძნობის საგანი, და მიმართავს მას თხოვნით, დაუბრუნდეს ბარს, ხალხს ხმაურს ყური დაეგდოს, ხალხის აზრით განიმსჭვალოს. მე ამ შემთხვევაში, როგორც ილია, იმ აზრისა ვარ, რომ ცივი ხარ შენ, ხალხისაგან შორს მყოფიო, — ამბობს პოეტი.

1926 წელს ს. ჩიქოვანი ბარათაშვილსა და ჯაჭვაოძეს თავის წინამორბედებად აცხადებდა:

მე საქართველო გამხმარ მხრეზზე ფრთასავით
მაძეგს
და გულის ფიცარს დაეწერა კითხვა მრავალი,
ბარათაშვილის და ჯაჭვაოძის
მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი.

როგორც ვთქვეთ, პოეტი ამ რიგის ლექსებში დიდად ეხმაურებოდა ჩვენი მეღელვარე ცხოვრების კითხვებს და ასახავდა ეპოქის ტკივილებს, ოღონდ ზხატვრული ხერხებით, ფორმით, ხშირ შემთხვევაში — პოზიციითაც ფუტურიზმის ტენეიობაში რჩებოდა და კლასიკური მწერლობის ტრადიციებსა და პრინციპებს ემიჯნებოდა. თუ ერთ შემთხვევაში ს. ჩიქოვანი თავისთავს აცხადებდა ბარათაშვილისა და ჯაჭვაკაძის გამგრძელებად, მეორე შემთხვევაში, არაფრეთად, კლასიკური მწერლობის ტრადიციების წინააღმდეგ გამოდიოდა. ამის ანასხლეტი ჯერ კიდევ იმ ლექსში ჩანს, რომელსაც ეწოდება „მიბაძეკა მერანს“. ეს გაწწყობილებანი უფრო ღლიერად წარმოდგენილია იმ მოტივებში, რომლებსაც მაშინ იცავდა პოეტი.

ს. ჩიქოვანი თავის ადრინდელ შემოქმედებაში ლირიკული პოეზიის წესებისა და კანონის წინააღმდეგ გამოდიოდა. ასე, მაგალითად, ერთ ლექსში, რომელსაც ჰქვია „მოწოდებასთვის“, ნათქვამია: „ყოველ ნაზ ჩანგურს დაეწყვიტეთ სიმი და მკედარ ღიმილსაც ჩამოეხსენით, ძველი გრძნობების დავაძროთ ფესვი და გადავფეროთ ცხოვრების ღელეს, მოქალაქენო, ტუჩები შეექმნათ, ახალი გეგმა აეწროთ მისსლით, დავარტყეთ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი. გაიწმინდება წარსულის ფერი და გაიმაღალეგეს ახალი ლექსი“.

აქ ერთგვარი დაპირისპირებაა ლირიკული ლექსისა და ახალი ფუტურისტული ლექსისა. ამ დაპირისპირებაში პოეტი ფუტურიზმის ნიჰილისტური პოზიციების დამცველად გამოდის. ხანდახან იგი უფრო უკიდურეს საზღვრამდე მიდიოდა და ძველ ლირიკოსებს მძაფრად უტევდა. ლექსში „ბულბულიანი“ პოეტი ამტკიცებდა, რომ „ბულბული დაჯდა წარსულის ძვლებზე და იწყო ყივა ინდუსტრიაზე, სტვენით, გალობით აზრებს მარცვლავდა, ხან მეეროდა, ხან კი ტიროდა. მაგრამ ბულბულის გზების გამოცვლას არავინ გრძნობდა, არავის სჭირდოდა...“

როცა ამ ლექსებს ეკავრებით, აშკარა ხდება პოეტის ნიჰილისტური დამოკიდებულება წარსული პოეზიისადმი, ხოლო, როდესაც ეამბობდით, რომ ასეთივე ნიჰილისტური ანასხლეტი გვაქვს კლასიკოსების მიმართ, ვგულისხმობდით ლექსს „ეარბორიას“, სადაც ერთგვარი ცინიკური ტონი იგრძნობა „მერანის“ **აეტორის** მიმართ. აი ეს ადგილიც: „მერანი, ალვარი, მინდორი, უზნაგი სულ ნაქურდალია, **ფუტურო**, ფოტრო, ცაშორი, ჩხრიალი ჯაბდაბას, ჰე, გზაო, ნაკლებო, გზას მისდევს გაკვალულს ებითნს, უძახე მარეულ, იჩქარე ტორეში, ცა მოინადირე, გამიმზრდელ ოგონებს, მუეუზოით **გამიმხმარ** ბებიას“. ადრინდელ ლექსებში ასეთი ფუტურისტული შეკამათებანი არაიშვიათია.

სიმონ ჩიქოვანს აქვს ლირიკული ლექსებიც. საინტერესოა 1927 წელს დაწერილი **ლექსი** „მგზაურის სიმღერა“. აქ პოეტი შეუყვარებულს ჰპირდება, რომ არ უღალატებს მას, ამ ქალის სეედა და სიყვარული მის გულში ღრმადაა დამარხული და იგი ახლა მიემგზაურება სადგურზე, რომ დრიზე შეხვდეს შეუყვარებულ ქალს: „ალბათ ვიქნები სადგურში დროზე, ჩაქერნენ მინდვრებში ჩრდილნი მთებისა, შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე, გამხადე ღირსი ყურადღებისა“. ასეთივე კარგი ლირიკული ლექსია „მიძღვნა უკანასკნელს“. მაგრამ აქაც, ლირიკულ-სატ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რფიალო ლექსებშიაც მოეძებნება ს. ჩიქოვანს ფუტურისტული უხეში ეპითეტები, ვულგარული გამოთქმები.

ს. ჩიქოვანის ლექსები, რომლებსაც ავტორმა ორკესტრული ლექსები უწოდა, სავსებით გაუგებარი და დანისლული იყო მკითხველისათვის. აი, ერთი ადგილი ამგვარი ხასიათის ლექსიდან:

ღრომი, ურემი, ღამფრა, ღობი,
არხი, ბობი, ბუერი.
დღეს დღი
მღორე დოღი
ავღირე
გურაგელი ბამბა ბუნდი
გურაგელი მორგი ბორგი ვერაგელი
გურაგელი ქუფრი მორბო კუბრი
გურაგელი შორი შური გეიმრა იბრო.

პირდაპირ ჯაფა უნდა დაატანოთ თავს, რომ ამ ლექსის წაკითხვის სურვილი გერ მოგიდესო. ამ ლექსს მკითხველი მეორეჯერ ვერ წაიკითხავს, ეს ადრინდელი ცდები ფუტურისტებს პრინციპულ პოზიციამდე აპაჯდათ. ეს იყო დაკონებული ძიება ისეთი ორკესტრული ლექსის შექმნისა, რომელიც ეფუძნებოდა ვითომდა ბგერათა კეთილხმოვანებას. ეს სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობა შეცვლილია, ამასთანავე პრინციპშია აყვანილი უაზრო სიტყვების გამოგონება. მთელი ეს ცდა ამაო აღმოჩნდა. თვითონ ს. ჩიქოვანი სულ მალე დარწმუნდა ამ უაზრო ექსპერიმენტების უფაფრისობაში. ისიც უნდა შენიშნოთ, რომ ს. ჩიქოვანს ამ თავსატეხი ლექსების გვერდით ჰქონდა ნამდვილად პოეტური ლექსები, დაწერილი ჯერ კიდევ 1924—26 წლებში. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლექსები „ხალხური“ და „დამნაშავე ის არ არის, არა“.

აი, ერთი სტროფი:

გელოდი, ბოლოს ეზოზე
გადმოვდეკ, წინ კი ჯალა,
თვალმა სანამდი გიმზიროს,
ლოდინნი ხათაბალაა.

აქ ჩანს ფორმის სისადავის გრძნობა პოეზიაში. ამ ტიპის მაგალითები იმაზე მიუთითებენ, თუ რა წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება. პირველ ყოვლისა, წინააღმდეგობრივი ხასიათი ელინდებოდა ფორმასა და შინაარსს შორის, მწერლის იდეურ პოზიციასა და მი ბიი გამოხატვის საშუალებებს შორის.

ს. ჩიქოვანის შემოქმედება შეიძლებოდა კლასიკური ლირიკის ტრადიციების განვითარებით წარმართულიყო, მაგრამ ამ გზას პოეტი შეგნებულად უკუაგდებდა.

იდეური და ლიტერატურული პოზიციების ამავე წინააღმდეგობრივი ბუნებით უნდა აიხსნას, ჩვენი აზრით, ს. ჩიქოვანის ადრინდელ ლექსებში, ერთი მხრით, კაკბირის ძიება კლასიკური მწერლობის ისეთ წარმომადგენლებთან, როგორიც არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე, ხოლო, მეორე მხრით, დაპირისპირება ძველი კლასიკური პოეზიის ხერხებთან და ტრადიციებთან. ეს დაპირისპირება მეტ წილად აიხსნებოდა პოეტის მიერ ახალი, საბჭოთა პოეზიის პრინციპების მცდარი გაგებით.

სიმონ ჩიქოვანს რატომღაც ეგონა, მუშათა კლასის სამსახურში ჩამდგარ პოეტს ღრმად სწამდა, რომ

მუშას არ უყვარს ბულბული,
არც ბულბულს უყვარს მუშის ხმა.
ამიტომ მოკვდა ბულბული,
ამიტომ ვარდი ჩამოხმა.
(„ხასიათი და სიმღერა“).

რასაკვირველია, დღეს ვისთვის არ არის ნათელი ამ „დებულების“ უსაფუძვლობა. მაგრამ მაშინ, როცა ზემოთ მოტანილი სტროფიანები იწერებოდა, ცოტას როდი ესმოდა ასე ყალბად პროლეტარული პოეზიის ესთეტიკური საფუძვლები. სწორედ ამ ყალბ თვალსაზრისს ემყარებოდა მუშათა კლასის მეხოტბე პოეტი, როცა კატეგორიული ტონით აცხადებდა:

ქუსლი დავადგი სიყვარულის ხატს,
კლასიკურ ვგრიგს, ეპიურ ტილოს,
მე თვით დავთხრიმ ბულბულიანის ნაკლექებ
ხმას
და ჩემ ძველ ტკივილს მე თვით გავხდი დღეს
სასაცილოდ.

(„პოეტის საქმე“).

ეს ნიჰილისტური დამოკიდებულება კლასიკური პოეზიისადმი, მოტივებისა და თემების სხვანაირ ასპექტში დაყენება თითქოს გამარჯვებული იყო ახალი დროის მოთხოვნილებით. „ოქტომბრის შვილი“ ახალი ყაიდის პოეტის მოწოდებად თვლიდა მუშათა კლასის სამსახურს და ამ სამსახურს შემდეგნაირად წარმოიდგენდა:

მე ეხლა მინდა იარაღად ლექსიც გამოდგეს,
რეფხავდეს სიტყვას საუკნეებზე მორჩენილ
ლაქებს,
იბრძოდეს ლექსი ხუთწლედებში
გამუდმებულად,
როგორც დამკვრელი და მოქალაქე.
(„პოეტის საქმე“).

პოეტის ეს მოწოდება სავსებით ნათელია და ბუნებრივი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ „მეკვარი მოწოდების პოეტს უარეყო ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასიკური პოეზიის ტრადიციები. რასაკვირველია, არა. და შეცდომაც სწორედ ის იყო, რომ სიმონ ჩიქოვანი ახალი დროის პოეზიის ესთეტიკურ პოზიციას უპირისპირებდა ძველი კლასიკური მწერლების პოზიციებს. ამ დაპირისპირებაში იყო ის წინააღმდეგობრივი გზა, მთელი სისრულით გამოვლინებული, რომელმაც პოეტი ფუტურიზმამდე მიიყვანა.

როგორც ვთქვით, სიმონ ჩიქოვანი 30-იან წლებში დარწმუნდა ფუტურისტული ესთეტიკის საფეძველების მცდარობაში და თანდათანობით დაიხია ძველი პოზიციებიდან. პოეტმა დაიწყო თავისი ესთეტიკური მრწამსის გადასინჯვა, ერთგვარი გაკრიტიკება და წარსული შეცდომების უარყოფა. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ლექსი „გმირი და წინ“, რომელიც 1932 წელს გამოქვეყნდა. აქ პოეტმა ერთგვარად შეაჯამა განვლილი გზა. მისი მტკიცებით, ეს იყო მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ამ გზაზეო, — ამბობს პოეტი, — იყო „ხორკლიან სიტყვით ჭიდილი“, „დაეცი ბერჯერკ და აღვსდეგ ისევ“, მაგრამ მუდამ ხალხის, რევოლუციის ინტერესებს ემსახურებოდი, მე არასოდეს ვიყავიო „ქალის ფეხისა და კუბოს კოცნის პოეტი“, არასოდეს მიღალატია ჩემი ხალხისთვის, თუმცა შეცდომებიც მქონდა; ეს შეცდომები მიდღიდო ფუტურიზმიდან და „მე, მეამბოხეს, შემხვდეს ზიზღით, მითხრეს — გადაზეკულ საზღვარს ლექსისას, მე ფუტურიზმს გავყევ ამ დროსდა“.

მე შეცდომები კუზივით ვზიდე
შემდეგ შეცდომებს შევეტაკე, შევხვდი
პირდაპირ.

პოეტი განაგრძობს: მოვდიეარ შენთან, ახალო დროვაგ, განიარაღებული და გასწორებული, რომ მთელი ხმით გიმღერო შენ და გემსახურო. იგი მიმართავს რევოლუციურ მოწონაგე ადამიანებს:

მომეცით ხელი, გაგწიოთ ძმურად,
გულს ცხოვრებას იცნობს და გმირის მწერალი,
შენ ცხოვრებას ქმნი, მე შენზე სურათს,
დაკკრათ, გაგფრინდეთ რკინის მერანით,
და მაიაკოვსკი, დიდი სარდალი,
რევოლუციის შვილი ომამდეც,
ქუხდა ამგვარ ხმით იყო მართალი
ჰორიზონტიდან ხელგაშლილი
ჰორიზონტამდე.

პოეტის ეს განცხადება იმას ნიშნავდა, რომ იგი, ტოვებდა ძველ ფუტურისტულ გზას, ფუტურისტული ფორმა აბრკოლებდა რევოლუციის პოეტის წინსვლას. ვინც სიმონ ჩიქოვანის 30-იანი წლების შემოქმედებას დააკვირდება, აღვილად დაინახავს პოეტის მიერ ესთეტიკური პოზიციების აშკარა გადასინჯვას... მაგრამ ეს უკვე სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების მეორე პერიოდია.

•

პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდი 30-იან წლებს დაემთხვა, იმ დიდი რევოლუციური გარდატეხის წლებს, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. პოეტი ადამიანის სულში მომხდარ გარდატეხას აკვირდებოდა, ეძებდა და პოულობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ თავისებურებათა გამოხატვა, ქვეყნის რევოლუციური გარდატეხის თვისებათა ძებნა მთაში, მთელი ადამიანის ხასიათში. მთა ამ შემთხვევაში აღებულია, როგორც სიმბოლო ძველი გარდასული ცხოვრებისა, რომელიც რევოლუციამ ერთბაშად აფეთქიაქა, შეცვალა და ახალ გზაზე დაყვანა. მოგზაურ პოეტს ამის უტყუარ ფაქტებსა და მასალას აწვდიდა სვანეთი, ხეცსურეთი და მთიანი სამეგრელო. პოეტი აქ გაიეცნო, აქ ნახა ახალი ადამიანები, თავიანთი დიდი რევოლუციური პათოსით რომ დამკვიდრდნენ მთაში, აქ შეგრძნო ახალ ნიადაგზე მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის განაპირა კუთხის ყოფაში შეიერა; ეს ლექსები სამყაროს ათვისების მხატვრული პრინციპის მიხედვით მთელი აღმოჩენა იყო პოეტის შემოქმედებაში და იგიც უაღრესად გაშლილი გულით ეგებებოდა ამ ახალ სამყაროს.

ლექსების ახალ ციკლს ს. ჩიქოვანმა უწოდა „მთაო, გადმაშვი“, ამ საერთო სათაურის ქვეშ, ამ ეროვნში მოათავსა პოეტმა მთელი ციკლი ლექსებისა სვანეთის, ხეცსურეთისა და სამეგრელოს შესახებ.

ციკლი იხსნება ლექსით „გადასვლა ღორვაშლზე“. სვანეთში, ღორვაშლში მოგზაურ პოეტს თან ახლავან სვანები, მათ შორის — ექიმი, რომელსაც თან მოაქვს „პარტიის აზრი და ჯანი“. ეს სიუჟეტიანი ლექსი კონკრეტულია და, ამავე დროს, უაღრესად ზოგადი, კონკრეტულია აქ დასახელებული ექიმი სვანი, რომლის სურვილია დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ციხეს და დიდი მთების შვილმა ახალი სხივი შეიტანოს პატრიარქალური მთის ყოფაში. ამასთანავე, ავტორი აღწერეს განზოგადებას. ზოგადი მნიშვნელობისაა ლექსი პოეტური ხერხებითაც.

გზად მიმავალ სვან ექიმსა და პოეტს მთაში ამბეგდარი ჭექა-ქუხილი და წვიმა ვერ აშინებთ. ისინი გმირულად ტანაენ ბუნების სტიქიასთან შებრძოლებას და კიდევაც იმარჯვებენ. პოეტს სიმბოლურად აქვს წარმოდგენილი ბუნების სტიქიასთან შეხლა. ესაა ძველი და ახალი სამყაროს გაყრის სიმბოლო. ბრძოლაში იმარჯვებენ სვანეთის ახალი ადამიანები. ეს საინტერესოდ ჩაფიქრებული ლექსი ასე მთავრდება:

ძალა ვერ პოვა მთამაც ოხვრაში,
სდუმს და მდუმარენ კვდება გორკაში.
ექიმი იტყვის: მხარევ, მიცანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განველთო ბნელი და სიცოცხლე მოგვაქვს,
ძველს ეჯახება ჩვენი მიზანი
და გზაც გორვაშლის მიაგავს იგავს.

სვანეთს მიუძღვნა პოეტმა აგრეთვე ლირიკული ლექსები „ბარათი მთიდან“ და „სვანური იავნანა“. აქ ასევე საინტერესოდაა მოცემული სვანეთის ყოფითი სურათები, სოციალისტური ახალი ადამიანები. ეს საინტერესოდ განახლების ფონზე გამოხატული. განსაკუთრებულ ყურადღებას ამსახურებს ამ ლექსების მელოდიური, მკეთილი რიტმი. აი, ერთი მაგალითი:

ინგურთან დათვი თათებით დადის,
ჩემო კარგო ნანილა, დაიძინე მალე,
დედე ლადგე დილას ადეკ,
მზე გაამნეკეს ნისლის ბადეს,
რომ მწეერანი შეგიყვარდეს,
დედაო, ნანილ, იძინე, ნანილ,
ძილი მოგიხდება, გასაზრდელო მარე.

ასეთი მუსიკალური რიტმი სრულიად თავისებურ ყიდრის აძლევდა სიმონ ჩიქოვანის ლექსებს და არსებითად სკილდებოდა ადრინდელი ლექსების ე. წ. ორკესტრული რიტმს, რომელიც ფუტურიზმს უკავშირდებოდა.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში სრულიად განსხვავებული მოტივები და ინტონაციები მკვიდრდებოდა იმ თემატურ მასალაში, რომელიც გამიზნული იყო ახალი ადამიანების ხასიათისა და თვისების გამოსახატავად. კერძოდ, ეს შინაშეზებოდა კომკავშირის თემატიკის შემოტანით პოეტის შემოქმედებაში. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა „უშფული კომკავშირი“. აქ ვრცელად არის მოთხრობილი ძველი სვანეთის ჩამორჩენილი ცხოვრების შესახებ, ნაჩვენებია სვანეთი მოუკალი მთებით, სისხლის აღების ტრადიციით, გადმოწლილია გარესამყაროდან მოწყვეტილი ცხოვრების სურათი; არც გზა, არც ხიდი, არც წყენი, ფოსტა და ტელეგრაფი, — ასეთი იყო ძველად ლილოსა და დალის მითიბის სვანეთი. რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა პირველ სვან კომკავშირლებს, რომელთაც პირველად უნდა გაეფანტათ ბნელი ჯაანი და ნისლი. მათ კარგად იცოან, რომ, თუ სამირკველი არ გამოცვალეს ძველი ადათისა, ისე კომუნიზმი ვერ შემოვა ვიწრო ბილიკებით სვანეთში. პოეტი მიმართავს კომკავშირლებს: „თქვენნ, მეგობრენ, რაჟდენ და იეფთი, მთა გაუსწორეთ ბარის პირობებს“, სხვა გზით ახალი სვანეთი ვერ აშენდებაო. სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი, სვანეთისადმი მიძღვნილი, ახალი ინტონაციებით, ახალი თემატური გადაწყვეტით არის საინტერესო.

სიმონ ჩიქოვანის 30-იანი წლების პოეზიაში საქართველოს განაპირა კუთხეს განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. პოეტმა ლექსების მთელი წიგნი უძღვნა ფშავ-ხევსურეთსაც. ლექსები „მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში“, „შემოღამება ხახმატში“, „ხევსურული ძრიხა“, „ხევსურულ ცხენზე“ — ხევსურთა ცხოვრების მეტად საინტერესო სურათებია.

პირველ ლექსში „მგზავრობა ფშავ-ხევსურეთში“ მოცემულია ხევსურთა წესა-ჩვეულებების ღრმა ისტორიული ფესვების განმარტება და დანახვა იმ ახლისა, რაც ცვლიდა ძველ შეხედულებებსა და წარმოდგენებს. ლექსში „შემოღამება ხახმატში“ ვრცელად არის გადმოცემული ხახმატში სტუმრად ხევსურ ლუდაურთან პოეტის საუბარი და ხევსურების დიალოგი ბარისაკენაც. ამ საუბარში თანდათან ირკვევა, რომ ერთ ხევსურს უნდა ბარის ესტეტმრის და შოფერი გახდეს, მეორეს გადაუწყვეტია სწავლა-განათლება მიიღოს. ამრიგად, ხევსურები იმ აზრის არიან, რომ უნდა მოხდეს ბარისა და მთის „შეულეღა“. ლექსში „ხევსურული ძრიხა“ მწერალი საინტერესოდ გვისურათხატავს ძველი ხევსურეთის ყოფას, დადუნდაუღლეს მესაქონლეობაზე და ჯიშნიანი ხევსურული ძრიხის ბარაკაზე. მწერალს ასეთ ყოფითს დეტალშიც შეაქვს ახალი ცხოვრების ელემენტი, რომლითაც გამოხატავს ხევსურეთის ფერისცვალებას. საქმე შეეხება საწველი მანქანის შემოტანას ხევსურეთში და ამ გარემოებასთან დაკავშირებულ ამბებს. ეს ყოფითი დეტალიც მწერალს საშუალებას აძლევს ნათლად დაინახოს ახალი სოციალისტური ცხოვრების შუქის შეჭრა მთაში.

30-იან წლებში სიმონ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა წიგნი სამეგრელოს შესახებ („სამეგრელოში შთაგონებული სალამები“).

ლექსების ეს ციკლი კარგად გამოხატავდა საკოლმეურნეო ცხოვრების პირველი წლების სურათს და სოფლის პირველ შტეკვის კულაკობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 30-იანი წლების მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. პოეტი საინტერესოდ ხატავს სამეგრელოს ბუნების ფონზე ჭაობის, უკაშრისა და ძველი ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებული ახალი ადამიანების კოლექტიური შრომის ძალას. ლექსი „საგაზეთოდ თესვა“ გვისურათებს პირველ საკოლმეურნეო გაზაფხულს სამეგრელოში. წინათ მიწები, რომლებიც ახლა კოლმეურნეობას აქვს, ეკუთვნოდა ვიღაც ბობოლა გლეხს, რომელიც ღარიბი გლეხის ექსპლოატაციით ცხოვრობდა. შემდეგ საკოლმეურნეო სოფელში განაირაღა სოფლის ეს წუობელა: „კოლექტიური აშენდა ძალა და ღარიბებიც ძმობენ უთქმელად, კოლექტიურად იწყებენ თესვას და თესვის დროსაც ქმნინ კომენიზმს“. ახალი სოფლის სოციალისტური სურათია გამოხატული აგრეთვე ლექსში „გმირის ძიება ნატაჩიოშში“. იეზოების პირას, სენაკის ახლოს, ეაკედ გადაშლილ საუკეთესო მიწებს კოლმეურნეები ფლობენ. მათი მარჯვენის ძალა გულს ახარებს, განსაკუთრებით გა-

მოირჩენა მოწინავე კოლმეურნე გლეხი ბოჯგუა. მწერალი დაეძებს ამ მოწინავე კოლმეურნეს, მაგრამ ვერსად შეხვდა მას პირისპირ. ამ დეტალში გამოხატულია ის აზრი, თუ როგორ გაუსწრო ცხოვრებამ მწერალს. მოწინავე გმირები მოუწოდებენ მწერალს გამოხატონ მათი დიადი შრომითი გმირობის საქმე.

ლექსი „სამუშაოსადის კოლექტივებს“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ძველი და ახალი ცხოვრების კონტრასტული სურათების გამოხატვის ხერხით. პოეტს თავისებურად აქვს გამოყენებული მეგრული ძველთაძველი სიმღერის „სისოფილი ჩელას“ სევდიანი მოტივი, რომელიც მოთქმად გაისმოდა ძველ, სოციალურად დაჩაგრულ, ბატონყმურ სოფელში. მასთან დაპირისპირებულია განახლებული შრომის ჰეროიკა, შრომის სიმღერა, რომელიც ახლა სოფელში გაისმის ტრაქტორის გუგუნის ფონზე. ტრაქტორი და ჩელა აქ სიმბოლური მნიშვნელობით აქვს გამოყენებული პოეტს ძველისა და ახალის კონტრასტული სურათის გამოსახატავად.

საერთოდ, ლექსების ციკლი სამეგრელოზე ვეფხისტყის საკოლმეურნე ცხოვრების პირველი წლების სურათს, მწვავე კლასობრივი ბრძოლის პროცესებს. ძველისა და ახლის დაპირისპირების ბჭით ნაჩვენებია, თუ როგორ იმარჯვებენ ახალი ცხოვრება, საკომეურნეო სოფელი. ძველი ცხოვრების დამახასიათებელი აქსესუარითია და ახალი სოციალისტური ცხოვრების გამომხატველი დეტალების ორიგინალური დაპირისპირებით მწერალი ქმნის განახლებული ცხოვრების შრომის ჰეროიკას და სულიერი ცხოვრების საინტერესო სურათებს.

ამ ციკლს მოჰყვა ახალი ლექსები თბილისზე. საქართველოს დედაქალაქი თბილისი მუდამ იყო ქართველი პოეტების ხოტბის საგანი. 1936 წელს დაწერილ ერთ საინტერესო ლექსში („მტკვრის სანაპირო“) სიმონ ჩიკოვანი გვიხატავს თბილისის ახალ სანაპიროს, როგორც თბილისის უმშვენიერეს ადგილს, მუშების ხელითა და ვარჯით შექმნილ „დამტკრეული მტკვრის“ განახლებულ სახეს. განახლებულ თბილისს უკავშირებს პოეტი თავის სიყრმეს და თავის პოეზიისაც:

> მე ამ ნაპირზე სიყრმეს მოველი,
> ვხარჯავდ გრძნობას და თავს არ ვიზოგავ.
> და თბილისელი სტახანოველი
> უცქერის მტკვარს და მარადისობას.
> მღერის ალვების მწყობრი კრებული,
> სანაპირონი სხედან მწვანეში,
> და დგას თბილისი, ამოვლებული
> მტკვარში, მზეში და მატიანეში.

სანაპირონი უღვიძებენ პოეტს ძველის, ბავშვობის დღეების მოგონებას. „გაზაფხეული მტკვრის პირას“, ტიეზე გალობა, „ოხერა მტკვრისპირა ჭაობის“, სამი ალვის ხე სანაპიროზე მოაგონებენ პოეტს „განვლილ ბავშვობას სამეგრელოში“. ძველისა და ახლის მოგონების მთელი ეს გამა არის თბილისის და, განსაკუთრებით, ახალი თბილისის ჰიმნი.

თბილისი — ეს საქართველოს გალობაა: „ვეთ ეისარტყელა, იშლება მტკვარი და საქართველო გალობს გარშემო“ („ნაწვიმარი“). ახალ თბილისს, მის განიერ ქუჩებსა და მოედნებს, მშენებლობის დიდ პათოსს პოეტი გულწრფელ სიტყვებს მიუძღვნის:

> მეც გამიფლია ხუთიოე ხიდი
> მშენებლობის და ოცნების გზაზე,
> ვარ ჭადარივით თბილისას მკვიდრი
> და ჰაერის ფესვი მეჭე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სანამ სწორ გზას ენახავდი,
მე მესმოდა მტკვრის ღაღადი
იმ სახლიდან ამ სახლამდი.

საკმარისია დავხედოთ სიმონ ჩიქოვანის რჩეული ლექსების სარჩევს, რომ ერთბაშად ნათელი გახდეს, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს სამშვილო ომის თემას სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში.

პოეტმა ისტატურად გამოხატა ჩვენი ხალხის მტერიალიტერ და სულიერ ძალთა გამოცდის ეს პერიოდი. მეომარ საბჭოთა ხალხთან იყო ოვი თავისი მგზნებარე ლექსებით, მღელვარე ფიქრებითა და განცდებით. ლექსების ამ ციკლს სიმონ ჩიქოვანმა უწოდა „მამეულ ვუთხრათ გამარჯვება“.

ციკლი იხსნება ლექსით — „მოსკოველ მეგობრებისადმი“. ძმობისა და მეგობრობის ვამიმხატველი ეს ნაწარმოები შესანიშნავად გვიყვართებს ქართველი და რუსი პოეტების მეგობრობის ეპოზოდს: ომის მრისხანე დღეებში პოეტს ოგონდება თავისი მოსკოველი მეგობრები, რომლებიც ახლა ფაშისტური ცეცხლისაგან მამეულ იცავენ, მოსკოვს დარაჯობენ. გულისთქმა პოეტისა, მისი ხალხისა ისტორიულად გადაჯაჭვული იყო რუსეთთან:

ხმა პუშკინის და ხმა რუსთაველის,
წრფელი გრძნობა და საამო ხმები,
ყურძნის ქარვა და პური თაველი,
გადაჯაჭვაოული წკრიალა ხმლები,
სიკაშკაშე და პირველი თოველი,
გრძნობა, ჯირსა და ლხინში გვდ�,
ჩვენი მამეული, ჩვენივე ტოლი,
ჩვენი სისხლი და ზორცი ნამდვილი.

პოეტს სწამს, რომ არ არის ძალა, რომელსაც შეუძლია მოშლოს და აღმოფხვრას ეს ისტორიული მეგობრობა, მას გულწრფელად სჯერა, რომ საბჭოთა ხალხების ურაყვი ერთიანობა, პარტიის გულით შეფიცული, ჩვენი ძმობა სამარადჟამოა და ისევ მოსკოვში შემოქმედებებთ მტერზე გამარჯვების ძლევამოსილ სიმღერას.

როდესაც ფაშისტების მრისხანე მანქანა კავკასიის კარიბჭეს მოადგა, სიმონ ჩიქოვანმა ისტორიული წარსულის გმირებს მოუმძო და მათი აჩრდილი მფარველად დაუყენა თავის მამეულს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „აჩრდილი“. სამამეული ომის მღელვარე დღეებში პოეტს ილიას „აჩრდილი“ მოეელინება: ზემოთ ვიხილე ისევ აჩრდილი — ბრძენი, სპეტაკი და გამყივარო:

რქვა: საქართველოო, მე ვარ შენთან,
შენი მტკუნვარე მიწის ნაწილი.
ჩვენი მარჯვენა არსად შემკრთალა,
არსად გამტყდარა თვალი არწივის.
მინდა ყოოდე, ბაბას გამგვანო,
ღამე ვტეხე და გლოცე წუხელი,
შენ, ამირანის მიწავ, აკვანო,
ვერკინ დაგადგას მონის უღელი.

ასე საინტერესოდ აქვს მოფეკრებული პოეტს გმირი მოხუცის აჩრდილის მოელინება სამამეულო ომის ამ მრისხანე დღეებში, გმირი მოხუცისა, რომელიც ჩაგაწინებდა, ეძახდა ჩვენს ხალხს დაეცვა საშობლო მტრის მონობისაგან.

ისტორიულ გმირთა გახსენებას, ქართველი დედის ვეკაცური სახის მოგონებას წარმოადგენს აგრეთვე ლექსი „ქართველი დედა“. ცხრა ძე ჰყავდა ქართველ დედას, ცხრავე ფრონტზე გაგზავნა, ცხრავე დაფიცა — არ მოუშვათ მტერი მამეულთან.

სიმონ ჩიქოვანი თავად ეყო კავკასიის ფრონტზე და თავისი თვალით ნახა ფაშისტების მიერ აკლებული რაიონები და სოფლები, უპატრონოდ მიტოვებული სახლები, დაობლებული ბავშვები. ეს სურათები გამოხატულია ლექსში, რომელსაც ეწოდება „მიტოვებული სახლ-კარი“.

ძნელია ეს ლექსი კაცმა მღელვარების გარეშე წაიკითხოს. მასში ღრმა ემოციურობით არის ნაჩვენები ფაშისტების მიერ აკლებული ოჯახის სურათი. მწუარალმა შეიხედა სახლში, იქ სიჩუმე იყო დამკვიდრებული. იგი მზად არის შეეიდეს სახლში, კერაში ცეცხლი გაანაღოს, მოუაროს და მოუალერსოს უპატრონო სახლს, ხოლო რიცა მასპინძელი დაბრუნდება,

ვეტყვი, დაგეხედი, მეგობარო,
აწ იცოცხლე ამ ეზოში ასი წელი.
გადმოხეთქავს გრძნობის წყარო
და, როგორც ძმას, მომეხვევა მასპინძელი.

პოეტის სათქმელი ყოველთვის დატვირთულია აზრით. აზრობრივი დატვირთულობა და სიღრმე სიმონ ჩიქოვანის წერის მანერის ნიშანდობლივი თვისებაა. ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „მზესუმზირები“. ეს არის ლირიკული ლექსი, რომელშიაც ომით გამოწვეული გაპარტახებისა და უკაცურობის მღელვარე სურათია მოცემული. მოუმკელი ყანა, მომპალი ჩალის ღერები, უპატრონოდ მიტოვებული მზესუმზირები ქმნიან ომით გამოწვეული გაპარტახების დამახასიათებელ სურათს, ეკავეთის გულსაკლავი ყრანტალი უფრო ამძაფრებს ამ საზარელ სანახაობას და ასეთი სევდისმომგვრელი და მუქი ფერებით დახატულ სურათშიც ოპტიმისტური ხმა გვესმის:

მაინც შევატყვე, სიცოცხლის სჯერათ,
დაბრუნდებიან მალე გმირები,
და ატყორცნილნი თემშარის პირად
მზეს უმღერებენ მზესუმზირები.

ლირიკული სურათის ასეთი სევდიანი ინტონაციებით და ფერებით გამოხატვა, რასაც შემდეგ

ოპტიმისტური განწყობილება მოსდევს, დამახასიათებელია პოეტისათვის ყოველი მძიმე განსაცდელის ჟამს, მაშინაც, როცა იგი ყუბანის ველზე სამსი ქართველი სამეგობროს მეომრის საფლავს წაჰწყდება, მაშინაც, როცა უპატრონო, გადამწვარ სახლებსა და ქალაქებს ხახავს („შეიმარი და ქლიავი“); ყოველთვის და ყველგან პოეტს ახასიათებს ოპტიმისტური განწყობილება და მოტივები.

სიმონ ჩიქოვანს აქვს ლექსები, სადაც გვხვდება პათეტიკური ინტონაციები, სადაც ტონი აწეულია, და რიტმიც შესაბამისად შეფარდებული ლექსის საერთო ინტონაციას. საკმარისია მოვიგონოთ ლექსი „ქართული ვაშა“:

მამულს ვარამი ვაშოროთ,
მთებმა ფოლადი გვიბოძეს,
ვაშა და ვაშა სამშობლოს,
ვაშა გმირების სიცოცხლეს.

პათეტიკური, აწეული ტონითაა დაწერილი აგრეთვე ლექსი „მამულს ვუთხარ გამარჯვება“:

მტერი მტრულად დაისაჯოს,
ერთიც ვეღარ გადარჩება,
მამულის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება.

ასეთი განსხვავებული რიტმით, ინტონაციით, ფერებითა და საღებავებით გამოხატა სიმონ ჩიქოვანმა სამამულო ომის სურათები და ჩვენი ცხოვრების ამ მღელვარე ნახატში მთელი სისრულით გამომეღაენდა პოეტის წერის მანერა და სტილი.

1946 წელს სიმონ ჩიქოვანმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ქართლის საღამოები“.

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორიგინალურად მოფიქრებული სერთო მოხუცი კოლმეურნე გლეხის ცხოვრებისა, ქართლის ფონზე გამოხატული. ეს მოხუცი სიმბოლურად განასახიერებს მშრომელი კაცის სახელსა და დიდებას, დაკავშრებულს ქვეყნის სიკეთესთან და დოვლათთან. მოხუცებული კაცი ტრიალებს ბაღში სასხლაკით ხელში, აჯაერებს ნერგებს, ნერგს გადაჭრის და სიცოცხლეს გაყოფს, რომ ორ ცხოვრებად აანოს ერთი. ასეთი სტრიქონებით მთავრდება პოეტის ეს საინტერესო ჩანაფიქრი:

ჩვილი ნერგები უთმობენ სურვილს,
თითქო სამაგშო ბაღია ქმაკ,
მებალე ნერგებს სათუთად უელის
და ბალღებივით ბალებში დაყავს.

ასე შემოჰყავს ს. ჩიქოვანს ამ ლექსში მშრომელი კაცის, ქართლის ფუძის, გლეხკაცის სახე. ამას მოსდევს სერთო ქართლის ლამაზი პეიზაჟების, ხეხილით დაყურსული ბაღებისა, ვენახებისა თუ ყურძნით სავსე საწნახლისა და ქვევრებისა. ქართლის მდინარეს — ლიახეს პოეტი საქართველოს მთების ცრცელს უწოდებს. ხოლო ატენის ხეობას — აყვავებულ ბაღს.

პოეტი ამბობს, რომ მას ამღერებს ამ ხეობის სილამაზე და წრფელი სიტყვით ადიდებს და აქებს მას, ვინც ქვეყანას აშენებს და აშენებდა: „ვიმღერე და ატენი ვერ მივატოვე, სილამაზეს ვერ მოეწყვიტე თვალი“. ასეთ ბუნებრივ სილამაზეს ავტორი მაინც პოეტურ გარდასახვას ძალევს, ოცნებით წარმოიდგენს ამ სილამაზის უკვდავებას: „შენს კალთაზე ფეხშიშველი მესიზმრები, ცხადი ხარ თუ სიზმარივით ქრები“. კოლმეურნეთა კალო ირმებს ვალეწინენ და ატენშიც მომავლის ეზა ვიპოვეო, — ასკვნის პოეტი. მაინც ყველაზე უფრო დიდი სილამაზე ბუნებისა, ყველაზე დიდი სიმდიდე ქართლისა და ატენისა — ეს კოლმეურნე გლეხებია, რიგითი ადამიანები, მათი გარჯითა და შრომით ეძღვნა ამ ბუნებას სილამაზე და ეშო. როცა პოეტი კოლმეურნე გლეხის აივანზე („კოლმეურნის აივანზე“) სავსე სუფრას მიუჯდება და ოჯახის უფროსს, მოხუც კოლმეურნეს აკვირდება, ასე ჰგონია, სადღაც უნახავს იგი, სადღაც შეხვედრია მზისაგან გარეჯული ამ გლეხის სახე.

ეგეს არის ძველი გუთნისდედა,
ატენის თუ გორისციხის მეციხოვნე,
ეგეს, სადმე მიხატული ვპოვე,
ახლა დინჯად აივანზე მასპინძლობს.

ესენი არიან ბუჩჯი და ფუძე ქვეყნისა, მათი ხელითაა ნაშენები ძველი ციხეებიც და ახალი საქართველოც და პოეტი გულწრფელად მიესალმება მათს კეთილ შრომას, მამულიშვილობას:

მეც დამისხით ატენური წმინდა,
ხვალ კვირაა და ბაასში გავთენოთ.
მეგობრებო, ამ ოჯახში მინდა
ვადღეგრძელო დღევანდელი საქართველო.
დავცალე თუ ატენური დაშრა?
აივნიდან კოლმეურნეს გზას დარაჯობს.
მასპინძელო, შენს მარჯვენას ვაშა,
საქართველოს უკვდავებას გაუმარჯოს!

ასე უკავშირებს პოეტი „ქართლის საღამოებში“ საქართველოს აწინდელ ცხოვრებას, მის ხელინდელ დღესა და მომავალს ამ მშრომელ, გამრჯე ხალხს, მოხუც ანანიას, მეღვინე პაპას თუ პურის მოსავლისა და მომკელ ახალგაზრდა ტრაქტორისტს.

ლექსების ციკლში — „კახეთის შემოდგომა“, სიმონ ჩიქოვანი ასევე განსაკუთრებული სიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელით ხატავს გამოჯე კოლმეურნეთა მარჯვენას, კახეთის ხვავიანი მიწის მადლით აღმოცენებულ და მისი ოფლითით რომანტიკულად გაცოცხლებელს. ლექსები „კახეთის ქება“, „გომბორზე გადასვლა“, „კახეთის შემოდგომა“ სწორედ კოლმეურნე გლეხაკის მარჯვენაზე დამყარებულ სურათებს გვიხატავს, ხოლო ლექსები „ბერეთის სამრეკლო“ და „ყვარლის მთები“ უკავშირდება ორი ჭავჭავაძის, ორი პოეტის დიდი მამულიშვილის — ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ილია ჭავჭავაძის მოგონებას:

ეუმზერ უნაზეს ალაზნის ნისლებს,
ეუმზერ, ვიგონებ ბუმბერაზ მყინვარს,
ხეენი ილიას ფეხის ხმას ვისმენ
და ყვარლის მთებიც ამიტომ მიყვარს.

სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად არის გადაწყვეტილი საშობლოს თემა, პატრიოტიზმის თემა. ვინც ამ ციკლის ლექსებს დაკვირდება, იგი ადვილად აღმოაჩენს, თუ რა ორიგინალური და თავისებური კუთხე მოუჭვნია პოეტს ამ მარად ძველი და ამ მარად ახალი თემისათვის. ვინ იტყვის, რომ პატრიოტიზმის თემა ახალი იყოს ქართულ მწერლობაში. საქართველოს დიდი ისტორიული წარსული, თავისი ეკეკლცური თავგადასავალითა და ტრაგიკული ტკივილებით არაერთგზის გამოუხატავთ ქართველ მწერლებს ჩვენს დიდებულ კლასიკურ და თანამედროვე მწერლობაში, და არ არის პოეტი თუ პროზაიკოსი, რომ თავისი პატრიოტული ვალი საშობლოს წინაშე არ მოეხადოს. ამიტომ ადვილი რიდია ამ ტრადიციულ თემატიკაში პოეტმა რაიმე ორიგინალური და ახალი თქვას. ჩვენი მკითხველი განებივრებულია პატრიოტული ლექსებით.

როცა სიმონ ჩიქოვანის ლექსს „ვინა სთქვა“ კითხულობთ, ჩვენს ყურადღებას უმალვე ეპყრობს ახალი ინტონაცია და თავისებური ელვრა, ახალ ხმაზე აწყობილი, რომელიც ამ მშვენიერ ლექსში გვესმის, პირველივე სტრიქონიდან აღიქმება ეს ახალი ინტონაცია:

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი საშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი, —

კითხულობს პოეტი და მყისვე მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას ჩვენი ხალხის წარსულის ისტორიაზე და ჩვენს ცნობიერებაში კვლავ აღდგება ცამდე აწვდილი ციხე-კოშკების ქონგურები, ქართველი კაცის მარჯვენით აგებული, ფრესკებითა და ჩუქურთმებით მდიდარი მონასტრები და ციხე-დარბაზები, ეკეკლცობით, თავდადებით თავშეწირული ქართველ გმირთა სახელები. და ამ სურათს ამთავრებს დარუბანდიდან მოტანილი კარები, როგორც ქართველთა მამაცობისა და დიდების სიმბოლო:

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს
და გიიხსენებ საშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველ მხარე.

საქართველოს მრავლად ჰყოლია გამოჩენილი გმირები, ისტორიული პიროვნებანი, საშობლოსათვის თავშეწირული ეკეკლცები, სახელგანთქმული მამულიშვილები, რიგითი ადამიანები თუ მეფეები და სარდლები, დაეთი ადამიანებელი თუ თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალი თუ ერეკლე მეორე, ძმები ხერხეულიძეები თუ ცოტნე დადიანი. საქართველო რიცხობრივად პატარაა, მაგრამ იგი დიდია სახელგანთქმული გმირებით, წეგნებით, სულიერი კულტურის სიუხვით, დიდი შემართებით, — აი, ამ ბრწყინვალე ლექსის პათოსი და სულისკვეთება:

ეს ორი ლექსი — „ვინა სთქვა“ და „არ დაერქმეეა პატარა მხარე“ შინაგანი კავშირით, პატრიოტული სულით ერთი ლექსია, ერთი აზრისა და განწყობილების გამომხატველი პოეტური ქმნილება, საქართველოს წარსულისა და მისი აწმყოს სადიდებელი.

როდესაც სიმონ ჩიქოვანის მიერ პატრიოტიზმის თემაზე დაწერილ ლექსებს ვეცნობით, შთაბეჭდილება ისეთი როდია, თითქოს პოეტი ეიწრო ნაციონალური გრძნობების ნაკუეში ჩაკეტილი კაცის გონებითა და თვალით ზომავდეს ჩვენს წარსულს თუ დღეგანდელ დღეს. არა, ეს არის ისეთი პატრიოტი პოეტის განწყობილების გამოხატვა, რომელსაც კარგად ესმის მნიშვნელობა და საჭიროება ქართველი ხალხის კავშირისა მოძმე ერებთან, კარგად აქეს შესისხლხორცებული ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ძალა და მნიშვნელობა. დღევანდელი საქართველო იმითაა ძლიერი, რომ ის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიდი გრძნობით შედღეულები, მარტო რიდი დგას პატარა კუნძულეთით, — საქართველოს მრავალი ჰყავს მეგობარი, პირველ ყოელისა, ლენინსა და პუშკინს, რუს ხალხს უკავშირდება მეგობრობის ეს გრძნობები და ახალი საქართველოს ძლიერება. ალორძინებული საქართველოს რუსეთთან ღრმა ურთიერთობა სიმონ ჩიქოვანმა ჯერ კიდევ 1927 წელს დაწერილ ლექსში გამოხატა ნათლად და თვალსაჩინოდ საკმარისია აქ მოვიგონოთ სტრიქონები:

დიდო ქვეყანავ, საშობლო ხარ ჩემი მამულის,
დიდო მინდვრებო, შემაყვარეთ სწრაფი
ბორბლები.
დროშა მომყვება, მოშრიალე და მეწამული
და მეც თქვენთან ვარ ჩემი მთით და ჩემი
ორბებით.

ხოლო უფრო გვიან ლექსში „ლენინის ძეგლთან“ გამოსატულია ლენინის გზასთან დაკავშირებული ახალი საქართველოს მეტად საინტერესო სურათი:

> დგას ლენინი, გულხმიერი,
> მთის მახლობლად დაფშვნილი წყლის ხმაურია,
> და ლენინი გზას დასცქერის,
> სადაც პუშკინს ლექსის ზექით გაუელია.
> მისი ხმები, ქართლის მკვიდრი,
> არაგვივით მოგს ალვიძებს გამთენია.
> სამხედრო გზას მგოსნის ფიქრი
> და მყინვარის დიდი ჩრდილი აფენია.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში ძველი საქართველოს ისტორიული წარსული მთელი სიდიადით არის გამოხატული. აგერ მცხეთა, საქართველოს პირველი დედაქალაქი... ისტორიულ ქარტეხილებს ბევრი რამისთვის დავიწყების ფერფლი გადაუყრია, მაგრამ, აი, მოვიდნენ საბჭთა მეცნიერები, გთხარეს არმაზის სამარხები და ზზის სინათლეზე გამოიტანეს უტყუარი საბუთი საქართველოს წარსულის დიდებისა, უბრწყინვალესი ძეგლები ხელოვნებისა და ოქრომჭედლობისა. ამ ისტორიულ ფაქტს სიმონ ჩიქოვანმა მიუძღვნა ლექსების მთელი ციკლი: „ძველი მცხეთა“, „ფერმი სერაფიტაზე“, „სავალთბელი“, „სერაფიტის გამოზმობა“. ეანგინი, ხავსიანი, ფერფლწყარილი წარსული, ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე ახალი ძალით გაცოცხლდა. ჩვენს წარსულს შემოუნახავს და ქვაში ცოცხლობს უჩინარი ჩრდილი, სითბო და სილამაზე სერაფიტისა. „სილამაზე, სერაფიტის სადარი, არსად არი. იევრიის გარდა“, „სამარეში გარინდულხარ ასული, რომ კუბოში ჩაგვიფინა წარსული“, ახლა ხელი შეეახეთ ამ სილამაზეს, რომ დაარღვიოს უკუნი და ახალი ძალით გამოაფინოს თავისი უკვდავი სილამაზე. ეს ქვაზე ალბეჭდილი სერაფიტი, ეს ოქროს ნაჭედობა, გასაოცარი ხელოვნებით შესრულებული, საქართველოს კულტურის სიდიადის დამადასტურებელია და პოეტი ამ სიდიადეს კვლავ აცოცხლებს ჩვენს წარმოდგენაში და ახალი ხმით აამღერებს მას.

საქართველოს წარსულის უკვდავების, მისი სიდიადის უკვდავი პიმნია ჩვენი ეარძია. დიდი ოსტატების ხელით შექმნილი ეს საკვირველი ქალაქი, მთაში აშენებული, პოეტს გასაოცარი ძალით გაუცოცხლებია ლექსში „მიძღვნა ეარძიის ოსტატებისადმი“. როცა ამ ლექსს კვითხულობთ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სიმონ ჩიქოვანი მეტად თავისებური წერის მანერის ოსტატია, უფრო კონკრეტულად — აზრობრივი ხატვის ოსტატი. აქ ყოველი ახალი სტროფი ახალ აზრობრივ ასოციაციას აღძრავს ჩვენში. ისტორიული დეტალები, მხატვრული აზრით გაბრწყინებული ეს შესანიშნავი ლექსი არა მარტო აღადგენს წარსულის ოსტატების უკვდავ სახელს, არამედ პოეტი მათ თანამედროვე ოსტატების სახელით ეპაასება. პოეტი აღფრთოვანებულია ამ ციხე-ქალაქის სიდიადით და კითხულობს:

> საკვირველება, საკვირველება,
> როგორ მოთავსდა განველილ ხანაში:
> შენი ოცნება და გაელვება,
> გამოხატული ქვის მასალაში,

ეარძიის ქვამ ამოღერა ჩვენი ისტორიული წარსული, მთელი ძალით გამოჩნდა მაშინ სიდიადე ქართველი კაცის სულისა. მაგრამ პოეტს ერთგვარად სევდას ჩვენის ის ფაქტი, რომ ამ ციხე-ქალაქის აშენებლის სახელი ისტორიას არ შემოუნახავს:

> რად წარიშალე, შენ უკვდავება
> გვძახის, გეძებს მთების უბეში!
> დიდო ოსტატო, ჩვენი თაობა
> გიხმობს შშრომელთა საუკუნეში.

ახალი საქართველოს შშენებლები, ახალი საქართველოს ადამიანები, გაკვირვებული შენი სიდიადით, ამაყობენ ამ დიდებული ძეგლით, მაგრამ გული სტკივით მათ, რომ არ იციან, ვინ არის დიდი ოსტატი ამ ხელოვნებრივი ძეგლისა. ხალხს რუსთაველის სახელი ლექსმა შემოუნახა, ხოლო შენი ქვის მდუმარეს და „მოგონებას ალარ ინახავს ეარძიის კარი“. ეგეც დიდი ოსტატი ამ ციხე-ქალაქისა უკუღმართმა დრომ დაღუპა:

> სად წარიშალე, ეგეც მოგკვეთეს
> ხელი მარჯვენა, ელეის მაგვარი.
> ეგეც დაგღუპეს ხალხის მოკეთე
> და დასადგეგ გახდა აკვანი.

ეს შესანიშნავი ლექსი მთავრდება, პოეტის ჩანაფიქრით: რაკი დაკარგეთ დიდი ოსტატის სახელი, ეარძია იყოს სახელი ამ ციხე-ქალაქის ამშენებელი დიდოსტატისაო.

სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ძველი ისტორიული მესხეთის, საზოგადოდ — სამხრეთ საქართველოს, ისტორიული წარსულის გამომხატველ სურათებსა და ეპიზოდებს. „ეარძიის“ მოსდევს ლექსი „წუნდას ტბა“. თმოგვის ციხის მახლობლად ძველად გამენებული ყოფილა დიდი ქალაქი წუნდა. მიწისძვრას გაუნადგურებია იგი და ახლა ამ მიდამოებში არის პატარა ტბა, რომელსაც წუნდას ტბას ეძახიან. პოეტი აქ ეძებს ჩვენი ისტორიული წარსულის ნაშთებს და ოცნებით აღადგენს სურათს, რომლის მიხედვით თითქოს რუსთველს ამ წუნდის მიდამოებში ეცალა, აქ უფიქრია, აქ უწერია „ვეფხისტყაოსანს“ უკვდავი სტრიქონები, მესხი მელექსის მადლი ამ ტბასაც დაჰფენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე იგონებს მწერალი „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებს ლექსში „მიძღვნა ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის ოსტატებისადმი“. აქ გაცოცხლებული არიან რუსთაველის ქმნილების გადამწერლები, რომელთაც ქართველ ხალხს შემოუნახეს უკვდავი ხელოვანის უკვდავი ძეგლი.

ლექსების ამ ციკლში ცალკე უნდა აღინიშნოს ქამთა აღმწერლის სურათების გამოხატვა, ძალიან საინტერესოდაა გაცოცხლებული რაჟის ერისთავის ალბერის ქერივის გვანცა ერისთავის რომანტიკული სახე ლექსში „წიგნი ქამთა-აღმწერელისა: გვანცა“. უფრო ეპიკური პლანითაა გადაწყვეტილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხილვა ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილი სავანეში“. კარგად აქვს პოეტს ნათქვამი:

როგორ ჩასტიე მაინც კუბოში
შენი შფოთვა და კორიანტელი...
ორკეკერ კუბოდან წამოვარდნილი...
ჩანგი გვიხმობს თუ გული ანკარა?
ხე შრიალებს, თუ ქალი კენარი?
შენი სამშობლო მკვდრეთით ამდგარა,
შვებით ჯიხვინებს შენი მერანი.

ლექსების ამ ციკლს ამთავრებს წიწამურის ტრაგედია, დიდი ილიას სახე და ლექსი „ეაკაფშველის ბუხართან“.

ყველაზე უფრო გამოირჩევა, ჩვენი აზრით, ლექსი „შემოღამება მამადავითზე“. აქ შესანიშნავად არის გაცოცხლებული ორი უბრწყინვალესი ქართველი ქალის, ორი დის — ნინო ჭავჭავაძისა და ეკატერინე ჭავჭავაძის — ტრაგიკული სიყვარულის ისტორია. მათი აჩრდილი პოეტმა მთაწმინდაზე ორ ლანდს — ბარათაშვილისა და გრიბოედოვის ლანდს — შეახვედრა და მათი ტრაგიკული ისტორიაც ამის მიხედვით მოგვითხრო:

ორმა დამ მთებზე დიდხანს იარა
და ორ საფლავზე დარგო ყვავილი,
მთაზე წინანდლის წყვილი თვალია,
საფლავები კი გვანან მეგობრებს.
ერთმა განჯაში სული დალია
და სპარსის დაშნა მოხვდა მეორეს.

სიმონ ჩიქოვანისათვის დამახასიათებელია ამგვარი ტრაგიკული ინტონაციონებისა და განწყობილების გაცოცხლება, შორეული აჩრდილების გამოხმობა და მათი აღდგენა ჩვენს ცნობიერებაში, მაგრამ აქ არსად არის თავისთავადი რომანტიკა, ოხვრა და ხვნეშა წარსულის შესახებ—ეს არის თანამედროვე პოეტის ოპტიმისტური ხილვა წარსულის სინამდვილისა, ამ გმირების სულის გამოხმობა თანამედროვე ჩვენს ცხოვრებაში, რათა ისინი ახალი საქართველოს მშენებელთა რიგში ჩააყენონ და თანამედროვე კაცის თვალით შეხედოს მათს საქმესა და გარჯას. ისტორიული წარსულის ამგვარ გაცოცხლებაში საბჭოთა პოეტის პოზიცია მთელი სისრულით არის გამომეღვენებული; მწერლის ტენდენცია, ლირიკულ ინტონაციებში დფარული, ჩვენთვის საესებით ნათელი ხდება.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ძიძიგური

აკაკი გაწერელიას ნოველების წიგნი

ჩვენი მკითხველი აკაკი გაწერელიას იცნობს, როგორც დიდი გემოვნებისა და ფართო ერუდიციის მკვლევარს, რომლის ლიტერატურულ-მეცნიერული ძიებები გამოირჩევან სიახლითა და საკითხების ორიგინალური გადაწყვეტით. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფუძემდებელი შრომა, შესრულებული მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და რაფინირებული სტილით, უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენების ფაქიზმა ანალიზმა და ქართული ლექსის ბუნების ახლებურად გაშუქებამ აკაკი გაწერელიას გამოკვლევებს ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში საერთო აღიარება მოუპოვეს. საკმარისია აქ დავასახელოთ ისეთი საფუძვლიანი მონოგრაფია, როგორიცაა „ქართული კლასიკური ლექსი“, რომელსაც საეტაპო მნიშვნელობა აქვს ქართული პოეტური ენის სტრუქტურის შესწავლის დარგში.

როგორც მხატვრული ქმნილებების ავტორი, აკაკი გაწერელია ჩვენს მკითხველს წარუდგა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, როდესაც გამოაქვეყნა „სიკვდილი ბარათაშვილის“ და შამილის სიცოცხლის ბოლო წლების ამსახველი მოთხრობები.

საოცენზიო წაგწში („ნოველები“, 1960) თავმოყრილია ავტორის მხატვრული ნაწარმოებები, ფიციური და თარგმანები.

აკაკი გაწერელიას ნოველებისა და მოთხრობებისმათვის არ არის დამახასიათებელი რთული კოლიზიები, — ავტორი გაურბის სიუჟეტურ ხლართებს და ნაწარმოების თემად იღებს სრულიად მარტივ ამბავს, უბრალო შემთხვევას, რომელიც ადამიანის სულიერ სამყაროში იწვევს მოულოდნელ რეფლექსებს. ეს უბრალო სიტუაციები ერთგვარი ფონია, რომლის მეშვეობით ხდება ადამიანის სულში ჩაძირული თვისებების ამოტივტივება, კეთილშობილი საწყისებას ამოძრავება და მიყუჩებული გრძნობების გაღვიძება.

ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ძალიან საინტერესოა „საბედისწერო შემთხვევა“.

ანეპოდისტე უიღბლო კაცია. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პეტროგრადის უნივერსიტეტში შესულა, რევოლუციის შემდეგ შინ დაბრუნებულა. ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი ამ უნიადაგო და კარჩაკეტილმა კაცმა. სოფელში მეადგე-მეხვალე შეარქვეს, ნათესავებს ქვეყანაში გამოწყვეტილად მიანნდათ; ყველაზე და ყველაფერზე აღრეხილი, აზრის ხმამაღლა გამოთქმის გაურბის... ბოლოს ამარგული და თბილისში გადმოსახლებულა. აქაც არავინ უყვარდა მას, არც იგი უყვარდათ. ანეპოდისტემ საყვავილეში დიიწყო მუშაობა, ენა კარგად იცოდა და ლენტების წარწერებს ასწორებდა მარილწერის თვალსაზრისით. კარგად აქვს მწერალს დახატული ამ ახირებული და გაკიდეგანებული ადამიანის პორტრეტი. ეი, ერთმა გარემოებამ ამ გულცივ, ეუმქმელ და გამოროტებულ კაცში სათუთ გრძნობები გაალვიძა, ნაზი ზრახვები აუშალა, წონასწორობა დაურღვია. ანეპოდისტეს სულიერ ცხოვრებაში შეიჭრა ბავშვი. როცა მასთან მარტო რჩება, რაღაც მანამდე უცნობი და აკრძალული ირხევა მის არსებაში. სწორედ ახლა, პირველად მისი ცხოვრების მანძილზე ტკბილი და საალერსო სიტყვები ამოტივტივდნენ პირქუში და მიუკარებელი ანეპოდისტეს სულში.

ბავშვის შშობლები „საცაა ბაღიდან დაბრუნდებიან და ანეპოდისტეს ნეტარებით აღსავსე გამომეტყველება უმალვე შეიცვლება სახის ჩვეულებრივი და ცივი ნიღაბით“.

ასეთივე ფსიქოლოგიური სიმარცლით არის გადმოცემული ნოველა „მოურავნი“ ბარნას სულისკვეთება. ბარნა ბატონს მამულის მეკვლია. იგი სოფელში ყველას სძალვს ბატონისადმი ერთგულების გამო, — გულმბორტი და ზეუბარალებელა. ერთხელ მან სოფელში ბატიოსნებით განთქმული მოხუცი მიხა, ღარიბი და დავრდომილი, — შეისწრო ბატონს ვენახში. აუტანელმა გაჭირვებამ აიძულა დაეძალურებული მიხა, კალათით შესულიყო სხვის მამულში, რათა მშიერს სული მოებრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებინა. ბატონის მოურავი ბარნა, რისხვით დატყვა თავს საცოდავ მიხას და ენით აუწერელი ღრიალი მორთო. მიხა ჩურჩულით ეძედარება, ხმამაღლა ნუ კიცხავს, მთელ სოფელი გაიგებს მის უბედურებას და თავი მოეკუნება პატიოსნებით განთქმული გლეხს. „არ შეჰფერის, ბიჭო, ჩემს წლოვანებას ეს სიტყვა. შეგინდოს ქვეყნის გამჩენმა“ — მიმართავს გაწბალებული მიხა გაცოფებულ მოურავს, რომელმაც უდიერი სიტყვით შეიმენა ვენახში შემოპარული ჭერი. ბოლოს ბარნამ სასიკვდილოდ სცემა მიხა. სასონიხიდილ მოხუცს ესღა აღმოხდება: „მადლობელი ვარ, ბარნა, დიდი მადლობელი... ხომ გამლახე ეს დავრღმილი კაცი, ბიჭო!.. ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს, შვილო, ჩიჩუების ერთგული, თორემ ჩემი მოძმე არ მიზიმდა ამ სიკეთეს... წყიღე, ბარნა, კალათ, მიართეი შენს ბატონს... ყველაფრის ღირსი ვარ მე უბედური“. ნოველის აზრი სწორედ ამაშია: ბარნა დაანმინა ამ სიტყვებმა („ჩიჩუების ერთგული, თორემ ჩემი მოძმე არ მიზიმდა ამ სიკეთეს“). მსგავსი არაფერი სმენია ბარნას, დღემდე არაფერი შეხვედრია. „აკმეფ მის ბროროტებას ბროროტებით პასუხობდნენ, სიძულვილ — სიძულვილით, ყვირილ — გულში ჩაკლული ღაბძლით, ქირდეთ ან მუხანათობით. ახლა კი ეს უსიტყვო კაცი მარჯვენას ულოცავდა...“

ეს კიდევ არაფერი. ბარნამ ახლა შეიგნო, რომ იგი, ბოლგროზში ბატონის მონა, მოძმეთა მდევნელი იყო და ეს არ შეპფერიდა მას. მხოლოდ მას შეეძლო უმიწყალოდ გაეტარა მეშტი სოფლის უბატრონოსთვის, ვენახში ერთხელ და ისიც შიშმლის გამო შემოსული მოხუცისათვის... არავინ ჩიდიენდა ამას, არავინ იქნებოდა. — ბარნას გარდა, — ასეთი მკაცრი და ულმობელი.

„შორს მონასტერში, ზარებს არისხებდნენ, ახლა ბარნას სულშიაც იღგა მონასტერი... თუმცა მკრთალად და ბინდბუნდში, პირველად აკიაფდნენ ვარსკვლავები მისი სულის ჰორიზონტზე... დღეს მაინც იყოს ბარნა თავისუფალი ბატონის ერთგულებისაგან: ის არ გაუშხელს დეკანოზს ვენახში მომხდარ ამბავს!“

ამ ნოველაშიც ჩაფფიდ არის გამოვლენილი, თუ როგორ ჩაახდა ადამიანი სულს სიღრმეში ერთმა უბრალო შემთხვევამ და საღიაც კეთილშობილების სხივი დაანახვა, მიყუჩებული ადამიანური გრძნობა ? გაღვიძა.

„იმ დამით მივიგენი შტრიხს, რომელსაც დიდხანს ქვეშეცნეულად ვეძებდი ჩემი სურათისათვის“ — ასე მოგვრდება ნოველი „მხატვრის ნაამბობი“. მოეცალკეე ქალის სურათი მხატვარს ვერ დაემთავრებინა, რადგან ვერ აღმოჩინა ის წერტილი, რომელიც ხორცს შეასხამდა და სრულყოფილს გახდიდა შემოქმედს შთანაფიქრს. მხოლოდ ბედნიერად მიკვლეულ შტრიხს შეეძლო დამაჯერებელი გაეხადა ქალის ერთობ უსიცოცხლო თვალები. მხატვრის ტალღიზე კ? მოეკვეავის არც ერთი ნაკვთი არ მეტყველებდა იმახე მეტს, რის ამოკითხეაც ჩვეულებრივ მკითხველს შეეძლო. შემდეგ მხატვარი ხვდება ბოშა-ქალს, რომელსაც დიდი ხნის წინათ შეხვედრია. შენ მიიწეეეს, „მისი თვალების გუგებში თითქოს ობატებოდა ღამეებში ტაატი მიმავალი ურდოები ბოშებისა, მესმოდა მათი გრძელი შოლტების ტლაშენი, სევდიანი კოლო მონოტონური სიმღერებისა“... გაახსენებს ძველ ნაცნობობას... წუთიერი შეყოვნება და ბოშა-ქალი საგულოდან ამოიღებს ვერცხლის პატარა ფიალასა და ვერცხლისავე ინკრუსტირებულ კოვზს, რომელთა მოპარვა მას უკვე მოუსწრია, როცა მხატვარი სანინებელ ოთახში გავიდა. თავრაქანდრული და ხმაგაბმული ბოშა-ქალი ოთახიდან გადიის... სიყმაწვილის მოგონებებმა თუ აღარსიანმა მოპყრობამ შეარხიეს მხატვრის მოულოდნელი და სანუკვარი სტუმარი...

ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა „სიკვდილი ბარათაშვილისა“ ეს ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1944 წელს და მან უმაღლეს მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

აქ მხატვრული წარმოსახვის მეშვეობით ვეცნობით გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების მიწურული, ამ უთვისტომო და მარტოხელა ადამიანის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ასეთია: კამერ-იუნკერი ბარონი ალექსანდრე ავალუს ძე ნიკოლი დილიტნიან თბილისში ბრუნდებოდა, გზად ელისავეტპოლში შეიარა და მაზრის უფროსის ბინას მიადგა. იგი შეიყვანეს ერთსარკმელიან ოთახში, რომელიც ვიწრო საკანს მიაგავდა, ნიკოლოს აქ ავადმყოფი ბარათაშვილი დაუხვდა, მაზრის უფროსის თანაშემწე. სტუმარსა და მასპინძელს შორის დიალოგი იმართება. ნიკოლაო გულგრილად ისმენს ბარათაშვილის ნაამბობს, თუ როგორ დასდევს ეს საცოდავი მოხელე ყანაღებს მიუვალ მთებსა და ტყეებში. ბარათაშვილს აღიზანებს ახალგაზრდა კამერ-იუნკერის ქედმაღლური კილო. თავქეიფა და ბედის მაძიებელი ფრანტი ირონიით ლაპარაკობს მეოცნებე პოეტებზე, რომელთაც „უყვართ მთვარისა და ვარსკვლავების ჭვრეტა“. ნიკოლოზი იღებებს შეურაცხყოფის გრძნობა და გამაღაყებულ ბარონს მოუკრის: „თქვენ დაწინაურება გელით... თქვენ ცაში არ გაქვთ ბედის ვარსკვლავი საძიებელი, ცაში თქვენ ვერაფერს წაკოთხავთ“. ავადმყოფი ბარათაშვილის მიწურულ თვალებში როკაცდა მიზანში მორტყმის სხსიერული. „სიცხემ და ოდნავ მქრქიდავმა ხასითმა გააბედინეს მას, უბრალო მოხელეს, ნართაულით გაპაქრება მეფის-ნაცვლის სვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერ ადუტანტთან..“ მოთხრობის შემდეგი პასაჟი ბარათაშვილის ლოგინად ჩავარდნის ისტორია. გენიალური პოეტი — მაზრის მოხელე — დაქანცა და დაიქლესა ტყეებსა და ღრანტეებში ხეტიალმა, ყაჩაღების დევნამ, აფორიაქებულმა ცხოვრებამ. „ყოველივე იმ ხმის ბრალია, იმ ბოროტი სულის, რომელმაც ბედთან თამაშის დროს კარტი შეუცვალა ტატს, ყალბი ქაღალდები შეაჩეჩა ნამდვილის ნაცლ..“ შეუძლებელია მეღლეარების გარეშე წაიკითხოთ „Delirium“-ი, სადაც მოეცმული..ა ნიკოლოზის სიკვდილსწინა ზმანებანი, მისი შინაგანი მონოლოგი, გენიოსი პოეტის აღსასრულის მხატვრული წარმოსახვა.

„სიკვდილი ბარათაშვილისა“ დაწერილია მასალის შესანიშნავი ცოდნით, მხატვრული ხილვითა და უაღრესად კონდენსირებული სტილით.

სარეცენზიო წიგნში სამი მოთხრობა („ჩირიოურთი“, „იმამი ლოკაში“, „ბოსკოს შეგრდი“) ეძღვნება შამილის ცხოვრების უკანასკნელი დღეების ასახვას. აქ გაცოცხლებულია დაღისტნელი ვეჩის სულიერი მეღლეარებანი, ამ ძლიერი პიროვნების პორტრეტი, მოხაზული შთაბეჭდობათა და ჭრაბი საღებავებით, როგორც ვიცით, აკაკი გაწერელიამ დიდი შრომა გასწია შამილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად; მის განკარგულებაშია უამრავი მასალა. უმეტესად სრულიად უცნობი და ჩაკრმავებული ძიებებით მიკვლეული ფაქტობრივი მონაცემები, რაც მტკიცეა საფუძველს იძლევა განთქმული ამამის ცხოვრების ამსახველი დიდი მხატვრული ტილოს შექმნისთვის, ზემოხსენებული მოთხრობები ამ დიდ წიგნში („შამილი“) შემაკავი ცალეული რეალია.

ნოველებისა და მოთხრობების გვერდით აკაკი გაწერელიას წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები ქართული და რუსული სცენის გამოჩენილი ოსტატების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოდაა დახატული ვანო სარაჯიშვილისა და ვერაკო ანჯაფარიძის პორტრეტები. აქვეა დიდი სიყვარულით აღბეჭდილი წერილები ჩვენი სახელოვანი მეცნიერის კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 80 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და აწ განსვენებული ცნობილი მწერლის შალვა დადიანის შესახებ. ბოლოს წიგნს ერთვის ავტორისეული თარგმანები (ჯემს ჯოისი, მაქსიმ გორკი).

აკაკი გაწერელიას „ნოველები“ დაწერილია ლაპიდარული სტილით და ენობრივი ნიუანსების ოსტატური გამოყენებით; მხატვრული ზომიერება, შეკუმშული თხრობა და ქვეტექსტებზე დაფუძნებული წერის მანერა სარეცენზიო წიგნს ნიშანდობლივი თვისებებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფრანგეთი

ფილიპ ბალზაკზე

სახელგანოქმული ფრანგ მწერალ ონორე ბალზაკზე დღემდე არაერთი მეიგრანფიული რომანი დაწერილა. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია სტეფან ცვაიგის რომანი ამ ბუმბერაზ შემოქმედზე. ამჟამად ცნობილი ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფილიპ ერნა შეუდგა ბალზაკის მეიგრანფიულ ფილმზე მუშაობას. მან გადაამუშავა აქამდე არსებული მთელი ლიტერატურა ბალზაკზე. რჩევასათვის მიმართა ყველაზე ავტორიტეტულ ბალზაკის მცოდნეს — მარსელ პუტერანს. ფილმში ბალზაკის როლს შეასრულებს ცნობილი ფრანგი მსახიობი პიერ ბრასერი, ქალბატონ განსკას როლს — გერმანელი მსახიობი ლილი ბალმერი. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ ავგუივეე სახელგანოქმული ფრანგი მსახიობები მიშელ მორგანი და დანიელ დარიე.

მორიაკის „უცნაური"

გამოვიდა ფრანსუა მორიაკის მოთხრობა „უცნაური". თავის შემოქმედებაში მორიაკი არა ერთხელ მიბრუნებია არასწორი აღზრდით დამახინჯებული ბავშვის ცხოვრების თემას. ამჯერად იგი თავისი მოთხრობის სიუჟეტად ირჩევს მდიდარი კომერსანტის შვილის, 12 წლის ბიჭის ისტორიას. მამის გადაჭარბებულმა მზრუნველობამ, ფუფუნებამ და განებივრებამ ბავშვი პატარა ნერონად აქცია. იგი გადაარჩინა დიდი ნებისყოფისა და ბავშვის ფსიქოლოგიის შესანიშნავმა მცოდნემ უბრალო გუფერნანტმა ქალმა. ბავშვ-ტირანთან მძიმე და ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ბრძოლის შემდეგ აღმზრდელმა მოახერხა მისი ნდობის მოპოვება.

„ამ მოთხრობაში — აღნიშნავს ფრანგული კრიტიკა — მორიაკმა მისთვის ჩვეული ოსტატობით ამხილა ჭვრეტა ბურჟუას პროვინციული წრეების მეშჩანობა".

პასკალ პეტის განცხადება

— მე ვთვლი, რომ კინომსახიობი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, — განაცხადა ფრანგმა მსახიობმა პასკალ პეტიმ. — როცა ოროლ მთავაზობენ, მე ვფიქრობ არა მარტო იმაზე, შემეფერება თუ არა ეს როლი, არამედ იმაზეც, თუ რა შთაბეჭდილება შეიძლება მოახდინოს მან მაყურებელზე. მე მაქვს გარკვეული პოლიტიკური მრწამსი და მინდა, რომ ჩემი ფილმები საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურებოდეს.

ლონდონის გაზეთი „ივნინგ სტანდარდი", რომელსაც მოპაყავს 22 წლის პასკალ პეტის სიტყვები, აღნიშნავს, რომ თავისი დებიუტის შემდეგ (1957 წ.) კინომსახიობს ფეიერთად ილებენ, რის მიზეზიც, გაზეთის სიტყვებით, მის პოლიტიკური, პროგრესულ შეხედულებებში უნდა ვეძებოთ.

ვარშავის გეტოს ტრაგედია ეკრანზე

უკანასკნელ დროს პარიზის ეკრანებზე მიდიოდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გეტოს დრო", მიძღვნილი ვარშავის გეტოს ტრაგედიისადმი. რეჟისორია საფრანგეთის ტელევიზიის ცნობილი რეჟისორი ფრედერიკ როსი.

— იდეა სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნისა ვარშავის გეტოზე, — ამბობს როსი, — დამებადა, როცა ტელევიზიით „წარსულის პერიოდული ჟურნალის ფურცლებზე" გადაცემის დროს ვარშავის გეტოს აღვანეგებას (14 წლისთავი) დავუთმეთ 15-წუთიანი პროგრამა. მე მაშინვე დავიწყე ამ ამბებთან ოფლავ მაისც დაკავშირებული მასალების შესწავლა; ვეთანხმებოდი დოკუმენტებს, დაფუძნებულს ებრაელი ისტორიკოსისა და მწერლის ემანუელ რინგელბლუმის დღიურებზე; აგრეთვე ვხელმძღვანელობდი ქრონიკის, უმეტესად ებრაულენი, დღემდე დამოუქვეყნებელი მასალებით და იმ პირთა დაკითხვით, რომლებიც თვითონ იყვნენ გეტოს ჯოჯოხეთური ამბების მოწმენი. ამგზამაც ასე ეტყობა ფილმს ამ ამბების მოწმეთა რეალიცია ზეგავლენა.

ადამიანებმა, რომლებმაც გადაიტანეს გეტოს საშინელებანი, ფილმის ნახვის შემდეგ მითხრეს: „საათისა და 20 წუთის განმავლობაში თქვენ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდან განგვაცდევინეთ ის, რაც განვიცადეთ ბეტაზე". სწორედ ეს იყო ფილმის მიზანი. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ ფილმისათვის მიმეცა ოპერისა და ორატორიის ფორმა, რათა უფრო დამაჯერებლად გამომეხატა ჩვენი დროის უდიდესი ტრაგედია, ტრაგედია, რომელიც მომავალმა თაობამ სამუდამოდ უნდა დიმახსოვროს.

„ბავშვობაშეპარული ოთახი"

ფრანგი რეჟისორი ეიოლინენ დიუუვივე (სამეფოთა ეკრანებზე მიდიოდა მისი ფილმები „დიდი ვალსი", „მარი-ოქტომბერი") ახლა იღებს ფილმს „ბავშვობაშეპარული ოთახი" (საფრანგეთში ინკვიზიციის ტრიბუნალის სახელწოდება), რომელის სცენარი დაწერილია კრიმინალური და ფანტასტიკური ლიტერატურის კლასიკოსის ჟან დიკსონ კარის მოთხრობის მიხედვით.

ფილმის მგმირი ქალის როლს შესასრულებს გერმანელი მსახიობი ნადია ტალერი.

ფერნანდელის 99-ე როლი კინოში

პარიზის ეკრანებზე დიდი წარმატებით მიდის ფილმი პარადია — „დინამიტიანი ჯაკი" ცნობილი ფრანგი კომიკოსის ფერნანდელის მონაწილეობით. ამ ფილმში მსახიობი ანსახიერებს ემიგრანტ ანტუან ისპერანდიოს და ქუჩდების მეფის როლებს. ესაა ფერნანდელის 99-ე როლი კინოში.

სოფია ლორენი ახალ ფილმში

კრიტიკოსთა ერთსულოვანი აზრით ახალი ფერადი ფართოეკრანიანი ფილმი „მადამ სანჟენი" (სარდუს ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით), რომელსაც იღებს რეჟისორი კრისტიან ჟაკი, ხოლო მთავარ როლს ასრულებს სოფია ლორენი, იქნება ახალი ეტაპი მსახიობის შემოქმედებაში. ეს რთული როლი თავის დროზე შესრულებული აქვთ გლორია სვენსონს, არლეტის და მადლენ რენოს. კრისტიან ჟაკის დადგმაში ლეფფვენის როლს ასრულებს რობერ ოსენი.

ჩეხოსლოვაკია

„17 ნოემბრის სახ. უნივერსიტეტი"

პრაღის კარლოვის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ამას წინათ საზეიმო ვითარებაში გახსნეს „17 ნოემბრის სახელობის უნივერსიტეტი". მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტის მსგავსად იგი უმთავრესად განკუთვნილია აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდობისათვის. უნივერსიტეტის სახელწოდების თავისებური ისტორია აქვს და რამდენადმე სიმბოლიურია: 1939 წლის 17 ნოემბერს ჰიტლერელებმა ჩეხოსლოვაკიაში დახვრეს ყველა ჩეხური უმაღლესი სასწავლებელი, რათა ამით ჩეხოსლოვაკიაში მოესპოთ მეცნიერული განათლებისა და კვლევა-ძიების საშუალება.

სიმფონიური პოემა ჰემინგუეის მიხედვით

ჩეხმა კომპოზიტორმა ირჟი იაროხმა დაწერა სიმფონიური პოემა, რომელსაც საუფლოდ დაუფო ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობა — „მოზეცი და ზღვა". პოემა შესრულებული იქნა პრაღის რადიოს სიმფონიური ორკესტრის მიერ და დიდი მოწონება დაიმსახურა.

რემბრანდტის სურათის ავღმოჩენა

ჩეხოსლოვაკიაში აღმოჩნდა რემბრანდტის პირველი ცოლის სასაკი ვან ულენბურგის სურათი. რენდგენის სხივებით ამ სინჯვამა და რემბრანდტის სხვა სურათებთან შედარების შედეგად დადასტურდა, რომ ეს სურათი ნამდვილად რემბრანდტს ეკუთვნის.

ბანა

კულტურის აღორძინება

აფრიკის უძველესი, ამჟამად განახლების გზაზე შემდგარი ხალხები გათავისუფლების შემდეგ ინტენსიურად შეუდგნენ კულტურულ მშენებლობას და თამამი ნაბიჯით მიიწევენ წინ. ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს პირველი აფრიკული თეატრის დაარსება განის დედაქალაქ აკრაში. თეატრი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. იგი მოთავსებულია თანამედროვე შენობაში, რომელიც ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ მაყურებელთა დარბაზი გადაუხურავია.

პირველ პრემიერად ნაჩვენები იქნა უძველესი აფრიკული ლეგენდა, რომელშიც მკაფიოდაა ასახული აფრიკის მკვიდრთა მორალურ-რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებანი. ლეგენდა მოუთხრობს ახალგაზრდა მეომარზე, რომელსაც სიკვდილი სწორედ მაშინ გამოეცხადება, როცა იგი, მეგობრებით გარშემორტყმული, მზიარულებას მისცემია და დროს აკარებს. სიკვდილი მას აფრთხილებს, ზუსტად ერთი საათის შემდეგ უნდა დასტოვო ამქვეყნიური ცხოვრება და მე გამომყვეო. ჭაბუკი ამაოდ ემუდარება თავის მეგობრებს, ცოლსა და მოცეკვავე ქალებს, თან წამომყვეთო, ე. ი. ჩემთან ერთად მოკვდითო. მიუხედავად მისი ვაჟკაცობისა და მიხდამი სიყვარულისა, არავის არ უნდა მისი ხვედრის გაზიარება და ამქვეყნიური ცხოვრების დათმობა. პიესას, რომელიც

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აფრიკელმა მსახიობებმა დიდი ოსტატობით განასახიერეს, დიდი წარმატება ხვდა. პრემიერას ესწრებოდნენ დიპლომატიური კორპუსი და ახალგაზრდა რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირნი პრეზიდენტ ნკრუმას მეთაურობით. პრემიერის დაწყებამდე ნკრუმა გამოვიდა მოხსენებით აფრიკის ხალხთა კულტურული ტრადიციების სიმდიდრისა და სილამაზის შესახებ, და დაწერილებით დაახასიათა ის შავბნელი დრო, როცა კოლონიზატორები გასაჭანს არ აძლევდნენ ამ კულტურას.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲙᲘᲜᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲒᲘ

„ომი და მშვიდობის“ პროდიუსერს დინო დე ლაურენტისს მიმდინარე წელს სურს კამუს რომანის „უცხოელის“ მიხედვით გადაიღოს ფილმი, რომლის რეჟისორობა გადაწყვეტილი აქვს მიანდოს რომელმე სახელმოხვეჭილ ამერიკელ რეჟისორს. დინო დე ლაურენტისი, შეიძლება ითქვას, მრავალი, მსოფლიოში უკვე საკვეყნოდ აღიარებული ფილმის პროდიუსერია, მათ შორის: „დიდი ომის“ (ორი წლის უკან ვენეციის ფესტივალზე იქნა პრემირებული) და ახლახან ვიტორიო დე სიკას მიერ გადაღებული ფილმისა — „განკითხვის დღე“. ამჟამად იგი რობერტო როსელინის ახალი ფილმის „შავი სულის“ პროდიუსერია (ამ ფილმში მონაწილეობენ ცნობილი კინოვარსკვლავები—სილვანა მანგანო'ვიტორიო გასმანი და ანეტ სტრაუბერგი). ლაურენტისს განზრახული აქვს უახლოეს დროში გადაიღოს ბიბლიის სიუჟეტზე აგებული სუპერგიგანტური ფილმი, რომელის მოქმედება 12 საათს გასტანს.

წელს რეჟისორი რობერტო როსელინი დაიწყებს მუშაობას ახალ ფილმზე — „მიყვარხარ“. ესაა საბერძნეთში მყოფი იტალიელი ჟურნალისტის და ბერძენი ქალის სიყვარულის ამბავი. ბერძენი ქალის როლს შესარულებს ანა მანიანი. თუმცა ეს სახელმოხვეჭილი მსახიობი 30 წელია კინოში მოღვაწეობს, მაგრამ როსელინის ფილმში პირველად მონაწილეობს.

რეჟისორმა ალბერტო ლატუადამ „ლეტრ ფრანსეზის“ კორესპონდენტს გაუზიარა თავისი უახლოესი გეგმები: „მე გადავიღებ ფილმს — „დეპუტატ მატეოტის მკვლელობა“. იტალიაში ფაშიზმის დამკვიდრების პერიოდში დეპუტატი მატეოტი იყო მუსოლინის ერთერთი სერიოზული მოწინააღმდეგე. იგი აქტიურად ამხელდა ფაშისტურ დემაგოგიას, მოჰყავდა სტატისტიკური ცნობები, რომლებიც ნილაბს ხდიდნენ „დუჩეს“ მომხრეთა პროპაგანდას. მატეოტი სერიოზულ დაბრკოლებად იქცა ფაშისტებისთვის და იგი მოკლეს. ჩვენს დღეებში ამ სიუჟეტმა შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. კარგა ხანს არავინ იცოდა სად გადაამალეს ფაშისტებმა მოკლულის გვამი. მატეოტის დედა, რაკი „დუჩესგან“ ვერ მიიღო ამის პასუხი, ცდილობდა პაპთან შეღწევას, რათა ეთხოვა საქმეში ჩარეულიყო. ვატიკანში იგი მიიღო პაპის ერთერთმა მოხელემ და განუცხადა, რომ მის უბრწყინვალესობას არ შეუძლია დახმარება, თუმცა თანაგრძნობას უცხადებს და ამის ნიშნად უგზავნის... ოქროს კრიალოსანს. მატეოტის დედამ ზიზღით უარი თქვა ამ საჩუქარზე. ასეთ რაიმეს საგანგებოდაც კი ვერ გამოიგონებს კაცი, — დაამთავრა ინტერვიუ ლატუადამ.

ᲬᲘᲜᲐ ᲒᲕ ᲐᲬᲘ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“